


სტილური კონკრეტი

კონკრეტი



სტივენ პინგი

კოლექტი

<https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/>

1973 წლის შემოდგომა იდგა. მანქანა მყავდა, მაგრამ ჰე-
ვენს-ბეიში მდებარე „მისის შოთლოუს სანაპირო პანსიონიდან“
გასართობ პარკ „ჯოილენდში“, ძირითადად, ფეხით დავდიოდი.
ასე მერჩივნა. მგონი, საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. სექ-
ტემბრის დასაწყისში ჰევენსის სანაპიროზე ვერავის ნახავდით.
უკაცრიელობა და ეულობა კი სრულიად შეესაბამებოდა ჩემს
იმუამინდელ განწყობას. ის შემოდგომა ჩემს ცხოვრებაში ყვე-
ლაზე ლამაზი იყო. ორმოცი წლის შემდეგაც დანამდვილებით
შემიძლია ეს ვთქვა. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ისეთი
უბედური, როგორიც მაშინ, ალარასდროს ვყოფილვარ. პირვე-
ლი სიყვარული ყველასთვის ტკბილია. ურთიერთობის დასრუ-
ლების შემდეგ კი უფრო ძლიერ განიცდი ამ პირველი გრძნობის
სიტკბოს. ამ თვალსაზრისს ათასობით პოპ და ქანთრის სტილ-
ში შესრულებული სიმღერაც ამყარებს; ამ სიმღერებში ვიღაც
გულგატეხილი სულელი სიყვარულს მისტირის. ეს პირველად
გატეხილი გული ადამიანს ყველაზე მეტად სტკივა, ყველაზე
ძნელად უამდება ტკივილი, მისგან დატოვებული იარა კი ყვე-
ლაზე ხანგრძლივად შუშდება. და მაინც, რა არის ამ პირველ
სიყვარულში ასეთი ტკბილი?

მთელი სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში ჩრდილოეთ კაროლინის ცა მოწმენდილი იყო, ჰაერი კი თბილი. დილის შვიდ საათზეც კი თბილოდა. ამიტომ სახლიდან გამოსულს მხოლოდ თხელი ქურთუკი მეცვა ხოლმე. მეორე სართულზე მდებარე ჩემი ბინიდან გარე კიბით გამოვდიოდი. ქალაქიდან გასართობ პარკამდე გასავლელი სამი მილის ნახევრამდე მისული ქურთუკს ვიხდიდი და წელზე ვიხვევდი.

გზად „ბეტის საცხოპში“ შევივლიდი ხოლმე და თბილ კრუასანებს ვტაცებდი ხელს. ქვიშაზე ჩემი ჩრდილი მომყვებოდა. სულ მცირე ოცი ფუტის სიგრძისა მაინც იქნებოდა. თავზე თოლიები დამტრიალებდნენ. გაპოხილი ქაღალდის პარკიდან ამომავალ კრუასანის სურნელს გრძნობდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ცოტა მაინც შეხვდებოდათ. უკან დაბრუნებისას, ასე 5 საათისთვის (ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც ვრჩებოდი ხოლმე, რადგან ჰევენს-ბეიში არაფერი მელოდა – ეს ქალაქი ზაფხულის სეზონის დასრულებისთანავე ძილს ეძლეოდა) კვლავ ჩემი ჩრდილი მიმაცილებდა, მაგრამ ამჯერად უკვე წყლის ზედაპირზე მომყვებოდა. ზღვის მოქცევისას ჩრდილი წყალზე ისე ირხეოდა, თითქოს ჰულას ცეკვავდა.

ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მგონი ის ბიჭი, ძალლი და ქალი მაშინაც იქ იყვნენ, როცა ეს გზა პირველად გავიარე. ქალაქსა და ზიზილ-პიპილებით მორთულ, მოციმციმე, ხალისიან „ჯოილენდს“ შორის მდებარე სანაპიროზე საზაფხულო აგარაკები იყო ჩამწკრივებული, ბევრი მათგანი მდიდრულიც, თუმცა უმეტესობა „მშრომელთა დღის“ შემდეგ ცარიელდებოდა. სამაგიეროდ არ დაცარიელდა მათ შორის ყველაზე დიდი, აი ის, უზარმაზარ, მწვანე ციხე-სიმაგრეს რომ გავდა. მისი ფართო უკანა ეზოდან ხის დაფებით მოპირკეთებული ბი-

ლიკი გამოდიოდა და იმ ადგილას წყდებოდა, სადაც ბალახს თეთრი ქვიშა ენაცვლებოდა. ბილიკი მკვეთრი მწვანე ფერის ქოლგასთან მთავრდებოდა. ქოლგის ქვეშ საპიკნიკე მაგიდა იდგა. მის ჩრდილქვეშ ბიჭი ეტლში იჯდა, ბეისბოლის კეპი ეხურა, ფეხებზე კი პლედი ეფარა, ნაშუადლევსაც კი, როცა ჰაერი გვარიანად თბებოდა. ბიჭი ხუთი წლისა იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, შვიდზე მეტის – არა. ძალი, ჯეკ-რასელ-ტერიერი, ან გვერდით ენვა ხოლმე, ან ფეხებთან. ქალი კი, როგორც წესი, მაგიდასთან მდგომ ერთ-ერთ მერხზე იჯდა, ზოგჯერ წიგნს კითხულობდა, მაგრამ უმეტესად წყალს გასცემოდა. ქალი ძალიან ლამაზი იყო.

მივდიოდი თუ მოვდიოდი, მუდამ ხელს ვუქნევდი, პასუხად ბიჭიც მიქნევდა ხელს, ქალი კი – არა. თავიდან არა. 1973 წელს OPEC-ის ქვეყნებმა ნავთობის ემპარგო გამოაცხადეს, ამავე წელს რიჩარდ ნიქსონმა განაცხადა, რომ თაღლითი არ იყო, ამ წელსვე გარდაიცვალნენ ედუარდ გ. რობინსონი და ნოელ კოუარდი. იმ წელს დევინ ჯონსმა მარცხი განიცადა. 21 წლის ვიყავი, ჯერ კიდევ ვაუიშვილი გახლდით და ლიტერატურული მისწრაფებები მქონდა. ვთლობდი სამ ჯინსის შარვალსა და ოთხ საცურაო ტრუსს, დანჯლრეული „ფორდიც“ მყავდა (ვერაფერს ვიტყვი, რადიო კარგად უმუშავებდა), შიგადაშიგ თვითმკვლელობაზე ფიქრებს მივეცემოდი ხოლმე, გული კი გაბზარული მქონდა.

ხომ კარგია?

გული უენდი კიგანმა გამიბზარა. ჩემი ლირსი არ იყო. ამ დასკვნამდე მისასვლელად მთელი ცხოვრება დამჭირდა, მაგრამ ის ძველი ანდაზა ხომ იცით: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

პორტსმუტიდან იყო, ნიუ-ჰემპშირიდან. მე კი საუზ-ბერვიკიდან, მენიდან გახლდით. ლამის კარის მეზობელი გამოდიოდა. „ერთად სიარული“ (მაშინ ასე ვამბობდით) ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლისას დავიწყეთ. ერთმანეთი პირველკურსელთა წვეულებაზე გავიცანით. რა ბედნიერებაა, არა? როგორც იმ პოპ სიმღერებშია.

ორი წელი განუყრელები ვიყავით, ყველგან ერთად დავდიოდით და ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ყველაფერს, „იმის“ გარდა. ვსწავლობდით და თან უნივერსიტეტში ვმუშაობდით. ის – ბიბლიოთეკაში, მე – სასადილოში. შემოგვთავაზეს, მუშაობა 1972 წლის ზაფხულშიც გაგვეგრძელებინა. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. ბევრს არაფერს გვიხდიდნენ, მაგრამ ერთად ყოფნა ყველაფერს გვერჩივნა, უდიდეს ბედნიერებად მიგვაჩნდა. მეგონა, 1973 წლის ზაფხულშიც ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ უენდიმ განმიცხადა, რომ მისმა მეგობარმა რენემ ბოსტონის უნივერმალ „ფაილინზში“ ორივესთვის იშოვა სამსახური.

– მერე მე? – ვკითხე.

– როცა მოგინდება ჩამოხვალ, – მომიგო, – სიგიურდე მომენატრები. მართლა, დევ. მაგრამ ახლა ალბათ აჯობებს, ცოტა ხნით დავშორდეთ.

ეს ფრაზა ხშირად დასასრულის მაუნიებელია ხოლმე. ალბათ სახეზე რაღაც შემატყო, რადგან ფეხის წვერებზე აინია და მაკოცა.

– ხომ იცი, რაც უფრო შორს გყავს საყვარელი ადამიანი, მით უფრო გენატრება. იქ ოთახიც მექნება, რომ ჩამოხვალ დარჩენასაც შეძლებ.

ამ სიტყვებს რომ მეუბნებოდა, თვალებში არ მიყურებდა. ცხადია, მის ოთახში არასდროს დავრჩენილვარ. ხან იმას ამბობდა ოთახში ძალიან ბევრი ვართო, ხანაც დროის უქონ-

ლობას იმიზეზებდა. რა თქმა უნდა, რამის მოხერხება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ. რაღაცას მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი. ახლა რომ ვიხსენებ, ყველაფერი ცხადია. რამდენჯერმე „იქამდეც“ კი მივედით, მაგრამ „ის“ არ მომხდარა. ყოველთვის თავს იკავებდა, მე კი ძალას არ ვატანდი. ღმერთმა დამიტაროს ასეთი რამისგან, ძალიან გალანტურად ვიქცეოდი. მას შემდეგ სულ ვფიქრობ, რა შეიცვლებოდა, სხვანაირად რომ მოვქცეულიყავი. ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ გალანტური ახალგაზრდები ხშირად რჩებიან ტკბილეულის გარეშე. ეგ თქვენი გალანტურობა სამზარეულოში, კედელზე გაიკარით.

კიდევ ერთი ზაფხულის იატაკების ხეხვასა და მოძველებულ ჭურჭლის სარეცხ მანქანებში ჭუჭყიანი თეფშების ჩანყობაში გატარების პერსპექტივა დიდად არ მხიბლავდა. მითუმეტეს, რომ უენდი სამხრეთში, სამოცდაათი მილის მოშორებით იქნებოდა, ბოსტონის მზის სითბოთი და სიკაშკაშით დატკებოდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა? სტაბილური სამსახური იყო, არც სხვა სამუშაო ჩანდა. თებერვლის ბოლოს კი სამსახურის პერსპექტივა თავად მეახლა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და თან როგორ? გასარეცხი თეფშების კონვეიერიდან პირდაპირ ხელში ჩამივარდა.

როგორც ჩანს, ვიღაცა, როდესაც სადილს თქვლეთდა, „კაროლინა ლივინგს“ კითხულობდა. იმ დღეს სადილი მექსიკური ბურგერისა და ფრი „კარამბასგან“ შედგებოდა. იმ ვიღაცას უურნალი ლანგარზე დაეტოვებინა. თეფშებთან ერთად ისიც ავიღე. ნაგავში უნდა მომესროლა, მაგრამ გადავითქრე. ბოლოს და ბოლოს უფასო საკითხავი ჩამივარდა ხელში

(არ დაგავიწყდეთ, რომ მშრომელი და ცოდნას მოწყურებული ბიჭი ვიყავი). უურნალი უკანა ჯიბეში ჩავიჩურთე და საერთო საცხოვრებლის ოთახში შესვლამდე არ გამხსენებია. შარვლის გახდისას ჯიბიდან ამომივარდა, ძირს დაეცა და განცხადებების გვერდზე თავისით გადაიშალა.

ამ უურნალის ყოფილ პატრონს რამდენიმე განცხადება შე-მოეხაზა, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, არცერთი არ დაუჯდა ჭკუაში. ასე რომ არ ყოფილიყო, „კაროლინა ლივინგი“ კონ-ვეიერზე არ აღმოჩნდებოდა და არც მე ჩამივარდებოდა ხელ-ში. გვერდის ბოლოს ერთი განცხადება იყო. არ შემოეხაზათ, მაგრამ ჩემი ყურადღება მაინც მიიქცია. პირველი სტრიქო-ნი მსხვილი შრიფტით იყო დაბეჭდილი: „იმუშავე სამოთხის სიახლოვეს“! აბა, ჰუმანიტარული ფაკულტეტის რომელი სტუ-დენტი არ გადაირეოდა ამის წაკითხვაზე? აბა, რომელ დარ-დიან, 21 წლის ახალგაზრდას, რომელსაც თავს არ ანებებს იმა-ზე ფიქრი, რომ, შესაძლოა, საყვარელ გოგონას კარგავდეს, არ მოხიბლავდა ისეთ ადგილას მუშაობის დაწყების იდეა, რომელ-საც „ჯოილენდი“ (სიხარულის ქვეყანა) ერქვა?

ტელეფონის ნომერი მითითებული იყო. დაუფიქრებლად დავრეკე. ერთი კვირის თავზე ანკეტა მომივიდა შესავსებად. თანდართულ წერილში კი ეწერა, რომ თუ ზაფხულის განმავ-ლობაში სრულ განაკვეთზე მუშაობა მსურდა (დიახაც, მსურ-და), მაშინ სხვადასხვა საქმის კეთება მომიწევდა. ამ საქმეე-ბის უმეტესობა დალაგება-დასუფთავებას გულისხმობდა. უნდა მქონოდა მართვის მოწმობა და გასაუბრებაზე გამოვცხადებუ-ლიყავი. შემეძლო გაზაფხულის ერთკვირიან არდადეგებზე შინ, მენში წასვლის ნაცვლად გასაუბრებაზე მივსულიყავი. ჩემს ჭკუაში არდადეგებზე ერთი-ორი დღის გატარებას უენდისთან ერთად ვგეგმავდი. ეგებ „იმ საქმისთვისაც“ მოგვება თავი.

– გასაუბრებაზე წადი, – მითხვა უენდიმ უყოფმანოდ, –
მაგარი იქნება, ნამდვილი თავგადასავალი!

მაგარი შენთან ყოფნა იქნება-მეთქი, ვუპასუხე.

– მაგისთვის მომავალ წელსაც ბევრი დრო გვექნება. – ფე-
ხის წვერებზე აინია და მაკოცა (ასე იცოდა. კოცნისას ფეხის
წვერებზე იწეოდა ხოლმე).

ნუთუ მაშინაც ხვდებოდა იმ ტიპს? ალბათ არა, მაგრამ
დარწმუნებული ვარ, უკვე შემჩნეული ეყოლებოდა, რადგან
სოციოლოგიაზე ერთ ჯგუფში იყვნენ. რენე სენ კლერს უთუოდ
ეცოდინებოდა. რომ მეკითხა, მეტყოდა – ასეთი რამეების თქმა
რენეს ხელობა იყო, აღსარებაზე მღვდელს ალბათ აგიჟებდა
– მაგრამ არის რაღაცები, რისი ცოდნაც ადამიანს არ გინდა.
მაგალითად, რატომაა, რომ გოგონა, რომელიც მთელი გულით
გიყვარს, შენ უარს გეუბნება და ამ დროს ვიღაც თითქმის უც-
ნობ ტიპს ლოგინში უხტება, როგორც კი შესაძლებლობა მიე-
ცემა? არ მგონია, ვინმეს ბოლომდე ჩაცხრომოდეს პირველი
სიყვარულისგან მიყენებული ტკივილი. მე ისევ მახსენებს თავს.
კვლავაც მსურს გავიგო, რა იყო ჩემში არასწორი. რა მაკლდა.
ახლა უკვე სამოცს გადავაბიჯე. გავჭალარავდი და პროსტა-
ტის კიბო მაქვს, მაგრამ მაინც მაინტერესებს, რატომ დამინუნა
უენდი კიგანმა.

ბოსტონიდან ჩრდილოეთ კაროლინაში მატარებელ „საუ-
ზერნერით“ ჩავედი (თავგადასავლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ
იაფი კი იყო), მერე უილმინგტონიდან ჰევენს-ბეიმდე ავტო-
ბუსით ვიმგზავრე. გასაუბრება ფრედ დინთან გავიარე. ფრედ
დინი, სხვა მრავალ საქმესთან ერთად, „ჯოილენდის“ კადრე-

ბის უფროსის მოვალეობასაც ასრულებდა. თხუთმეტი წუთი კითხვა-პასუხს დავუთმეთ, მერე ჩემი მართვის მოწმობა ნახა, „ნითელი ჯვრის“ მიერ გაცემულ სერტიფიკატსაც შეავლოთვალი და ბოლოს ყელსაბამზე ჩამოკიდებული ლამინირებული ბარათი გამომიწოდა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: სტუმარი. ბარათზე მითითებული იყო იმდღევანდელი თარიღი და ცისფერთვალება გერმანული ნაგაზი ეხატა. ნაგაზი რაღაცით მულტფილმის გმირ სკუბი-დუს ჩამოგავდა.

– ფეხით გაიარ-გამოიარეთ, – მითხრა დინმა, – მერე, თუ გინდათ, „კაროლინის ბორბალზეც“ დაჯექით. ჯერ ყველა კარუსელი ამუშავებული და გამართული არაა, მაგრამ ეგ მუშაობს. ლეინს უთხარით, რომ ნებართვა მე მოგეცით. მთელი დღის ბილეთი გაქვთ, მაგრამ მინდა, რომ უკან დაბრუნდეთ, ასე... – გაჩერდა და საათს დახედა, – ასე, პირველ საათზე. რომ დაბრუნდებით, მითხარით, თანახმა ხართ თუ არა ამ სამუშაოზე. კიდევ ხუთი ვაკანსია მაქვს, მაგრამ ყველა ერთმანეთს გავს – ყველა დამხმარე პერსონალის ადგილია.

– გმადლობთ, სერ.

გამილიმა და თავი დამიქნია.

– არ ვიცი, თქვენ როგორ მოგეწონებათ აქაურობა. მე მომწონს. რაღაცები ცოტა მოძველებული და მონჯლრეულია, მაგრამ ეგ არ მაწუხებს. ერთხანს „დისნეიში“ ვმუშაობდი, იქაურობა არ მომენტა. ძალიან რაღაცნაირია... მოკლედ არ ვიცი...

– ზედმეტად კორპორატიული. – გავბედე და სიტყვა შევაშველე.

– ჰო, ზუსტად ეგრეა. ყველაფერი ზედმეტად გაპრიალებული და გაბრჭყვიალებულია. „ჯოილენდში“ რამდენიმე წლის წინ დავბრუნდი. არ მინანია. აქ უფრო მეტი თავისუფლებაა. აქ ჯერ კიდევ ძველებური კარნავალის სული ტრიალებს. მიდით,

მიიხედ-მოიხედეთ. ვნახოთ, თქვენ რა აზრის იქნებით. უფრო იმას დააკვირდით, თავს როგორ იგრძნობთ.

- შეიძლება რაღაც გკითხოთ?
- რა თქმა უნდა.

თითით ჩემს ბილეთზე მივანიშნე:

- ეს ძალლი ვინ არის?

გაილრიჭა:

- ეს ჰოუია, „ჯოილენდის“ თილისმა. „ჯოილენდი“ ბრედ-ლი ისტერბრუკმა ააგო, ჰოუი მის ძალლს ერქვა. ძალლი დიდი ხნის წინ მოკვდა, მაგრამ თუ აქ იმუშავებთ, ამ ზაფხულს ხშირად შეხვდებით.

მართლაც შევხვდი... და არც შევხვედრივარ. დიდი თავსა-ტეხი არ არის, მაგრამ მოგვიანებით აგიხსნით.

„ჯოილენდი“ დამოუკიდებელი გასართობი პარკი იყო. ზომით დიდად ჩამორჩებოდა „სიქს ფლეგს პარკსა“ და „დისნეი უერლდზს“, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი ზომისა გახლდათ. ატ-რაქციონების უმეტესობა „ჯოილენდ ავენიუზე“ იყო თავმოყრილი, მეორე ხეივანი – „ჰაუნდ დოგ უეი“ – რვა სავალხაზიანი გზატკეცილის სიგანისა იყო, მაგრამ იმ დღეს მთელ პარკში თითქმის ვერავის ნახავდით. ჩემს ყურს ელექტროხერხების ზუზუნი სწვდებოდა, უამრავი მუშა დაფუსფუსებდა, ყველაზე მეტნი „სანდერბოლის“, ორიდან ერთ-ერთი ამერიკული გორაკის გარშემო ტრიალებდნენ. სტუმრები არსად ჩანდნენ, რადგან სეზონი 15 მაისს იხსნებოდა. მხოლოდ რამდენიმე სასურსათო ჯიხური მუშაობდა, ისინიც მუშებს ემსახურებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი მკითხავის ჯიხურის წინ მოხუცი ქალი იდგა

და ეჭვით მაშტერდებოდა. ერთადერთი გამონაკლისის გარდა ყველაფერი ჩარაზული და დაგმანული იყო.

ეს გამონაკლისი 170 ფუტის სიმაღლის (მოგვიანებით შევიტყვე) „კაროლინის ბორბალი“ გახლდათ, რომელიც ძალიან ნელა, ტაატით მოძრაობდა. ბორბლის წინ დაკუნთული ტიპი იდგა, გახუნებული ჯინსი, მანქანის ზეთით დასვრილი, გაქექილი ზამშის ჩექმები და თასმებიანი მაისური ეცვა. ნახშირივით შავ თმაზე ქვაბურა ქუდი გვერდულად მოეგდო. ყურთან უფილტრო სიგარეტი ჰქონდა გარჭობილი. ძველი კომიქსებიდან გადმომხტარს გავდა. გვერდით ყუთი ედგა, რომელზეც იარაღების კოლოფი და პორტატიული რადიო იდო. რადიოში ჯგუფი „ფეისიზ“ Stay With Me-ს მღეროდა. დაკუნთული ტიპი ტანით მუსიკის რიტმს ჰყვებოდა, ხელები ჯიბეებში ენყო და თეძოებს სიმღერის ხმაზე არხევდა. უცებ რაღაც გავიფიქრე, რაღაც სისულელე, მაგრამ ნამდვილად გავიფიქრე: „რომ გავიზრდები, ზუსტად ასეთი მინდა ვიყო“.

თითო ჩემი ბილეთისკენ გამოიშვირა.

– ფრედი დინმა გამოგვზავნა, არა? ისიც გითხრა, რომ ყველაფერი დაკეტილია და მხოლოდ დიდ ბორბალზე შეიძლება ახვიდე?

– დიახ, სერ.

– დიდ ბორბალზე ასვლა სამსახურში მიღებას ნიშნავს. ფრედი მხოლოდ რჩეულებს აგზავნის პარკის ზემოდან შესათვალიერებლად. აპირებ ამ სამსახურის დაწყებას?

– კი. მგონი, კი.

ხელი გამომიწოდა:

– მე ლეიინ ჰარდი ვარ. კეთილი იყოს შენი მობრძანება ბორტზე.

ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

- დევინ ჯონსი გახლავართ.
- სასიამოვნოა.

მოძრავი ბორბლისკენ წავიდა, გრძელ ბერკეტს, რაღაცით მანქანის სიჩქარეების გადამრთველს რომ გავდა; ხელი წაავლო და უკან დაქაჩა. ბორბალი გაჩერდა და ჩემ წინ მხიარულ ფერებად შეღებილი კაბინა (ყველა კაბინას ჰოუის სურათი ამშვენებდა) აქანავდა.

— ადი ბორტზე, ჯონსი! იქ გაგამგზავრებ, სადაც არის ჰაერი სულ სხვანაირი, ხედები კიდევ — ნაირნაირი.

კაბინაში შევედი და კარი მივიხურე. ლეიინმა კაბინა მაგრად შეანჯლრია, რათა დარწმუნებულიყო, რომ კარი კარგად იყო ჩაკეტილი, მერე დამცავი ურდული გადასწია და საკონტროლო პუნქტთან დაბრუნდა.

— მზად ხარ გასაფრენად, კაპიტანო?

— კი. მგონი, კი.

— წინ საოცრება გელის. — თვალი ჩამიკრა და ბერკეტი გადასწია. ბორბალი ამოძრავდა. სულ მალე ლეიინი ქვემოდან ამომყურებდა. ქვემოდანვე მიყურებდა მკითხავის ჯიხურის წინ მდგომი მოხუცი ქალი. კისერი მოლრეცოდა და თვალებს ხელით იჩრდილავდა. ხელი დავუქნიე, მაგრამ არ უპასუხია.

მალე ყველაფერს ზემოდან დავყურებდი. ჩემ ზემოთ მხოლოდ „სანდერბოლის“ გრაგნილები და ხვეულები იყო. გაზაფხულის გრილ ჰაერში სულ მაღლა და მაღლა მივიწევდი და ვგრძნობდი — ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ ასე იყო — მთელი ჩემი სევდა და ნალველი, ყველა პრობლემა სადღაც ქვემოთ რჩებოდა.

„ჯოილენდი“ თემატური პარკი არ იყო, ამიტომ აქ ცოტ-ცოტას ყველაფერს ნახავდით. „სანდერბოლის“ გარდა მეორე ამერიკული გორაკიც იყო — „დელირიუმ შეიქერი“ და წყლის

სასრიალოც. პარკის დასავლეთ კუთხეში სულ პატარების-თვის გაემართათ მოედანი. საკონცერტო დარბაზიც ჰქონდათ – ესეც მოგვიანებით შევიტყვე – სადაც მეორეხარისხოვანი ჯგუფები ან 50-60-იან წლებში პოპულარული როკ მომღერლები გამოდიოდნენ. მახსოვს, აქ ერთხელ ჯონი ოტისმა და ბიგ ჯო ტერნერმაც გამართეს კონცერტი. არ ვიცოდი ვინ იყვნენ, ამიტომ მთავარ ბუღალტერს, ჰოლივუდელი გოგოების დიდ მოამაგე ბრენდა რაფერტის ვკითხე, ვინ არიან-მეთქი. ბრენდამ ალბათ იფიქრა, ეს უვიცი ვინ არისო. მე კი გავიფიქრე, ბრენდა რა ბებერი ყოფილა-მეთქი. ალბათ, არცერთი არ შევ-მცდარვართ.

ლეინ ჰარდიმ სულ ზედა წერტილზე ამიყვანა და ბორბალი გააჩერა. კაბინა ქანაობდა. ჩემთვის მანამდე უცნობ, სრულიად ახალ სამყაროს გავცემოდი. დასავლეთით ჩრდილოეთ კაროლინის საოცრად მწვანე ვაკე იშლებოდა. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო ნიუ-ინგლენდში გაზრდილი ბავშვისთვის, რომელსაც მარტი მხოლოდ ნამდვილი გაზაფხულის ცივ და ტალახიან წინამორბედად მიაჩნია. აღმოსავლეთით ოკეანე იყო, სულმთლად ლურჯი, მხოლოდ იქ, სადაც ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ ქაფის თეთრი არშია დაჰყვებოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში ამ სანაპიროზე უნდა მეტარებინა დამძიმებული გული. ჩემ ქვემოთ „ჯოილენდი“ გადაშლილიყო: დიდი და პატარა კარუსელებით, საკონცერტო დარბაზითა და პავილიონებით, სუვენირების მაღაზიებითა და ავტობუსით, სახელად „ბედნიერი მწევარი“, რომელსაც პარკის დამთვალიერებლები მიმდებარე მოტელებში თუ ზღვის სანაპიროზე მიჰყავდა. ჩრდილოეთით ჰევენს-ბეი მოჩანდა. ზემოდან (სადაც არის ჰაერი სულ სხვანაირი) პარკი საბავშვო კუბებით ნაგებს გავდა. მის ოთხივე მხარეს ეკლესიის სამრეკლოები ამართულიყო.

ბორბალი ისევ დაიძრა. ნელ-ნელა ქვემოთ ვეშვებოდი, რა-დიარდ კიპლინგის მოთხოვნის გმირი ბავშვივით ვგრძნობდი თავს, სპილოს ხორთუმზე ამხედრებული რომ სეირნობს. ლეინ ჰარდიმ ბორბალი გააჩერა, მაგრამ კარის ურდულის გაღებით თავი არ შეუწუხებია. ბოლოს და ბოლოს, თითქმის მისი თანამ-შრომელი ვიყავი.

- როგორ მოგეწონა?
- მაგარია!
- ჰო, პენსიონერებისთვის წავა.

ქუდი გაისწორა, ახლა მეორე მხარეს მოიგდო და შემათვალიერა.

- სიმაღლეში რამდენი ხარ? ექვსი ფუტი და სამი დუიმი?
- ოთხი დუიმი.
- კარგი. ვნახოთ, როგორ მოგეწონება მაგ სიმაღლის პატ-რონს ივლისის პაპანაქებაში ქურქში გამოწყობილს ამ ბორბლით სეირნობა. თან ხომ იცი, პატარა ნაბიჭვრებს, ცალ ხელში ბამბის ნაყინი რომ უჭირავთ და მეორეში დამდნარი ნაყინი, Happy Birthday-ც უნდა უმღერო.

რა ქურქი უნდა მეცვას-მეთქი, ვკითხე, მაგრამ უკვე იმ თავისი ინსტრუმენტებისკენ მიდიოდა და აღარ უპასუხია. რა-დიოს ისე აყვირებდა, შეიძლება ჩემი ხმა ვერც გაიგო. ან იქნებ უნდოდა, ჩემი, „ჯოილენდის“ მომავალი თანამშრომლის საქ-მიანობა ჩემთვისვე სიურპრიზი ყოფილიყო.

ფრედ დინთან შეხვედრამდე მთელი ერთი საათი მქონდა დარჩენილი. დრო ხომ უნდა გამეყვანა, ამიტომ „ჰაუნდ უეის“ დავადექი და პატარა სასადილოსკენ ავიღე გეზი, რომელიც,

როგორც ეტყობოდა, კარგად ვაჭრობდა. „ჯოილენდში“ ყველაფერი ძალლთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ძალლის სახელს ბევრი რამ ატარებდა, ამ სასადილოს ჩათვლით, რომელსაც „გასაოცარი ლეკვი“ ერქვა. სამსახურის საძიებლად წამოსულს ჯიბეში ძალიან ცოტა ფული მქონდა, მაგრამ ვიფიქრე, ერთ-ორ დოლარს დავხარჯავ და ჩილი-დოგს და ფრის ვიყიდი-მეთქი.

როდესაც ქირომანტის პავილიონს მივუახლოვდი, გზა მადამ ფორტუნამ გადამიჭრა. თუმცა, არა, ეს ქალი მადამ ფორტუნად 15 მაისს გადაიქცეოდა და ამ როლში მხოლოდ „მშრომელთა დღემდე“ იქნებოდა. ამ თექვსმეტი კვირის განმავლობაში იგი გრძელ ქვედაბოლოებსა და თხელი გამჭვირვალე ქსოვილის-გან შეკერილ, არშიებიან ბლუზებში იქნებოდა გამოწყობილი, მხრებზე კი კაბალისტური სიმბოლოებით მოხატულ შარფებს მოიგდებდა. ყურებზე იმდენად მძიმე ოქროს რგოლები ეკიდა, ბიბილოები ჩამოგრძელებოდა, მკვეთრი ბოშური აქცენტით საუბრობდა, ისეთი მკვეთრით, რომ ძველი, 1930-იანი წლების საშინელებათა ფილმის პერსონაჟი მომაგონდა. ამ ფილმში ძველ ციხე-სიმაგრეებში მოჩვენებები ბუდობენ და მგლების ყმუილი ისმის.

წლის სხვა დროს მადამ ფორტუნა ერთი ჩვეულებრივი ბრუკლინელი ქვრივი იყო, ჰუმელის ქანდაკებებს რომ აგროვებდა და ფილმები უყვარდა (განსაკუთრებით სატირალი ფილმები იზიდავდა, აი ისეთები, რომლებშიც მავანი ლამაზმანი კიბოთი ავადდება, მერე კი მოხდენილად კვდება). დღეს კოხტად იყო ჩაცმული – შავი შარვალი, შავი ზედა და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ყელზე შემოხვეული ვარდისფერი შარფი მის შავ სამოსს ახალისებდა. ამ ქალს მადამ ფორტუნას შესაფერისი პარიკებიც ჰქონდა, მაგრამ ახლა ის პარიკები ჰე-

ვენს-ბეიში, პატარა სახლში, მინის ყუთში ჰქონდა შენახული. ნამდვილი თმა მოკლედ შეეჭრა და შავად შეეღება. სასიყვარულო ისტორიების მოტრფიალე ბრუკლინელ ქალს და ფორტუნას მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: ორივე თვლიდა, რომ მეექვსე გრძნობა გააჩნდა.

— ახალგაზრდავ, თავზე ჩრდილი დაგტრიალებს. — გამომიცხადა.

ძირს დავიხედე და მივხვდი, რომ მართალი იყო. „კაროლინის ბორბლის“ ჩრდილში ვიდექი. ორივე მის ჩრდილში ვიდექით.

— ეგ არა, სულელო. ჩრდილს შენს მომავალში ვხედავ. შიმშილი გელის.

უკვე მაგრად მშიოდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ „გასაოცარი ლეკვი“ მიშველიდა.

— ძალიან საინტერესოა, მისის... მმ...

— როზალინდა გოლდი, — თქვა და ხელი გამომიწოდა, — თუმცა შეგიძლია, როზი დამიძახო. ყველა ეგრე მეძახის. მაგრამ ამ სეზონზე... — როლში შეიჭრა და ბელა ლუგოშის ხმით განაგრძო: — ამ სეზონზე მე ფორტუნა ვარ!

ხელი ჩამოვართვი. თავისი კოსტიუმი რომ სცმოდა, ხელის ჩამორთმევისას მკლავზე ასხმული ოქროს სამაჯურები აუფლრიალდებოდა.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — შევეცადე, იგივე აქცენტით მელაპარაკა, — მე დევინი ვარ.

დიდად არ გაკვირვებია.

— ირლანდიური სახელია?

— დიახ.

— ირლანდიელები მწუხარებით აღსავსენი არიან, მაგრამ ნიჭიც აქვთ. არ ვიცი, შენ გაქვს თუ არა, მაგრამ მალე გაიცნობ იმას, ვისაც აქვს.

სინამდვილეში მე ბედნიერებით აღსავსე ვიყავი... გარდა ამისა, ძალიან მინდოდა „გასაოცარ ლეკვში“ შესვლა, მინდოდა ისეთი რამე მეტამა, რასაც უხვად ექნებოდა ჩილი. იმ წუთას ეს ყველაფერი თავგადასავლად მეჩვენებოდა. მერე ჩემს თავს ვუთხარი, მოგვიანებით ალბათ ასე აღარ იქნები, დამქანცველი დღის შემდეგ უნიტაზების ხეხვა ან კარუსელების სკამებიდან ნარწყევის წმენდა თავგადასავლად ნამდვილად აღარ მოგეჩვენება-მეთქი, მაგრამ იმ წუთას ყველაფერი გადასარევად იყო.

— თქვენს როლს სწავლობთ?

წელში გაიმართა. ხუთი ფუტის და ორი დუიმის სიმაღლისა იქნებოდა.

— ეს როლი არ არის, ჩემო ბიჭუნა, — როლის მაგივრად, რული ნარმოთქვა, — ყველასთვის ცნობილია, რომ ებრაელები მთელ დედამიწაზე საუკეთესო ექსტრასენსები არიან.

მერე ისევ უაქცენტოდ ალაპარაკდა:

— ყოველ შემთხვევაში, „ჯოილენდში“ მუშაობა ჯობს მეორე ავენიუზე დგომას. მომენტი. კარგი ბიჭი ხარ. შენგან კარგი ტალღები მოდის.

— ზუსტად ასეა „ბიჩ ბოიზის“ ერთ სიმღერაში.

— ...მაგრამ უახლოეს მომავალში წინ დიდი მწუხარება გელის. — შეჩერდა, მერე კი ხაზგასმით თქვა: — ალბათ საფრთხეც.

— ჩემს მომავალში ლამაზ შავთმიან გოგოს ვერ ხედავთ? — უენდი ლამაზი და შავთმიანი იყო.

— ვერა. — თქვა როზიმ. მერე კი ისეთი რამ დაამატა, რის გაგონებაზეც ადგილზე გავქვავდი: — ის შენს წარსულში დარჩა.

— კააარგი.

გარს შემოვუარე, ემანდ შემთხვევით არ შევხებოდი, და „გასაოცარი ლეკვისაკენ“ წავედი. ნამდვილი შარლატანი იყო, ეჭვიც არ მეპარებოდა. მაგრამ მასთან შეხება მაინც არ მინდოდა.

არაფერი გამომივიდა, უკან გამომყვა.

– შენს მომავალში ერთ პატარა ბიჭს და პატარა გოგონას ვხედავ. იმ ბიჭს ძალლი ყავს.

– დარწმუნებული ვარ ჰოუი ერქმევა.

ვითომ ვერც გაიგო.

– გოგონას წითელი ქუდი ახურავს და თოჯინას დაატარებს. ამ ბავშვებიდან ერთ-ერთს წიჭი აქვს, მაგრამ რომელს, ვერ ვხედავ.

სანახევროდ ვუსმენდი. იმ ნათქვამზე ვფიქრობდი, მკვეთრი ბრუკლინური აქცენტით რომ წარმოთქვა: ის შენს წარსულში დარჩა.

როგორც მოგვიანებით გავიგე, მადამ ფორტუნა ხშირად ცდებოდა, მაგრამ მეექვსე გრძნობა ნამდვილად ჰქონდა, ამ გრძნობამ კი იმ დღეს, როცა „ჯოილენდში“ გასაუბრებაზე ვიყავი ასი პროცენტით იმუშავა.

სამსახურში ამიყვანეს. მისტერ დინი განსაკუთრებით ჩემი „წითელი ჯვრის“ სერტიფიკატით მოიხიბლა, რომელიც იმ ზაფხულს მომცეს, 16 წლის რომ გავხდი. იმ ზაფხულს „მოსაწყენს“ ვეძახდი. თუმცა, მერე და მერე გავიგე, რა იყო ნამდვილი მოწყენილობა.

მისტერ დინს ვუთხარი, როდის მიმთავრდებოდა გამოცდები და გავაფრთხილე ორი დღე დამაგვიანდება, მაგრამ გუნდის ტრენინგს მაინც ჩამოვუსწრებ-მეთქი. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით; გუნდში გაწევრიანება მომილოცა. წამით მომეჩვენა, აი, ახლა მეტყვის, მოდი, ბედნიერი ძალლებივით ერთად დავყეფოთ ან რამე ამდაგვარს-მეთქი, მაგრამ მხოლოდ წარ-

მატებული დღე მისურვა და კაბინეტიდან ჩემთან ერთად გამოვიდა. ჩია ტანის კაცი იყო, ეშმაკური მზერა და ენერგიული სიარულის მანერა ჰქონდა. როდესაც პარკის ადმინისტრაციის შენობის წინ, ბეჭონის წინკარში ვიდექით, ტალღების დგაფუნი მესმოდა და ზღვის სუნი მცემდა. უცებ ვიგრძენი, რომ ავლელ-დი და ძალიან მომინდა, მალე დამდგარიყო ზაფხული.

— მისტერ ჯონს, თქვენ ახლა უკვე გასართობ ბიზნესში ხართ, — განმიცხადა ჩემმა ახალმა უფროსმა, — ეს მთლად ბიზნესი არ არის — დღესდღეობით საქმეს სხვაგვარად ვუდგებით — თუმცა არც ძალიან შორს ვართ. იცით, რას ნიშნავს გასართობ ბიზნესში ყოფნა?

— არა, სერ. ზუსტად არ ვიცი.

მოზეიმე გამომეტყველება ჰქონდა და ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა.

— არითები პარკიდან გაღიმებულები უნდა გავიდნენ. ჰო, თუ ოდესმე გავიგე, რომ თქვენ ჩვენს სტუმრებს არითებს ეძახით, აქედან ნამში გავარდებით. ეს საქმე კარგად ვიცი — რაც წვერის პარსვა დავიწყე, მას მერე გასართობ ბიზნესში ვარ. ნალდი არითები არიან, ტეტიები. ოკლაჰომელი თუ არკანზასელი ტიპებისგან არაფრით განსხვავდებიან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმ გასართობ პარკებში რომ დაბორიალებდნენ, რომლებშიც მე ვმუშაობდი. „ჯოილენდში“ მოსულ ხალხს უკეთ აცვია, პიკაპების ნაცვლად „ფორდებით“ და „ფოლკსვაგენებით“ დადიან, მაგრამ პარკში ფეხის შემოდგმისთანავე ნამდვილ არითებად იქცევიან. თუ პარკში შემოსულებმა პირი არ დააღს, ესე იგი კარგად ვერ ვმუშაობთ. ისინი ბაჭიები არიან, ნამდვილი ყურცევიტები. მსუქანი, გართობის მოყვარული ბაჭიები, რომლებიც კარუსელიდან კარუსელზე დახტიან. — თვალი ჩამიკრა და მხარზე ხელი მომიჭირა. — ისინი აქედან ბედნიერები უნდა

ნავიდნენ, თორემ აქ ყველაფერი გაჩერდება. ასეთი რამეც მინახავს. ხდება ხოლმე და, რაც მთავარია, თვალის დახამხამებაში. ეს გასართობი პარკია, მისტერ ჯონს. ჩვენს ყურცელვიტებს უნდა მოეფეროთ, გაეთამაშოთ. მოკლედ, უნდა გაართოთ.

— კარგი... — ჩავილაპარაკე. თუმცა ჩემთვის მაინც გამოცანად რჩებოდა, რამდენად შევძლებდი მომხმარებლის გართობას მე, ვისაც „ეშმაკის ვაგონები“ („ჯოილენდში“ ასე ავტოდრომს უწოდებდნენ) უნდა მეპრიალებინა ან პარკის დახურვის შემდეგ „ჰაუნდ დოგ უეი“ უნდა მეხვეტა.

— ჩემი გაცურება არც იფიქროთ. დათქმულ დღეს და დროს აქ იყავით. დათქმულ დროზე ხუთით ნუთით ადრე მოდით.

— კარგი, გეახლებით.

— შოუბიზნესს ორი მთავარი წესი აქვს: ყოველთვის უნდა იცოდე, სად გაქვს საფულე და თავი უნდა გამოიჩინო.

გავიარე თაღი, რომელზეც დიდი ნეონის ნათურებით განათებული (ამჟამად გამორთული იყო) ასოებით ეწერა: „პეტილი იყოს თქვენი მობრძანება „ჯოილენდში“! და ცარიელ ავტოსადგომზე გავედი. ჯიხურს მიყრდნობილი ლეიინ ჰარდი იმ სიგარეტს ეწეოდა, მანამდე ყურში რომ ჰქონდა გარჭობილი.

— პარკის ტერიტორიაზე მოწევა აღარ შეიძლება. ახალი წესია. მისტერ ისტერბრუკი ამბობს, რომ ჩვენ ვართ პირველი პარკი მთელ ამერიკაში, რომელმაც ეს წესი შემოილო. პირველები კი ვართ, მაგრამ უკანასკნელები ნაღდად არ ვიქნებით. აგიყვანეს სამსახურში?

— კი.

— გილოცავ! ფრედიმ წაგიკითხა ლექცია ყურცელვიტებზე?

- ჴო, რაღაც მაგდაგვარი.
- გითხრა, როგორ უნდა მოეფერო ბაჭიებს?
- კი.
- ზოგჯერ მაგრა ახურებს. მაგრამ ამ შოუბიზნესში დაბერდა და ესმის საგანი. ბევრი რამე უნახავს. უმეტესად სიმართლეს ამბობს. თავს ყველაფერს კარგად გაართმევ. – ხელი პარკისკენ გაიქნია, თითქოს მისი ლირსშესანიშნაობები – „სანდერბოლი“, „დელირიუმ შეიქერი“, წყლის მიხვეულ-მოხვეული სასრიალოები და, რაღა თქმა უნდა, „კაროლინის ბორბალი“ – ხელით მოხაზა და დასძინა: – რა იცი, ეგებ ესაა შენი მომავალი?

შეიძლება-მეთქი, ვუპასუხე, თუმცა ჩემი მომავალი გადაწყვეტილი მქონდა: რომანები და ისეთი მოთხრობები უნდა მეწერა „ნიუ-იორკერში“ რომ ბეჭდავენ. ყველაფერი დაგეგმილი მქონდა. უენდი კიგანზე დაქორწინებაც დაგეგმილი მქონდა, ისიც ვიცოდი, ოცდაათს რომ გადავაბიჯებდით შვილებიც გვეყოლებოდა. ოცდაერთი წლის ასაკში ცხოვრება რუკა, გზამკვლევი გგონია. ოცდახუთი წლისა რომ ხდები, ხვდები, რომ შეიძლება, ეს რუკა თავდაყირა გეჭირა და ისე უყურებდი. ორმოცი წლის ასაკში ამ ვარაუდის სისწორეში საბოლოოდ რწმუნდები. სამოცი წლისა კი, დამიჯერეთ, ხვდები, რომ გზა აგებნა და დაიკარგე.

- როზი გოლდმა' თავისი სისულელეები გითხრა შენი მომავლის შესახებ?

– კიი...

ლეინმა ჩაიფხუკუნა:

- მეც გკითხე, რა. დაიმახსოვრე, მაგისი ნათქვამის ოთხმოცდაათი პროცენტი სრული სისულელეა, აი ათი კი... ზოგს ისეთ რამეებს ეუბნება, იქვე ეცემა.

– შენ? შენ გითხრა რამე ისეთი, რომ იქვე დაეცი?

ჩაიცინა.

— აი, ეგ რომ მე ხელისგულზე მიმკითხავებს, იმ დღეს ტორნადოს გავეკიდები და რომელიმე მოხეტიალე ატრაქციონს შევუერთდები. მისის ჰარდის შვილი გვერდს უვლის სამკითხაო ჯიხურებს, ბროლის ბურთებს და ეგეთ რაღაცებს.

ჩემს მომავალში ლამაზ შავთმიან გოგოს ვერ ხედავთ?

ის შენს წარსულში დარჩა.

ლეინი მაკვირდებოდა.

— რა მოხდა? ენა გადაყლაპე?

— არა, არაფერი.

— რა გითხრა? სიმართლე თუ რაღაც სისულელე?

— ნაღდად რაღაც სისულელე მითხრა. — საათს დავხედე. — ხუთზე ავტობუსს უნდა მივუსწრო, თორემ ბოსტონის შვიდსაათიანი მატარებელი გამასწრებს. აჯობებს წავიდე.

— მოიცა, დროის მეტი რა გაქვს. ამ ზაფხულს სად უნდა გაჩერდე?

— მაგაზე არ მიფიქრია.

— ავტოსადგურისკენ გზად ეგებ „მისის შოთლოუს პან-სიონში“ შეიარო. ზაფხულში პარკში მომუშავე ხალხზე უამრავი ადამიანი აქირავებს ბინას, მაგრამ ეგ ყველას სჯობს. წლების მანძილზე პარკის პერსონალი მაგასთან ჩერდება ხოლმე. ადვილი მისაგნებია. აი იქ არის, სადაც ქუჩა პლაზზე გადის. ხის დიდი, ნაცრისფრად შეღებილი სახლი დგას. აივანზე აბრაც აქვს გამოკიდული. აუცილებლად შეამჩნევ — ნიუარების-განაა გაკეთებული და ეგ ნიუარები სულ ძირს ცვივა. „მისის შოთლოუს სანაპირო პანსიონი“ აწერია. უთხარი, რომ მე გამოგვზავნე.

— კარგი, ეგრე ვიზამ. დიდი მადლობა.

— თუ მაგასთან იქირავებ ბინას, პარკში ფეხით მოსვლასაც შეძლებ, სანაპიროს გამოუყვები ხოლმე, ბენზინის ფული დაგე-

ზოგება და იმ ფულით უქმეებზე სადმე წახვალ. დილით სანა-პირობები გასეირნება არ გაწყენს. მშვენივრად დაიწყებ დილას. აბა, წარმატებები, პატარა ბიჭო. მოუთმენლად ველი შენთან მუშაობის დაწყებას. – თქვა და ხელი გამომიწოდა. ჩამოვართვი და კვლავ მადლობა გადავუხადე.

რადგან ეს იდეა მომაწოდა, გადავწყვიტე ქალაქში სანა-პიროს გავლით დავბრუნებულიყავი. ოცი წუთი ტაქსის ლოდინიც არ დამჭირდებოდა, მითუმეტეს, რომ ტაქსის ფული სულ არ მქონდა. უკვე იმ ხის კიბემდე ვიყავი მისული, რომელიც ქვიშაზე ჩადიოდა, როდესაც კვლავ ლეინის ხმა შემომესმა:

– ეი, ჯონსი! გინდა ისეთი რაღაც გითხრა, რასაც როზი ვერ გეტყვის?

– მინდა, აბა რა!

– ჩვენ აქ აჩრდილებით დასახლებული ციხე-სიმაგრეც გვაქვს, სახელად „საშინელებათა სახლი“. ეგ ბებერი როზი იმ სახლს ახლოს არ ეკარება, 50 იარდზეც არ მიღის. ვერ იტანს იმ მოჩვენებებს, ბნელი კუთხეებიდან რომ ხტებიან, ვერც წამების ოთახს და ფირზე ჩანერილ ხმებს ეგუება. ეშინია, ჰერნია, რომ იქ მართლა მოჩვენება სახლობს.

– მართლა?

– ჰო. მარტო ეგ კი არ არის მასე. ჩვენი ხუთი-ექვსი თანამშრომელი ირწმუნება, რომ საკუთარი თვალით უნახავთ.

– არ ხუმრობ? – ასეთ შეკითხვას ადამიანი მაშინ სვამს, როდესაც გაოგნებისაგან აღარაფერი დარჩენია სათქმელი. ცხადად ვხედავდი, რომ არ მატყუებდა.

– მაგ ამბავს მოგიყვებოდი, მაგრამ შესვენება დამიმთავრდა. „ეშმაკის ვაგონებში“ რაღაც ლერძები მაქვს გამოსაცვლელი. სამ საათზე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები

უნდა მოვიდნენ და „სანდერბოლი“ შეამოწმონ. მაგათ კიდევ გააჭირეს საქმე! მაგრამ შოთლოუს ჰკითხე და ის გეტყვის. ემელინა შოთლოუმ „ჯოილენდის“ შესახებ ჩემზე მეტი იცის. მაგასთან შედარებით მე არავინ ვარ.

— არ ხუმრობ? მე მეგონა, როგორც ახალ მოსულს, მაღადავებდი.

— რაზე შემატყე, რომ ვხუმრობ?

არა, არ ხუმრობდა, მაგრამ აშკარად კმაყოფილი ჩანდა. თვალიც კი ჩამიკრა.

— აბა რომელ გასართობ პარკში არ არის მოჩვენებებიანი სახლი, თუ, რა თქმა უნდა, ეს პარკი საკუთარ თავს პატივს სცემს? შეიძლება თავადაც ნახო. ყურცელიტები ვერ ხედავენ. მაგის თქმა დაბეჯითებით შემიძლია. ახლა კი მიდი, იჩქარე, პატარა ბიჭო! უილმინგტონში გამგზავრებამდე, ოთახის საქმე აუცილებლად მოაგვარე. მერე მადლობას მეტყვი.

როცა გაიგებ, რომ ქალს ემელინა შოთლოუ ჰქვია, უმალ ჩარლზ დიკენსის გმირის, პანსიონის მფლობელი ქალის მსგავს ვინმეს წარმოიდგენ – ვარდისფერლოყებას და დიდმკერდიანს, სულ რომ ფაციფუცობს და განუწყვეტლივ იმეორებს: „ლმერ-თო, შენ გვიშველე“. თან ყველას ქერის კვერით და ჩაით უმას-პინძლდება. მის გარშემო მყოფი ექსცენტრიკული ადამიანები კი მოწონების ნიშნად თავს უკრავენ. ამ ქალმა შეიძლება ლო-ყაზეც კი მიჩქმიტოს, როდესაც აგუზგუზებული ბუხრის წინ ვისხდებით და მიწის თხილს მოვხალავთ.

მაგრამ ცხოვრებაში ისე თითქმის არაფერი ხდება, როგორც წარმოგვიდგენია. კარი მაღალმა, ორმოცდაათიოდე წლის,

ხმელ-ხმელმა ქალმა გამიღო. მკერდი საერთოდ არ ჰქონდა, ისეთი გაფიტრებული იყო, გაყინულ ფანჯრის მინას გავდა. ცალ ხელში ძველმოდური, მრგვალი, ქისის ფორმის საფერფლე ეჭირა, მეორეში კი ანთებული სიგარეტი. თმა ყურებზე ჰქონდა ჩამოყრილი. ამ თმის წყალობით გრიმების ზღაპრის პერსონაჟი მეფის ასულის დაბერებულ ვარიანტს გავდა. ავუხსენი, რა მინდოდა და რისთვის მივედი.

— ააა, „ჯოილენდში“ აპირებთ მუშაობის დაწყებას? შემოდით. სარეკომენდაციო წერილი გაქვთ?

— არა. საცხოვრებელი ბინიდან არ მაქვს სარეკომენდაციო წერილი. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. სამაგიეროდ, ჩემი უფროსის, სასადილოს დირექტორის რეკომენდაცია მაქვს. ეს ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის სტუდენტური სასადილოა, სადაც...

— ვიცი სტუდენტური სასადილო რაც არის. გუშინ კი არ დავიბადე. — მომიგო და სხვადასხვა სტილის ავეჯით გაწყობილ მისალებ ოთახში შემიძლვა.

თვალში მომხვდა დიდი, მაგიდაზე შემოდგმული ტელევიზორი.

— ფერადია. ჩემს მდგმურებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ ტელევიზორით და მისალები ოთახითაც. სამუშაო დღეებში – 10 საათამდე, შაბათ-კვირას – 12 საათამდე. ზოგჯერ, საღამონბით, ბავშვებთან ერთად მეც ვუყურებ ხოლმე რაიმე ფილმს ან შაბათობით, ნაშუადლევს ბეისბოლის მატჩს. ხან პიცას ვჭამთ, ხანაც პოპკორნს ვამზადებ. ვხალისობთ.

„ვხალისობთ“. რაღაც მართლა ხალისიანად თქვა.

— მითხარით, მისტერ ჯონს, ხომ არ სვამთ და მთვრალი ხომ არ ხმაურობთ-ხოლმე? ასეთი რამ საზოგადოებისათვის მიუღებელ ქმედებად მიმაჩნია, თუმცა ბევრი არ მეთანხმება.

– არა, რას ბრძანებთ, ქალბატონო. ადრე ცოტას ვსვამდი ხოლმე, მაგრამ ხმაურით, არასდროს მიხმაურია. ერთ-ორ ბოთლ ლუდს თუ დავლევ და მაშინვე მეძინება.

– ნარკოტიკს ხომ არ ეჭანებით-მეთქი რომ გკითხოთ, უაზრობა იქნება. რომც ეჭანებოდეთ, მაინც იუარებთ, ეგრე არაა? მაგრამ ასეთი რამეები ადრე თუ გვიან მუღავნდება და როცა მუღავნდება, მაშინ ჩემს მდგმურებს ახალი ბინის ძებნა უწევთ. მარიხუანაც იკრძალება. მე მგონი, შევთანხმდით, არა?

– დიახ.

თვალები მოჭუტა და ისე შემომხედა.

– რაღაც ქეშს არ გავხართ.

– არ ვარ.

– ოთხი მდგმურის ადგილი მაქვს. ახლა მხოლოდ ერთია დაკავებული. მის ეკერლი ცხოვრობს. ბიბლიოთეკარია. ერთად-გილიანი ოთახები მაქვს, მაგრამ მოტელების ოთახებს გაცი-ლებით სჯობს. თქვენთვის მეორე სართულის ოთახი მაქვს. საკუთარი საპირფარეშოთი და შხაპით. ეგ ყველაფერი მესამე სართულის ოთახებს არ აქვს. კიბე პირდაპირ ეზოდან ამოდის. მოსახერხებელია, თუ მეგობარი გოგო გყავთ. მეგობარი გოგო-ნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან თავადაც ქალი ვარ და თან საკმაოდ მეგობრულიც. გყავთ მეგობარი გოგო, მისტერ ჯონს?

– დიახ. მაგრამ ამ ზაფხულს ბოსტონში იმუშავებს.

– ალბათ ვინმეს გაიცნობთ. ხომ იცით, როგორც იმ სიმღე-რაშია: სიყვარული ყველგანაა.

გამელიმა. 1973 წლის გაზაფხულზე უენდი კიგანის გარდა ვინმეს შეყვარებაზე ფიქრი სასაცილოდ და წარმოუდგენლად მეჩვენებოდა.

– ალბათ მანქანა გყავთ. მხოლოდ ორი მანქანის ადგილი მაქვს. ოთხი მდგმური და ორი მანქანის დასაყენებელი ადგილი. ამიტომ, ამ ადგილებს პირველმოსულები იკავებენ. თქვენ პირველი მოხვედით, ამიტომაც თქვენი იქნება. ალბათ გავუგებთ ერთმანეთს. თუ ვერა, მაშინ აქედან მიბრძანდებით. მოვრიგდით?

– დიახ, ქალბატონო.

– ძალიან კარგი. ასეთ რამეებზე ლაპარაკიც არ ღირს. ასეა და მორჩა. ჩემი მოთხოვნა ასეთია: პირველი და ბოლო თვის ფული წინასწარ.

ისეთი თანხა დამისახელა, რომელიც მისაღებად მეჩვენა, თუმცა მისი გადახდის შემდეგ ჩემს საბანკო ანგარიშზე აღარაფერი დარჩებოდა.

– ჩეკით რომ გადავიხადო?

– მერე? მიიღებენ?

– კი, რა თქმა უნდა.

თავი უკან გადააგდო და გადაიხარხა.

– კარგი, ავიღებ. დარწმუნებული ვარ, რომ ოთახის ნახვის მერე მასზე უარს ვეღარ იტყვით. – სიგარეტი ჩააქრო და ადგა. – ჰო, მართლა, ზედა სართულზე ვერ მოწევთ. სადაზღვევო მოთხოვნაა. მდგმურების მოსვლის შემდეგ კი ვერც აქ მოწევთ. ზრდილობის ამბავია. იცით, ისტერბრუკი პარკში სიგარეტის მოწევას რომ კრძალავს?

– კი, გავიგე, მაგრამ მაგან შეიძლება ბიზნესი ჩაუძიროს. კლიენტებს დაკარგავს.

– კი. თავიდან შეიძლება ცოტა შემოაკლდეს, მაგრამ მერე ისევ მოემატება. ბრედს ვენდობი. გამჭრიახი და წინდახედულია. ნამდვილი კარნი კარნთაგანია.

ნათქვამს ბოლომდე ვერ ჩავწედი. დავაპირე მეკითხა, რას გულისხმობთ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი, ფეხზე წამოდგა.

– ოთახში შევიჭყიტოთ?

მეორე სართულის ოთახში შეჭყეტვამ დამარწმუნა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. საწოლი დიდი იყო, ფანჯარა კი ოკეანეს გადაჰყურებდა. აი, საპირფარეშო მართლა სასაცილო იყო – იმდენად პანაწინა, რომ უნიტაზზე დაჯდომისას ფეხები შხაპში უნდა ჩამეყო, მაგრამ კოლეჯის ჯიბეგახვრეტილი სტუ-დენტი ასეთ რამეებზე პრეტენზიას ვერ გამოთქვამდა. ყველა-ზე მთავარი ხედი იყო. ხედმა ყველაფერი გადაწონა. მეეჭვებო-და, ჰევენს-როუზე მდებარე მდიდრების სახლებიდან უკეთესი ხედი გადაშლილიყო. წარმოვიდგინე, როგორ ჩამოვიყვანდი აქ უენდის, როგორ დავტკბებოდით ამ ხედის ცქერით, მერე კი... იმ დიდ საწოლში, ტალღების დგაფუნის ხმაზე...

„ის“. ბოლოს და ბოლოს „ისიც“ მოხდებოდა.

– კი, მინდა. – ვთქვი და ლოყები შემიხურდა. როდესაც ამას ვამბობდი, ოთახს არ ვგულისხმობდი.

– ვიცი, რომ გინდათ. სახეზე განერიათ. – ისე მითხრა, თითქოს მიხვდა, რაზეც ვფიქრობდი. ეგებ მიხვდა კიდეც. ისე გაიცინა, ლამის დიკენსის პერსონაჟს დაემსგავსა ჩავარდნილი მკერდისა და გაცრეცილი ფერის მიუხედავად. – თქვენი პატა-რა ბუდე გექნებათ. მთლად ვერსალის სასახლე არაა, მაგრამ თქვენია. საერთო საცხოვრებლის ოთახს ალარ ჯობია?

ასეა-მეთქი, დავეთანხმე. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რო-გორ შემება მამაჩემი 500 დოლარი ჩაერიცხა ჩემს ანგარიშ-ზე მანამ, სანამ ხელფასს მომცემდნენ. კი აბუზლუნდებოდა, მაგრამ საბოლოოდ დამთანხმდებოდა. იმედი მქონდა, გარდაც-ვლილი დედაჩემის სულის შენუხება არ დამჭირდებოდა, უმი-სოდაც დავითანხმებდი. დედა ამ ამბებამდე ოთხი წლით ადრე გარდამეცვალა, მაგრამ მამას მისი ფოტო ისევ საფულით დაჰ-ქონდა და არც საქორწინო ბეჭედს იძრობდა თითიდან.

– საკუთარი სამსახური და საკუთარი ბუდე, – ჩაილაპარა-
კა მისის შოთაროუმ მეოცნებე ხმით, – კარგი რამეა, დევინ. ხომ
არ გეწყინებათ, დევინი რომ დაგიძახოთ?

– დევი დამიძახეთ.

– კარგი. ეგრე ვიზამ. – ოთახში მიმოიხედა და ამოიოხრა.
– ეს აღტაცება დიდხანს არ გაგყვებათ, მაგრამ სანამ გრძნობთ,
მშვენიერია. დამოუკიდებლობის შეგრძნება. მე მგონი, კარგად
მოეწყობით. რაღაც კარნისეული გამომეტყველება გაქვთ. კიდევ
რამის ნახვა ხომ არ გინდათ? ვიცი, რომ საპირფარეშო დიდი არ
არის, მაგრამ საერთო საცხოვრებლის საპირფარეშოს ნამდვილად
ჯობს. აქ ბიჭები გაზებს მაინც არ გაუშვებენ და ტყუილებს არ
მოყვებიან იმ გოგოებზე, ვისთანაც ვითომდა წინა ლამით იწვნენ.

გულიანად გამეცინა. ემელინა შოთაროუმაც ჩემთან ერთად
გადაიხარხა.

გარე კიბით ჩამოვედით. როდესაც ბოლო საფეხური ჩამო-
ვათავეთ, მომიბრუნდა და მკითხა:

– ლეინ ჰარდი როგორ არის? ისევ ის არახჩინი ახურავს?

– ქვაბურა ქუდს გულისხმობთ?

მხრები აიჩეჩა:

– რა მნიშვნელობა აქვს?

– კარგად არის, მაგრამ რაღაც მითხრა...

ინტერესით მიყურებდა. ტუჩის კუთხეებით თითქმის იღი-
მებოდა.

– „ჯოილენდის“ „საშინელებათა სახლზე“ მითხრა, რომ იქ
ნამდვილი მოჩვენება სახლობს. მეგონა, მეხუმრებოდა, მაგრამ
მითხრა, არ ვხუმრობო, ამის შესახებ მისის შოთაროუმაც იცისო.

- ასე გითხრა?
- კი. მითხრა, რომ „ჯოილენდის“ შესახებ თქვენ მასზე მეტი იცით.

— კარგი, — თქვა და სლაქსის ჯიბიდან „ვინსტონის“ კოლოფი ამოაძვრინა, — საკმაოდ ბევრი რამ ვიცი. ჩემი ქმარი მაგ პარკის მთავარი ინჟინერი იყო, სანამ ერთ მშვენიერ დღეს გულის შეტევით არ გარდაიცვალა. მერე აღმოჩნდა, რომ დაზღვევა მინიმალური ჰქონია, აღებული ფული ვალების გასასტუმრებლადაც ძლივს მეყო. რაღა უნდა მექნა? ავდექი და სახლის ზედა ორი სართულის გაქირავება დავიწყე. ერთი შვილი მყავს. ახლა ნიუ-იორკშია. სარეკლამო სააგენტოში მუშაობს, — სიგარეტს მოუკიდა; ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი ისე გამოუშვა თითქოს იცინოდა, — სამხრეთული აქცენტის მოშორებაზეც მაგრად მუშაობს, მაგრამ ეგ სხვა თემაა. ეს უზარმაზარი სახლი ჩემი ქმრის საყვარელი სათამაშო იყო, მეც არაფერს ვეუპნებოდი. ყოველ შემთხვევაში, გამომადგა. ისიც მიხარია, რომ ამ პარკთან კვლავინდებურად რაღაც მაკავშირებს. ასე მგონია, თავად ჩემს ქმართან მაქვს კავშირი. ხომ გესმით?

- კი, რა თქმა უნდა.

სიგარეტის ბოლში გამომხედა, გაიღიმა და თავი გაიქნია.

— არა. არ გესმით. გინდათ, რომ გულისხმიერი იყოთ, მაგრამ ასეთი რამეებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ.

— დედა ოთხი წლის წინ გარდამეცვალა. მამაჩემი დღემდე გლოვობს. ამბობს, ცოლი და სიცოცხლე (wife, life) ერთნაირი ჟღერადობის სიტყვები შემთხვევით არ არისო. მე ვსწავლობ და შეყვარებული მყავს. მამაჩემი კი კიტერის ჩრდილოეთით, უზარმაზარ სახლში მარტო ცხოვრობს. ესმის, რომ უმჯობესია სახლი გაყიდოს და სადმე სამსახურთან ახლოს უფრო პატარა

სახლი იყიდოს. ორივეს გვესმის, რომ ასე აჯობებს, მაგრამ იმ სახლს ვერ ელევა. ასე რომ, მესმის თქვენი.

— ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. ერთხელაც იქნება პირს ზედმეტად გავაღებ და შევენირები კიდეც. თქვენ რომელ ავტობუსს უნდა გაყვეთ, ექვსის ათ ნუთიანს?

— დიახ.

— კარგი, მაშინ სამზარეულოში შევიდეთ. ყველიან ჭოსტს მოგიმზადებთ და პომიდვრის წვნიანს შეგითბობთ. დრო გაქვთ. თან „ჯოილენდის“ მოჩვენების სევდიან ამბავსაც გიამბობთ, თუ, რა თქმა უნდა, მისი მოსმენა გსურთ.

— ეს ამბავი მართლა მოჩვენებას უკავშირდება?

— იმ დაწყევლილ „საშინელებათა სახლში“ არასდროს ვყოფილვარ. ასე რომ, დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ მკვლელობას რომ უკავშირდება ეგ კი ნალდია. ეგ დანამდვილებით ვიცი.

წვნიანი ჩვეულებრივი, დაკონსერვებული „კემპბელი“ იყო, ჭოსტი კი ჩემი საყვარელი ყველით, „მიუნსტერით“ გააკეთა — საოცრად გემრიელი გამოუვიდა. მერე ერთი ჭიქა რძე დამისხა და დაიჟინა, გინდა თუ არა, დალიეო. მისის შოფლოუს თქმით, მოზარდი ვიყავი და ჩემს ორგანიზმს რძე სჭირდებოდა. პირისპირ დამიჯდა. ჯამში თავისთვისაც დაისხა წვნიანი, მაგრამ ჭოსტს არ გაჰკარებია („ჩემს ფიგურას გაფრთხილება სჭირდება, მაშ!“) და ამბის მოყოლა დაიწყო. ამბის ნაწილი საგაზეთო სტატიებიდან და სატელევიზიო რეპორტაჟებიდან იცოდა, ყველაზე პიკანტური დეტალები კი — ნაცნობ-მეგობრებისგან. ნაცნობ-მეგობრები „ჯოილენდში“ ბლომად ჰყავდა.

– ეს ამბავი დაახლოებით ოთხი წლის წინ მოხდა. ალბათ იმავე დროს, როდესაც დედათქვენი გარდაიცვალა. ამ ამბავზე ფიქრისას, პირველი იცით რა მაგონდება? იმ ბიჭის პერანგი და ხელთათმანები. ამეებზე ფიქრისას ტანში ურუანტელი მივლის, რადგან, ვხვდები, რომ მან ეს ყველაფერი დაგეგმა.

– მე მგონი, შუიდან იწყებთ.

მისის შოფლოუმ გაიცინა:

– ჰო, მგონი ეგრეა. მოჩვენების სახელი და გვარი ლინდა გრეია. ფლორენსიდან იყო. სამხრეთ კაროლინაშია. მან და მისმა მეგობარმა ბიჭმა (თუ იყო საერთოდ მისი მეგობარი. პოლიციელებმა გოგონას ამბავი კარგად შეისწავლეს და მის წარსულში ამ ბიჭის კვალს ვერ მიაგნეს) ამ გოგონასთვის უკანასკნელი ღამე მოტელ „ლუნაში“ გაატარეს, აქედან ნახევარ მიღებია, სამხრეთით, სანაპიროსკენ. „ჯოილენდში“ მეორე დღის თერთმეტ საათზე შევიდნენ. ბიჭმა მთელი დღის ბილეთი იყიდა ორივესთვის. რამდენიმე კარუსელზე დასხდნენ და მერე „როკ-ლობსტერში“ ნაგვიანევი ლანჩი მიირთვეს. პირველ საათს უკვე გადაცილებული იყო. რაც შეეხება მისი გარდაცვალების დროს... ალბათ იცით, როგორც ადგენენ, კუჭში საკვების შემცველობა და ა. შ.

– დიახ. – ვთქვი მე. ტოსტი უკვე შემომეჭამა. ახლა წვნიანს მივადექი. მისის შოფლოუს ნაამბობი ჩემს მადაზე გავლენას ვერ ახდენდა. 21 წლისა ვიყავი. რომ გეკითხათ არ გამოვტყდებოდი, მაგრამ გულის სილრმეში მჯეროდა, არასოდეს მოვკვდებოდი. ეს რწმენა დედაჩემის გარდაცვალებამაც კი ვერ შემირყია.

– ჯერ დანაყრდნენ, მერე კი „კაროლინის ბორბალზე“ დასხდნენ. ხომ იცით რომელიცაა? ნელა მოძრაობს, საჭმლის მონელებას ხელს არ უშლის. მერე კი „საშინელებათა სახლში“ შე-

ვიდნენ. ერთად შევიდნენ, ბიჭი კი მარტო გამოვიდა. მთელი გზის გავლას დაახლოებით ცხრა წუთი სჭირდება. სადღაც შუა გზაში, ბიჭმა გოგოს ყელი გამოჭრა და პირდაპირ ვაგონების სავალ რელსზე გადააგდო. ისე მოისროლა, თითქოს ნაგავი ყოფილიყოს. ალბათ იცოდა, რომ დიდი ამბავი ატყვდებოდა, ამიტომ ორი პერანგი და ყვითელი სამუშაო ხელთათმანები ეცვა. ზედა პერანგი, რომელიც სისხლით დაითხვარა, გოგონას გვამიდან ასიოდე იარდში იპოვეს. ხელთათმანები – კიდევ უფრო შორს.

ყველაფერი წარმოვიდგინე. თავდაპირველად სხეული, ჯერ კიდევ თბილი და მფეთქავი, მერე – პერანგი და ბოლოს – ხელთათმანები. მკვლელი კი ამასობაში ვაგონში მაგრად ხელებჩაბლუჯული ზის და გასეირნების დასრულებას ელოდება. მისის შოფლოუ მართალი გამოდგა – ნამდვილად ურუანტელის მომგვრელი იყო ამ ყველაფრის წარმოდგენა.

– გასეირნება რომ დასრულდა, ის ნაბიჭვარი ვაგონიდან გადმოვიდა და თავის გზას დაადგა. ვაგონის სკამი და კედლები პერანგით გაწმინდა – ნაპოვნ პერანგს წურწურით გასდიოდა სისხლი – მაგრამ ვაგონი ბოლომდე არ გაიწმინდა. ერთ-ერთმა დამხმარემ დაინახა დასვრილი სკამი და მორიგი მგზავრების ჩასხდომამდე საგულდაგულოდ გაწმინდა. არც დაფიქრებულა, ისე გააკეთა ეს. ასეთ გასართობ პარკში სკამები ხშირად არის ხოლმე სისხლით დასვრილი. ძირითადად ბავშვები სვრიან, აღელვებისგან ცხვირიდან სისხლდენა ეწყებათ. ამაში თავადაც დარწმუნდებით. ყოველთვის ხელთათმანებით გაწმინდეთ, ვინმეს რამე დაავადება არ ჰქონდეს და არ გადაგედოთ. ხელთათმანები პირველადი დახმარების ყველა პუნქტში აქვთ, ასეთ პუნქტებს კი მთელ პარკში შეხვდებით.

– ვერავინ შენიშნა, რომ მგზავრობის დასასრულს ბიჭი ვაგონიდან მარტო, გოგონას გარეშე გადმოვიდა?

– ვერა. ივლისის შუა რიცხვები იყო. ასეთ დროს მუდამ დიდი ორომტრიალია. ლამის პირველ საათამდე გვამი არც უპოვიათ. პარკი უკვე დიდი ხნის დაკეტილი იყო და „საშინე-ლებათა სახლშიც“ შუქი აანთეს. ლამის ცვლას აუნთეს, ხომ გესმით? მაგ ცვლაში თქვენც მოხვდებით. პერსონალს თვეში ერთი კვირა ატრაქციონების წმენდა ევალება. დღისით კარგად უნდა გამოიძინოთ, თორემ დღე-ლამის არევა საშინელებაა.

– რა, ხალხი გვერდზე ვაგონებით მიდი-მოდიოდა და პარკის დახურვამდე ვერაფერს ამჩნევდა?

– ეგებ ხედავდნენ კიდეც, მაგრამ შოუს ნაწილად თვლიდნენ. თუმცა ალბათ უფრო ვერ ამჩნევდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იქ ვაგონები სიბნელეში მოძრაობენ. „ჯოილენდში“ ეს ერთადერთი ბნელი ატრაქციონია. სხვა პარკებში ასეთი ადგილები მეტი აქვთ.

ბნელი ატრაქციონი. გულში რაღაც ამითრთოლდა, მაგრამ ისე მძაფრადაც არა, რომ ჭამა შემეწყვიტა.

– როგორ აღწერეს ეს ტიპი? ეგებ, იმათ შეამჩნიეს, ვინც ლანჩი მიართვა?

– პოლიციას მისი ფოტოებიც კი ჰქონდა. ეს ფოტოები გაზეთებშიც დაბეჭდეს და ტელევიზიონაც აჩვენეს.

– და საიდან ჰქონდათ?

– ჰოლივუდელი გოგოების წყალობით. სეზონის პიკზე ხუთი-ექვსი ჰოლივუდელი გოგო აუცილებლად მუშაობს პარკში. სტრიპტიზის მაგვარი „ჯოილენდში“ არასდროს არაფერი ყოფილა, მაგრამ ბებერმა ისტერბრუკმა კარგად იცის, რომ გასართობ პარკებსა და ამგვარ ადგილებში ხალხს სექსუალურად მიმზიდველი გოგონების გარემოცვაში ყოფნა სიამოვნებს. დამხმარეთა თითოეულ ჯგუფში ერთი ჰოლივუდელი

გოგო ყოველთვის ჰყავთ. თქვენს ჯგუფშიც იქნება. თქვენ და თქვენმა ჯგუფის წევრებმა ძმებივით უნდა უპატრონოთ და ყურადღება არ მოაკლოთ – თვალი უნდა გეჭიროთ, ვინმებ რამე არ გაუბედოს. ეს გოგონები მოკლე მწვანე კაბებსა და მაღალქუსლიან მწვანე ფეხსაცმელებში გამოწყობილები დაბიან. თავზე მწვანე ქუდები ახურავთ. მათ დანახვაზე რობინ ჰუდი და მისი მხიარული მეგობრები მოგაგონდება. „სპიდ-გრაფიკის“ ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ, აი ისეთებს, ძველ ფილმებში რომ აჩვენებენ. არითებს სურათებს ულებენ. მაგრამ თქვენს კლიენტებს არითები არასდროს დაუძახოთ. არ წამოგცდეთ.

– კი, ვიცი, მისტერ დინმა უკვე გამაფრთხილა.

– სწორად მოქცეულა. ჰოლივუდელი გოგოები, ძირითადად, 21 წელს გადაცილებულ წყვილებს და ოჯახებს აქცევენ ყურადღებას. ამაზე უმცროსებს, როგორც წესი, ასეთი სამახსოვრო ფოტოები ნაკლებად აინტერესებთ. იმათ ურჩევნიათ, ფული ჭამაზე და სათამაშო ავტომატებზე დახარჯონ. გოგონებს ასეთი დავალება აქვთ: ჯერ სურათი გადაიღონ და წყვილებთან მერელა მივიდნენ. „გამარჯობა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ჯოილენდში“. თუ იმ სურათის ეგზემპლარი გსურთ, რომელიც ეს-ესაა გადაგიღეთ, პარკიდან გასვლისას ჰოლივუდის ჯიხურს მიაკითხეთ“. რაღაც ამდაგვარს ამბობენ. ერთ-ერთმა გოგონამ ლინდა გრეის და მის მეგობარს „ენი ოუკლის სასროლეთთან“ სურათი გადაუღო, მაგრამ როდესაც სურათი შესთავაზა, ბიჭმა ძალიან უხეშად მოიშორა. ძალიან უხეშად. მოგვიანებით გოგონამ ჰოლიციას უთხრა, ასე მეგონა, ჩემი ფოტოაპარატის წართმევა და დამტვრევაც კი უნდოდა, მაგრამ იცოდა, რომ არ შერჩებოდაო. ისეთი თვალებით შემოხედა, დამბურძგლაო. უგულო, ნაცრისფერი თვალები ჰქონ-

დაო. – მისის შოთულოუმ მხრები აიჩეჩა და დაამატა: – მერე კი აღმოჩნდა, რომ იმ ბიჭს მზის სათვალე ჰქონდებია, მაგრამ ხომ იცით, ზოგ გოგოს გაზვიადება უყვარს.

ეგ კი კარგად ვიცოდი. უენდის მეგობარი რენე კბილის ექიმთან წასვლის ამბავს ისე მოყვებოდა, საშინელებათა ფილ-მად მოგეჩვენებოდათ.

– ეს ყველაზე კარგი ფოტო იყო, მაგრამ არა ერთადერთი. პოლიციამ იმ დღეს პოლიციუდელი გოგოების მიერ გადაღებული ყველა ფოტო დაათვალიერა და ლინდა გრეის და მისი მეგობრის გამოსახულება კიდევ ოთხი ფოტოს უკანა პლანზე აღმოაჩინა. კიდევ იყო ერთი ფოტო, რომელშიც წყვილი „ბზრიალა კასრების“ წინ გაჭიმულ რიგში იდგა. ბიჭს ხელი გოგოს ტაკოზე ედო. ზედმეტად ფამილარული უესტია, თანაც ისეთი ადამიანისგან, რომლის შესახებაც ამ გოგოს არცერთ ოჯახის წევრს თუ მეგობარს არაფერი სმენია.

– ძალიან ცუდია, რომ სათვალთვალო კამერები არ დგას.
– ვთქვი მე. – ჩემმა შეყვარებულმა ბოსტონში, მაღაზია „ფაილინზში“ დაიწყო მუშაობა. იქ თურმე რამდენიმე ვიდეოთვალი დგას და კიდევ აყენებენ.

– მოვა დრო, როცა ასეთი კამერები ყველგან იქნება. – თქვა მისის შოთულოუმ. – აი, როგორც იმ სამეცნიერო ფანტასტიკაშია აზრების პოლიციის შესახებ. პირადად მე ასეთი რამე დიდად არ მხიბლავს. თუმცა, „საშინელებათა სახლში“ კამერას მაინც არ დააყენებენ.

– არა?

– არა. „ჯოილენდში“, „სიყვარულის გვირაბი“ არ არის, მაგრამ „საშინელებათა სახლი“ ნამდვილი „ალერსის გვირაბია“. ერთხელ ჩემმა ქმარმა მითხრა, თუ ლამის ცვლამ ვაგონებში ქალის სამ ტრუსზე მეტი ვერ იპოვა, გამოდის, დღეს უქმად

ჩაუვლიაო. მოკლედ, პოლიციას ამ ბიჭის სასროლეთთან გადაღებული შესანიშნავი სურათი ჰქონდა, ლამის პორტრეტი. მთელი კვირა ტელევიზორში აჩვენებდნენ და გაზეთებშიც ბეჭდავდნენ. ამ ფოტოზე ერთად იდგნენ, თეძო თეძოზე მიედოთ, ბიჭი გოგოს უხსნიდა, როგორ დაეჭირა თოფი. ხომ გესმით, როგორც ბიჭებს სჩვევიათ ხოლმე, როდესაც გოგონებს ამგვარ რაღაცებს ასწავლიან. გოგონა იღიმოდა, ბიჭს კი ძალიან სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. ეს ფოტო ორივე კაროლინაში ყველამ ნახა.

— და მთელი ამ დროის განმავლობაში ჯიბეში დანა დახელთათმანები ედო. — ჩავილაპარაკე მე.

— სამართებელი.

— რაა?

— სამართებლის ან რაღაც მსგავსი საგნის გამოყენებით იყო მოკლული. სამედიცინო ექსპერტიზამ ასე დაადგინა. მოკლედ, ფოტოები ჰქონდათ: იმ ძალიან მაგარი სურათის ჩათვლით. და იცი რა? სახეს ვერცერთ ფოტოზე ვერ გაარჩევდი.

— მზის სათვალის გამო?

— არა მხოლოდ. თხასავით წვერის და ბეისბოლის კეპის გამო. კეპი სახის იმ ნაწილს უჩრდილავდა, რომელსაც სათვალე და წვერი ვერ ფარავდა. ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო. შეიძლებოდა, თქვენც ყოფილიყავით, იმ განსხვავებით, რომ ქერა თმა არ გაქვთ, ხელზე კი — ფრინველის სვირინგი. იმას ჰქონდა. ან არწივი ან ქორი. ეს სვირინგი ძალიან მკაფიოდ ჩანდა სასროლეთთან გადაღებულ ფოტოზე. ამ სვირინგს ხუთი დღის მანძილზე ბეჭდავდნენ გაზეთებში. იმედი ჰქონდათ, მას მაინც ამოიცნობდა ვინმე. არავინ გამოხმაურებიათ.

— იმ მოტელში, რომელშიც ლამე გაათენეს, საყურადღებო ვერავინ ვერაფერი თქვა?

– მოტელში რეგისტრაციისას სამხრეთ კაროლინაში გაცემული მართვის მოწმობა უჩვენებია. მერე აღმოჩნდა, რომ ერთი წლის წინ ყოფილა მოპარული. გოგონა კი არავის უნახავს. ალბათ მანქანაში ელოდებოდა. გვამის ამოცნობა მთელი კვირა ვერ მოხერხდა. მერე პოლიციამ გოგონას პორტრეტი გაავრცელა. თითქოს გოგონას ეძინა და არც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. მერე ვიღაცამ – მგონი, მეგობარმა, რომელთან ერთადაც მედდის კურსებზე სწავლობდა – იცნო. გოგონას მშობლებსაც მანვე შეატყობინა. წარმომიდგენია, რა დღეში იყვნენ, როდესაც მანქანით მორგისაკენ მიდიოდნენ და ბოლო იმედს ებლაუჭებოდნენ – იმედოვნებდნენ, რომ იქ თავიანთი შევილის ნაცვლად სხვისი გვამი დახვდებოდათ... ბავშვის ყოლა იმხელა რისკია, დევ, ოდესმე გიფიქრიათ ამაზე?

– წარმომიდგენია.

– ანუ, არ გიფიქრიათ. მე კი... როცა წარმოვიდგენ, რომ შეიძლებოდა, ის ზენარი გადაეხადათ და იქ ჩემი შვილი ყოფილიყო, ჭკუიდან ვიშლები.

– მაგრამ იმას ხომ არ ფიქრობთ, რომ „საშინელებათა სახლში“ ლინდა გრეის აჩრდილი მართლა ბინადრობს?

– ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან არ მაქვს ჩამოყალიბებული აზრი, არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ამას მხოლოდ მაშინ შევიტყობ, როცა იქ წავალ. ახლა ესეც საკმარისია. მარტო ის ვიცი, რომ „ჯოილენდის“ ზოგიერთი თანამშრომელი ამბობს, გოგო საკუთარი თვალით ვნახეთო. ვაგონთან დგას, იგივე ტანსაცმელი აცვია, რაც მკვლელობის დღეს – ლურჯი ქვედაბოლო და ლურჯი უმკლავებობლუზი. ამ ფერებს პოლიციის მიერ დაბეჭდილ სურათებზე ვერ ნახავდნენ, რადგან ჰოლივუდელი გოგოები მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოებს იღებენ. გასამუღავნებლად ადვილიცაა და იაფიც.

- ეგებ მისი ტანისამოსის ფერზე საგაზეთო სტატიებში იყო ნათქვამი?

მხრები აიჩერა:

- შეიძლება იყო. არ მახსოვს. რამდენიმე ადამიანმა თმის შესაკრავი ლენტიც ახსენა, თუმცა ლენტი საგაზეთო სტატიებში ნამდვილად არ უხსენებიათ. ამას მთელი წელი საგანგებოდ ასაიდუმლოებდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მას რომელიმე ეჭვმიტანილის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ, თუ, რა თქმა უნდა, მიაკვლევდნენ.

- ლეიინმა მითხრა, რომ არიფებს არ ენახვება.

- მართალია. მხოლოდ სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ჩნდება ხოლმე. ძირითადად ლამის ცვლა ხედავს. მაგრამ მე ტექნიკური უსაფრთხოების ერთ ინჟინერს ვიცნობ, რომელიც ამბობს, რომ ის გოგო საკუთარი თვალით ნახა. იმ ინჟინერთან ერთად „სენდ დოლარში“ დასალევად ვიყავი. სწორედ მან მითხრა, რომ ერთხელ, როცა გვირაბში გადიოდა, იქ მდგომი გოგონა დაინახა. თავიდან ახალი მანეკენი ჰქონებია, მაგრამ გოგონას ხელი აუწევია, აი ასე, – მისის შოთლოუმ ხელები წინ გაიწვდინა, ხელისგულებით ზემოთ. ვედრების გამომხატველი უესტი იყო, – ისეთი შეგრძნება გასჩენია, თითქოს ტემპერატურამ ოცი გრადუსით დაიწია. სიცივის ჯიბე – ასე მოიხსენია ეს შეგრძნება. უკან რომ მოუხედავს, გოგონა იქ აღარ მდგარა.

ჩემდა უნებურად ლეიინი გამახსენდა – მოტკეცილ ჯინსში, გაქექილ ჩექმებში, გვერდულად მოგდებული ქვაბურა ქუდით. ჴა, სიმართლე გითხრა, თუ სისულელეებით გაგბერა? გავიფიქრე, რომ ლინდა გრეის მოჩვენების არსებობა სისულელე და მონაჭორი იქნებოდა, მაგრამ მაშინვე იმედი გამიჩნდა, რომ ვცდებოდი. იმედი მქონდა, რომ მას აუცილებლად ვნახავდი. უენდისათვის მაგარი ამბავი მექნებოდა მოსაყოლი. მაშინ ყველა ჩემი

ფიქრი მხოლოდ უენდის უკავშირდებოდა, ყველაფერს მასთან მივყავდი. ეს პერანგი რომ ვიყიდო, ნეტავ უენდის მოეწონება? მოთხოვთა რომ დავნერო პატარა გოგონაზე, რომელსაც პირველად ცხენით სეირნობისას აკოცებენ, უენდის ესიამოვნება მისი წაკითხვა? მოკლული გოგონას მოჩვენება რომ საკუთარი თვალით ვნახო, უენდი დაინტერესდება? ეგებ იმდენად დაინტერესდეს, რომ საკუთარი თვალით სანახავად ჩამოვიდეს კიდეც?

– მკვლელობიდან ექვსი თვის თავზე ჩარლზტონის „ნიუზენდ-კურიერში“ სტატია გამოქვეყნდა, – განაგრძო მისის შოთალოუმ, – აღმოჩნდა, რომ 1961 წლის შემდეგ სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინასა და ჯორჯის შტატებში ოთხი მსგავსი მკვლელობა მომხდარა. ოთხივე მკვლელობის მსხვერპლი ახალგაზრდა გოგონები ყოფილან. ერთი დანის დარტყმით ყოფილა მოკლული, სამს კი ყელი ჰქონია გამოჭრილი. ჟურნალისტმა ერთი პოლიციელი გამოჩერიკა, რომელიც ამბობდა, შესაძლებელია, ოთხივე გოგონა იმავე მამაკაცის მოკლული იყოს, ვინც ლინდა გრეი გამოასალმა სიცოცხლესო.

– უფრთხილდით „საშინელებათა სახლის“ მკვლელს! – სერიოზული ხმით წარმოვთქვი მე.

– სწორედ ასე უწოდა ამ მამაკაცს გაზეთმაც. გშიოდათ, არა? თევში როგორ მოგისუფთავებიათ. ახლა აჯობებს, ჩეკი გამომიწეროთ და ავტობუსის სადგურისაკენ გაქუსლოთ, თორემ დაგავიანდებათ და ამაღამ ჩემს დივანზე მოგიწევთ ძილი.

დივანი საკმაოდ კომფორტული ჩანდა, მაგრამ გული მაინც ჩრდილოეთისაკენ მიმიწევდა. გაზაფხულის არდადეგები ორ დღეში დამთავრდებოდა და ისევ კოლეჯში დავბრუნდებოდი, ისევ უენდი კიგანს შემოვხვევდი წელზე ხელს.

ჩეკის წიგნაკი ამოვილე, ჩეკი გამოვწერე და ერთოთახიანი, ზღვის ხედიანი ბინა ვიქირავე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხედით

უენდი კიგანი – ჩემი მეგობარი გოგონა – არ დამტკიბარა. ამ ოთახში ლამეებს მარტოობაში ვატარებდი, რადიო დაბალ ხმაზე მქონდა ჩართული და ჯიმი ჰენდრიქსსა და „დორბს“ ვუსმენდი, თან თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. უბრალოდ ფიქრები იყო, არაფერი სერიოზული, ახალგაზრდა, გულგატეხილი კაცის ფანტაზიები... ყოველ შემთხვევაში, ამდენი ხნის მერე საკუთარ თავს ასე ვეუბნები, თუმცა კაცმა არ იცის, სინამდვილეში რა იყო.

როდესაც საქმე წარსულს ეხება, ყველა ფანტაზიორობს. ყოველი ჩვენგანი მწერლად იქცევა.

უენდის სადგურიდანვე დავურეკე, მაგრამ მისმა დედინაცვალმა მითხრა, რენესთან ერთად სადღაც წავიდაო. როცა ავტობუსი უილმინგტონში ჩავიდა, ისევ დავრეკე, მაგრამ კვლავ რენესთან ერთად იყო. ნადინს – დედინაცვალს – ვკითხე, სად შეიძლება იყვნენ-მეთქი. მიპასუხა არ ვიციო. ისეთი ხმით მელაპარაკებოდა, თითქოს იმ დღეს ჩემზე უინტერესოს არავის დაერეკოს. ან ეგებ მთელი წელი ან სულაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემზე მოსაბეზრებელ ადამიანთან არ ელაპარაკოს. მაგრძნობინა, შენთან ლაპარაკის თავი არ მაქვსო. უენდის მამასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, აი ნადინ კიგანი კი ჩემი გულშემატკივარი არასდროს ყოფილა.

ბოლოს, უკვე ბოსტონში ჩასულმა, როგორც იქნა უენდიც დავიჭირე. 11 საათი იყო, მაგრამ უკვე ძილმორეული ხმა ჰქონდა. არადა, გაზაფხულის არდადეგებზე კოლეჯის სტუდენტები 11 საათზე ცხოვრებას იწყებენ. ვახარე, სამსახური ვიშოვე-მეთქი.

- გილოცავ! – მითხრა. – სახლში წახვალ?
- კი, როგორც კი მანქანას გამოვიყვან, თუ, რა თქმა უნდა, საბურავი არ ექნება დაშვებული.

იმ დროს სულ გაცვეთილი საბურავებით დავდიოდი და ხან ერთი მაღალატებდა და ხან – მეორე. სათადარიგო რატომ არ მქონდა? რა სასაცილო შეკითხვაა!

- შემიძლია შინ არ წავიდე, ამაღამ პორტსმუტში დავრჩე და ხვალ დილით გნახო, თუ...

– არ გამოვა. რენე რჩება ჩემთან. ნადინი კიდევ ერთი ჩემიანის მოსვლას ვერ აიტანს. ხომ იცი, როგორი მგრძნობიარეა ჩემი ამხანაგების მიმართ?

მართალია, ნადინი ვიღაც-ვიღაცებს ვერ იტანდა, მაგრამ მას და რენეს გადასარევი ურთიერთობა ჰქონდათ. დაუსრულებლად სვამდნენ ყავას და თავიანთ საყვარელ მსახიობებზე ისე ჭორაობდნენ, თითქოს მათი მეგობრები ყოფილიყვნენ.

უენდისთვის არაფერი მიპასუხია. ახლა ამის დრო არ იყო.

– ხომ იცი, შენთან ლაპარაკი როგორ მიყვარს, დევ, მაგრამ ახლა ძალიან მეძინება. დღეს მე და რენე მაგრად დავიღალეთ. საყიდლებზე დავდიოდით და რა ვიცი, მთელი ამბები...

არ დაუკონკრეტებია, რა „მთელი ამბები“ და არც მე მიკითხავს რამე. მივხვდი, რომ ამ კითხვის დასმა არ მინდოდა. კიდევ ერთი ავის მომასწავებელი ნიშანი.

- მიყვარხარ, უენდი.
- მეც მიყვარხარ. – მიპასუხა უენდიმ, მაგრამ რაღაც ზერელე ნათქვამი გამოუვიდა და არა მგზნებარე.

დაღლილია და იმიტომ-მეთქი, დავაიმედე საკუთარი თავი.

ბოსტონიდან გამგზავრებისას მოუსვენრობამ შემიპყრო. აშკარად რაღაც მანუხებდა. მის ხმაში რაღაც არ მომენნა. იქნებ, უხალისოდ რომ მელაპარაკა იმიტომ? ისიც არ ვიცოდი,

მინდოდა თუ არა ზუსტად გამეგო, რა მანუხებდა. საგონებელ-ში ვიყავი. ზოგჯერ, ამდენი წლის მერე, ახლაც საგონებელში ვვარდები. დღესდღეობით ის გოგო ჩემთვის არავინაა, მხოლოდ იარა, მოგონება, რომელმაც გული მატკინა, ისე, როგორც უამ-რავი გოგო სტკენს გულს უამრავ ბიჭს. ის ჩემს სხვა ცხოვრე-ბაში დარჩენილი ქალიშვილია, მაგრამ ახლაც მაინტერესებს, სად იყო იმ დღეს. რა იყო ის „მთელი ამბები“ და მართლა რენე სენ კლერთან ერთად იყო თუ არა.

შეიძლება ვიდავოთ პოპ მუსიკაზე, იმაზე, თუ რისი მოსმე-ნისას გვივლის ურუანტელი, მაგრამ მე დანამდვილებით შემიძ-ლია ვთქვა, რომ „ბიტლზის“ – უფრო სწორად ჯონ ლენონის – ეს სტრიქონი მწვდება ყველაზე მეტად სულში: I'd rather see you dead, little girl, than to be with another man. რომ გითხრათ, უენდის-თან დაშორების შემდეგ მის მიმართ ასეთი რამ არ მიგრძვნია-მეთქი ტყუილი იქნება. მრავალი გრძელი, უძილო ღამე გამი-თენებია მასზე ფიქრში. მიფიქრია, რომ ცუდ რამეებს იმსახუ-რებდა, ძალიან ცუდ რამეებს, იმის გამო რაც გამიკეთა. ასეთი ფიქრები თავზარს მცემდა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი. მერე ის ტიპი მაგონდებოდა, ლინდა გრეისთან ერთად „საშინელებათა სახლში“ შესვლისას ორი მაისური რომ ეცვა. კაცი, რომელსაც ხელზე ფრინველი ეხატა, ჯიბეში კი სამართებელი ედო.

როდესაც 1973 წლის ზაფხულს – ჩემი ბავშვობის ბოლო ზაფხულს – ვიგონებ, მახსენდება, რომ მაშინ ჩემს მომავალ-ში ერთადერთ ქალს ვხედავდი. ის ქალი უენდი კიგანი, უენდი ჯონსი იყო... ან უენდი კიგან-ჯონსი, ეს იმ შემთხვევაში თუ თანამედროვე ქალების მსგავსად მასაც მოუნდებოდა ქალიშვი-

ლობის გვარის ტარება. მენის ფბის ნაპირზე ან ნიუ-ჰემპშირში სახლი გვექნებოდა, ამ სახლს პატარა კიგან-ჯონსების ურიამული აავსებდა; ამ სახლში წიგნებს დავწერდი, შესაძლოა ეს წიგნები ბესტსელერები არ გამხდარიყო, მაგრამ იმდენად პოპულარული მაინც იქნებოდა, რომ მთელ ოჯახს კომფორტულად გვეცხოვრა. რაც მთავარია, ამ წიგნებს კარგი გამოხმაურებები ექნებოდა. უენდიც აიხდენდა თავის ოცნებას – ტანსაცმლის პატარა ბუტიკს გახსნიდა (მასაც კარგი რეპუტაცია ექნებოდა). მე ლექცია-სემინარებს ჩავატარებდი მხატვრული წერის შესახებ, ბევრს არა, მხოლოდ რამდენიმეს და ჩემს ჯგუფში მოხვედრისთვის ყველაზე ნიჭიერი სტუდენტები იბრძოლებდნენ. რა თქმა უნდა, არცერთი ოცნება არ ამიხდა. ალბათ ასევე ლოგიკური და სიმბოლურია, რომ მე და უენდი, როგორც შეყვარებული წყვილი, ერთმანეთს ბოლოს არარსებული კაცის, პროფესორ ჯორჯ ბ. ნაკოს კაბინეტში შევხვდით.

1968 წელს არდადეგებიდან დაბრუნებულ ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის სტუდენტებს „ჰამილტონ-სმიტ-ჰოლის“ სარდაფული ჩამავალი კიბის ქვეშ პროფესორ ნაკოს „კაბინეტი“ დახვდათ. კაბინეტში ყალბი დიპლომები და აკვარელით შესრულებული უჩვეულო ნახატები ეკიდა – ვითომდა ალბანური მხატვრობის ნიმუშები. სტუდენტების სიაში კი ისეთი ვილაცები შეეტანათ, ამ უნივერსიტეტში რომ არასდროს უსწავლიათ: ელიზაბეტ ტეილორი, რობერტ ციმერმანი, ლინდონ ჯონსონი. გვარები პატარა კვადრატებში ფანქრით იყო ჩაწერილი. ასევე გამოკრული იყო არარსებული სტუდენტების მიერ დაწერილი თემები. ორის სათაური მახსოვს – „ალმოსავლური სექსის ვარსკვლავები“ და „კტულპუს ადრეული პოეზია: გარჩევა“. იატაკზე სამი მაღალი საფერფლეც იდგა. კიბის ქვეშ გაკრული იყო წარწერა: „პროფესორ ნაკო ამჟობს: ნაკერცლიდან

ყოველთვის ალი ინთება“! საფერფლებთან მორყეული სკა-
მები და დივანიც მიედგათ, ასეთი რამ დიდი კომფორტი იყო
მოხერხებული ბუდის ძიებაში მყოფი სტუდენტებისთვის.

ჩემი ბოლო გამოცდის წინა ოთხშაბათი სეზონის კვალო-
ბაზე უჩვეულოდ ცხელი და ტენიანი იყო. პირველი საათის-
თვის ცაზე საავდრო ღრუბლები გამოჩნდა, ოთხზე კი, ანუ იმ
დროისთვის, როდესაც უენდი პროფესორ ნაკოს კიბისქვეშა კა-
ბინეტში შეხვედრაზე დამთანხმდა, თავსხმა წვიმა წამოვიდა.
მე პირველი მივედი. ხუთ წუთში უენდიც მოვიდა, სულმთლად
გალუმპულიყო, მაგრამ კარგ ხასიათზე გახლდათ. თმაზე წვი-
მის წვეთები უბრნყინავდა. სიცილით მომეხუტა. დაიქუხა. ნა-
ხევრად ბნელ დერეფანში ნათურები აციმციმდა.

– ჩამეხუტე, ჩამეხუტე, ჩამეხუტე! ისეთი ცივი წვიმაა.

ერთმანეთი გავათბეთ. ცოტა ხანში კი იმ მორყეულ დი-
ვანზე გადავინაცვლეთ. მარცხენა ხელი მის მკერდზე მედო –
უენდი ლიფს არ ატარებდა – მარჯვენა კი კაბის ქვეშ შევუცუ-
რე, მისი აბრეშუმის საცვლის მაქმანამდეც მივაღწიე. ერთ-ორ
წუთს გაყუჩებული იყო, ჩემი ხელი არ მოუშორებია, მერე კი
წამოჯდა, გვერდზე გაინია და თმა გაისწორა.

– გვეყოფა, – თქვა ცივად, – პროფესორი ნაკო არ შემო-
ვიდეს.

– რაღაც არ მგონია, შემოვიდეს. – მეღიმებოდა, თუმცა
შარვლის უბეში ნაცნობ პულსაციას ვგრძნობდი. ზოგჯერ უენ-
დი ამ პულსაციის დროს მშველოდა ხოლმე. უკვე ლამის ექ-
სპერტი იყო საქმეში, რომელსაც „შარვლის ზემოდან მუშაობა“
დავარქვით, მაგრამ იმ წუთას ამის იმედი აღარ მქონდა.

– მაშინ შეიძლება ქულების მათხოვარი რომელიმე სტუ-
დენტი შემოვიდეს რაღაც ეგეთის ძახილით: „გეხვეწებით,
გთხოვთ, მისტერ ნაკო, რასაც მეტყვით გავაკეთებ“.

ცხადია, მსგავსი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ უენდი ალბათ სწორი იყო, შეიძლებოდა ვინმეს მართლა შემოესწრო შუა საქმეში. აქ სტუდენტები ხშირად მოდიოდნენ ახალ-ახალი თემების გამოსაკრავად ან ალბანური მხატვრობის ახალი ნიმუშების გამოსაფენად. დივანი ინტიმური ურთიერთობებისათვის იწვევდა ადამიანს, მაგრამ ამ ურთიერთობებს მისი მდებარეობა უშლიდა ხელს. ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც, როდესაც ეს ჩაბნელებული დერეფანი სტუდენტების საყვარელ ადგილად იყო ქცეული.

– სოციოლოგია როგორ ჩააბარე? – ვკითხე უენდის.

– მაღალი ქულის იმედი არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ჩავაბარე და ეგეც საქმეა. მითუმეტეს, ბოლო გამოცდაა. – გაიჭიმა და თითებით ჩვენს თავსზემოთ კიბის საფეხურს შეეხო, მკერდი მოხდენილად აეზიდა ზემოთ. – აქედან... – საათზე დაიხედა, – ზუსტად საათსა და ათ წუთში უნდა წავიდე.

– რენე გელოდება? – უენდის ოთახის მეზობელი დიდად არ მომწონდა, მაგრამ ჭკუა ვიხმარე და იმუამად არაფერი ვუთხარი. ერთხელ, როდესაც მასზე რაღაც ვთქვი, მე და უენდის მოკლე, მაგრამ მძაფრი კამათი მოგვივიდა. იმაშიც კი დამადანაშაულა, ჩემს ცხოვრებაში ჩარევას და მის წარმართვას ცდილობო.

– დიახ, სერ, მართალი ბრძანდებით. მანქანით წამიყვანს. ერთ კვირას მამასთან და დედინაცვალთან ერთად გავატარებ, მერე კი „ფაილინზის“ ოფიციალური თანამშრომლები გავხდებით.

ისე წარმოთქვა, თითქოს „თეთრ სახლში“ იწყებდნენ მუშაობას, მაგრამ რამის თქმისაგან ამჯერადაც თავი შევიკავე. სხვა რამ მანალვლებდა.

– შაბათს ხომ ჩამოხვალ ბერვიკში? – ვკითხე.

ასეთი გეგმა მქონდა: დილით ჩამოვიდოდა, მთელ დღეს ერთად გავატარებდით და ლამითაც დარჩებოდა. რა თქმა უნდა, სტუმრების ოთახში დაწვებოდა, მაგრამ დერეფნიდან იშ ოთახამდე მხოლოდ ექვსი საფეხური იყო. ამის მერე შემოდგომამდე ერთმანეთს ვეღარ ვნახავდით, ამიტომაც ვთვლიდი, რომ დიდი შანსი იყო „ის“ ამბავიც მომხდარიყო. ეგრეა, ბავშვებს სანტა კლაუსის არსებობის სჯერათ, ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის პირველკურსელებს კი პროფესორ ნაკოს არსებობის. ჰგონიათ, ნამდვილი პროფესორია და ინგლისურს ასწავლის.

— ა-უ-ცი-ლე-ბლათ. — ხელით შარვლის უბე მომისინჯა. — მოდი ჩემთან...

ბოლოს და ბოლოს, შარვლის ზემოდან ხომ მაინც მეფერებოდა. მაგრად გამოსდიოდა. ნელა და რიტმულად მუშაობდა. ისევ დაიქუხა, წვიმის გაბმული ხმა სეტყვის ჩხრიალმა შეცვალა. ბოლოს ხელი მაგრად მომიჭირა, ორგაზმი გამიმძაფრა და გამიხანგრძლივა.

— ეცადე საერთო საცხოვრებელში მისვლამდე გზაში ბოლომდე დასველდე, თორემ ყველა გაიგებს აქ რას ვაკეთებდით.
— უცებ ფეხზე წამოხტა. — ახლა უნდა წავიდე, დევ. რაღაცები კიდევ ჩასალაგებელი მაქვს.

— შაბათს შუადლისას გელოდები. ვახშმად მამა თავის ცნობილ ქათმის კერძს მოამზადებს.

კიდევ ერთხელ გაიმეორა: ა-უ-ცი-ლე-ბლათ. ამ სიტყვის ამგვარად წარმოთქმა უენდი კიგანის საფირმო ნიშანი იყო, ისევე როგორც კოცნის დროს ფეხის წვერებზე აწევა. პარასკევ სალამოს კი დამირეკა და მითხრა, რომ რენეს გეგმები შეეცვალა და ბოსტონში ორი დღით ადრე უნდა წასულიყვნენ.

— მაპატიე, რა, დევ. ხომ იცი, მაგას მივყავარ მანქანით და...

ავტობუსი ხომ არსებობს-მეთქი ვუპასუხე, მაგრამ ვიცოდი, ამის თქმას აზრი არ ჰქონდა, მაინც არაფერი გამოვიდოდა.

— საყვარელო, დავპირდი და უარს ვეღარ ვეტყვი. ეგეც რომ არა, მიუზიკლზე მივდივართ „იმპერიალში“, ბილეთები უკვე გვაქვს, რენეს მამამ აგვილო, სიურპრიზი მოგვიწყო. — მცირე ხანს ჩუმად იყო. — არ გიხარია? მე მიხარია, შენ რომ ჩრდილოეთ კაროლინაში მიდიხარ.

— კი, მიხარია.

— ეგრე არ ჯობია? — ხმას დაუწია და რაღაც იდუმალ ტონზე გადავიდა: — რომ შევხვდებით, ყველაფერს აგინაზლაურებ, გპირდები.

ეს პირობა არ შეუსრულებია, მაგრამ არც გაუტეხავს, რადგან მას შემდეგ უენდი კიგანი პროფესორ ნაკოს კაბინეტში აღარ მინახავს. არც გამოსამშვიდობებელი სატელეფონო ზარი ყოფილა, არც ცრემლები და ერთმანეთზე გადაბრალება. ტომ კენედიმ (მალე მასზეც გიამბობთ) ასე მირჩია და ალბათ ასეც ჯობდა. სავარაუდოდ, უენდი ამ ზარს ელოდა, შეიძლება ნატრობდა კიდეც, დამერეკა. თუ ასე იყო, მაში მოლოდინი გამიცრუებია.

იმედი მაქვს, ასე იყო. ამდენი წლის მერეც, როცა სიყვარულის ციებ-ცხელება წარსულში დარჩა, კვლავ ვიმედოვნებ, რომ იმედგაცრუებული დარჩა.

სიყვარული მუდამ იარებს ტოვებს.

არც ის წიგნები დამიწერია, რომელთა დაწერაზეც ვოცნებობდი — თითქმის ბესტსელერები, დადებითი გამოხმაურების მქონენი, მაგრამ წერით საკმარის ფულს ვშოულობ და ღმერთს მადლობას ვწირავ; ბევრს ასე არ გაუმართლა. წლების მან-

ძილზე შემოსავალი სტაბილურად მეზრდებოდა. ახლა უურნალ „კომერციულ ფლაიტში“ ვმუშაობ. ამ უურნალის არსებობის შესახებ ბევრ თქვენგანს აღბათ არაფერი სმენია.

ერთი წლის თავზე, მას შემდეგ რაც მთავარი რედაქტორი გავხდი, მოულოდნელად ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის კამპუსში აღმოვჩნდი. ორდღიან სიმპოზიუმს ვესწრებოდი თემაზე „კომერციული უურნალების მომავალი XXI საუკუნეში“. მეორე დღეს, შესვენებაზე, სარდაფში ჩამავალი კიბის ქვეშაც შევიჭყიტე. აღარც თემები დამხვდა, აღარც აღბანური მხატვრობის ნიმუშები და აღარც ცნობილ სტუდენტთა გვარები. არც სკამები ჩანდა, არც დივანი და არც საფერფლები. მაგრამ ვიღაცას ეს ყველაფერი მაინც ახსოვდა. კიბის ქვეშ, იქ, სადაც ადრე პროფესორის ცნობილი გამონათქვამი ეკიდა ნაპერნკლისა და ცეცხლის შესახებ, ვიღაცას სკორით ფურცელი მიეკრა, მხოლოდ ერთი სტრიქონი ენერა და ისიც უწვრილესი შრიფტით. იმდენად წვრილით, რომ მის წასაკითხად კედელთან ახლოს მივედი და ფეხის წვერებზე ავინიე:

ახლა პროფესორი ნავო პოგვარტსის პალისობისა და მავის სკოლაში ასრულდებოდა.

რატომაც არა?

მაგის დედაც, რატომაც არა?

რაც შეეხება უენდის, მასზე მეც იმდენი ვიცი რამდენიც თქვენ. Google-ის, XXI საუკუნის ამ ჯადოსნობის საშუალებით უენდის ადგილსამყოფელს აღბათ ადვილად დავადგენდი, იმასაც გავარკვევდი, აიხდინა თუ არა ოცნება და გახდა თუ არა ბუტიკის მფლობელი, მაგრამ რა აზრი აქვს? რაც იყო, იყო. ყველაფერი დამთავრდა. „ჯოილენდში“ (არ დაგავიწყდეთ, რომ იქიდან ძალიან ახლოსაა პატარა ქალაქი ჰევენს-ბეი) მუშაობის დაწყების შემდეგ ჩემი გატეხილი გული ისე მნიშვნელოვნად

აღარ მეჩვენებოდა. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვით მაიკ და ენი როსებს.

მე და მამა მის მიერ მომზადებულ ქათმის კერძს მარტონი, სუფრის მესამე წევრის გარეშე შევექეცით, რაზეც ტიმოთი ჯონსს გული ნამდვილად არ დასწყვეტია, თუმცა, ჩემდამი პატივისცემის გამო, არც სიხარული გამოუხატავს აშკარად და დაუფარავად. კარგად ვიცოდი, რომ უენდისადმი მასაც იგივე გრძნობა ჰქონდა რაც მე უენდის მეგობარ რენესადმი. იმ დროს მეგონა, რომ მამა უენდიზე ეჭვიანობდა, არ მოსწონდა მას რომ ამხელა ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. ახლა კი ვხვდები, მამაჩემი ჩემზე უკეთ ხედავდა, რას წარმოადგენდა უენდი სინამდვილეში. დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, ამაზე არასდროს გვილაპარაკია. საერთოდ, არ მგონია, კაცებს აზრიანი ლაპარაკი შეეძლოთ ქალების შესახებ.

ჭამას მოვრჩით და ჭურჭელი დავრეცხეთ. მერე დივანზე ჩამოვსხედით, ლუდს ვწრუპავდით, პოპკორნს ვაყოლებდით და ფილმს ვუყურებდით, რომელშიც ჯინ ჰეკმანი მაგარი პოლიციელის როლს თამაშობდა. პოლიციელს ქალების ფეხებზე გართულება ჰქონდა. უენდი მენატრებოდა. იმ დროს ალბათ მიუზიკლს უყურებდა. ისე, ორი კაცის მარტო ყოფნასაც აქვს თავისი უპირატესობა – შეგიძლია შენს გემოზე აბოყინო და ურცხვად აკუო, არავისი მოგერიდება.

მეორე დღეს – ჩემი შინ ყოფნის ბოლო დღეს – რკინიგზის გაუქმებულ ლიანდაგებზე გავისეირნეთ. ლიანდაგები ჩვენი სახლის უკან, ტყეზე გადიოდა. დედა მუდამ ჩამჩიჩინებდა, ლიანდაგებს ახლოს არ გაეკაროო. ამ რელსებზე სატვირთო

ვაგონებს ბოლოს ალბათ ათი წლის წინ ჩაევლოთ, უანგმო-დებულ ლიანდაგებს შორის სარეველა ბალახიც ამოსულიყო, მაგრამ დედაჩემისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მტკი-ცედ სჯეროდა, რომ იქ თამაში საშიში იყო. შეიძლებოდა, რა-მე საგანგებო დანიშნულების ბავშვისრესია მატარებელს მაინც ჩამოევლო. თუმცა, ეს მოულოდნელი, ავბედითი მატარებელი მას დაეჯახა – ამ მატარებელს მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე ერქვა – და 47 წლის ასაკში მოკლა.

- ამ ზაფხულს უშენოდ გამიჭირდება, – მითხრა მამამ.
- მეც. მომენატრები.
- ჰო, არ დამავიწყდეს, – თქვა და ხელი გულის ჯიბისაკენ წაიღო, – პირველ რიგში ანგარიში გახსენი.

ჩეკს დავხედე. ხუთასის ნაცვლად ათასი იყო.

- მერე ამდენს შეძლებ? – ვკითხე.
- კი, შევძლებ. შენ სასადილოში მუშაობდი, მე კი ფული დამეზოგა. ჩათვალე, რომ პრემიაა.

ლოყაზე ვაკოცე. წვერმა დამჩხვლიტა. იმ დილით არ გაე-პარსა.

- მადლობა, მამა.
- არ იცი როგორ მიხარია, რომ შემიძლია დაგეხმარო. – ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და დაუფარავად შეიმშრალა თვალები. – მაპატიე. ძნელია, როდესაც ბავშვები ოჯახიდან მიდიან. მამა რომ გახდები, თავადვე გამოცდი, მაგრამ იმედი მაქვს, გვერდით კარგი ქალი გეყოლება და მარტოობას არ გაგრძნობინებს.

მისის შოფლოუს ნათქვამი გამახსენდა, შვილის ყოლა დი-დი რისკიაო.

- ხომ არაფერი გაგიჭირდება, მამა?

ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო და უდარდელად გამილიმა:

— შიგადაშიგ დამირეკე ხოლმე და არ გამიჭირდება. ისეთ ადგილას არ დაანიშნინო თავი, იმ დაწყევლილ ეშმაკის ბორბლებზე ძრომიალი მოგიხდეს.

დასამშვიდებლად ვუთხარი, ნუ გეშინია-მეთქი.

— და... — მაგრამ სათქმელი აღარ დაამთავრა. დღემდე არ ვიცი, რის თქმას აპირებდა, უნდა გავეკიცხე თუ რამე რჩევა მოეცა. ხელი ტყისკენ გაიშვირა და წამოიძახა: — ერთი ამას უყურე!

ჩვენგან ორმოცდაათი იარდის მოშორებით ფურირემი იდგა. უანგიან რელსს გადმოაბიჯა და ლიანდაგებზე შეჩერდა, სადაც იმსიმალლე სარეველა ამოსულიყო, ფერდებამდე სწვდებოდა. ერთხანს მშვიდად გვიყურებდა. იმ წამიდან ყველაზე კარგად სიჩუმე მახსოვს. არც ჩიტები უსტვენდნენ და არც თვითმფრინავები ზუზუნებდნენ. იმ წუთას დედა რომ ჩვენთან ყოფილიყო, ფოტოაპარატიც აუცილებლად თან ექნებოდა და სურათებსაც გადაულებდა. დედის გახსენებაზე მივხვდი, როგორ მენატრებოდა. ასეთი მონატრება წლების მანძილზე არ მიგრძვნია.

უცებ მამას მთელი ძალით ჩავეხუტე.

— მამა, ძალიან მიყვარხარ.

— ვიცი, — მომიგო მან.

როცა უკან მივიხედე, ირემი აღარსად ჩანდა, წასულიყო. მეორე დღეს მეც წავედი.

როდესაც ჰევენს-ბეიში, ქუჩის ბოლოს მდებარე დიდ ნაცრისფერ სახლში მივედი ზღვის ნიუარებისგან გაკეთებული აბრა ჩამოეხსნათ და შეენახათ, რადგან მისის შოთლოუს უკვე

მოესწრო და სახლის ყველა ოთახი გაექირავებინა. გულში ლეინ ჰარდი დავლოცე, რადგან გამაფრთხილა და ბინა წინასწარ მა-ქირავებინა. „ჯოილენდის“ საზაფხულო პერსონალი უკვე ჩამო-სულიყო, ქალაქში ყველა ბინა დაეკავებინათ.

მეორე სართულზე მე და ბიბლიოთეკარი ტინა ეკერლი ვცხოვრობდით. მესამე სართულზე ხელოვნების შემსწავლელი ტანადი, ჟღალთმიანი ერინ კუკი და რატგერსის დამამთავრე-ბელი კურსის სტუდენტი, ჩაფსკვნილი ტომ კენედი დაბინავე-ბულიყვნენ. ერინი სკოლაში ფოტოგრაფიით ყოფილიყო გატა-ცებული, ამიტომ ჰოლივუდელი გოგოს ადგილას დაექირავები-ნათ. ტომი და მე კი...

– დამხმარე ვიქწები, – მითხრა ტომმა, – ანუ ზოგადი რა-მეები უნდა ვაკეთო. ფრედ დინმა ჩემს ანკეტას ასე წააწერა. შენ?

- მეც. როგორც ვხვდები, დამლაგებლები ვართ.
- მეეჭვება.
- რატომ?
- იმიტომ რომ თეთრკანიანები ვართ.

მიუხედავად იმისა, რომ დალაგება შიგადაშიგ მაინც გვი-ნევდა, ტომი მართალი აღმოჩნდა. „ჯოილენდში“ დამლაგებ-ლებად ოცი კაცისა და ორმოცამდე ქალისაგან შემდგარი ბრი-გადა მუშაობდა, ზოგი ჰაიტიდან იყო, ზოგიც – დომინიკულთა რესპუბლიკიდან. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საბუთები არცერთს არ ჰქონდა. კომბინეზონები ეცვათ, გულის ჯიბეზე „ბედნიერი მწევრის“, ჰოუის გამოსახულებით. აქედან ათი მილის მოშორებით, პატარა სოფელში ცხოვრობდნენ და დილა-საღამოს დაწვლილ სასკოლო ავტობუსს დაჰყავდა. მე და ტომს საათში ოთხ დოლარს გვიხდიდნენ, ერინს – ცოტა მეტს. დამლაგებლებს რას უხდიდნენ ღმერთმა უნის. რაღა

თქმა უნდა, ექსპლუატაციას უწევდნენ. ის, რომ მთელ სამხრეთში უამრავი ასეთი უსაბუთო მუშა იყო, რომლებიც გაცილებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. არც ის ცვლის რამეს, რომ ეს ამბავი 40 წლის წინ მოხდა. თუმცა, მათ ქურქის ჩაცმა მაინც არ უწევდათ. არც ერინს დასჭირვებია ასეთი რამის გაკეთება.

მე და ტომს კი მოგვიხდა.

სამუშაოზე გასვლის წინა საღამოს სამივე შოთლოუს სახლის მისაღებ ოთახში შევიკრიბეთ, ერთმანეთი უკეთ გავიცანით და იმაზე დავიწყეთ მსჯელობა, რა გველოდა იმ ზაფხულს. ამასობაში ოკეანის თავზე მთვარე გამოჩნდა. ისეთივე მშვიდი იყო, როგორიც ის ფურირემი, მე და მამამ რკინიგზის ლიანდაგზე რომ ვნახეთ.

– ეს ხომ გასართობი პარკია! რა სიძნელეები უნდა შეგვხდეს? – წამოიძახა ერინმა.

– შენ რა გიშავს! – მიუგო ტომმა, – არავინ დაგავალებს შლანგით რეცხო „ბზრიალა კასრები“ ყოველ ჯერზე, როცა სკაუტების რაზმი მთელ ლანჩს უკან ამოილებს.

– რასაც მეტყვიან იმას გავაკეთებ, – განაცხადა ერინმა,
– სულერთია რა იქნება, ნარწყევის წმენდა თუ ფოტოების გადაღება. სამუშაო მჭირდება. მომავალ წელს მაგისტრატურაში ვაბარებ.

– უნდა ვეცადოთ და რამენაირად ერთ გუნდში მოვხვდეთ.
– თქვა ტომმა.

ასეც მოხდა. „ჯოილენდში“ ყველა გუნდი ძალლის სახელს ატარებდა. ჩვენს გუნდს „ბიგლი“ ერქვა.

ოთახში ემელინა შოფლოუ შემოვიდა. ხელში ლანგარი ეჭირა, ლანგარზე კი შამპანურის ხუთი ფუჟერი იდგა. უკან, შამპანურის ბოთლით ხელში, მის ეკერლი მოჰყვებოდა. ეკერლი იატაკის საწმენდ ჯოხს ჰერცოგინია, სათვალე ეკეთა, ორმაგი ლინზებით, და მათ მიღმა უზარმაზარი თვალები მოუჩანდა – ნამდვილი ჯოხის კეროლ ოუტსი იყო. ტომ კენედის სახე გაუნათდა:

– მეშლება თუ მართლა ფრანგული ლუდია? რაღაც ზედმეტად ელეგანტური ბოთლია, სუპერმარკეტში ნაყიდ მაიმუნობას არ გავს.

– შამპანური გახლავთ, მაგრამ თუ Moet et Chandon-ს ელოდებით, კენედი, იმედი უნდა გაგიცრუოთ. – მისის შოფლოუმ გაილიმა. – ზაფხულის დაწყებას ყოველთვის ასე აღვნიშნავ. რომ გამიმართლოს და ყველაფერი კარგად წავიდეს. მე მგონი, ჭრის. არცერთი სეზონური მდგმური არ დამიკარგავს. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მაინც. აიღეთ ჭიქები. – მისის შოფლოუ ტინას მიუბრუნდა: – ხომ ვერ დაგვისხამთ, გეთაყვა?

როდესაც ფუჟერები შევავსეთ, მისის შოფლოუმ თავისი ჭიქა ასწია:

– აბა! ერინს, ტომის და დევინს გაუმარჯოს! დაე, ამ ზაფხულს გამართლებოდეთ და ქურქში გამოწყობა მაშინ დასჭირვებოდეთ, როცა ცოტა მაინც ეგრილება!

ჭიქები მივუჭახუნეთ და დავლიეთ. ძვირფასი სასმელი არ იყო, მაგრამ ჩვენ კი გვეამა. ამჯერად სადლეგრძელო ტომმა შემოგვთავაზა:

– მისის შოფლოუს გაუმარჯოს, რომელმაც შეგვიკედლა და შეგვიფარა!

– დიდი მადლობა ტომი, მაგრამ ეგ ვერ გიშველის. ქირას არაფერი დააკლდება.

დავლიეთ და ჭიქები დავდგით. სულ ოდნავ დამეხვა თავბრუ.

– რა ქურქი უნდა ჩავიცვათ? – ვიკითხე.

მისის შოთლოუმ და მის ეკერლიმ ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს. მის შოთლოუმ შეგვახსენა:

– ხვალ დილით ადრე ხართ ასადგომები. შოუბიზნესში თქვენი კარიერა იწყება.

პირველი სამუშაო დღე მართლაც ძალიან ადრე, დილის 7 საათზე დაიწყო. ანუ ორი საათით ადრე, ვიდრე სეზონის პირველ დღეს პარკის კარი სტუმრებისთვის გაიღებოდა. სანაპიროს სამივე ერთად მივუყვებოდით. ტომს მთელი გზა ენა არ გაუჩერებია. საერთოდაც, სულ ლაპარაკობდა. ასეთი მოქაქანე და მხიარული ტიპი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ძალიან მოვიწყენდით. ერინი (რომელიც ფეხშიშველი წყალში მიტყაპუნობდა, სპორტულ ფეხსაცმელს კი თასმებით მიაკონწიალებდა) ისე უყურებდა, მაშინვე მივხვდი, მისით მოიხიბლა. შემშურდა, როგორ შეეძლო ტომს ასე ლაპარაკი. ჩასხმული იყო, სიმპათიური ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ ლაპარაკი ეხერხებოდა, რაც, ჩემდა სამწუხაროდ, მე არ გამომდიოდა.

– როგორ გგონიათ, ეს სახლები რა ელირება? – იკითხა ტომმა და ხელი სანაპიროზე მდგომი სახლებისკენ გაიქნია. ზუსტად იმ დიდი მწვანე სახლის წინ მივაბიჯებდით, სასახლეს რომ ჰეგავდა, მაგრამ იმ დღეს ინვალიდის ეტლში მჯდომი ბიჭი და ქალი არსად ჩანდნენ. ენი და მაიკ როსები მოგვიანებით გამოჩნდნენ.

– ალბათ მილიონები, – უპასუხა ერინმა.

– ამ სახლებს გასართობი პარკი ფასს ალბათ ცოტათი უგდებს. – ვთქვი მე. „ჯოილენდის“ სამ ყველაზე მნიშვნელოვან

ატრაქციონს – „სანდერბოლს“, „დელირიუმ შეიქერსა“ და „კაროლინის ბორბალს“ გავხედე, რომლებიც, იმ ზაფხულის დღით, ცის მოწმენდილ ჰორიზონტზე მოჩანდა.

– შენ მდიდრების აზროვნების თავისებურების არაფერი გაგეგება, – მიპასუხა ტომმა, – ეგენი ხომ ქუჩაში მათხოვრებს ვერ ამჩნევენ. რა მათხოვრები, რის მათხოვრები. პარკის შემთხვევაშიც ასეა. პარკი? რა პარკი? ამ სახლების მეპატრონეები, გეგონება, ყოფიერების სხვა საფეხურზე არიან. – გაჩერდა, თვალები ხელით მოიჩრდილა და მწვანე ვიქტორიანული სტილის სახლს გახედა. სახლს, რომელსაც იმ შემოდგომაზე – მას მერე, რაც უკვე დაწყვილებული ერინ კუკი და ტომ კენედი კვლავ სწავლას დაუბრუნდებოდნენ – მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ჩემს ცხოვრებაში. – აი ეგ სახლი ერთ დღეს ჩემი გახდება. იცით, როდის, აი... მმმ... 1987 წლის 1 ივნისს.

– შამპანური ჩემზეა. – თქვა ერინმა. სამივეს გაგვეცინა.

იმ დილით „ჯოილენდის“ თანამშრომელთა ერთად შეკრებილი გუნდი პირველად და უკანასკნელად ვნახე. „აქაფებულ ტალღაში“ შევიკრიბეთ. ეს ის საკონცერტო დარბაზი იყო, რომელშიც მეორეხარისხოვანი შემსრულებლები და დაბერებული როკერები კონცერტებს მართავდნენ. ორასამდე კაცი ვიყავით, უმრავლესობა – გროშებზე მომუშავე კოლეჯის სტუდენტები. სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალიც იქ იყო. როზი გოლდიც შევნიშნე, რომელსაც უკვე ბოშური ტანისამოსი ჩაეცვა და უღარუნა საყურეები ეკეთა. ლეიინ ჰარდი სცენაზე იდგა. მიკროფონი დააყენა და შესამოწმებლად თითო მიუკაკუნა. განუყრელი ქვაბურა ქუდიც მოეგდო თავზე. არც კი ვიცი იმდენ ხალხში

როგორ შემნიშნა, მაგრამ შემამჩნია და მოსალმების ნიშნად ხელიც ამინია. მეც არ დავაყოვნე და იმავე უესტით მივესალმე.

საქმეს მორჩია, სცენიდან მარჯვედ ჩამოხტა და როზის გვერდით, მისთვის საგანგებოდ შენახულ ადგილზე მოკალათდა. მალე კულისებიდან ფრედ დინი გამოვიდა.

— დაბრძანდით, გეთაყვა. ყველანი დაბრძანდით. სანამ თქვენი გუნდები დავალებას მიიღებდნენ, „ჯოილენდის“ მფლობელს, ანუ თქვენს დამსაქმებელს სურს სიტყვით მოგმართოთ. მივესალმოთ მისტერ ისტერბრუკს.

ტაში დავცხეთ. კულისებიდან ბერიკაცი გამოვიდა, ნაბიჯებს ფრთხილად ადგამდა, იმ კაცივით მოდიოდა, რომელსაც ფეხები ანუხებს, ან ზურგი, ან – ორივე ერთად. მაღალი იყო და ძალიან გამხდარი. შავი პიჯაკი ეცვა და დამკრძალავი ბიუროს აგენტს უფრო გავდა ვიდრე გასართობი პარკის მფლობელს. ჩამოგრძელებული, ფერმკრთალი, კოპებითა და ხალებით დაფარული სახე ჰქონდა. წვერის პარსვა მისთვის ტანჯვა უნდა ყოფილიყო, თუმცა სუფთად კი იყო გაპარსული. შავი თმა, დანაოჭებული შუბლიდან უკან რომ გადაევარცხნა, შეღებილი უნდა ჰქონოდა. ტრიბუნის გვერდით დადგა და უზარმაზარი, სახსრებდაბურცული ხელები ერთმანეთზე დაილაგა. თვალები შეშუპებულ ფოსოებში ლრმად ჰქონდა ჩამსხდარი.

ახალგაზრდობას სიბერე შემოსცეროდა. ტაში ჯერ შენელდა, მერე კი საბოლოოდ მიწყდა.

არ ვიცი რას ველოდით. იქნებ, მგლოვიარე ხმის გაგონებას, რომელიც განგვიცხადებდა, რომ სიკვდილი ყველას მოგვაკითხავდა. ისტერბრუკმა გაიღიმა და სახე თითქოს შიგნიდან გაუნათდა. მგონი ისიც კი გავიგონე, როგორ ამოისუნთქეს შვებით დარბაზში მსხდომებმა. მოგვიანებითლა შევიტყვე, რომ იმ ზაფხულს ბრედლი ისტერბრუკი 93 წლისა გახდა.

— ახალგაზრდებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ჯოილენდში“! — თავის დაკვრით მოგვესალმა. რამდენიმე წამს აზუზუნებულ მიკროფონს ასწორებდა, თან ჩაცვენილ თვალებს არ გვაშორებდა. — ნაცნობ სახეებსაც ვხედავ. ვიღაც-ვიღაცები დაბრუნებულან. ძალიან მიხარია, ძალიან. ახალბედებო, იმედი მაქვს, თქვენთვის ეს ზაფხული ცხოვრებაში საუკეთესო იქნება. იმედია, ეს იქნება ეტალონი, რომელსაც ყველა თქვენგანი მომავალ სამუშაო ადგილს შეადარებს. რა თქმა უნდა, ასეთი სურვილი ცოტა უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ადამიანს, რომელიც ამდენი წლის მანძილზე ასეთ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, აქვს ამ ექსტრავაგანტური სურვილის ქონის უფლება. დარწმუნებული ვარ, ასეთი სამუშაო ცხოვრებაში აღარასოდეს გექნებათ. — თვალი მოგვავლო და მიკროფონს კისერი კიდევ ერთხელ მოუღრიცა. — ცოტა ხანში მისტერ დინი და ჩვენი ადმინისტრაციის დედოფალი, მისის ბრენდა რაფერტი გუნდებს სამუშაოზე გაანაწილებენ. თითოეულ გუნდში შვიდი კაცი იქნება. თქვენ ერთი გუნდი იქნებით, ამიტომ ერთად უნდა იმოქმედოთ. თქვენს კაპიტანს შეატყობინებენ, რა სამუშაოს შესრულება მოგინევთ, კაპიტანი კი თქვენ გადმოგცემთ. ყოველ კვირას განსხვავებული საქმის კეთება მოგინევთ, ზოგჯერ დავალება დღიურადაც კი შეიძლება შეიცვალოს. თუ მრავალფეროვნება ისაა, რაც ცხოვრებას ეშხს სძენს, მაშინ შემდეგი რამდენიმე კვირა მეტად ეშხიანი გექნებათ. ახალგაზრდებო, ქალიშვილებო და ვაჟებო, ერთი რამ არ დაივინყოთ...
— შეყოვნდა, თითქოს ჩვენს პასუხს ელოდა, მაგრამ ხმა არავის ამოულია. მხოლოდ შევყურებდით. ძალიან მოხუცი იყო, შავი პიჯაკი და თეთრი, საყელოსთან შეხსნილი პერანგი ეცვა. მერე ისევ განაგრძო. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, საკუთარ თავს ელაპარაკებაო. — ქვეყნად მრავალი უბედურება

ტრიალებს – ომები, სისასტიკე, ყოველგვარ აზრს მოკლებული ტრაგედიები. ქვეყნიერების ყველა ბინადარს თავისი წილი უბედურება და უძილო ღამეები ერგება. ეგებ ზოგიერთმა თქვენგანმა ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის, მაგრამ ყველა ყველაფერს გაიგებთ. ასეთია ადამიანის ცხოვრება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. თქვენ ამ ზაფხულს გეძლევათ იშვიათი შესაძლებლობა, ადამიანებს სიხარული მიჰყიდოთ. თქვენ, ოფლით ნაშოვნი დოლარების სანაცვლოდ, ბედნიერება უნდა გასცეთ. შინ დაბრუნებული პატარები აქ ნანახსა და განცდილზე იფიქრებენ, დაესიზმრებათ კიდეც. იმედი მაქვს, ეს მუდამ გემახსოვრებათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რთული საქმის შესრულებას დაგავალებენ. ასეთი რამ ზოგჯერ ნამდვილად მოხდება. ზოგჯერ კლიენტები უხეშადაც მოგექცევიან, მერნმუნეთ, ასეთი რამ არცთუ იშვიათია. ზოგჯერ მიხვდებით, რომ ამაოდ გაისარჯეთ. ეს სრულიად განსხვავებული სამყაროა, სამყარო, რომელსაც თავისი ჩვეულებები და ენა აქვს. ამ ენის შესწავლას დღეს დაიწყებთ. ამასობაში სწორად სიარულსაც ისწავლით. ამას მე ვერ აგიხსნით. ამის ახსნა შეუძლებელია, მხოლოდ სწავლა შეიძლება.

ტომი ჩემკენ გადმოიხარა და წამჩურჩულა:

– რაო? რა ენის სწავლა, რა სიარულიო? ანონიმური ალკოჰოლიკების შეკრებაზე ვართ, თუ რა ხდება?

ჩუმად იჯექი-მეთქი, წავჩურჩულე. როდესაც აქ მოვდიოდი, მეგონა, იმ შეგონებებს მოვისმენდი, რომელთა უმეტესობაც ასე დაიწყებოდა: „ნუ იქმ“, მაგრამ ამის ნაცვლად პოეზიის საღამოზე აღმოვჩნდი. ბრედლი ისტერბრუკმა კვლავ თვალი მოგვავლო, გაგვიღიმა და ცხენის კბილები გამოაჩინა. სხვა მრავალი ახალბედას მსგავსად, ერინ კუკიც აღტაცებული შესკეროდა, სწორედ ასე უყურებენ მოწაფეები მასწავლებელს,

რომელიც მათ სამყაროს სულ სხვანაირად, ახლებურად ანა-ხებს.

— იმედი მაქვს, აქ მუშაობა თქვენთვის სასიამოვნო იქნება, მაგრამ თუ დადგა დრო, როცა აქ მუშაობა სიამოვნებას აღარ მოგვვრით — ვთქვათ, დადგა დრო, როცა ქურქით უნდა შეიმოსოთ — გაიხსენეთ, რომ თქვენ პრივილეგირებულ მდგო-მარეობაში იმყოფებით. ამ სევდიან, მოღუშულ სამყაროში ჩვენ ბედნიერების კუნძულზე ვართ. მრავალ თქვენგანს სამომავლო გეგმები უკვე აქვს, ზოგს ექიმობა სურს, ზოგს იურისტობა, რა ვიცი, ზოგსაც პოლიტიკოსობა...

— ღმერთმა დაგვითაროს! — წამოიძახა ვიღაცამ. დარბაზში სიცილი ატყდა.

მანამდე მეგონა, ისტერბრუკს პირი მეტად ვეღარ გაეღ-ბოდა, მაგრამ ახლა უფრო ფართოდ გაიღიმა. ტომი ჯერ თავს აქნევდა, მაგრამ ბოლოს მასაც გაეცინა.

— კარგი, გასაგებია, ეს ტიპი ღადაობაში ნამდვილი იესო ქრისტეა!

— ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, წინ საინტერესო, ნაყო-ფიერი ცხოვრების გზა გელით. ბევრ კარგ რამეს გააკეთებთ და გამოცდილებასაც შეიძენთ, მაგრამ „ვერილენდში“ გატარებულ დღეებს ყოველთვის განსაკუთრებული სიხარულით გაიხ-სენებთ. ჩვენ აქ არც ავეჯს ვყიდით და არც მანქანებს, არც სახლებს და არც პოლისებს. არც პოლიტიკური მიზნები გვაქვს. ჩვენ მხიარულებას ვყიდით. ეს არ დაივიწყოთ. გმადლობთ ყუ-რადღებისთვის. ახლა კი საქმეს შეუდექით.

ტრიბუნიდან ჩამოვიდა, თავი დაგვიკრა და ისევ ისეთი, ტანჯული კაცის ნაბიჯით დაიძრა. სანამ ტაში მიწყნარდებოდა სცენიდან გავიდა. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა, რომელიც ოდესმე მომესმინა, რადგან მართალი გამოსვლა

იყო და არა რაღაც აბდაუბდა. აბა მითხარით, რამდენი ვინ-
მე ჩანს თავის CV-ში ასეთ რაღაცას: 1973 წლის ზაფხულში
კუიდდი მხიარულებას.

★ ★ ★

გუნდების კაპიტნებად „ჯოილენდის“ სტაუიანი თანამ-შრომლები დაგვინიშნეს, რომლებიც სეზონის დახურვის შემ-დეგ სხვადასხვა მოხეტიალე ცირკებთან ერთად მთელ ქვეყანა-ში მოგზაურობდნენ. მათვე უნდა განეხილათ კლიენტების საყ-ვედურებიც. იმ ზაფხულს საჩივართა უმრავლესობა სიგარეტის აკრძალვით იყო გამოწვეული.

ჩვენი გუნდის კაპიტანი ენერგიული, ჩია ჭანის გერი ალენი გახლდათ. სამოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. გერი „ენი ოუკლის სასროლეთსაც“ ხელმძღვანელობდა. თუმცა პირველი დღის შემდეგ ამ ჯიხურს სასროლეთს აღარ ვეძახდით. ტირად მოვიხსენიებდით, გერის კი ტირის აგენტად. „ბიგლის“ შვიდივე წევრმა გერი ტირში გავიცანით. როცა მივედით, გერი თოფებს ჯაჭვებზე ამაგრებდა. პირველი დავალება მოგვცა – მე, ტომს, ერინს და ოთხ სხვა თანაგუნდელს პრიზები თაროებზე უნდა დაგველაგებინა. აი, ის დიდი, ფუმფულა სათამაშოები, რომ-ლებსაც ვერასდროს ვერავინ იგებს. თუმცა, გერი გვარწმუნებდა, როდესაც პარკში ბევრი ხალხია, ყოველ სალამოს ერთ პრიზს მაინც იგებს ხოლმე ვიწმეო.

– კარგი მსროლელები მიყვარს, – გამოგვიცხადა, – ყველა-ზე მეტად კი კარგი გათქვირული მსროლელები მიყვარს, ანუ ლამაზი გოგოები. კიდევ მიყვარს, როცა ამ გათქვირულ გო-გოებს, ღრმად ამოჭრილი ტოპები აცვიათ და დამიზნებისას წინ იხრებიან. – 22 კალიბრიან თოფს, რომელიც პნევმატურ

იარაღად იყო გადაკეთებული (ისე იყო გადაკეთებული, რომ სროლისას რაც შეიძლება ხმამაღლა დაეჭექა), ხელი დასტაცა და საჩვენებლად წინ გადაიხარა. – როცა პიჭები ასე იხრებიან, ყოველთვის ვეუბნები, ხაზს გადაცილებული ხარ-მეთქი, გო-გოებს კი – არასოდეს.

ამ დროს ფლორიდის უნივერსიტეტის მაისურსა და კეპში გამოწყობილმა სათვალიანმა ყმაწვილმა, რონი ჰიუსტონმა წა-მოიძახა:

– მე ხაზს ვერ ვხედავ, მისტერ ალენ.

გერიმ გახედა და მომუშტული ხელები არარსებულ თე-ძოებზე დაილაგა. მის ტანზე ჯინსი თითქოს მიზიდულობის კა-ნონის წინააღმდეგ ჩერდებოდა.

– მისმინე, შვილო, სამი რამე უნდა გითხრა. აბა, მზადა ხარ?

რონიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ისეთი სახე ჰქონ-და თითქოს კონსპექტის ჩასაწერად ემზადებოდა.

– ჰირველი: როგორც გინდა ისე მომმართე, „გერი“, „მამი-ლო“, ან სულაც „ბებერო“, მაგრამ არა „მისტერ“, მე სკოლის მასწავლებელი არ ვარ. მეორე: ეგ სკოლის ქუდი აღარ დავინა-ხო და მესამე: საჯარიმო ხაზი იქ იქნება, სადაც მე მომინდება და როცა მომინდება. ამის უფლება მაქვს, რადგან ეს ხაზი ჩემს გონებაში არსებობს. წარმოსახვითი ხაზია. მიხვდი? – თითები ჩავარდნილ, ვენებით დაქსელილ საფეთქელზე მიირტყა, რათა დაენახვებინა, სად გადიოდა ეს ხაზი, მერე ხელი პრიზებისკენ გაიშვირა, მერე სამიზნისკენ და ბოლოს დახლისკენ, რომელ-ზეც ყურცქვიტები (იგივე არიფები) ფულს ჩამოდიოდნენ ხოლ-მე. – ყველაფერი თავში მაქვს. ეს ხაზი გონებაში არსებობს. გაიგე? – რონი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ თავი მაინც ენერ-გიულად დაუქნია. – ახლა კი მოიშორე ეგ ქუდი და ჰოუის სუ-

რათიანი კეპი დაიხურე, ან კეპი წარწერით „ჯოილენდი“. შენი პირველი დავალება ეს იქნება.

რონიმ ფლორიდის უნივერსიტეტის კეპი სასწრაფოდ იშიშვლა და უკანა ჯიბეში გაიქანა. სულ მალე კი ჰოუის გამოსახულებიანი კეპი ეხურა. ამ კეპს იქაურ ენაზე „დოგტოპს“ ვეძახდით. რონის სამი დღის განმავლობაში ველადავებოდით და „მარადმწვანეს“ ვეძახდით. გაბრაზდა, მანქანების სადგომზე გავარდა, მანქანის ზეთის გუბე იპოვა, კეპი შიგ ჩააგდო და მერელა დაიხურა, მაგრამ როგორც საჭირო იყო ისე მაინც ვერ გამოიყურებოდა, რადგან არიან ტიპები, რომლებიც სულ მუდამ ახალბედებს გვანან. ერთ დღეს ტომიმ უთხრა, მაგ ქუდს ზედ თუ არ დააფსი შესაბამის იერს ვერ მიიღებსო. კინაღამ დაიჯერა. კიდევ კარგი ტომი დროულად მიხვდა და ცოტა უკან დაიხია, უთხრა, იგივე შედეგი გექნება თუ ქუდს ოკეანის წყალში დაალბობო.

მამილო თავის გუნდს თვალს არ აცილებდა.

– რაც შეეხება ლამაზ გოგოებს, რამდენადაც ვხედავ, ერთი ჩვენს რიგებშიც არის.

ამის გაგონებაზე ერინმა მორცხვად გაიღიმა.

– ჰოლივუდელი გოგო, ძვირფასო?

– დიახ. მისტერ დინმა მითხრა, რომ აქ ეს როლი უნდა შევასრულო.

– თუ მასეა, მაშინ ბრენდა რაფერტისთან უნდა მიხვიდე. ამ პარქში მეორე ვინმეა, თან ჰოლივუდელი გოგოების დედაცაა. ეგ მოგარგებს იმ მოხდენილ მწვანე კაბას. უთხარი, რაც შეიძლება მოკლე კაბა შეგირჩიოს.

– დაწყნარდი, ბებერო, ფეხი მაინც არ ჩაგივა! – მიუგო ერინმა. ორივემ ერთხმად გადაიხარხა.

– არა, ეს ბავშვი მომწონს! როცა თავისუფალი დრო გექნება, ანუ როცა შენი აპარატის ჩხაკა-ჩხუკს მორჩები, მამილოს

შემოუარე. მე მოგინახავ საქმეს. მაგრამ ჯერ კაბა გამოიცვალე ხოლმე, თორემ შეიძლება ზეთით ან ნახერხით დაგესვაროს. კაპიშ?

— დიახ. — თქვა ერინმა, ახლა უკვე შეცვლილი, საქმიანი ტონით.

მამილო ალენმა საათს დახედა.

— აბა, ბავშვებო! პარკი ერთ საათში გაიღება. დანარჩენს მერე, ფულის კეთების პროცესში ისწავლით. კარუსელებით დავიწყოთ.

მამილომ ყველა გაგვანაწილა, მე „კაროლინის ბორბალი“ შემხვდა. ძალიან გამიხარდა.

— ერთ-ორ შეკითხვაზე პასუხის დრო დაგვრჩა, მაგრამ ახლა ბევრს ვერაფერს გეტყვით. გინდათ მკითხოთ რამე, თუ წასვლა გირჩევნიათ?

ხელი ავიწიე. თავი დამიქნია და სახელი მკითხა.

— დევინ ჯონსი გახლავართ, სერ.

— პატარა ბიჭო, კიდევ ერთხელ მომმართავ ეგრე და სამ-სახურიდან გავარდები.

— დევინ ჯონსი ვარ, მამილო. — „შე ბებეროს“ ნამდვილად ვერ დავუძახებდი, ყოველ შემთხვევაში, ჯერ ვერ დავუძახებდი.

— ეგრე ჯობია. აბა, რა გინდა, ჯონსი? ამ ნითური ლამაზ-მანის გარდა კიდევ რა გიტრიალებს თავში?

— რას ნიშნავს გამოთქმა „კარნი კარნთაგანი“?

— ეს ნიშნავს, რომ შენ ბებერი ისტერბრუკივით ხარ. მა-მამისი ბაზრობებზე ჯერ კიდევ ოცდაათიანებში მუშაობდა, ბაბუამისი კი უფრო ადრე, ჯერ კიდე მაშინ, როცა ფსევდოინ-დიელების შოუს აჩვენებდნენ ბელად იულაჩაჩას მონაწილეო-ბით.

— მე მგონი, გვაღადავებ! — ნამოიძახა ტომმა.

მამილომ ისე ცივად გახედა, ტომი მაშინვე დაშოშმინდა. თუმცა ტომის დაშოშმინება ადვილი საქმე არ იყო.

- შვილი, შენ იცი ისტორია რა არის?
- მმმ... რაღაცები, რაც წარსულში მოხდა, არა?
- არა. - მიუგო მამილომ და ბრეზენტის ქამარი შეისწორა.

- ისტორია ადამიანთა მოდგმის კოლექტიური მეხსიერებაა, წინაპრების ნაგავი და განავალია. და მას განუწყვეტლივ ემატება რაღაც. ახლა ჩვენ ამ ნაგვის გროვის თავზე ვართ მოქცეულები, მაგრამ მალე ქვემოთ ჩავსრიალდებით და იმ თაობების ნაგავში დავიმარხებით, რომლებიც ამ ქვეყანაზე ჯერ არ გაჩენილან. უბრალო მაგალითს გეტყვი, წინაპრების ტანისამოსი ხომ ძველმოდურად და სასაცილოდ გვეჩვენება? და რადგან შენც იგივე მოგელის რაც სხვას, ანუ შენც შენი შვილების და შვილიშვილების ნაგავში დამარხვა არ აგცდება, მიტევების ცოტა მეტი უნარი უნდა გქონდეს.

ტომმა პირი გააღო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ჭკუა ეყო და გადაიფიქრა.

ახლა გუნდ „ბიგლის“ სხვა წევრი, ჯორჯ პრესტონი ალაპარაკდა:

- შენ ხარ კარნი კარნთაგანი?
- არა. მამაჩემს ორეგონში რანჩი ჰქონდა. ახლა მის საქმეს ჩემი ძმები უძღვებიან. მე ოჯახში თეთრი ყვავი ვარ და ძალიანაც ვამაყობ ამით. კარგი, თუ მეტი შესაკითხი არაფერი გაქვთ, სისულელეებს მოვრჩეთ და საქმეს მივხედოთ.
- შეიძლება კიდევ ერთი რამ გკითხოთ? – სთხოვა ერინმა.
- შეიძლება... მხოლოდ იმიტომ, რომ მაგარი გოგო ხარ.
- ქურქში გამოწყობა რაღას ნიშნავს?

მამილო ალენს გაეღიმა. ხელები თავისი ტირის დახლს დააბჯინა:

– პატარა გოგო, მითხარი, შენ თუ გაქვს წარმოდგენა, რას
შეიძლება ნიშნავდეს?

– მგონი კი.

ჩვენი გუნდის კაპიტანმა ისე ფართოდ გაიღიმა, მისი ყვე-
ლა ჩაყვითლებული კბილი და ეშვი დავინახეთ.

– ჰოდა ალბათ ეგაა.

გაინტერესებთ, რას ვაკეთებდი „ჯოილენდში“ იმ ზაფხულს?
ყველაფერს. ვყიდდი ბილეთებს, პოპულარნს, ნამცხვრებს, ბამ-
ბის ნაყინს, გავყიდე მილიარდამდე „ჰოთდოგი“ (რომლებსაც იქ
„ჰაუნდდოგს“ ვეძახდით). სწორედ ამ „ჰაუნდდოგის“ წყალობით
მოვხვდი გაზეთში, თუმცა ის ავადსახსენებელი „ჰაუნდდოგი“
მე არ გამიყიდია, ჯორჯ პრესტონმა გაყიდა. ვმუშაობდი მაშ-
ველად პლაზზე და „ჰეფი ლეიქზეც“ – დახურულ აუზზე, აი
იქ, სადაც წყლის სასრიალოები მთავრდებოდა. უამრავი უაზ-
რო სიმღერის მელოდიაზე „ბიგლის“ სხვა წევრებთან ერთად
მწკრივში ვცეავავდი. ბავშვებსაც ვუვლიდი, თუმცა საამისო
ლიცენზია არ მქონდა. თუ „ბზრიალა კასრებში“ რომელიმე
ბავშვი აბლავლდებოდა, უნდა დამეყვირა: „აბა თავდაყირა და-
ვატრიალოთ“! ეს ნომერი მომწონდა და კარგადაც გამომდიო-
და. სწორედ ბავშვებთან „ბზრიალა კასრებზე“ მუშაობისას მივ-
ხვდი, რომ მომავალში შვილები აუცილებლად მეყოლებოდა და
არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დედა უენდი იქნებოდა.

მეც და სხვა დამხმარეებმაც „ჯოილენდის“ ყველა კუთ-
ხე-კუნძული მალე ავითვისეთ. პარკის ერთი კუთხიდან მეორე-
ში თვალის დახამხამებაში გავჩნდებოდით ხოლმე. გავრბოდით
შემოვლითი გზებით, ჯიხურების, პავილიონებისა და ატრაქ-

ციონების გავლით, გავრბოდით მიწისქვეშა გვირაბებით. მომ-სახურე პერსონალისთვის „ჯოილენდში“ სამი ასეთი მიწისქვე-შა გვირაბი იყო. ერთს „ჯოილენდის“ მიწისქვეშეთს ვეძახდით, მეორეს „ჰაუნდდოგის“ მიწისქვეშეთს, მესამეს კი ბულვარს. ტონობით ნაგავი გამქონდა. გამქონდა ბულვარის გავლით, ელექტროურიკით. ამ ბნელ და საზარელ ბულვარს ძველმოდუ-რი ბარის ნეონის ნათურები ანათებდა. ნათურები საზარლად ციმციმებდნენ და ბზუოდნენ. რამდენჯერმე, როდესაც კონ-ცერტის გასამართად ჩამოსულმა მომღერლებმა დაიგვიანეს და სცენის მუშები წასული დაუხვდათ, კონცერტის მომზადებაშიც მივიღე მონაწილეობა, ვათრიე ხმის გამაძლიერებლები და მო-ნიჭორები.

აქაური ენაც ვისწავლე. მაგალითად, უფასო შოუს ნაც-ვლად სიტყვა „სატყუარას“ ვხმარობდი. ეს ენა ნამდვილ კარ-ნებს ეკუთვნოდა და მთებივით ბებერი იყო. სხვა ტერმინები კი, მაგალითად „ფუმფულები“, ლამაზი გოგოების ალსანიშნავად და „ოყნები“ იმ კლიენტების ალსანიშნავად, რომლებიც სულ მუდამ რაღაცით უკმაყოფილონი არიან, აქაური უარგონი გახ-ლდათ. სხვა პარკებს ალბათ თავიანთი უარგონი აქვთ, მაგრამ ყველა ამ უარგონის საფუძველია კარნი კარნთაგანი და მათი ენა.

სავაჭრო წერტილებში მუშაობა ყველას გვიადვილდებოდა. ნებისმიერი, ვისაც ხურდის სწორად დათვლა შეუძლია, საკ-მაოდ კვალიფიცირებულია იმისათვის, რომ პოპულარნის ურიკა ახრიგინოს ან სუვენირების დახლთან ივაჭროს. არც ატრაქ-ციონების მართვა წარმოადგენდა დიდ სირთულეს, მაგრამ თა-ვიდან ყველა ვუფრთხოდით, რადგან ჩვენს ხელში ადამიანების სიცოცხლე იყო, მათ შორის პატარა ბავშვებისაც.

— აბა მზად ხარ გაკვეთილისთვის? — მკითხა ლეინ ჰარდიმ, როდესაც „კაროლინის ბორბალთან“ მისული დამინახა. — კარგია. დროზე მოხვედი. პარკი ოც წუთში გაიღება. ჩვენთანაც ისეა, როგორც ფლოტში — ნახე, ისწავლე, ასწავლე. ახლა ის სქელო, შენთან ერთად რომ იდგა წელან...

— ტომ კენედი.

— ჰო. სწორედ ახლა ტომ კენედი ალბათ „ეშმაკის ვაგონების“ მართვას სწავლობს. დრო მოვა — შეიძლება დღესვე — ის ვაგონების მართვას გასწავლის, შენ კი ბორბლის მართვას ასწავლი. სხვათა შორის, ეს ავსტრალიური ბორბალია, ანუ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს.

— ამას რამე მნიშვნელობა აქვს?

— არა, არანაირი. უბრალოდ საინტერესოა. მთელ შტატებში ასეთი მხოლოდ რამდენიმეა. ორი სიჩქარე აქვს: ნელი და მართლა ნელი.

— იმიტომ რომ ეს ატრაქციონი პენსიონერებისთვისაა.

— ეგრეა. — ლეინმა სიჩქარეების გრძელ გადამრთველზე მანიშნა. ჯერ კიდევ მაშინ დავაკვირდი როგორ ამუშავებდა ამ გადამრთველს, როცა სამსახურში ამიყვანეს. გადამრთველთან მიმიშვა. ბერკეტს ბოლოში ველოსიპედის სახელურის რეზინი ჰქონდა დამაკრებული. — გრძნობ, როგორ ტკაცუნობს, როცა სიჩქარეში აგდებ?

— კი.

— აი, ეს გაჩერებაა. — ხელი ხელზე წამავლო და ბერკეტი ზემოთ ასწია. ამჯერად მეტად გატკაცუნდა რაღაც და უზარმაზარი ბორბალიც მაშინვე გაჩერდა, კაბინები მსუბუქად აქანავდა. — ჯერჯერობით ხომ ყველაფერი გასაგებია?

– კი. მგონი. ამ ბორბალთან სამუშაოდ მოწმობა ან რაიმე სერტიფიკატი არ არის საჭირო?

– მოწმობა ხომ გაქვს?

– კი, მართვის მოწმობა მაქვს, მენშია გაცემული.

– ჩრდილოეთ კაროლინაში მანქანის მართვის მოწმობის ქონაც საკმარისია. მერე ალბათ რამე დამატებით კანონებს შემოიღებენ. ასე იციან ხოლმე. წელს მართვის მოწმობაც გეყოფა. ახლა ყურადღებით მისმინე, იმიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრა. კარკასზე იმ ყვითელ ზოლს ხომ ხედავ? – დავინახე. პანდუსის მარჯვნივ, ჩასასხდომი მოედნისაკენ მიმითითებდა. – თითოეული ვაგონის კარზე „ბედნიერი მწევარია“ გამოსახული. როდესაც „მწევარი“ ყვითელ ზოლს გაუსწორდება, ბერკეტს გადმოწევ და გააჩერებ, ვაგონი ზუსტად იქ გაჩერდება, სადაც ხალხი მასში ჩასხდომას შეძლებს. – თქვა და ბერკეტი ძლიერად მოქაჩა. – დაინახე?

კი-მეთქი, მივუგე.

– სანამ ბორბალი არ ატორტმანდება.

– რაა?

– სანამ არ გაივსება. არ მკითხო ახლა როგორ და რა-ნაირად უნდა გაივსოს. ატორტმანებამდე ბერკეტს მართლა ნელ სვლასა და გაჩერებას შორის ამოძრავებ. როდესაც ბოლომდე აივსება – თუ კარგი სეზონი გამოდგა, სულ მუდამ სავსე იქნება – მერე ჩვეულებრივ, ნელ სიჩქარეში გადართავ. მგზავრებს სულ ოთხი წუთი აქვთ. – რადიოზე მიმითითა. – ეს რახრახა კი ჩემია, მაგრამ წესი ასეთია – ვინც ბორბალს ამუშავებს, მუსიკასაც ის არჩევს. ლამე ძალიან მყვირალა როკენროლი არ შეარჩიო, მზის ჩასვლის მერე აღარ შეიძლება. ხომ გაიგე?

– ხალხი როგორ გადმოვსხა?

– ზუსტად იგივენაირად. ჯერ მართლა ნელი სკოლა, მერე სტოპი; მართლა ნელი, სტოპი. „მწევარი“ ყოველთვის ყვითელ ზოლს გაუსწორე და მგზავრებიც უპრობლემოდ ჩასხდებიან და გადმოვლენ. საათში დაახლოებით ათი ბრუნი უნდა გააკეთო. თუ ყოველ ჯერზე ბორბალი ბოლომდე გაავსე, საათში შვიდას კლიენტზე მეტი გამოგივა.

დაეჭვებულმა შევხედე.

– კი მაგრამ ამის გაკეთება მე ხომ არ მომიწევს? ეს ატ-რაქციონი ხომ შენია?

– პატარა ბიჭო, ეს ბრედ ისტერბრუკის ატრაქციონია. ყველა მისია. მე ერთი უბრალო თანამშრომელი ვარ. მართალია, რამდენიმე წელია აქ ვმუშაობ, მაგრამ მაინც რიგითი ვარ. ამ ბორბალს ძირითადად მე ვამუშავებ, მაგრამ ყოველთვის – არა. ეგრე ნუ განიცდი. ზოგ პარკში ასეთ რამეს სვირინგებიანი, მთვრალი ბაიკერები ამუშავებენ. ეგენი თუ ახერხებენ, შენ ვითომ რატომ ვერ შეძლებ?

– ალბათ შევძლებ.

ლეიინმა პარკის ჭიშკარზე მანიშნა:

– უკვე გაიღო და აი, ყურცელვიტებიც მოდიან. პირველ სამ ბრუნს ერთად გავაკეთებთ. მერე შენი გუნდის წევრებს შენ თვითონ ასწავლი. იმ ჰოლივუდელი გოგოს ჩათვლით. შევთანხმდით?

აბა, ეს რა შეთანხმება იყო. სულ რაღაც ხუთწუთიანი ინსტრუქტაჟის შემდეგ ადამიანები 170 ფუტის სიმაღლეზე უნდა გამემგზავრებინა. სრული სიგიფე იყო.

ხელი მხარში ჩამავლო.

– ნუ გეშინია! შენ ამას შეძლებ, ჯონსი. ნუ ნერვიულობ, თქვი, რომ შეძლებ.

– შევძლებ.

— კარგი ბიჭი ხარ. — მითხვა და ბორბლის კარკასზე მი-
მაგრებულ მეგაფონზე შეერთებული რადიო ჩართო. „ჰულიზი“
მღეროდა Long Cool Woman in a Black Dress-ს. შარვლის უკანა
ჯიბიდან ტყავის ხელთათმანები ამოიღო. — ასეთი ხელთათ-
მანები შენც დაგჭირდება, უნდა იშოვო. გარდა ამისა, ყვირი-
ლი და ხალხის მოზიდვაც უნდა ისწავლო. — დაიხარა, ყუთი-
დან, რომელსაც, მე მგონი, სულ თან დაათრევდა, მიკროფონი
ამოაძვრინა და კლიენტურის მოზიდვა დაიწყო: — აბა, აქეთ
მობრძანდით, გელით! ცოტა დაბზრიალდით! მოდით, იჩქარეთ,
იჩქარეთ! ზაფხული მალე გავა. აბა, სულ მაღლა ვინ ავა? იქ,
სადაც არის ჰაერი სულ სხვანაირი, ხედები კიდევ — ნაირნაი-
რი. — მიკროფონი მოიშორა და თვალი ჩამიკრა. — აი ესაა ჩემი
სიტყვა ხალხის მოსაზიდად. ორი-სამი ჭიქა რომ გადამეკრა,
ნახავდი, რა სიტყვას დავცხებდი. შენ შენი სიტყვა თავად უნდა
შეთხზა!

როცა ბორბალს პირველად ვამუშავებდი, შიშისაგან ხელე-
ბი მიკანკალებდა, ერთ კვირაში კი ნამდვილ პროფესიონალად
ჩამოვყალიბდი (თუმცა ლეინი ამბობდა, რომ სიტყვა დასახ-
ვენი მქონდა). ასევე შემეძლო „ბზრიალა კასრების“ და „ეშმა-
კის ვაგონების“ მართვაც... ამ უკანასკნელის მართვა მართლაც
უადვილესი იყო, ორ ლილაკზე უნდა დაგეჭირა ხელი — მწვანე
სტარტსა და წითელ სტრიზე — და ყურცელიტების მიერ ერ-
თმანეთში ჩაჭედილი ვაგონები დაგეცალკევებინა. „ეშმაკის ვა-
გონებით“ მგზავრობას სეირნობას არ ვეძახდით, ეს ნამდვილი
აურზაური იყო.

აქაური ენაც ვისწავლე. გეოგრაფიაც ავითვისე — მიწის-
ქვეშაც და მიწისზედაც. ტირში მუშაობაც დავამულამე. ისიც
ვიცოდი, როგორ დამეჯილდოვებინა გათქვირული გოგოები
პლუშის სათამაშოებით. ამ ყველაფრის შესასწავლად დაახლოე-

ბით ერთი კვირა დამჭირდა, ორ კვირაში კი თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი ნყალში. ქურქის ტარება რას ნიშნავდა პირველივე დღეს, დაახლოებით პირველის ნახევარზე გავიგე. ბრედლი ისტერბრუკი სწორედ მაშინ აღმოჩნდა „ბზრიალა კასრებთან“. ჯიხურთან იჯდა და თავის ჩვეულ ლანჩის, ტოფუს და ბარდას შეექცეოდა. მართალია ასეთი რამე გასართობ პარკებში არ იყიდება, მაგრამ არ უნდა დაგავინყდეთ, რომ ისტერბრუკის საჭმლის მომნელებელი სისტემა „მშრალი კანონის“ ეპოქით თარიღდებოდა.

ქურქის ჩაცმა პირველად ექსპრომტად მომიხდა. მას მერე კი არაერთხელ მეცვა, რადგან ჰოუის როლი კარგად გამომდიოდა. და რაც მთავარია, მისტერ ისტერბრუკმაც იცოდა, რომ კარგად გამომდიოდა. ქურქი მეცვა ერთი თვის თავზეც, როცა „ჯოილენდში“ იმ წითელქუდიან გოგონას შევხვდი.

...

პირველი დღე ნამდვილი საგიუეთი იყო. მე და ლეინი „კაროლინის ბორბალს“ ათ საათამდე ერთად ვმართავდით. მერე მთელი საათნახევარი მარტო ვუძლვებოდი საქმეს, რადგან ლეინი მთელ პარკში დარბოდა და გახსნის დღის აღსანიშნავად ფოიერვერკებს აწყობდა. იმ დროისათვის უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბორბალს არაფერი მოუვიდოდა. ყველაზე საშინელი ადამიანების გულუბრყვილობის დანახვა იყო. არცერთ ბავშვიან მამას აზრად არ მოსვლია ეკითხა, ვიცოდი თუ არა ბორბლის მართვა. ბორბალი იმდენ წრეზე ვერ გავუშვი, რამდენზეც უნდა გამეშვა – ისე დაუინებით ვუყურებდი იმ ყვითელ ზოლს, რომ ნერვიულობისგან თავი ამტკიცდა, მაგრამ სამაგიეროდ ბორბალი ყველა წრეზე სრულად დატვირთული იყო.

მერე ერინი მოვიდა ჩემთან. ძალიან ლამაზი იყო, ჰოლი-
უდელი გოგოს მწვანე კაბა ძალიან უხდებოდა. რიგში მდგომ
რამდენიმე ოჯახს სურათი გადაულო. ერთი სურათი მეც გადა-
მილო. დღემდე შენახული მაქვს, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს,
სად. როდესაც ბორბალმა ბრუნვა დაიწყო, მკლავზე ხელი ჩა-
მავლო, შუბლი ოფლის წვეთებით ჰქონდა დაცვარული, იღიმო-
და და თვალები უელავდა.

— მაგარია ბორბლის ჭრიალი?

თუ არავინ შემომაკვდება, მაგარი იქნება-მეთქი, ვუპასუხე.

— ვინმე პატარა ბავშვი კაბინიდან თუ გადმოვარდა, ეცადე
დაიჭირო, სულ ეგ არის. — მითხრა და ფოტოების გადასაღები
ახალი ობიექტების საძებნად გაიქცა. ნამდვილად არ გაუჭირ-
დებოდა ადამიანების პოვნა, რომლებიც ზაფხულის ამ მშვე-
ნიერ დღეს სიამოვნებით გადააღებინებდნენ სურათს ლამაზ
ნითურთმიან გოგონას. ერინი მართალს ამბობდა. აქ მაგარი
იყო.

დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ლეინი დაბრუნდა. იმ
დროისთვის ბორბლის მართვა უკვე ისე მქონდა დამხეცებული,
რომ ლეინი ბერკეტთან უხალისოდ მივუშვი.

— შენი გუნდის მეთაური ვინ არის, ჯონსი? გერი ალენი?

— კი, ეგ არის.

— ახლა იმის ტირში წადი და ნახე, იქნებ შენთვის ჰქონდეს
რამე. თუ გაგიმართლა, შეიძლება პირდაპირ საწვრილფეხოში
გაგიშვას. ეგებ, პირში ლუკმაც გადაიცდინო.

— საწვრილფეხო რაღაა?

— ის ადგილია, სადაც თანამშრომლები იკრიბებიან, რო-
დესაც მოიცლიან ხოლმე და იქ ჭამენ. პარკების უმეტესობა-
ში ასეთი ადგილი მანქანების სადგომთან ან სატვირთო მან-
ქანების უკანაა, „ჯოილენდში“ კი ნამდვილი ლუქსი გვაქვს.

მშვენიერი მოსასვენებელი ოთახია. იქ არის, სადაც ბულვარი და „ჰაუნდდოგის“ მიწისქვეშეთი ერთმანეთს კვეთს. ბუშტების გასაშვებ მინდორსა და „დანების შოუს“ შორის კიბეზე ჩახვალ. მოგეწონება, მაგრამ იქ მხოლოდ მაშინ წადი თუ მამილო გა-გიშვებს. მაგ ბებერ გაიძვერასთან ჯახის თავი არ მაქვს: მაგისი გუნდი მაგისი გუნდია. მე ჩემი მყავს. სადილის კალათა გაქვს?

— არ ვიცოდი, თუ უნდა მომეტანა.

ჩაიცინა.

— ნელ-ნელა ყველაფერს ისწავლი. დღეს ერნის ჯიხურში მიდი, იქ, სადაც შემწვარ ქათამს ყიდიან. იმ ჯიხურს პლასტმა-სის სახურავი აქვს, თავზე დიდი მამალი ადგას. „ჯოილენდის“ ბარათი აჩვენე და, როგორც თანამშრომელს ფასდაკლებას გა-გიკეთებს.

იმ დღეს ერნის ჯიხურში ვისადილე, მაგრამ ორ საათამდე მისვლა ვერ მოვახერხე. მამილოს ჩემთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდა.

— წადი კოსტუმების საცავში, პარკის ტექ. სამსახურსა და სადურგლოს შორის და დოტი ლასენს უთხარი, მამილომ გა-მომგზავნა-თქო.

— არ გინდათ, ჯერ თქვენ მოგეხმაროთ?

ტირი ხალხით იყო სავსე. დახლთან სკოლის მოსწავლეების ტევა არ იყო. ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ, როდის მოიგებ-დნენ იმ საოცნებო პლუშის სათამაშოებს. დახლთან ჩამწკრივე-ბული მსროლელების უკან არიფები (გუნებაში პარკის კლიენ-ტებს უკვე მეც ასე ვეძახდი) სამ რიგად იდგნენ. მამილო ალენი ჩემთან საუბრისას ხელებს ნიჩებებივით იქნევდა:

— არა. ახლა ერთადერთი რამ მინდა — აქედან რომ მოუსვა. ამ ყველაფერს ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე ვაკეთებდი. ისე, შენ რომელი ხარ, ჯონსი თუ კენედი? ის კი ვიცი, მაზალოქუ-

დიანი ბიჭი რომ არ ხარ, მაგრამ ჯერ მაინც ყველა ერთმანეთში მერევით.

- ჯონსი ვარ.
- ჯონსი, ახლა ერთი ჭკუის სასწავლებელი საათი უნდა გაატარო „ბზრიალა კასრებში“. ყოველ შემთხვევაში, ბავშვებისთვის ეს ერთი საათი ნამდვილად ჭკუის სასწავლებელია. შენთვის შეიძლება ასე არ იყოს. – გაიღიმა და თავისი ყვითელი ეშვები გადმოყარა. ბებერ ზვიგენს გავდა. – აბა, კარგ დროს-ტარებას გისურვებ იმ შენს ქურქში.

კოსტუმების საცავში დიდი აურზაური იყო. ქალები აქეთ-იქით დარბოდნენ. ფიცარივით გამომშრალი დოტი ლასენი შეს-ვლისთანავე დამეტაკა, თავისი ბრჭყალები იღლიებში ამომდო და ოთახის სიღრმისაკენ გამიტაცა. ჩავუარეთ მასხარების და კოვბოების კოსტუმებს, ძია სემის უზარმაზარ კოსტუმს (ოჩოფე-ხები იქვე კედელზე აეყუდებინათ), პრინცესებისა და ჰოლივუ-დელი გოგოების კაბებს და ძველმოდურ საცურაო კოსტუმებს, რომელთა ტარებაც, როგორც მერე შევიტყვე, მაშველებად მო-რიგეობისას გვქონდა მოსჯილი. დოტის პატარა იმპერიის ბო-ლოში ძალლის ათობით ჩაფუშული კოსტუმი ელაგა. რა თქმა უნდა, ჰოუი იყო. ყველას ერთნაირი სახე ჰქონდა – ცისფერი თვალები, ბრიყვული ღიმილი და დაცქვეტილი ყურები. კოსტუ-მებისთვის კისრიდან კუდამდე ელვა შესაკრავი დაეტანებინათ.

- ღმერთო, რამხელა ხარ! კიდევ კარგი დიდი ზომის კოს-ტუმი წინა კვირას შევაკეთებინე. ბოლოს რომ ბავშვს ეცვა, იმან იღლიებს ქვემოთ სულ გამოგლიჯა. კუდის ქვეშაც გა-მოფხრინა. ეტყობა მექსიკურ კერძებს მიაძლა. – XL-ის ზო-

მის კოსტუმს ხელი დაავლო და მომიგდო. – ახლა სასწრაფოდ „ბზრიალა კასრებში“ გაიქეცი. დროზე, დროზე! ეს ბატჩ ჰედლის უნდა გაეკეთებინა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა, ის კი ამბობს, მთელი ჩვენი გუნდი დღეს „მიდუეიზე“ მუშაობსო.

– ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა, მაგრამ დოტიმ კითხვის დასმის საშუალება არ მომცა. თვალები ისე გადმოკარკლა ან ძალიან კარგ გუნებაზე იყო ან სიგიურის ზღვარზე და განაგრძო: – ახლა შეიძლება გაგიკვირდეს და ვერ გაიგო რაშია საქმე. საქმე კი იმაშია, რომ პარკის გახსნის პირველ დღეს მისტერ ისტერბრუკი ყოველთვის იქ ჭამს ხოლმე ლანჩს და ძალიან გაბრაზდება, თუ ნახავს, რომ დღეს ჰოუი არ გვყავს.

– რა, შეიძლება გაუშვას კიდეც ვინმე?

– არა, მაგრამ ძალიან კი გაბრაზდება. ცოტა ხანში მიხვდები, რა ცუდი რამეა მისი გაბრაზება. ეს არავის უნდა, იმიტომ, რომ მართლაც დიდი კაცია. ეს რა თქმა უნდა, გადასარევი რამეა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ კარგი კაცია. ამ ბიზნესში კი კარგი ხალხი უფრო დიდი იშვიათობაა, ვიდრე ქათმის პირში კბილები. – შემომხედა და ისეთი ხმა ამოუშვა ხაფანგში გაბმული ცხოველი რომ გამოსცემს. – ღმერთო, რამხელა ხარ და თან რა გამოუცდელი! მაგრამ ახლა მაგას რაღა ეშველება?

უამრავი კითხვა მიტრიალებდა თავში, მაგრამ ვერაფერი ვთქვი. ჩაფუშულ ჰოუის უაზროდ დავცექეროდი. ჰოუი კი მე მომშტერებოდა. ჯეიმს ბონდივით ვიყავი, ერთ გიუურ ფილმში რაღაც სავარჯიშო ხელსაწყოზე რომ მიაბამენ. „შენ გგონია, ყველაფერს დავფქვავ“? ეკითხება გოლდფინგერს. გოლდფინგერი კი პასუხობს: „არა, მისტერ ბონდ, მე მგონია, რომ მოკვდებით“! სავარჯიშო ხელსაწყოს ნაცვლად მე რაღაც ბედნიერების მომტან მანქანაზე ვიყავი მიბმული, მაგრამ რა მნიშ-

ვნელობა აქვს. აზრი იგივეა. იმ პირველ დღეს ყველანაირად ვცდილობდი, ამ მანქანისთვის ფეხი ამენყო, მაგრამ რაც მეტად ვცდილობდი, ის უფრო სწრაფად იწყებდა ბრუნვას.

— ბავშვო, ეს საწვრილფეხოში წაიღე. ოლონდ არ მითხრა, რომ არ იცი, სად არის.

— არა, ვიცი. — კიდევ კარგი ლეინმა მიმასწავლა.

— მე მაინც გეტყვი, რომ ეგ აქაურების თავშეყრის ადგილია. იქ ყველაფერი გაიხადე საცვლის გარდა. თუ არ გაიხდი, იცოდე, ამ ქურქს რომ ჩაიცვამ ერთ წუთში ჩაიხარშები... გარდა მაგისა, ვინმემ თუ გითხრა, რაში მდგომარეობს კარნის პირველი წესი?

არაფერი მიპასუხია.

— ყოველთვის იცოდე, სად გაქვს საფულე. მადლობა ღმერთს, ამ პარკში ნაკლები ქურდობაა ვიდრე იქ, სადაც ახალგაზრდობაში მიმუშავია, მაგრამ უპირველესი წესი მაინც ეგ არის. მომეცი, მე შეგინახავ. — საფულე უსიტყვოდ გადავეცი. — ახლა კი წადი, მაგრამ სანამ გახდას დაინყებ, ბევრი წყალი დალიე. მანამ სვი, სანამ მუცელი არ გაგებერება. არც არაფერი ჭამო. რაც არ უნდა გშიოდეს, მაინც არ ჭამო. მინახავს, ზოგ ბავშვს როგორ მიუღია მზის დარტყმა, ზოგსაც პირდაპირ ჰოუის კოსტუმში არევია გული. მოკლედ, ჯერ დალიე, მერე ყველაფერი გაიძრე, მერე ქურქი გადაიცვი, ელვა ვინმეს შეაკვრევინე და „ბზრიალა კასრებისკენ“ მოუსვი. ნიშანია გამოკრული, ასე რომ ადვილად მიაგნებ. — ჰოუის დიდ ცისფერ თვალებს ეჭვით შევხედე. — ნუ გეშინია, შიგნიდან ყველაფერს კარგად დაინახავ.

— კი მაგრამ რა უნდა ვაკეთო?

მომაშტერდა. ჯერ სერიოზული სახით მიყურებდა, მერე ღიმილმა გადაურბინა, ბოლოს კი გაიცინა, რაღაც უცნაურად, თითქოს სიცილი ცხვირიდან წასკდაო.

– ყველაფერი კარგად გამოგივა, – დამამშვიდა (ყველა ასე მეუბნებოდა), – როლში შედი, ბავშვო. იპოვე ძალლი შენში.

საწვრილფეხოში რომ მივედი, ათამდე ახალბედა და ერთი-ორი გამოცდილი თანამშრომელი ლანჩის შეექცეოდა. ახალბედებს შორის ორი ჰოლივუდელი გოგოც ერია, მაგრამ მორიდების დრო არ იყო. წყლის შადრევანს ხარბად დავენაფე, მერე კი სპორტული ფეხსაცმელი და შარვალი გავიძრე. ჰოუის კოსტუმი დავფერთხე და ფეხები გავუყარე.

– ქურქი! – დაიყვირა ერთმა ძველმა თანამშრომელმა და მაგიდას მუშტი დაარტყა. – ქურქი! ქურქი! ქურქი!

მას სხვებმაც მიბაძეს და მთელი საწვრილფეხო აურია-მულდა. მე კი ტრუსისამარა, ჰოუის კოსტუმში ფეხებნაყოფილი ჩუმად ვიდექი. ისეთი ამბავი ატყდა, გეგონებოდათ, ციხის სასადილოში პატიმრები აჯანყდნენო. ასეთ ბრიყვულ მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვარ. თუმცა შოუბიზნესი შოუბიზნესია. მე ახლა სცენაზე გამოსასვლელად ვემზადებოდი და ისიც კი არ მანალვლებდა, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა ჯანდაბა უნდა მეკეთებინა, რა როლი უნდა შემესრულებინა.

– ჩურქი! ჩურქი! ჩურქი!

– მოდით რა, ვინმემ შემიკარით! – დაიყვირე. – ოლონდ დროზე, „ბზრიალა კასრებში“ გავრბივარ.

ბოლოს ერთმა გოგომ პატივი დამდო და შემიკრა. შეკვრისთანავე მივხვდი, რატომ გამოიწვია ამ კოსტუმის ჩაცმამ ამხელა აუიოტაუი. საწვრილფეხოში კონდიციონერები იყო ჩართული – „ჯოილენდის“ მიწისქვეშეთში ყველგან კონდიციონერები მუშაობდა – მაგრამ აქაც კი ოფლში ვინურებოდი.

ერთი ძველი თანამშრომელი მომიახლოვდა და ჰოუის ბენ-ვიან თავზე ხელი თანაგრძნობით გადამისვა:

– იქამდე მე მიგიყვან. ელექტრომანქანა დაქოქილია, მიღი, ჩახტი!

– მადლობა.

– აუუ, აუუ! – დაიყმუვლა ვიღაცამ. ყველას სიცილი აუტყდა.

ბულვარზე გავედით, ნათურები ავისმომასწავებლად ციმ-ციმებდნენ, ჩვენ კი მივრახრახებდით. საჭესთან მწვანე უნი-ფორმაში გამოწყობილი მოხუცი დამლაგებელი იჯდა, გვერდზე კი მე, უზარმაზარი ცისფერთვალება გერმანული ნაგაზი ვე-ჯექი. როდესაც კიბეს მივადექით (კიბეს ისრები მიუყვებოდა), რომელსაც დიდი ასოებით ეწერა „ბზრიალა კასრები“, მოხუცი მომიბრუნდა:

– არ ილაპარაკო. ჰოუი არ ლაპარაკობს, უბრალოდ ყვე-ლას ეხუტება და თავზე ეფერება. აბა, წარმატებას გისურვებ. თუ მიხვდი, რომ ოფლში ცურავ, ყველაფერს თავი დაანებე და ეგ ქურქი გაიძრე. ბავშვებს ნამდვილად არ გაუხარდებათ მზის დარტყმისაგან გულწასული და მიწაზე გაშოტილი ჰოუის ნახვა.

– წარმოდგენა არ მაქვს რა უნდა ვაკეთო, არავის უთქვამს. – ჩავილაპარაკე მე. არ ვიცი, ის ბერიკაცი კარნი კარნთაგანი იყო თუ არა, მაგრამ „ჯოილენდის“ შესახებ რაღაც-რაღაცები ნამდვილად იცოდა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ბავშვებს ჰოუი უყვართ. იმათ იციან, რა უნდა აკეთონ.

ელექტრომანქანიდან ძლივს გადმოვედი, კინალამ კუდზე დავიდგი ფეხი. კიბეზე გაჭირვებით ავფორთხდი და კარის სა-ხელურს დავეჯაჯგურე. მუსიკა შემომესმა. როგორც იქნა სა-ხელური ჩამოვქაჩე. კარი გაიღო და ივნისის კაშკაშა სინათლემ თვალი მომჭრა.

მუსიკა ახლა უფრო ხმამაღლა ისმოდა. ზემოთ დამაგრებული დინამიკებიდან მოდიოდა, სიმღერის სახელიც გამახსენდა: *The Hokey Pokey*. საბავშვო ბალების ყველა დროის ჰიტი იყო. დავინახე საქანელები, სასრიალოები, კარუსელები, აინონა-დაინონები და მინი კარუსელი, რომელსაც ერთი ახალბედა ატრიალებდა. ახალბედას თავზე ბაჭიას ყურები, ჯინსზე კი ფუმფულა კუდი ეკეთა. მერე საბავშვო მატარებელმა, რომელიც არნახული სისწრაფით – საათში ოთხი მილის სიჩქარით – გვიახლოვდებოდა, ქშენით ჩაგვიარა. მატარებლის ფანჯრებიდან ბავშვებს თავები გამოეყოთ და ფოტოაპარატმომარჯვებულ მშობლებს ხელებს უქნევდნენ. მშობლებს ასე ჰყავდათ დარიგებული. აქა-იქ მობორიალე ბავშვებს რამდენიმე ახალბედა და ძველი თანამშრომელი მეთვალყურეობდა. ძველებს ალბათ ბავშვების მეთვალყურეობისთვის საჭირო ლიცენზიებიც ექნებოდათ. ამ ძველებს – ერთ ქალს და ერთ კაცს – მაისურები ეცვათ წარწერით: ჩვენ გვიყვარს პედნიერი პავშვები. ჩემ წინ „ჰოუის მხიარული სახლის“ გრძელი შენობა იდგა.

მისტერ ისტერბრუკიც შევნიშნე. „ჯოილენდის“ ემბლემიანი ქოლგის ქვეშ მერხზე იჯდა. ისევ ის მეკუბოვის პიჯაკი ეცვა და ლანჩის ჩხირებით შეექცეოდა. თავიდან ვერ შემნიშნა, რადგან მწერივად დაწყობილ ბავშვებს უყურებდა, რომლებიც ახალბედებს „ჰოუის სახლისაკენ“ მიჰყავდათ. ბავშვების აქ დატოვება მაქსიმუმ ორი საათით შეიძლებოდა (მერელა გავიგე). მშობლები პატარებს აქ მაშინ ტოვებდნენ, როცა უფროსი შვილები დიდების კარუსელებზე საქანაოდ მიჰყავდათ ან „როკ-ლობსტერში“ – აქაურ უმაღლესი კლასის რესტორანში – სადილს შეექცეოდნენ.

მოგვიანებით ისიც გავიგე, რომ „ჰოუის სახლში“ მხოლოდ სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვების დატოვება შეიძლებო-

და. ბავშვების უმრავლესობას დიდებივით ეჭირა თავი, საბავშვო ბალის ვეტერანები იყვნენ, რადგან მათი მშობლები მუშაობდნენ. ზოგი ჭირვეულობდა, თუმცა თავიდან არც ისინი იმჩნევდნენ რამეს, ვაუკაცურად იდგნენ, რადგან დედიკომ და მამიკომ უთხრეს, რომ ახლა წავიდოდნენ და ერთ-ორ საათში (თითქოს ამ ასაკის ბავშვმა იცოდეს, რას ნიშნავს ერთი-ორი საათი) მოაკითხავდნენ, მერე კი ყველა ერთად შინ დაბრუნდებოდა. ჯერ დარჩნენ, მერე კი მიხვდნენ, რომ ამ უცხოებით სავსე, ხმაურიან ადგილას სრულიად მარტონი იყვნენ, დედიკო და მამიკო არსად ჩანდნენ. ზოგი უკვე ტიროდა. მთელ ამ სანახაობას ჰოუის კოსტუმში გამომწყვდეული და სულმთლად გაოფლიანებული ვადევნებდი თვალს. გავიფიქრე, რომ ბავშვებზე ტიპური ამერიკული ძალადობის მოწმე ვიყავი. რატომ უნდა მოიყვანოს ადამიანმა ბავშვი – ახალფეხადგმული ბავშვი – გასართობ პარკში და მერე რატომ უნდა დატოვოს უცხოთა გარემოცვაში, თუნდაც მცირე ხნით?

ახალბედები უყურებდნენ, როგორ აღვარღვარებდნენ ბავშვები ცრემლებს (შიში ბავშვთა დაავადებაა, ისეთივე ბუნებრივი, როგორიც წითელა), მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ექნათ. განა ასე შეიძლებოდა? ან ის შეიძლებოდა, პირველივე დღეს ლეინ ჰარდიმ სრულიად გამოუცდელი მარტო რომ დამტოვა გიგანტური ატრაქციონის სამართავად? „მაგრამ იმ ბორბალზე რვა წლამდე ბავშვებისთვის უფროსის გარეშე დაჯდომა მაინც არ შეიძლება, – გავიფიქრე, – ეს პანიები კი სრულიად მარტონი არიან“.

არ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ გადავწყვიტე, რამე აუცილებლად მეღონა. ბავშვების მნკრივისაკენ წავედი, წინა თათები ზემოთ ავწიე და კუდი გამალებით ავაქიცინე. თავიდან ორმა-სამმა ბავშვმა შემნიშნა და ხელი ჩემკენ გამოიშვირა. ამ

დროს თითქოს შთაგონება მეწვია. მუსიკაც დამეხმარა. ზუსტად ორი მოლრიალე დინამიკის ქვეშ დავდექი. თათებიდან დაწყებული დაცქვეტილი ყურების ჩათვლით შვიდი ფუტის სიმაღლის ვიქნებოდი. შთამბეჭდავი სანახავი გახლდით. თვალებ-გაფართოებული ბავშვები პირდაღებულები შემომცეკროდნენ. თავი დავუკარი და Hokey Pokey-ს ცეკვა დავიწყე.

ბავშვებს უცებ გადავიწყდათ მშობლების არყოფნით გამოწვეული შიშიც და სევდაც. გაიცინეს. ზოგს თვალებში ისევ ცრემლები უბრნყინავდა, მაგრამ მაინც იცინოდა. მოახლოება ვერ გაბედეს, მაგრამ როცა მუსიკის ხმაზე მოუქნელი მოძრაობების კეთება დავიწყე, ერთი-ორი ნაბიჯი წინ გადმოდგეს. გაოცებულები იყვნენ, მაგრამ არ ეშინოდათ. ჰოუის ყველა იცნობდა. ადგილობრივებს იგი შუადლის შოუში ენახათ, სენტ-ლუისიდან და ომაჰადან ჩამოსულები კი გაზეთების საკვირაო დამატებებიდან იცნობდნენ. იცოდნენ, რომ ჰოუი დიდი ძალი იყო, მაგრამ კარგი ძალი. არ უკბენდათ. მათი მეგობარი იყო.

Hokey Pokey-ს ვცეკვავდი და ეშხში შევდიოდი. ამ ცეკვის დანიშნულებაც სწორედ ეს არის – ხასიათზე მოიყვანოს ადამიანი. დამავიწყდა, რომ მცხელოდა და საშინელ დისკომფორტს განვიცდიდი. ისიც დამავიწყდა, რომ საცვალი დუნდულებს შორის მქონდა ამოჭერილი. მოგვიანებით სიცხისაგან თავიც ამტკიცდებოდა, მაგრამ ცეკვისას ეს არ მაღარდებდა. კარგად ვიყავი, მართლა კარგად. და კიდევ იცით რა? უენდი კიგანიც კი გადამავიწყდა.

მერე მუსიკა შეიცვალა. Sesame Street-ის დაკვრა დაიწყეს. ცეკვა შევწყვიტე, ბალიშამოცმულ მუხლზე დავეცი და მკლავები გავშალე.

– ჰოუი! – დაიყვირა ერთმა პატარა გოგომ. მისი ხმა ამდენი წლის მერეც ყურებში მიდგას. გოგონა წინ გამოიჭრა,

ვარდისფერი კაბა ეშლებოდა და ფუმფულა მუხლები მოუჩან-და. მიზანს მივაღწიე.

მათ იციან, რა უნდა აკეთონო, მითხრა იმ პეპერმა და მარ-თალიც აღმოჩნდა. ჯერ დამაბზრიალეს, მერე წამაქციეს, მერე გარს შემომეხვივნენ, ჩამეხუტნენ და სიცილი დაიწყეს. ვარ-დისფერკაბიანი გოგონა გაუთავებლად მკოცნიდა დრუნჩიზე და იმეორებდა: ჰოუი! ჰოუი! ჰოუი!

ამასობაში მშობლებიც მოგვიახლოვდნენ. აღტაცებულები ჩანდნენ. თათების ქნევა დავიწყე, გადავგორდი და სანამ პატა-რები სიყვარულით დამახრჩობდნენ თავი გავითავისუფლე. იმ დროს ვიგრძენი, როგორ მიყვარდა ბავშვები. ასეთი მცხუნვარე დღის მიუხედავად ძალიან მაგარი იყო.

არ დამინახავს როგორ ჩაიყო მისტერ ისტერბრუკმა მეკუ-ბოვის პიჯაკის ჯიბეში ხელი, რაცია ამოილო და რაღაც სწრაფად ჩაილაპარაკა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ Sesame Street-ის დაკვრა შეწყვიტეს და ისევ Hokey Pokey ჩართეს. ისევ დავიწყე თათების ქნევა. ბავშვებიც მაშინვე ამყვნენ. თან თვალს არ მაცილებდნენ, არ უნდოდათ, რომელიმე მოძრაობა გამორჩენოდათ.

სულ მალე უკლებლივ ყველანი ვცეკვავდით. ცოტა ხან-ში ბავშვების მოსავლელად გამწესებული ახალბედებიც შე-მოგვიერთდნენ. ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ თავად მშობ-ლებიც კი აცეკვდნენ. მერე კუდის ქნევას მოვყევი. ბავშვებს სიცილი აუტყდათ, დაბზრიალდნენ და მომბაძეს – უხილავი კუდების ქიცინი დაიწყეს.

როცა სიმღერა დამთავრდა ბავშვებს „ჰოუის სახლისაკენ“ გავუძეხი. ისეთი ბედნიერები და აღტაცებულები მომყვებოდ-ნენ, თავი ჰამელნელი მესტვირე მეგონა. არცერთს აღარ უტი-რია. ეს დღე ჩემი, როგორც ჰოუის ყველაზე მაგარი დღე ნამ-დვილად არ იყო, თუმცა არც ცუდი ეთქმოდა.

ბავშვები მშვიდობით მივიყვანე „ჰოუის სახლში“ (ვარდის-ფერკაბიანი პატარა გოგონა კარის ზღურბლთან შეჩერდა და დამშვიდობებისას დიდხანს მიქნევდა ხელს). მერე შემოვბრუნდი და გავჩერდი. ჩემს გარშემო ყველაფერი ტრიალებდა. ოფლი თვალებში ჩამდიოდა, „ბზრიალა კასრებს“ და სხვა ატრაქციონებს გაორებულად ვხედავდი. ფეხები მომეკვეთა, წავბორძიკდი. მთელმა ამ ნომერმა – ცეკვის პირველად შესრულებიდან იმ მომენტამდე, როცა პატარა გოგონამ ხელი დამიქნია – სულ რაღაც შვიდ (მაქსიმუმ ცხრა) წუთს გასტანა, მაგრამ უკვე გადამწვარი ვიყავი. იმავე გზით წავბანცალდი, რომლითაც მოვედი. არ ვიცოდი რა უნდა მექნა.

– შვილო, ერთი აქეთ მოდი.

მისტერ ისტერბრუკი იყო, კარში იდგა. შენობაში შემიძლვა, კარი მიხურა და კოსტუმის ელვა გამიხსნა. ჰოუის საოცრად მძიმე თავი მომძვრა და ჩამომივარდა, გაოფლილმა კანმა ხარბად დაიწყო კონდიციონერით გაგრილებული ჰაერის სუნთქვა.

– აგერ კიბეზე ჩამოჯექი. დავრეკავ და მანქანით წაგიყვანენ. ჰოუის როლის მორგება თავიდან ძალიან რთულია, შენ კი კარგად გამოგივიდა. ნამდვილად მოინდომე. ძალიან ენერგიული ნომერი იყო და ამასთან უჩვეულოც.

დიდი მადლობა-მეთქი. მეტი ვერაფერი ვთქვი. სანამ სიგრილეში და სიმშვიდეში არ აღმოვჩნდი, ვერც კი მივხვდი, რამდენად დაძაბული ვიყავი მანამდე.

– თუ გრძნობ, რომ გონებას კარგავ, თავი ჩალუნე.

– არა, გონებას არ ვკარგავ, მაგრამ თავი კი მტკივა. – ცალი ხელი ჰოუის კოსტუმიდან ამოვყავი და სახიდან ოფლი მოვიწმინდე. – თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ნამდვილად გადამარჩინეთ.

– ცხელ დღეს ჰოუის კოსტუმის ტარება 15 წუთზე მეტ ხანს არ შეიძლება. ივლისის ან აგვისტოს დღეებს ვგულისხმობ, როცა ტენიანობა მაღალია და სიცხე გაუსაძლისი ხდება. თუ ვინმემ ამაზე მეტ ხანს დაგაძალა კოსტუმის ტარება, პირდაპირ ჩემთან გამოუშვი. ერთი-ორი მარილის აბის გადაყლაპვაც არ გაწყენდა. გვინდა, რომ ზაფხულში მაგრად იმუშაოთ, მაგრამ თავები კი არ უნდა დაიხოცოთ.

რაცია ამოიღო და რაღაც წყნარად ჩაილაპარაკა. ხუთ წუთში ელექტრომანქანა მოვიდა, ანაცინი და ერთი ბოთლი ყინულიანი წყალიც მომიტანეს. მისტერ ისტერბრუკი დაიხარა და ჩემ გვერდით ძალიან ფრთხილად ჩამოჯდა. შემეშინდა, რამე არ იტკინოს-მეთქი.

– რა გქვია, შვილო?

– დევინ ჯონსი, სერ.

– რას გეძახიან, ჯონსის? – პასუხს არ დალოდებია, – ჰო, რაღა თქმა უნდა ასე გეძახიან, კარნის ენაზე ეგრეა. მთელი „ჯოილენდიც“ ხომ კარნია. ასეთ პარკებს დიდი დღე აღარ უწერია. გასართობი პარკების სამყაროს ყველგან „დისნეი“ და „ნოთს ბერი ფარმი“ დაეპატრონებიან. შეიძლება ცენტრალური სამხრეთი გადარჩეს. აბა მითხარი, როგორ მოგეწონა ქურქის ტარება. გასაგებია, რომ დაგცხა, სხვა მხრივ როგორი იყო?

– მომეწონა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ზოგი ბავშვი ტიროდა.

გაიღიმა.

– მერე?

– მე რომ არ გამოვჩენილიყავი, მალე ყველა ატირდებოდა. მე გავაჩერე.

— კი, მასე იყო. ჩინებულად გამოგივიდა. რა იცოდი, რომ
ეს ცეკვა გაამართლებდა?

- არ ვიცოდი, მაგრამ... ალბათ რაღაცნაირად მივხვდი.
კვლავ გაიღიმა.

— „ჯოილენდში“ ასეთი წესი გვაქვს. ახალბედებს რაღა-
ცას ყოველგვარი მომზადების გარეშე ვავალებთ. ზოგიერთები,
ნიჭის მქონე ახალგაზრდები სპონტანურად იწყებენ რაღაცის
კეთებას. ეს არის განსაკუთრებული რამ, განსაკუთრებული და
ძალიან ძვირფასი. შენს შესახებ რამე ახალი ხომ არ შეიტყვე
ამის კეთების დროს?

- რა ვიცი... არ ვიცი. შეიძლება ერთი რამ გითხრათ, სერ?
- მიდი, ნუ მოგერიდება.

ჯერ შევყოყმანდი, მერე კი გავპედე:

— ამ ბავშვების გასართობი პარკის ბალში დატოვება, ცო-
ტა არ იყოს უნამუსობაა. — ვთქვი და სწრაფად დავამატე: —
„ბზრიალა კასრები“ მართლაც კარგი რამაა პატარებისთვის.
კარგი გასართობია.

— ერთი რამ უნდა იცოდე, შვილო. „ჯოილენდი“ მცირე
მოგებაზე მუშაობს, — მისტერ ისტერბრუკმა ცერითა და საჩ-
ვენებლით დამანახა, რამდენად მცირეზე, — მშობლებმა იციან,
რომ აქ მათ პატარებზე იზრუნებენ, ამიტომაც მთელი ოჯა-
ხით მოდიან. ბავშვების სახლში დატოვება და ძიძის დაქირა-
ვება რომ მოუხდეთ, შეიძლება სულაც არ მოვიდნენ და ჩვენი
მოგებაც აორთქლდება. მესმის რასაც ამბობ, მაგრამ მეც ხომ
მიმიხვდი? ამ პატარათა უმრავლესობა ასეთ ადგილას აქამდე
არასდროს ყოფილა. აქ ყოფნაც ისევე დაამახსოვრდებათ, რო-
გორც კინოში პირველი წასვლა ან სკოლაში გატარებული პირ-
ველი დღე. შენი წყალობით ის აღარ ემახსოვრებათ მშობლე-
ბისაგან მიტოვებულებმა როგორ იტირეს. სამაგიეროდ, ემახ-

სოვერებათ, როგორ იცეკვეს ჰოუისთან ერთად, რომელიც მათ კეთილი ჯადოქარივით გამოეცხადა.

– წარმომიდგენია.

ხელით შემეხო, მაგრამ თავისი დაკოურილი თითებით ჰოუის ეალერსებოდა და არა მე.

– დისნეის პარკებში ყველაფერი წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით კეთდება. მე კი ასეთი რამ მძულს. მძულს. ეს გართობის პაროდიაა, მეტი არაფერი. მე ექსპრომტის მოყვარული ვარ, მიყვარს ადამიანები, რომლებსაც იმპროვიზაცია შეუძლიათ. ამ საქმის გენიოსებიც მინახავს. შეიძლება შენც ეგეთი ხარ. ჯერ ამაზე დანამდვილებით ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ მე მგონი სწორედ ასეთი ხარ. – ხელი წელზე მიიდო და გაიჭიმა. საეჭვო ღრძიალი გაისმა. – შეიძლება შენი მანქანით მეც ვისარგებლო და საწვრილფეხომდე გამოგყვე? მე მგონი, ერთი დღისთვის საკმარისზე მეტ ხანს ვიყავი მზეზე.

ჩემი მანქანა თქვენი მანქანაა-მეთქი, მივუგე. მთელი „ჯოლენდი“ რა, მისი არ იყო?

– მგონი, ამ ზაფხულს კიდევ ბევრჯერ მოგიწევს ქურქის ჩაცმა. ახალგაზრდების უმეტესობა ამას სასჯელად მიიჩნევს, მაგრამ შენ ხომ ასე არ ფიქრობ? ხომ არ ვცდები?

არ ცდებოდა. მას შემდეგ მრავალ ადგილას მიმუშავია, მრავალი რამ მიკეთებია, ჩემი ამჟამინდელი საქმეც, რედაქტორობაც – რაც პენსიაზე გასვლამდე ალბათ ჩემი ბოლო სამსახურია – საშინლად მიყვარს, ძალიან მაგარია, მაგრამ ისეთი უცნაური ბედნიერება არასდროს მიგრძნია, როგორსაც მაშინ, 21 წლის ასაკში ვგრძნობდი, როცა ივნისის იმ ცხელ დღეს ის ქურქი მეცვა და ვცეკვავდი. ვგრძნობდი, რომ იქ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი.

იმპროვიზაცია, პატარავ.

მე, ტომი და ერინი იმ ზაფხულის მერეც მეგობრებად დავრჩით. მე და ერინი დღემდე ვმეგობრობთ, თუმცა ურთიერთობა, ძირითადად, მეილებით და ფეისბუქით გვაქვს. ზოგჯერ ნიუ-იორკში ლანჩზეც ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს. მის მეორე ქმარს არ ვიცნობ. თვითონ ამბობს, რომ კარგი ტიპია. მჯერა. ან რატომ არ უნდა მჯეროდეს? ერინი ხომ თვრამეტი წელი „მისტერ კაი ტიპის“ ცოლი იყო. ამ საზომით თუ ვიმსჯელებთ, მეორე ქმრად ვიღაც მაჩანჩალას არ აირჩივდა.

1992 წელს ტომს ტვინის სიმსივნე დაუდგინეს. ექვს თვეში გარდაიცვალა. როდესაც დამირეკა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ძლივს მითხრა (ასე იმ წყეული ბურთის გამო ლაპარაკობდა, მის თავში რომ დაგორავდა) რაც სჭირდა, ენა ჩამივარდა. ძალიან განვიცადე. როგორ არ უნდა განმეცადა, როცა გავიგე, რომ გაფურჩქვნის ასაკში მყოფი ადამიანი თურმე უკვე ფინიშის ხაზს უახლოვდებოდა. ნუთუ ტომის ცხოვრებაში კარგი აღარაფერი უნდა მომხდარიყო? ნუთუ ვერასდროს ჩაიგორებდა კალთაში შვილიშვილებს და ველარც მაუიზე მოხვდებოდა, სადაც ასე უნდოდა გამგზავრება?

„ჯოილენდში“ ყოფნისას ერთხელ მოვისმინე, როგორ ახსენა მამილო ალენმა „მინდვრის გადაბუგვა“. იქაურ ენაზე ეს კლიენტების გაცურებას ნიშნავდა. მისი სიტყვები მრავალი წლის მერე გამახსენდა, როდესაც ტომმა ამ საშინელი ამბის სათქმელად დამირეკა.

გონებას თავდაცვის უნარი აქვს. ცუდი ამბით გამოწვეული პირველი შოკის გავლის მერე ადამიანი ფიქრობს: „ძალიან ცუდია, გასაგებია, მაგრამ ეგებ შანსი მაინც არსებობს. ეს ხომ არ არის საბოლოო განაჩენი. იმ ადამიანთა 95%, რომლებსაც ასეთი ბანქოს ქაღალდი შეხვდებათ, კვდება, მაგრამ 5% ხომ

ცოცხლობს? ამას გარდა ექიმებიც ცდებიან ხოლმე დიაგნოზის დასმისას. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ზოგჯერ სასწაულიც ხომ ხდება”?

ამ ფიქრებში ხარ ადამიანი, როდესაც ის წყეული ზარი გაისმის. ეს ზარი ქალს ეკუთვნის, ქალს, რომელიც ერთ დროს ლამაზი გოგო იყო, ფრიალა მწვანე კაბით და რობინ ჰუდის სა-საცილო ქუდით „ჯოილენდში“ რომ დარბოდა და დიდ ფოტოა-პარატს დაათრევდა. მიზანში ამოღებული ყურცქვიტები უარს ვერ ეუბნებოდნენ. უარს როგორ ეტყოდნენ, ამ ცეცხლისფერ-თმიან გოგოს, რომელიც ყველას ბედნიერ ლიმილს ჩუქნიდა. ერინ კუკს უარს ვინ ეტყოდა?

ღმერთმა უთხრა უარი. ღმერთმა გადაბუგა ტომ კენედისა და მისი მინდორი. როდესაც ოქტომბრის იმ მშვენიერ საღამოს ყურმილი ავილე, ის გოგონა ქალად ქცეულიყო. მისი ნამტირა-ლევი ხმა დაბერებულად და გადაქანცულად მეჩვენა.

– ტომი დღეს ორ საათზე გარდაიცვალა. მშვიდად მოკვდა. ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ გონებაზე იყო. დამშვიდობების ნიშ-ნად ხელი მომიჭირა.

– ნეტა, მეც მანდ ვყოფილიყო.

– ჰო... – ხმა აუკანკალდა, მაგრამ თავს მოერია, – კარგი იქნებოდა. – თქვა უკვე მტკიცე ხმით.

ადამიანი ასეთ დროს ფიქრობს: „რაც არის არის. გა-დავიტან. ყველაზე უარესისთვის ვარ მზად“. მაგრამ პატარა იმედი არ გტოვებს და ეს იმედი გიღებს ბოლოს. სწორედ ეს გკლავს.

ველაპარაკე. ვუთხარი, როგორ მიყვარდნენ ის და ტომი. ისიც ვუთხარი, რომ დაკრძალვას აუცილებლად დავესწრებო-დი და დავამატე, მანამდეც თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგე-რიდოს – დღე იქნება თუ ლამე – დამირეკე-მეთქი. მერე ის

წყეული ყურმილი დავდე, თავი ჩავქინდრე და გულამომჯდარი ავტირდი.

ჩემი პირველი სიყვარულის დასასრული ახლოს ვერ მივა იმ ტკივილთან ძველი მეგობრის გარდაცვალებამ რომ მომგვარა, მაგრამ განცდა მსგავსი იყო. მაშინ მეგონა, ქვეყნის აღსასრული დადგა-მეთქი. თავიდან თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი (შეიძლება სულელური ფიქრი იყო და არც მთლად გულწრფელი), მერე სეისმურმა ძვრამ ჩემი ცხოვრების ჩვეული კურსი შეცვალა. მაშინ არ ვიცოდი, რისთვის შემედარებინა ეს ყველა-ფერი. აი, ეს არის ახალგაზრდობა.

ივნისის მიწურულს მივხვდი, რომ ჩემი და უენდის ურ-თიერთობა უილიამ ბლეიკის ვარდივით დასნეულებულიყო, მაგრამ იმას კი ვერ ვიჯერებდი, რომ მომაკვდინებელი სენით იყო ავად. ასეთ რამეს მაშინაც ვერ ვიჯერებდი, როცა ამის ყველა ნიშანი ძალიან ცხადი და თვალსაჩინო გახდა.

მაგალითისთვის წერილები ავილოთ. მისის შოფლოუსთან ყოფნის პირველი ერთი კვირის განმავლობაში უენდის ოთხი გრძელი წერილი მივწერე. „ჯოილენდში“ მთელი დღის სირბილის შემდეგ ძლივს მივბობლდებოდი ხოლმე ჩემს მეორე სართულზე მდებარე ოთახამდე და წერილების წერას დიდი მონდომებით ვიწყებდი. დაღლილობისგან ვერ ვაზროვნებდი, თავი ახალი შთაბეჭდილებებით მქონდა სავსე, იმ კოლეჯის სტუდენტივით ვიყავი შუა სემესტრში მისთვის სრულიად უცხო, რთული საგანის (პირობითად, გართობის უმაღლესი ფიზიკის) შესწავლა რომ დაიწყო. პასუხად ერთადერთი ლია ბარათი მივიღე. ბარათის წინა მხარეს ბოსტონის პარკის ხედი

გამოესახათ, უკან კი ორი, სხვადასხვა ხელით შესრულებული წარწერა იყო. სულ ზემოთ ჩემთვის უცნობი ხელით ეწერა: ამ ბარათს გწერს უენდი, რენეს კი საჭე უჭირავს! ქვემოთ სხვა ხელწერა იყო. ამ ხელწერას კარგად ვიცნობდი. ყველაფერი შემძულდა, საკუთარი თავიც კი. ნაჩქარევად წაეწერა: გაუმარჯოს! ჩვენ, გამყიდველი გოგოები თავგადასავლის საძიებლად კეიპ-კოდში წავედით. დროს გავატარებთ. მაგარი მუსიკა იქნება! არ ინერვიულო. სანამ რენე გწერდა, საჭე მე მეჭირა. იმედია, კარგად ხარ. უ.

მაგარი მუსიკა... იმედია, კარგად ხარ... არც „მიყვარხარ“, არც „მენატრები“, მარტო „იმედია, კარგად ხარ“. თუ იმ ოკრობოკრო ასოებით ვიმსჯელებდი, წერილი აშკარად რენეს მანქანაში (უენდის მანქანა არ ყავდა) იყო დაწერილი და თანაცდაძრულ მანქანაში. აშკარად ან დაბოლილები იყვნენ ან მაგარი მთვრალები. მომდევნო კვირასაც ოთხი წერილი მივწერე. ჩემი სურათიც გავუგზავნე. ძალლის კოსტუმი მეცვა. ერინმა გადამიღო. პასუხი არ მომსვლია.

ასეთ დროს ადამიანი ჯერ ღელვას იწყებს, მერე რაღაცას ხვდება და ბოლოს კი რწმუნდება. შეიძლება დაჯერება არ გინდა – თავს ეუბნები, რომ შეყვარებული ადამიანიც ექიმივით ცდება, მცდარ დიაგნოზს სვამს – მაგრამ გულში მაინც ყველაფერი იცი.

ორჯერ დავურეკე. ორივეჯერ ყურმილი ერთმა და იმავე გოგომ აიღო. წარმოვიდგინე, რომ ამ გოგოს აუცილებლად არ-ლეკინის მსგავსი სათვალე ეკეთა, ჩაფართხუნებული ბებრული კაბა ეცვა და, რა თქმა უნდა, პომადა არ ესვა. პირველად მითხრა, არ არის, რენესთან ერთად წავიდაო. მეორედ უფრო მკვახედ მიპასუხა: არც არის და უახლოეს მომავალში არც იქნება, აქედან გადავიდაო.

— გადავიდა? სად გადავიდა? — ვკითხე შეშფოთებულმა. შოთაშორის პანსიონის მისალები ოთახიდან ვრეკავდი. წინ საქალაქთაშორისო კოდების სია მედო. ისე ავნერვიულდი და ძველებური ტელეფონის ყურმილი ისე ჩავბლუჯე, თითები დამიბუჟდა. უენდი კოლეჯში სტიპენდიის წყალობით სწავლობდა, თან ჩემსავით მუშაობდა. ცალკე ბინას ვერ იქირავებდა. თავისი ფულით ვერ გაწვდებოდა, ვინმეს დაუხმარებლად თავს ამის უფლებას ვერ მისცემდა.

— არც ვიცი და არც მაინტერესებს. — მომიგო ჯავალანა გოგომ. — დავიღალე მაგ გოგოების სმით და ლამის ორ საათამდე ლრიანცელით. ზოგ ჩვენგანს ცოტა დაძინებაც უნდა. ვიღაცისთვის შეიძლება წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა.

გული ისე ამიჩქარდა, მის ბაგაბუგს საფეთქლებში ვგრძნობდი.

— რენეც მასთან ერთად გადავიდა?

— არა, იჩხუბეს იმ ბიჭის გამო. იმის გამო, ვინც უენდის აქედან გადასვლაში დაეხმარა. — „უენდი“ ისეთი ზიზღნარევი ტონით წარმოთქვა, რომ ცუდად გავხდი. თავი ასე ცუდად ბიჭის ხსენებაზე არ მიგრძვნია. უენდის ბიჭი მე ვიყავი. მერე რა თუ ვიღაც ამხანაგი, რომელიც, ვთქვათ, სამსახურში გაიცნო, გადაბარგებაში დაეხმარა? მერე რა მოხდა? რა თქმა უნდა, მასაც შეეძლო ბიჭი ამხანაგების გაჩენა, მეც ხომ გავიჩინე, სულ მცირე ერთი ამხანაგი გოგონა.

— რენე მანდ არის? შეგიძლიათ ტელეფონთან სთხოვოთ?

— არა, პაემანზეა წასული. — ეტყობა რაღაცას მიხვდა და ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა. — თქვენ დევინი ხართ, არა?

ყურმილი დავკიდე. ჩემდა უნებურად დავკიდე. ჩემს თავს ვუთხარი, რომ არ მომჩვენებია, რომ ის ჯავალანა გოგო უცებ ცნობისმოყვარე ბუზღუნად გადაიქცა. თითქოს იქ რაღაცაზე

შაყირობდნენ, მე კი ამ შაყირის ნაწილი ვიყავი. ალბათ მთავარი მოქმედი გმირიც გახლდით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტვინს თავდაცვის მექანიზმი აქვს.

სამი დღის შემდეგ უენდისგან წერილი მივიღე. ბოლო წერილი. ფურცლებს უსწორმასწორო გვერდები ჰქონდა, მინდვრებზე ბურთით მოთამაშე ფისოები ეხატა. ამნაირ ფურცლებზე მეხუთე კლასელი გოგონები წერდნენ ხოლმე. სამი გვერდი ერთი ამოსუნთქვით იყო დაწერილი. ძირითადად იმას მწერდა, თუ როგორ წუხდა, ყველაფერი ასე რომ მოხდა და არა სხვაგვარად; წერდა, როგორ ამაოდ ეპრძოდა საკუთარ თავს; წერდა, რომ იცოდა, როგორ მტკენდა გულს; მთხოვდა, რაღაც დროის განმავლობაში არც დამერეკა და არც მენახა. იმედოვნებდა, რომ პირველი შოკი გამივლიდა და მეგობრებად დავრჩიებოდით. მარწმუნებდა, რომ ის კარგი ბიჭი იყო, დარტმუტში სწავლობდა და ლაკროსს თამაშობდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მეც მომენტობლივ და აუცილებლად გამაცნობდა ახალი სემესტრის დაწყებისას და ა. შ. და ა. შ. კიდევ ბევრი სისულელე...

იმ საღამოს „მისის შოთლოუს პანსიონიდან“ ორმოცდაათიოდე იარდში ქვიშაზე ვიჯექი. ერთადერთი განზრახვა მქონდა – უნდა დავმთვრალიყავი. ძვირი არ დამიჯდებოდა. იმ დროს ლუდის ექვსბოთლიანი შეკვრა ისე დამათრობდა, პატრონი ვერ მიცნობდა. ტომი და ერინიც შემომიერთდნენ. ვისხედით და ტალღებს ვუყურებდით: სამი ჯოილენდელი მუშკეტერი.

– რა დაგემართა? – მკითხა ერინმა.

მხრები ისე ავიჩეჩე, თითქოს რაღაც უმნიშვნელო უსიამოვნება შემხვდა.

- შეყვარებული დამშორდა, წერილი მომწერა.
- როგორ იწყებოდა, „ჩემო ძვირფასო, დევ“? – ხუმრობა სცადა ტომმა.

– არ შეგიძლია, ცოტა თანაუგრძნო ადამიანს? – დაუცაცხანა ერინმა. – დამწუხრებული და გულნატკენია და ცდილობს, არ გვაჩვენოს, შენ კიდევ... ისეთი ჩლუნგი ხარ, რომ ვერაფერს ხედავ და ვერაფერს გრძნობ, არა?

– არა, – თქვა ტომმა, ხელი მომხვია და თავისკენ მიმიზიდა, – ძალიან ვწუხვარ, რომ გული ასე გატკინეს, ძმაო! შეიძლება ლუდში ჩაგეზიარო?

– კი, რა თქმა უნდა.

სანაპიროზე კარგა ხანს ვისხედით. ერინი ზრდილობიან დაკითხვას მიწყობდა. ამბის რაღაც ნაწილი დამაფქვევინა კიდეც. დანაღვლიანებული ვიყავი. გულნატკენიც. მაგრამ გაცილებით უარესიც მჭირდა და არ მინდოდა, მათ ეს ეგრძნოთ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მშობლებმა ასე გამზარდეს – ბავშვობიდან ჩამჩიჩინებდნენ, რომ საკუთარი უბედურების სხვებისთვის თავს მოხვევა დიდი უზრდელობა იყო, მაგრამ კიდევ უფრო უარესი მიზეზის გამოც ვდუმდი – არანორმალურად ვეჭვიანობდი. ისიც კი არ მინდოდა, რომ მათ იმ მატლის არსებობა სცოდნოდათ (ის ხომ დარტმუტიდან იყო, ჰო, იქიდან იყო, ალბათ „მუსტანგიც“ ყავდა, რომლებიც მშობლებმა სკოლის დამთავრების აღსანიშნავად უყიდეს). მაგრამ ყველაზე უარესი ეჭვიანობაც არ იყო. ყველაზე ძნელი იმის გაცნობიერება იყო, რომ მე ცხოვრებაში პირველად უარმყვეს. უენდიმ თავისი ცხოვრებიდან ამომშალა, მაგრამ მე როგორ უნდა ამომეშალა?

ერთი ლუდი ერინმაც აიღო.

– მოდი, ამით შენს შემდეგ გოგოს გაუმარჯოს. არ ვიცი, ვინ იქნება, მაგრამ შენ თუ შეგხვდა ნამდვილად გაუმართლებს.

– გაიგეთ! ისმინეთ! – წამოიძახა ტომმა და თავისი ლუდი ასწია. მერე, იმიტომ რომ ტომი იყო და რამე აუცილებლად უნდა ეთქვა, დაამატა: – ყველაფერი კარგად იქნება!

არ მგონია, რომელიმე მართლა მიმხვდარიყო, რა დღეში ვიყავი იმ ზაფხულს. როგორ გამომეცალა მიწა ფეხქვეშ. არ იცოდნენ და არც მინდოდა სცოდნოდათ. მეუხერხულებოდა. მრცხვენოდა. ამიტომაც თავს ძალა დავატანე, გავიღიმე, ჩემი ლუდიც ავწიე და დავლიე.

კარგი ქნეს იმ ექვსი ბოთლის დალევაში რომ ჩამეზიარნენ. მეორე დღეს გამონაყოლი არ მქონია, მარტო გულგატეხილი ვიყავი. კიდევ კარგი. „ჯოილენდში“ მისვლისას მამილო ალენმა განმიცხადა, რომ იმ დღეს ქურქი უნდა ჩამეცვა. სამი თხუთმეტწუთიანი ცვლა მქონდა – სამზე, ოთხზე და ხუთზე. ზრდილობის გულისთვის შევიგინე (ყველა იგინებოდა, როცა ეტყოდნენ, ქურქში უნდა გამოეწყო), მაგრამ გულში გამიხარდა. მსიამოვნებდა ბავშვებით გარშემორტყმულს სიარული. მომდევნო დღეებში ჰოუის როლის შესრულება რაღაც სულ სხვა, მწარე გასართობად იქცა. როდესაც „ჯოილენდში“ კუდის ქიცინით დავაბიჯებდი, ვფიქრობდი, არაფერია გასაკვირი იმაში, უენდიმ რომ მიმატოვა-მეთქი. მისი ახალი შეყვარებული დარტმუტში სწავლობდა და ლაკროსს თამაშობდა. ძველი კი ზაფხულს მესამე კატეგორიის გასართობ პარკში ატარებდა და თანაც ძალლის როლს ასრულებდა.

ზაფხული „ჯოილენდში“.

ატრაქციონებს ვმართავდი, დილაობით ტირს ვამზადებდი, ანუ პრიზებს თაროებზე ვალაგებდი, ნაშუადლევს კი ზოგიერთ

მათგანს გავცემდი. ათობით ერთმანეთში გადახლართულ „ეშ-მაკის ვაგონს“ ვაცალკევებდი, ვძრანავდი ფუნთუშებს ისე, რომ ზედ თითებს არ ვაწვავდი და „კაროლინის ბორბალზეც“ ვმუშაობდი. სხვა ახალბედებთან ერთად „ბზრიალა კასრების“ სცენაზეც ვცეკვავდი. რამდენჯერმე ფრედ დინმა „მოსაფოც-ხადაც“ გამიშვა, ასეთი რამ დიდი ნდობით აღჭურვას ნიშნავდა, რადგან თორმეტ და ხუთ საათზე სხვადასხვა პავილიონები-დან და ჯიხურებიდან ფული უნდა ამეგროვებინა. როდესაც რომელიმე ატრაქციონი ან კარუსელი გაფუჭდებოდა, სათადა-რიგო ნაწილების მოსატანად ჰევენს-ბეიში ან უილმინგტონში მივრბოდი, ოთხშაბათ საღამოს ტომთან, ჯორჯ პრესტონთან და რონი ჰიუსტონთან ერთად „ბზრიალა კასრების“ ან საში-ნელი ატრაქციონის, სახელად „ელვის“, დასაზეთად გვიანო-ბამდე ვრჩებოდი. ამ „ელვაზე“ კაცი კისერს მოიტეხდა. ორივე ისე ნთქავდა ზეთს, როგორც ოზისში მოხვედრილი აქლემი – წყალს. რაღა თქმა უნდა, ქურქიც მეცვა.

ყველაფრის მიუხედავად, ღამით თითქმის არ მეძინა. ზოგ-ჯერ გაშოტილი ვინექი, ჩემი ძველი, დასკოჩილი ყურსასმენე-ბი მეკეთა და „დორზს“ ვუსმენდი (განსაკუთრებით ხალისია-ნი მელოდიების მოსმენა მსიამოვნებდა. ვუსმენდი Cars Hiss By My Window-ს, Riders on the Storm-ს და, რაღა თქმა უნდა, The End-ს). როცა ვეღარც ჯიმ მორისონის ხმა მამშვიდებდა, ფე-ხაკრეფით ვდგებოდი და გარე კიბით სანაპიროზე სასეირნოდ ჩავდიოდი. ერთი-ორჯერ ნაპირზეც კი მეძინა. ცუდ სიზმრებს არ ვნახულობდი. მე მგონი იმ ზაფხულს არც არაფერი დამსიზ-მრებია.

დილით, წვერის პარსვისას, ვამჩნევდი, რომ უპეები შეშუ-პებული მქონდა, ზოგჯერ თავბრუ მეხვეოდა, განსაკუთრებით, თუ წინა დღეს ჰოუის როლის შესრულება მიხდებოდა (ყვე-

ლაზე მძიმე „საშინელებათა სახლში“ გამართული დაბადების დღეების საგიუვეთში მოხვედრა იყო), მაგრამ მისტერ-ბრუკმა მითხრა, რომ ეს ჩვეულებრივი რამ იყო. საწვრილფეხო-ში მცირე ხნით სულს ვითქვამდი ხოლმე. მოკლედ, ვქაჩავდი, როგორც ახლა იტყვიან. ივლისის პირველ ორშაბათს კი, ოთხი ივლისის ზეიმამდე ორი დღით ადრე, თვალები ამეხილა.

„ბიგლი“ დილაობით მამილო ალენის ტირში იკრიბებოდა. სამუშაოზე ის გვანაწილებდა. თან ჩვენ მოგვმართავდა, თან თოფებს საქმიანად და გულმოდგინედ თავ-თავიანთ ადგილას აწყობდა. პარკის გახსნამდე პრიზებს ვალაგებდით (უმრავლე-სობას „დამზადებულია ტაიპანში“ ენერა). იმ დილით მამილომ მითხრა, ლეინ ჰარდი გეძახისო. გამიკვირდა. როგორც წესი, ლეინ ჰარდი საწვრილფეხოდან ცხვირსაც არ ყოფდა, სანამ პარკის გახსნას 20 წუთი არ დააკლდებოდა. საწვრილფეხოსკენ წავედი, მაგრამ მამილომ დამიყვირა:

— არა, მაქეთ არა. იმ ჯართის გროვასთან არის. — „კარ-ლინის ბორბლის“ ამგვარად მოხსენიება შეურაცხმყოფელი იყო. ამას ლეინის თანდასწრებით ვერავინ გაბედავდა. — გაინძერი, ჯონსი, დღეს ბევრი საქმე გვაქვს.

ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ ბორბალთან მისულს არავინ დამხვდა. ის კი ამართულიყო — მაღალი, უძრავი და ჩუმი. იდგა და პირველ სტუმრებს ელოდა.

— აქეთ მოდი! — შემომესმა ქალის ხმა. მარცხნივ შევბრუნ-დი და როზი გოლდი დავინახე, თავის ვარსკვლავებით მოჭე-დილ ჯიხურთან იდგა. მადამ ფორტუნას სრულ აღკაზმულო-ბაში გამოწყობილიყო. ლურჯი თავშალი ეკეთა, რომლის გამო-

ნასკვული ბოლო წელამდე დასთრევდა. გვერდით თავის ჩვეულ სამოსში გამოწყობილი ლეინი ედგა – მომდგარი, გახუნებული ჯინსი და თასმებიანი მაისური ეცვა. მისი შემხედვარე იფიქ-რებდი, ამას თავში ტვინის ნასახი არ აქვსო, მაგრამ ტვინი საკ-მარისზე მეტი ჰქონდა.

შოუსათვის საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილები. სახეზე ეტყობოდათ, რომ ცუდი ამბავი უნდა ეთქვათ. გონების თვალი ბოლო რამდენიმე დღეს გადავავლე, ეგებ რამე დავაშავე და არ მახსოვს-მეთქი. უცებ ისიც ვითიქრე, იქნებ ლეინს ჩემი სამსახურიდან დათხოვნა ან სულაც გაგდება დაავალეს-მეთქი, მაგრამ ზაფხულის პიკზე ასეთ რამეს ვინ დაავალებდა? ასეთი რამის გაკეთება ხომ ფრედ დინის ან ბრენდა რაფერტის საქმე იყო. ან როზის რაღა უნდოდა...

– ვინმე მოკვდა?

– რაც მთავარია, შენ არა. – მიპასუხა როზიმ. როლში შედიოდა და სასაცილოდ ლაპარაკობდა. ბრუკლინური აქცენტისა და კარპატების მკვიდრ მთიელთა კილოს ნაზავი იყო.

– რა ხდება?

– გამოგვყევი, ჯონსი, – მითხრა ლეინმა და ორივე ბილიკს გაუყვა, რომელიც ჯერ – პარკის გალებამდე საათნახევრით ადრე – ცარიელი იყო. მხოლოდ რამდენიმე დამლაგებელი მოჩანდა. პავილიონებთან გზას ხვეტდნენ. როცა დავეწიე, როზი და ლეინი აქეთ-იქით ამომიდგნენ. თავი იმ დამნაშავესავით ვიგრძენი ორ პოლიციელს განყოფილებაში რომ მიყავს.

– რა ხდება?

– ნახავ. – ავისმომასწავებელი ხმით მითხრა როზი/ფორტუნამ.

მალე მართლაც ვნახე. „საშინელებათა სახლის“ გვერდით „სარკეებიანი სასახლე“ იდგა. ბილეთების გამყიდველის ჯი-

ხურთან ჩვეულებრივი სარკე ეკიდა. სარკის ზემოთ აბრა იყო: ეს იმისთვის, რომ არ დაგავიწყდეთ, სინამდვილეში როგორ გამოიყენოთ. ლეინმა ერთ მკლავზე წამავლო ხელი, როზიმ კი მეორეზე. ახლა კი ნაღდად დამნაშავეს ვგავდი. ამწიეს და სარკის წინ დამაყენეს.

- აბა, რას ხედავ? – მკითხა ლეინმა.
- საკუთარ თავს. – ვთქვი და სასწრაფოდ დავამატე: – ცოტა თმა მაქვს გასაკრეჭი. – ესეც იმიტომ ვთქვი, რომ პირველმა პასუხმა ლეინი აშკარად არ დააკმაყოფილა.
- შე შტერო, შენა, ტანსაცმელს შეხედე. – მითხრა როზიმ. ბოლო ორი სიტყვა ძალიან სასაცილოდ წარმოთქვა.

შევხედე. სამუშაო ჩექმები, ჯინსი (შარვლის უკანა ჯიბიდან ხელთათმანებს ამოეყო თავი), გახუნებული ცისფერი პერანგი (გახუნებული, მაგრამ სუფთა), ჰოუის გამოსახულებიანი შელახული ქუდი. ჩემი ჩაცმულობის ეს ბოლო შტრიხი ბევრს ნიშნავდა!

- რა გინდათ, ვერ გავიგე. – ცოტა არ იყოს გავბრაზდი.
- მე მგონი, ტანსაცმელი ზედ გკიდია, თუ მეშლება რამე?
- მკითხა ლეინმა. – ადრე ასე არ გქონდა. რამდენი დაიკელი?
- არ ვიცი. ეგებ დრანცალა უოლისთან მივსულიყავით? – დრანცალა უოლი იმ ჯიხურს განაგებდა, რომელსაც „აბა გამოიცანი, რამდენი კილო ხარ“ ერქვა.
- სასაცილო არ არის, – გაბრაზებით მითხრა ფორტუნამ,
- ამ სიცხეში მთელი დღე იმ ძალლის კოსტუმს დაათრევ, მერე მარილიან აბებს ყლაპავ და ამას სადილს ეძახი! იგლოვე ის შენი დაკარგული სიყვარული, მაგრამ ჭამას კი ნუ გადაეჩვევი. ჭამე, გაიგე?!
- ვინ გითხრა, ტომმა? არა, ტომი არ გეტყოდა. ერინი იქნებოდა. რა მავისი საქმეა...

– არავისაც არ უთქვამს – მხრებში გაიშალა როზი. – მე თვითონ ვხედავ.

– რას ხედავ არ ვიცი, მაგრამ რაღაცების მოგონება კი ნამდვილად გეხერხება.

– მე მეექვსე გრძნობაზე არ ვლაპარაკობ, ბავშვო, მე ჩვეულებრივ ქალურ ხედვაზე გელაპარაკები. როგორ გგონია, სიყვარულით გონებადაბინდულ რომეოს ვერ ვიცნობ? ამდენი წელია ხელისგულებს დავყურებ და ბროლის ბურთებს ვაშტერდები, ეგ შემეშლება? – ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა. შთამბეჭდავი ზომის მკერდიც აზიდა. – შენს პირად ცხოვრებასთან არაფერი მესაქმება, უბრალოდ არ მინდა, ოთხ ივლისს საავადმყოფოში ამოყო თავი. ისე, რომ იცოდე, მაგ დღეს ყველაზე მაღალი ტემპერატურაა გამოცხადებული. იქნებ მზის დარტყმა მიიღო ან რამე კიდევ უარესი დამართო თავს.

ლეინმა თავისი ქვაბურა მოიხადა, შიგ ჩაიჭყიტა და ისევ თავზე დაიკოსა.

– როზი პირდაპირ არ გეუბნება. მიკიბულ-მოკიბულად გელაპარაკება, თავის მკითხავის რეპუტაციას უფრთხილდება, მაგრამ ერთი რამ იცოდე, პატარა ბიჭო, ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხარ, წესიერი ბიჭი ხარ, პატიოსანი, რასაც გავალებენ აკეთებ, პრობლემებს არავის უქმნი. ყველაფერს სწრაფად ითვისებ. იმ ქურქში რომ გამოეწყობი, პატარები შენზე გიუდებიან, მაგრამ ბრმა ხომ არ ხარ, ვერ ხვდები, რომ რაღაც გჭირს? როზის ჰელინია, რომ გოგოს ამბავია. ეგებ არც ცდება... – როზიმ ისე გახედა თითქოს ეუბნებოდა, აბა გაბედე და ჩემს ნათქვამში ეჭვი შეიტანეო. – ან ეგებ შენი მშობლები განქორნინებას აპირებენ. ჩემები როცა გაშორდნენ, კინაღამ მოვკვდი. ან იქნებ სულაც შენი უფროსი ძმა ჩააყუდეს წამლის ბარიგობისთვის.

— დედა გარდაცვლილი მყავს. ამას გარდა ერთადერთი შვილი ვარ. — დამუავებული სახით ვიდექი.

— იმ გარე სამყაროში ვინ ხარ და რა ხარ ეგ ჩემი საქმე არ არის. ეს „ჯოილენდია“. შოუ. შენ ჩვენიანი ხარ, რაც ნიშნავს, რომ შენზე ზრუნვის უფლებაც გვაქვს. არ აქვს მნიშვნელობა, მოგწონს ეს თუ — არა. ასე რომ ჭამე რამე.

— ბევრი ჭამე, — მითხრა როზიმ, — ახლაც ჭამე, შუადლისი-თაც, მთელი დღე ჭამე. ყოველდღე ჭამე. შემწვარი ქათმის გარდა სხვა რამეც ჭამე, ყოველ ბარკალში გულის შეტევაა ჩადებული. „ლანგუსტში“ წადი და უთხარი, რომ თევზი და სალათა კონტეინერში ჩაგიდონ და ისე გამოგატანონ. ორმაგი პორცია მოგცენ. ცოტა წონაში მოიმატე, თორემ მოსიარულე ჩონჩხეს გავხარ. — მზერა ლეინზე გადაიტანა: — გოგოს ამბავია, აბა რა!

— კარგი, ჰო, გეყოფა, ნუ გაუტრაკე ამ ბავშვს!

— აბა! ქალბატონის თანდასწრებით რეებს იძახი. — თქვა როზიმ მკაცრად. ეგრევე მაღამ ფორტუნად გადაიქცა.

— კარგი, მოვრჩეთ. — თქვა ლეინმა და თავისი ბორბლისკენ წავიდა.

როზის შევხედე. ჩემს დედობას ბევრი აკლდა, მაგრამ არც მის გარდა მყავდა ვინმე.

— როზი, ჩემი ამბავი ყველამ იცის?

უარის ნიშნად თავი გააქნია.

— სტაუიანებისთვის შენ ერთი რიგითი ახალბედა ხარ, რომელსაც ყველაფერი გამოსდის... თუმცა აღარც ისეთი ახალბედა ხარ, როგორც სამი კვირის წინ იყავი. მაგრამ აქ ბევრს მოსწონხარ და ყველანი ხვდებიან, რომ შენს თავს რაღაც ხდება. მაგალითად, შენი მეგობარი ერინი. თუნდაც შენი მეგობარი ტომი. — „მეგობარი“ რაღაც უცნაურად, წამლერებით წარმოთქვა, თითქოს სხვა სიტყვას გაურითმაო. — მეც შენი მეგობარი

ვარ და ამიტომ შემიძლია გითხრა, რომ გულს ვერ მოერევი. მას მხოლოდ დრო მოერევა. სამაგიეროდ, შეგიძლია სხეულს მოერიო, ამიტომ ჭამე!

– რა ებრაელ დედასავით ლაპარაკობ!

– მე მართლაც ებრაელი დედა ვარ და დამიჯერე, საქმე სახუმაროდ არ გაქვს.

– მჯერა.

– მაგას არაფერი ეშველება. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც. მთავარია სხვა ფიქრებს არ აყვე, აი იმათ, დროდადრო რომ გსტუმრობენ.

გაოცებისგან პირი დავაღე. ადამიანებს, რომლებიც დიდ-ხანს არიან იმ ბიზნესში, რომელშიც როზი გოლდი (ჩვენს ენაზე მათ თათმანებს ვეძახდით, რადგან ხელისგულზე მკითხაობ-დნენ), განსაკუთრებული უნარი აქვთ. ისინი აზრებს კითხუ-ლობენ და არა ხელისგულებს. ხალხს ეს ტელეპათია ჰგონია, სინამდვილეში კი მათი დაკვირვებულობის შედეგია.

თუმცა, არა ყოველთვის.

– იმ ჯაგაჯუგების მოსმენასაც შეეშვი, გაიგე? – მკაცრად შემომხედა და ჩემს სახეზე ალბეჭდილი გაოცების დანახვაზე გულიანად გაიცინა. – როზი გოლდი შეიძლება ერთი უბრალო ებრაელი დედა და ბებიაა, მაგრამ მადამ ფორტუნა მართლაც ბევრს ხედავს.

ჩემი ბინის პატრონიც ბევრს ხედავდა და ამჩნევდა, მაგ-რამ ეს მოგვიანებით შევიტყვე, მაშინ, როცა მისის შოთულოუ და როზი გოლდი ერთად ვნახე; მადამ ფორტუნას იშვიათ გამო-სასვლელ დღეს სანაპიროზე ლანჩს შეექცეოდნენ. ერთმანეთს მრავალი წლის განმავლობაში იცნობდნენ და ახლო მეგობრები იყვნენ. მისის შოთულოუ კვირაში ერთხელ ჩემს ოთახში მტვერს წმენდდა. უთუოდ ნანახი ექნებოდა რას ვუსმენდი. რაც შეეხე-

ბა დანარჩენს, ანუ თვითმკვლელობაზე ფიქრს, რა გასაკვირია, ქალს, რომელიც ამდენი წლის მანძილზე ადამიანის ბუნებას და ფსიქოლოგიას აკვირდება, სცოდნოდა, უარყოფილი ახალგაზრდა კაცი ზოგჯერ აბებზე, თოკებსა და წყალქვეშა დინებებზე რომ ფიქრობდა?

— კარგი, შევჭამ. — ყასიდად მივუგე. პარკის გაღებამდე ათასი საქმე მქონდა, გარდა ამისა მინდოდა გავცლოდი, სანამ რამეს კიდევ იტყოდა, მაგალითად: მას უენდი ჰქვია და ნძრევისას მუდამ მასზე ფიქრობ.

— და კიდევ, ძილის წინ ერთი დიდი ჭიქა რძე დალიე. — თითო დამიქნია. — ყავა არა, რძე. კარგად დაგეძინება.

კარგი, ვცდი-მეთქი.

მერე ისევ როზიდ გადაიქცა.

— გახსოვს, ჩვენი შეხვედრის პირველ დღეს რომ მკითხე, შენს მომავალში ახალგაზრდა, ლამაზ, შავთმიან გოგოს ვხედავდი თუ არა. გახსოვს?

— კი, მახსოვს.

— და მე რა გითხარი?

— რომ ის ჩემს წარსულში დარჩა.

როზიმ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, სერიოზულად და მედიდურად.

— კი, ასეა. შენს წარსულში დარჩა. და როდესაც დაურეკავ და სთხოვ, კიდევ ერთი შანსი მოგცეს — შენ კი მას აუცილებლად დაურეკავ — თავმოყვარეობა არ დაგავიწყდეს. თავმოყვარეობას ნუ დაკარგავ. ნურც ის დაგავიწყდება, რომ საქალაქ-თაძორისო ზარები ძვირი სიამოვნებაა.

„ისეთი რამე მითხარი, რაც მე არ ვიცი“ — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ ეს ვუთხარი:

— კარგი, როზ, ახლა უნდა წავიდე, ბევრი საქმე მაქვს.

– ჰო, ყველას მძიმე დღე გველის. მაგრამ სანამ წახვალ, ერთ რამეს გკითხავ. იმ ბიჭს უკვე შეხვდი? აი იმას, ძალლი რომ ყავს. ან იმ გოგონას, ნითელი ქუდი რომ ახურავს და თოჯინას დაატარებს. ჩვენი პირველი შეხვედრისას მათზეც გითხარი.

– როზ, ამ ბოლო დროს ათას ბავშვს...

– ესე იგი არ შეხვედრიხარ, მაგრამ აუცილებლად შეხვდები. – ქვედა ტუჩი გამობრიცა და შუბლზე ჩამოშლილ თმას სული შეუბერა. მერე მაჯაზე წამავლო ხელი. – ჯონსი, საფრთხეს ვხედავ. საფრთხე და სევდა გელოდება.

ერთი წუთით მომეჩვენა, რომ რამე ამდაგვარს მეტყოდა: შავ უცნობს უფრთხილდი! ცალთვლიან ველოსიპედზე ამხედრებულ უცნობს! მაგრამ ხელი გამიშვა და „საშინელება-თა სახლზე“ მიმითითა:

– იმ საშინელ ჯურლმულს რომელი გუნდი ემსახურება? შენი ხომ არა?

– არა, „დოპერმანების“.

„დოპერმანები“ მიმდებარე ატრაქციონებზეც იყვნენ პასუხისმგებელნი – „სარკეებიან სასახლესა“ და „ცვილის მუზეუმ-ზე“. ამ სამი ატრაქციონის არსებობით „ჯოილენდი“ პატივს მიაგებდა ძველი ბაზრობების სულს.

– კიდევ კარგი. მაგას არ გაეკარო. მანდ სული სახლობს. იმ ბიჭს, რომელსაც ცუდი აზრები აქვს აკვიატებული, მაგ მოჯადოებულ სახლში სიარულილა აკლია. იგივეა პირსავლებში დარიშხანი რომ გაურიო. კაპიშ?

კი-მეთქი, ვუთხარი და საათს დავხედე.

ჩემი უესტის მნიშვნელობას მიხვდა და წასასვლელად მოემზადა.

– იმ ბავშვებზე თვალი გეჭიროს. თავსაც გაუფრთხილდი, ბიჭუნი! თავზე ჩრდილი გადგას.

უნდა გამოვტყოდე, ლეინმა და როზიმ მაგრად შემანჯლრიეს. „დორზს“ მაინც ვუსმენდი, მაგრამ ჭამას კი ვუმატე. დღეში სამ რძიან კოქტეილსაც გეახლებოდით. ვიგრძენი, როგორ ამევსო სხეული ახალი ენერგიით. ოთხ ივლისს „ჯოილენდი“ სავსე იყო. იმ დღეს ყველა დროის რეკორდი მოვხსენი – ქურქი ათვერ მეცვა.

განრიგის გადმოსაცემად თავად ფრედ დინი მეახლა. მის-ტერ ისტერბრუკის წერილიც გადმომცა. „თუ მიხვდი, რომ ძა-ლიან დაიღალე, ყველაფერს შეეშვი და შენი გუნდის კაპიტანს უთხარი, შემცვლელი მოგინახოს“, ენერა წერილში.

- არაფერი მომივა.
- კარგი, მაგრამ ეს წერილი მამილოს აუცილებლად ანახე.
- კარგი, ვანახებ.

ბრედს მაგრად მოსწონხარ, ჯონსი. ასეთი რამ იშვიათობაა. როგორც წესი, ახალბედებს ვერ ამჩნევს, თუ ვინმემ რამე არ გააფუჭა.

ისტერბრუკი მეც მომწონდა, მაგრამ ფრედისთვის არაფე-რი მითქვამს. ემანდ არ ეფიქრა, ტრაკში უძვრებაო.

ოთხ ივლისს ყველა გამოსვლა ათწუთიანი უნდა მქონოდა. აიტანდა კაცი, მაგრამ გამოსვლები ათის ნაცვლად თხუთმეტ წუთს გამიგრძელდა. თანაც უმოწყალოდ ცხელოდა. ყველაფე-რი დუღდა. ბედად, დოტი ლასენმა მეორე XL-ის ზომის კოს-ტუმიც შეაკეთებინა. ხან ერთი მეცვა, ხან მეორე. სანამ ერთი მეცვა, დოტი მეორეს ატრიალებდა და ასე ამობრუნებულს ვენ-ტილატორთან კიდებდა, რომ ოფლი შეშრობოდა.

იმ დროს კოსტუმის გახდა-ჩაცმის საიდუმლო უკვე ვი-ცოდი. ქურქს მე თვითონ, სხვის დაუხმარებლად ვიძრობდი. ჰოუის მარჯვენა თათი ხელთათმანივით უნდა წამოგეცვა. რაც ეს აღმოვაჩინე, ზურგზე ელვის გახსნას უკვე უმარტივესად ვახერხებდი. მთავარი იყო, თავი მოგეძრო, მერე ყველაფერი თავისით ხდებოდა. ახლა უკვე გასაწევი ფარდის უკან ვდგე-ბოდი და ქურქს დამოუკიდებლად ვიხდიდი. საწვრილფეხოში გოგოების ნინაშე გაოფლილი, ნახევრადგამჭვირვალე საცვლით დგომა აღარ მიწევდა.

ოთხ ივლისს, როცა გამოსვლები დამეწყო, ყველა სხვა მოვა-ლეობისგან გამათავისუფლეს. ყოველი გამოსვლის მერე „ჯოი-ლენდის“ მიწისქვეშეთში გავრბოდი, საწვრილფეხოში დივანზე ვწვებოდი და ხარბად ვისუნთქავდი კონდიციონერით გაგრილე-ბულ ჰაერს. ძალების აღდგენის შემდეგ ერთი ოფლიანი კოს-ტუმის ნაცვლად მეორეში ვეხვეოდი. ნომრებს შორის უამრავ წყალს და უშაქრო ცივ ჩაის ვსვამდი. ალბათ არ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, რომ მაგრად მომწონდა რასაც ვაკეთებდი. იმ დღეს ყველას ვუყვარდი.

და აი, ნაშუადღევის სამი საათი და ორმოცდახუთი წუთია. „ჯოილენდ ავენიუს“ ცეკვა-ცეკვით მივუყვები, თავზე კი ხმის გამაძლიერებლები დამბლავიან: Chick-A-Boom, Chick-A-Boom, Don'tcha Just Love It. ბავშვებს ვეხვევი და ვეფერები, უფროსებს კი აგვისტოს თვის გასაოცარი ფასდაკლების კუპონებს ვური-გებ. სეზონის მიწურულს, კლიენტების შემცირებასთან დაკავ-შირებით, „ჯოილენდში“ მუდამ ფასდაკლებები იმართებოდა. ფოტოებს მიღებენ, ვპოზიორობ (ზოგ ფოტოს ჩვენი, ჰოლივუ-დელი გოგოები მიღებენ, ზოგსაც მშობლები), უკან აღფრთო-ვანებული ბავშვების გუნდი დამყვება და თვალს არ მაშორებს. მე აქეთ-იქით ვიყურები, „ჯოილენდის“ მიწისქვეშეთის კარს

ვეძებ, რადგან ვგრძნობ, რომ მეტი აღარ შემიძლია. ჰოუის როლში ერთი გამოსვლალა დამრჩა, ერთადერთი, რადგან ჰოუი თვის დაცევეტილ ყურებს და ცისფერ თვალებს მზის ჩასვლის შემდეგ აღარავის ანახებს. ის კი აღარ ვიცი, რატომ. უბრალოდ შოუს ასეთი ტრადიცია აქვს.

ის პატარა წითელქუდიანი გოგონა მგონი მანამ შევნიშნე, სანამ „ჯოილენდის“ გახურებულ ასფალტზე დაეცემოდა. თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რადგან დრო მცდარ მოგონებებს წარმოშობს, რეალურებს კი ასხვაფერებს. გასართობ პარკში წითელქუდიანი ბავშვის დანახვა, აბა, ვის გაუკვირდებოდა. იმ დღეს ალბათ ათასობით ასეთი წითელი ქუდი გავყიდეთ. და თუ მაინც შევნიშნე, მხოლოდ იმ თოჯინის წყალობით, რომელიც გულზე მიეხუტებინა. მადამ ფორტუნამ ხომ სულ რაღაც ორი დღით ადრე გამაფრთხილა, თვალი მჭეროდა წითელქუდიან, თოჯინიან გოგონაზე. იქნებ ამიტომაც შევნიშნე. ან იქნებ სულაც იმაზე ვფიქრობდი, როგორმე გზიდან გადავსულიყავი, რომ გული არ წამსვლოდა და ძირს არ გავშოტილიყავი. პრობლემა მის თოჯინას არ შეუქმნია, ჰოთდოგმა შექმნა, რომელიც მეორე ხელში ეჭირა.

მგონი მახსოვს, როგორ გამოიქცა ჩემკენ (ყველანი მობოდნენ). სინამდვილეში ის მახსოვს, რაც მერე მოხდა, ისიც მახსოვს, რატომ მოხდა. ჰოთდოგს ილუკმებოდა და როცა „ჰოუიი“-ს დასაძახებლად პირი გააღო, ლუკმა გადაცდა. ჰოთდოგი ხომ შესანიშნავი რამეა დასახრჩობად. საბედნიეროდ, როზი გოლდის წინასწარმეტყველება გამახსენდა და სწრაფად ვიმოქმედე.

გოგონას მუხლები მოეკეცა. მის სახეზე აღბეჭდილი ბედნიერება ჯერ გაოცებამ შეცვალა მერე კი – შიშმა. მაშინვე ხელთათმნიანი თათი ზურგზე ვიტაცე და ელვის გახსნა დავინყე. ჰოუის თავი მომერყა და გვერდზე გადამივარდა. აწითლე-

ბული, ოფლიანი სახე გამომიჩნდა. პატარა გოგონას თოჯინა დაუვარდა, ქუდი მოძვრა და ხელი ყელზე იტაცა.

— ჰოლი, — დაიყვირა ვიღაც ქალმა, — ჰოლი, რა მოგივიდა?

მაგრამ მე იქ ვიყავი. მე, ვინც ვიცოდი, რა მოუვიდა გოგონას და ისიც ვიცოდი, რა უნდა მექნა. ალბათ გესმით, როგორ გაუმართლა პატარას. 1973 წელი იდგა. ჰენრი ჰაიმლიხმა ამ ამბიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი სახელგანთქმული სტატია და ჰაიმლიხის მანევრიც მერელა გახდა ცნობილი. თუმცა ამ ხერხს მანამდეც ბევრი იცნობდა. ეს ილეთი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სასადილოში მუშაობის დაწყებამდე ჩატარებულ ტრენინგზე გვასწავლეს. ჩვენი ტრენერი რესტორანთა ომებში გამობრძმედილი ვეტერანი იყო, ქალაქში „მაკდონალდსის“ გახსნის მერე თავისი კაფეს დახურვა რომ მოუხდა.

— დაიმახსოვრეთ, არაფერი გამოვა თუ მთელი ძალა არ დაატანეთ, — გვითხრა მაშინ, — როცა ხედავთ, რომ თქვენს თვალწინეთი ვიღაც იღუპება, ნეკნის შემოტყდომაზე ნუ იფიქრებთ.

დავინახე, როგორ გალურჯდა გოგონა, ამიტომ მის ნეკნებზე ნამდვილად არ მიფიქრია. მაგრად ჩავბლუჯე და ბანჯგვლიანი მარცხენა თათი მკერდზე მთელი ძალით მოვუჭირე. ხელი მხოლოდ ერთხელ დავაჭირე მაგრად და ყვითელი ჰოთდოგი, ლამის ორი დუიმის სიგრძის, ისე ამოუვარდა პირიდან, როგორც შამპანურის ბოთლიდან საცობი. ოთხი ფუტის იქით დაეცა. არც ნეკნები დამტვრევია. ბავშვები ხომ მოქნილები არიან.

ვერ ვამჩნევდი ჩემი და ჰოლი სტენსფილდის გარშემო უამრავი ადამიანი რომ შეკრებილიყო. არც ის ვიცოდი, რომ თურმე ათობით ფოტო გადაგვიღეს. ერთი ფოტო ერინ კუპ-მაც გადაიღო. ეს სურათი „ჰევენს-ბეი უიქლიშიც“ დაიბეჭდა და სხვა უფრო დიდ გაზეთებშიც. ის ფოტო დღემდე მაქვს შე-

მორჩენილი. სხვენში, რომელიღაც ყუთში დევს. სურათში ჩანს, როგორ მოუმწყვდევია პატარა გოგონა ძალლისა და კაცის ჰიბ-რიდს მკლავებში. გოგონას ხელები დედისკენ გაუწვდია, დედა კი ბავშვის წინ იმუხლავს. ეს ყველაფერი ერინის „სპიდ-გრა-ფიკმა“ მშვენივრად აღბეჭდა.

ახლა ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად მახსოვს. მახსოვს, როგორ დასტაცა დედამ ხელი ბავშვს და აიტატა, მამამ კი მითხრა: „შენ ჩვენი გოგონა გადაარჩინე“. აი ეს კი სრულიად ცხადად მახსოვს – გოგონამ დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა და თქვა: „საწყალო ჰოუი, თავი მოგძვრომია“!

„სტარ-ნიუზმა“ სათაურის მოფიქრების მხრივ დიდი ორი-გინალობა ნამდვილად ვერ გამოავლინა და ერინის ფოტოს ზემოთ დაწერა: „გასართობ პარკში ძალლება გოგონა გადაარჩინა“.

ამის წაკითხვისას შურისძიების სურვილმა შემიჰყო. მომინდა ეს ფოტო ამომეჭრა და უენდი კიგანისთვის გამეგზავნა. შეიძლებოდა ასეც მოვქცეულიყავი, მაგრამ იმ ფოტოზე დამხრჩალ კატას ვგავდი. სამაგიეროდ მამას გავუგზავნე. მამამ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემით ამაყობდა. ხმა ისე უკანკალებდა, მივხვდი, ცრემლებს ძლივს იკავებდა:

– დევ, ღმერთმა საჭირო დროს, საჭირო ადგილას მოგახვედრა.

არ ვიცი, ღმერთმა თუ როზი გოლდმა ანუ იგივე მადამ ფორტუნამ. ან ეგებ ორივემ ერთად.

მეორე დღეს მისტერ ისტერბრუკმა კაბინეტში დამიბარა. კაბინეტის კედლები ფიჭვის პანელებით მოეპირკეთებინათ.

კედლებზე ძველი ბაზრობების აფიშები და ფოტოები იყო გაკრული. ყველაზე მეტად ის ფოტო მომენტი, რომელზეც ჩალის ქუდიანი, ულვაშა კაცი ჯიხურის წინ იდგა. ჯიხურს ეწერა: „მოსინჯე საკუთარი ძალა“. თეთრი პერანგის სახელოები დაეკაპინებინა და დიდ ჩაქუჩის ხელჯოხივით ეყრდნობოდა. ბოძზე, ზარის გვერდით, წარწერა გამოეკრათ: „პოლიცია მას, ძალაშითონებო! ის ნამდვილი მამაკაცია“!

— ეს კაცი თქვენ ხართ?

— კი, მე გახლავარ. თუმცა, ამ სულელურ შოუში მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში ვმონაწილეობდი. ჩემს გემოვნებაში ასეთი რამ არ ჯდება. ხალხის მოტყუება ჩემი სტილი არაა. მე პატიოსანი თამაშის მომხრე ვარ. დაჯექი, ჯონსი. „კოლას“ ხომ არ დალევ?

— არა, სერ, გმადლობთ. — იმდენი რძიანი კოქტეილი მქონდა დალეული, მუცელი მიბუყბუყებდა.

— მიკიბ-მოკიბვას არ დავიწყებ, პირდაპირ გეტყვი. გუშინ ჩვენს შოუს ისეთი რეკლამა გაუკეთე, ოცი ათას დოლარს იმსახურებ, მაგრამ მე პრემიის მოცემის საშუალება არ მაქვს. რომ იცოდე... არა, არაფერი. — წინ გადმოიხარა: — უნდა ვაღიარო — შენგან დიდად დავალებული ვარ. თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, მთხოვე. ყველაფერს შეგისრულებ, რაც შემეძლება. შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

— კარგი. კიდევ ერთხელ ხომ არ გამოხვიდოდი ჰეოუის როლში, ახლა უკვე იმ პატარა გოგონასთან ერთად? გოგონას მშობლებს სურთ პირადად გითხრან მადლობა, მაგრამ ამ გოგონასთან ერთად სახალხოდ გამოჩენა „ჯოილენდისთვის“ საუკეთესო რეკლამა იქნება.

— ეგრე იყოს. როდის?

– შაპათს, ნაშუადლევს. სპეციალურ სცენას მოვაწყობთ.
პრესას მოვიწვევთ.

– დიდი სიამოვნებით. – პრესის ფურცლებზე კიდევ ერთხელ მოხვედრა ძალიან მინდოდა. ჩემი ეგოსტვის მეტად რთული ზაფხული იყო. საკუთარი თავისადმი რწმენის დასაბრუნებლად ასეთი რამ მჭირდებოდა.

ისტერბრუკი ისე ფრთხილად წამოდგა, გეგონებოდათ შუშის ფეხები აქვსო და ხელი გამომიწოდა:

– კიდევ ერთხელ გეტყვი მადლობას იმ გოგონას სახელით და, რაღა თქმა უნდა, „ჯოილენდის“ სახელითაც.

მისტერ ისტერბრუკის ოფისი, სხვა ადმინისტრაციულ შენობებთან ერთად, უკანა ეზოში მდებარეობდა. ოფისიდან გამოსულს მთელი გუნდი გარეთ დამხვდა. მამილო ალენიც კი მოსულიყო. წინ ჰოლივუდელი გოგოს მწვანე კაბაში გამოწყობილი ერინი იდგა (მწვანე ფერი წარმატების მომტანად ითვლებოდა), ხელში „კემპბელის“ წვნიანის ქილებისგან გაკეთებული „დაფნის გვირგვინი“ ეჭირა. ჩემს დანახვაზე მუხლებზე დაეცა და შესძახა:

– ეს შენ, ჩემო გმირო!

ისეთი ნამზეური მქონდა, მეგონა, განითლება აღარ შემეტყობოდა, მაგრამ შევცდი.

– ღმერთო, რას შვრები! ადექი ფეხზე!

– პატარა გოგონების მხსნელი! – წამოიძახა ტომ კენედიმ.

– და კიდევ ჩვენი სამსახურის მხსნელი. ალძრული სარჩელების მიუხედავად, დახურვა აღარ გვემუქრება.

ერინი უცებ ფეხზე წამოხტა და ის სულელური, კონსერვებისგან შეკრული გვირგვინი თავზე მომარგო, გადამეხვია და ყველას თვალნინ მაკოცა. „ბიგლის“ წევრებმა ყიუინა დასცეს.

— კარგი, — თქვა მამილომ, როცა უივილ-ხივილი მიწყნარდა,
— ჯონსი, ყველა ერთხმად ვალიარებთ, რომ ნამდვილი რაინდი
ხარ. თუმცა არიფები დახრჩობისაგან სხვებსაც გადაურჩენიათ.
არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. ახლა საქმისთვის ხომ
არ მიგვეხედა?

საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. სახელი და დიდება ცუ-
დი არ იყო, მაგრამ იმასაც მივხვდი, რისი თქმა სურდათ კონ-
სერვის ქილებისგან შეკრული გვირგვინის დადგმით.

ქურქი იმ შაბათსაც ჩავიცვი. პარკის შუა გზაზე საგანგე-
ბო სცენა მოეწყოთ. ბედნიერი ვიყავი, რადგან ჰოლი მეჭირა
ხელში. გოგონასაც აშკარად უხაროდა ჩემს მკლავებში ყოფნა.
დარწმუნებული ვარ ფოტორეპორტიორებმა ცხრა მილის სიგ-
რძის ფირი დახარჯეს იმ კადრების გადაღებაზე, რომლებშიც
გოგონა თავის საყვარელ ძალლს კოცნის.

ფოტოაპარატმომარჯვებული ერინი წინა რიგებში იდგა,
მაგრამ სულ მცირე ხნით, რადგან ყველა ფოტოგრაფი მამაკა-
ცი იყო, მასზე მაღალი და დიდი. მალე ერინი უკან, ნაკლებად
ხელსაყრელ ჰოზიციაზე გადააჩოჩეს. რა სურდათ ამ ჭიპებს?
ის, რაც ერინს უკვე ჰქონდა — ჩემი ფოტო, ჰოუის მომძვრალი
და გვერდზე გადაგდებული თავით. ამას არ გავაკეთებდი, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ფრედი, ლეინი და თვით მისტერ ისტერ-
ბრუკიც კი არ დამსჯიდნენ. ამას არ გავაკეთებდი, რადგან ასე-
თი რამ პარკის ჭრადიციებს ეწინააღმდეგებოდა: ჰოუი ქურქს

სახალხოდ არასდროს იხდიდა. მართალია, ქურქი სახალხოდ ერთხელ უკვე გავიხადე, მაგრამ ის აუცილებლობით გამოწვეული გამონაკლისი იყო. გამიზნულად ამ წესს არ დავარღვევდი. მე მგონი, ბოლოს და ბოლოს ნამდვილ კარნიდ ვიქეცი (თუმცა, კარნი კარნთაგანი ჯერ კიდევ არ ვიყავი).

მოგვიანებით, ჩემს ჩვეულებრივ ტანსაცმელში ჩაცმული, „ჯოილენდის“ „მომსახურების ცენტრში“ ჰოლისა და მის მშობლებს კვლავ შევხვდი. მივხვდი, რომ დედიკო მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ და ნაყინისა და მუავე კიტრის ჭამის სამი-ოთხი თვე წინ ჰქონდა. ჩამეხუტა და ატირდა. ჰოლი არ ღელავდა. პლასტმასის სკამზე იჯდა და ფეხებს აქანავებდა. გოგონას დედას ხელი ზურგზე მოვუთათუნე და ვუთხარი:

— საკმარისია, დამშვიდდით.

როცა გოგონას მამა მომიახლოვდა და ჩემს სახელზე გამოწერილი 500 დოლარის ჩეკი გამომიწოდა, თვალებში ცრემლები უბრნყინავდა. ვკითხე, რას საქმიანობთ-მეთქი. ერთი წლის წინ საკუთარი ფირმა დავაარსეო. ჯერ პატარაა, მაგრამ ნელ-ნელა ფეხზე დგებაო. გავიფიქრე, ერთი ბავშვი ყავთ, ახლა მეორეს ელოდებიან-მეთქი და ჩეკი დავხიე. ვუთხარი, რომ ფულს ვერ ავიღებდი იმაში, რაც ისედაც ჩემი მოვალეობა იყო.

არ დაგავიწყდეთ, მხოლოდ 21 წლის ვიყავი.

„ჯოილენდის“ პერსონალი შაბათ-კვირას არ ისვენებდა. ცხრა დღეში ერთხელ დღენახევრით დასვენება გვერგებოდა. ანუ ყოველ ჯერზე სხვადასხვა დღეები გვიწევდა. უქმეების არჩევისას ჩვენს სურვილებს ითვალისწინებდნენ, ანუ მე, ტომი და ერინი ერთსა და იმავე დღეებში ვისვენებდით ხოლმე. ამი-

ტომაც აგვისტოს იმ სალამოს სამივე ერთად ვიყავით. სანაპიროზე კოცონის გარშემო ვისხედით. ვახშამი ისეთი გვქონდა, მხოლოდ ახალგაზრდები რომ გეახლებიან: ლუდი, ბურგერები, ჩიფსები და კომბოსტოს სალათა. დესერტად ერინის მიერ გრილზე შემწვარი მარშმალოუ მივირთვით. მშვენიერი იყო.

სანაპიროს გაყოლებაზე სხვა უამრავი კოცონიც დაენთოთ. ულამაზესი სანახაობა იყო – აბრჭყვიალებულ სამკაულებს მოგაგონებდათ. ასეთი ცეცხლის დანთება XXI საუკუნეში აღიატუვებული იქრძალება იმ კანონებით, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანებს მრავალი ლამაზი რამის გაკეთებისგან თავის შეკავებას უნდესებს. არ მესმის, რატომაა ასე, მაგრამ ასეა.

როდესაც ვახშამს შევექცეოდით, ტომს და ერინს მადამ ფორტუნას წინასწარმეტყველების შესახებ ვუამბე. ვუთხარი, ასე თქვა, ერთ პატარა ბიჭს გაიცნობ, რომელსაც ძალლი ეყოლება და პატარა წითელქუდიან გოგონას შეხვდები, რომელსაც ხელში თოჯინა ეჭირებათ. ერთი უკვე ახდა, ახლა მეორის ახდენას ველოდები-მეთქი.

– იქნებ მართლა ექსტრასენსია, – თქვა ერინმა, – ბევრმა მითხრა, მაგრამ მე არ...

– ვინ გითხრა? – ჩაეძია ტომი.

– მაგალითად, დოტი ლასენმა. კიდევ ტინა ეკერლიმ, ჩვენმა ბიბლიოთეკარმა, დევი რომ ლამ-ლამობით აკითხავს ხოლმე.

ხელით ვანიშნე, ხომ არ უბერავ-მეთქი. ერინმა გაიცინა.

– ორი ბევრი არ არის. – განაცხადა ტომმა.

– ლეინ ჰარდისაც თუ მივათვლით, სამი იქნება. – დავამატე მე. – ლეინი ამბობს, მადამ ფორტუნა ხალხს ისეთ რამეებს ეუბნება, ეცემიანო. – ვიფიქრე, აჯობებს ყველაფერი გავუმხილო-მეთქი და დავამატე: – ისიც მითხრა, მაგისი წინასწარმეტყველების 90% სრული სისულელეაო.

– ალბათ 95%. – განაცხადა ტვინის ბურღმა. – თუ სიმართლე გინდათ, მკითხაობა მაგარი ბლეფია. ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, დაბოლებაა. ავილოთ მაგალითად ქუდი. „ჯოილენდის“ კეპები მხოლოდ სამი ფერისაა – ლურჯი, წითელი და ყვითელი. რა თქმა უნდა, ყველაზე პოპულარული წითელია. რაც შეეხება თოჯინას... უამრავი ბავშვი მოათრევს თავის სათამაშოს გასართობ პარკში. მათთვის პარკი უცხო ადგილია, საყვარელი სათამაშო კი კომფორტის შეგრძნებას უქმნით. ის ჰოთდოგი პირდაპირ შენს თვალწინ რომ არ გადასცდენოდა, ჰოუის უბრალოდ რომ ჩახუტებოდა და გაევლო, მაშინ სხვა წითელქუდიან და თოჯინიან გოგონას დაინახავდი და იტყოდი: „ნახე! მადამ ფორტუნამ ხომ მითხრა! ეგ ქალი, მართლა ხედავს! ცოტა ფული უნდა ვაჩუქო, რომ კიდევ მითხრას რამე“.

– რა ცინიკოსი ხარ! – წამოიძახა ერინმა და მუჯლუგუნი უთავაზა. – როზი გოლდი არასდროს შეეცდება შინაურების-თვის ფულის დაცინცლვას.

– არა, ფული არ გამოურთმევია. – ვთქვი და მივხვდი, რომ ტომის ნათქვამი სიმართლესთან ახლოს იყო. მართალია, როზიმ დაინახა (ან თავი მომაჩვენა, თითქოს დაინახა), რომ ჩემი შავთმიანი ჩემს წარსულში დარჩა, რომ იგი ჩემს მომავალში ალარ გამოჩენდებოდა, მაგრამ ესეც ალბათ პროცენტების ამბავი იყო.

– რა თქმა უნდა, არ გამოგართმევდა, – თქვა ტომმა და მორიგი ბურგერი დაითრია, – შენზე უბრალოდ ივარჯიშა, რომ ფორმიდან არ ამოვარდნილიყო. დარწმუნებული ვარ, სხვა ახალბედებსაც ბევრ რამეს ეტყოდა.

– შენთვისაც ხომ არ უთქვამს რამე?

– არაა... მაგრამ ეგ არაფერს ნიშნავს.

ახლა ერინს შევხედე. უარის ნიშნად თავი გააქნია.

– როზი იმასაც ამბობს, რომ „საშინელებათა სახლში“ მოჩვენება ცხოვრობს.

– ეგ მეც გამიგია, – თქვა ერინმა, – ის გოგო ცხოვრობს, მანდ რომ მოკლეს.

– სისულელეა! – წამოიძახა ტომმა.

– მკვლელობა მართლა მოხდა. – ვთქვი მე. – გოგონას ლინდა გრეი ერქვა. ფლორენსიდან იყო, სამხრეთ კაროლინადან. მისი და მისი შეყვარებულის ფოტოც არსებობს, სადაც ორივენი ტირთან გაჭიმულ რიგში დგანან. ბიჭს ხელზე ფრინველის სვირინგი ჰქონია. ზუსტად არ ვიცი ქორი იყო თუ არწივი.

ტომი მისმენდა.

– ლეინ ჰარდი მხოლოდ იმას ამბობს, რომ როზი გოლდს ჰერნია, თითქოს „საშინელებათა სახლში“ მოჩვენება ბინადრობს. ამიტომაც არ შედის იქ. თუ საჭირო არ არის, ამ სახლთან ახლოსაც არ მიდის. ლეინს ამაზე ეცინება, რადგან მისი თქმით, სახლში მოჩვენება მართლაც ბინადრობს.

ერინს თვალები გაუფართოვდა და ცეცხლთან მიჩოჩდა. ალბათ უფრო ეფექტის მოხდენა უნდოდა ან სურდა, ტომს მის-თვის ხელი გადაეხვია.

– თვითონ ნახა?

– არ ვიცი. მითხრა მისის შოფლოუს ჰკითხეო. შოფლოუმ კი ყველაფერი მიამბო. – ეს ამბავი მათაც თავიდან ბოლომდე მოვუყევი. ამ მთვარიან ღამეში, როცა ნაპირს ტალღები ეხეთ-ქებოდა, კოცონისგან კი ნაღვერდლებილა დარჩა, კარგი მოსაყოლი ამბავი იყო. ტომზეც კი იმოქმედა.

– რას ამბობს? ამბობს ლინდა გრეი ნამდვილად ვნახეო? მისის შოფლოუზე გეკითხები. – დაინტერესდა ტომი, როცა ამბის თხრობას მოვრჩი.

გონიერაში აღვიდგინე მისის შოთალოუს იმდლევანდელი ნაამბობი.

— არა, არ მგონია. ასეთი რამ არ უთქვამს. რომ ენახა, მეტყოდა.

კმაყოფილმა ტომმა თავი დამიქნია.

— მე აგიხსნი ასეთი რაღაცები როგორ მუშაობს. ყველა იცნობს ვიღაცას, ვისაც მფრინავი თეფში უნახავს, ასევე ყველა იცნობს ვიწმეს, ვისაც მოჩვენება გამოცხადებია. ასეთი მტკიცებულებები სასამართლოში არ მიიღება. მე კი ურწმუნო თომა ვარ. ტომ კენედი ანუ ურწმუნო თომა. გასაგებია?

ერინმა ახლა უფრო ძლიერი მუჯლუგუნი უთავაზა.

— გავიგეთ. — თქვა და ცეცხლს დააშტერდა. — იცი რა? ზაფხულის ორი მესამედი გავიდა და „საშინელებათა სახლში“ ჯერაც არ ვყოფილვარ. ახლოსაც არ მივსულვარ. მის შესასვლელთან ბავშვებისთვისაც კი არ გადამიღია ფოტოები. მანდ გადალება არ შეიძლება. იცი რატომ? ბრენდა რაფერტიმ გვითხრა, რომ იქ წყვილები „იმ საქმისთვის“ შედიან. — თვალებმოჭუტულმა შემომხედა. — რას იჯღანები?

— არა, არაფერი. ახლა წარმოვიდგინე, როგორ შედიოდა მისის შოთალოუს აწვარდაცვლილი ქმარი იქ პარკის დახურვის მერე და ყოველ საღამოს ათობით საცვალს კრეფდა.

— ბიჭებო, თქვენ რომელიმე ყოფილხართ?

უარის ნიშნად ორივემ თავები გავაქნიეთ.

— „საშინელებათა სახლის“ დალაგება სხვა გუნდის საქმეა.

— თქვა ტომმა.

— მოდი, ხვალ შევიდეთ. სამივე ერთ ვაგონში ჩავსხდეთ. ეგება და ის მოჩვენებაც ვნახოთ.

— დასვენების დღეს სანაპიროზე ყოფნის ნაცვლად „ჯოლენდში“ წავიდეთ? — იკითხა ტომმა. — მაზოხიზმია.

ახლა ერინმა იდაყვი პირდაპირ ნეკნებში ჩასცხო. არ ვი-
ცოდი, სექსი უკვე ჰქონდათ თუ არა, მაგრამ, სავარაუდოდ,
ექნებოდათ.

— კარგი რა, რას სულელობ! როგორც თანამშრომლებს
შესვლა უფასოდ გვეკუთვნის და მატარებლით გასეირნებას
რამდენი წუთი უნდა? სულ ხუთი.

ტომმა ერინს თავზე ნიკაპი დაადო და გამომხედა:

— „კარგი რა, რას სულელობ“! უმალ შეატყობ, რომ ამ გო-
გოს კოლეჯის განათლება აქვს მიღებული. იქაურ გოგოებთან
მეგობრობამდე ალბათ ასე იტყოდა: რას ატრაკებ!

— მაგ ჩათლახებთან მეგობრობას მაშინ დავიწყებ, თავით
რომ საკუთარ ტრაკში შევძვრები — თქვა ერინმა. კოლეჯის გო-
გოების ამგვარად მოხსენიებამ გული მომფხანა. უენდის გამო,
ცხადია. — შენ კი, ტომას პატრიკ კენედი, მგონი გეშინია, რომ
იმ მოჩვენებას სადმე მართლა ვნახავთ და მერე უკან მოგიხდე-
ბა შენი სიტყვების წალება მადამ ფორტუნაზე, მოჩვენებებზე,
ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე და...

ტომმა ხელები ასწია:

— კარგი, გნებდები. დანარჩენ ყურცქვიტებთან ერთად
რიგში ჩავდგებით და „საშინელებათა სახლის“ დასათვალიე-
რებლად შევალთ. მაგრამ მხოლოდ ნაშუადღევს. ამას კატე-
გორიულად მოვითხოვ. ხვალ უნდა გამოვიძინო. დასვენება და
ფორმაში ჩადგომა მჭირდება.

— რა თქმა უნდა, გჭირდება. — მივუგე.

— შენგან მაგის რჩევა ცოტა სასაცილოა, საკუთარ თავს
შეხედე. ერთი ლუდიც მომე.

მივაწოდე.

— მოგვიყევი, რა გითხრეს იმ ბავშვის მშობლებმა. სულ
გმირი გეძახეს, არა? — მკითხა ერინმა.

დაახლოებით ასე იყო, მაგრამ ამის აღიარება არ მინდოდა.

– რა ვიცი, ნორმალური ტიპები იყვნენ.

– ფული არ მოგცეს? – მკითხა ტომმა.

წარმოვიდგინე, გოგონა, რომელიც გადავარჩინე, ახლა
შეიძლებოდა კომაში ყოფილიყო ან კიდევ უარესი – კუბოში
წოლილიყო. გულწრფელად მივუგე:

– მამამისი 500 დოლარს მაძლევდა, მაგრამ უარი ვუთხარი.

ტომმა თვალები ჭყიტა.

– ხუმრობ?

მარშმალოუს დავხედე. თითებზე მეღვენთებოდა, ავდექი
და ცეცხლში მოვისროლე. ალარ მშიოდა. თავს უხერხულად
ვგრძნობდი და ნერვები მეშლებოდა.

– ის კაცი ბიზნესის აწყობას და ფეხზე დაყენებას ცდი-
ლობს. ცოლი ყავს და პატარა ბავშვი. ახლა კიდევ მეორე ბავშვს
ელოდება. ასეთ კაცს გასაჩუქებელი ფული არ აქვს ხოლმე.

– შენ ხომ გაქვს, რა.

დღემდე არ ვიცი, ტომი მაშინ მართლა გაბრაზდა თუ უბ-
რალოდ თავს მაჩვენებდა. შეიძლება თავიდან ტყუილად შეიც-
ხადა, მაგრამ მერე ნელ-ნელა აზრზე მოვიდა რაც გავაკეთე და
მართლა გაბრაზდა. არ ვიცი, ოჯახში რა მდგომარეობა ჰქონ-
და, მაგრამ ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობდა და არც
მანქანა ყავდა. ერინის გასასეირნებლად მანქანას მე მთხოვდა
ხოლმე... ისე, ყურადღებიანი იყო, ჰედანტიც კი, როცა საქმე
დახარჯული ბენზინის ფულის გადახდას ეხებოდა. ფულს დიდ
ყურადღებას აქცევდა. ბოლომდე ვერ ჩავწვდი, რა მნიშვნელო-
ბა ჰქონდა მის ცხოვრებაში ფულს, მაგრამ ის კი დანამდვილე-
ბით ვიცი, რომ სულერთი არ იყო.

– ჩემი და ერინის მსგავსად კოლეჯში შენც ღმერთის იმე-
დად ხარ, „ჯოილენდში“ მუშაობით ლიმუზინს ვერ იყიდი.

— კარგი, გეყოფვა. — უთხრა ერინმა.

ტომი მაინც თავისას განაგრძობდა:

— რა გინდა? გინდა მთელი პირველი სემესტრი დილაუ-
თენია ადგე ხოლმე და სასადილოში ჭუჭყიანი თეფშები რეც-
ხო? ალბათ გინდა! იცი, როგორ დავხურე პირველი წელი?
იცი, როგორ გადავიხადე ფული? მდიდარ ბიჭებს საკურსოებს
და საშინაო დავალებებს ვუწერდი მაშინ, როცა ისინი ლუდის
სმის უმაღლეს კურსს გადიოდნენ. გამომიჭირეს, შეიძლებოდა
მთელი სემესტრი აღარ დავეშვი კოლეჯში ან სულაც გამოვე-
პანდურებინე იქიდან. ახლა გეტყვი, რამდენი დაჯდა ეგ შენი
ჟესტი. შენ გააჩუქე კვირაში ოცი საათი, რომელიც სწავლაში
შეგეძლო დაგეხარჯა, — მიხვდა, რომ ყვიროდა, გაჩუმდა და
გაიღიმა, — ან მაგარ გოგოებთან ლაზლანდარობაში.

— მე შენ მოგცემ მაგარ გოგოებს! — წამოიძახა ერინმა
და ტომს დაეძგერა. ქვიშაზე გადაგორდნენ, ერინი უღიტინებ-
და, ტომი ყვიროდა, შემეშვიო (საკმაოდ არადამაჯერებლად).
არ გავპრაზებულვარ, რადგან არ ვაპირებდი ტომის მიერ წა-
მოჭრილი საკითხების განხილვას. რაღაც გადაწყვეტილებები
უკვე მიღებული მქონდა, ახლა მათი ბოლომდე გააზრება იყო
საჭირო.

მეორე დღეს, ოთხის თხუთმეტ წუთზე „საშინელებათა სახ-
ლის“ წინ რიგში ვიდექით. ამ პავილიონს ბრეიდი უოტერმანი
განაგებდა. ეს ტიპი კარგად მახსოვდა, რადგან ჰოუის როლს
შესანიშნავად ასრულებდა (თუმცა ჩემსავით კარგად მაინც ვერ
გამოსდიოდა... ამას მხოლოდ ობიექტურობის გამო ვამბობ).
ზაფხულის დასაწყისში ბრეიდი მსუქანი იყო, ახლა კი წონა გვა-

რიანად დაეგდო. გახდომის ამბავში ქურქს ვერაფერი შეედრებოდა, ნებისმიერ დიეტას ჯობდა.

— აქ რა გინდათ, ხალხო, დღეს არ ისვენებთ? — გვკითხა გაოცებულმა.

— გვინდა საკუთარი თვალით ვნახოთ „ჯოილენდის“ შავბნელი ატრაქციონი. — მიუგო ტომმა.

— სამივე ერთ ვაგონში ჩაეკვეხებით? — გვკითხა ბრეიდიმ.

— ასე მოგვიწევს. — მიუგო ერინმა.

ბრეიდი დაფიქრდა. ენის წვერით ზედა ტუჩი გაილოკა. მივხვდი, ფიქრობდა, რა ეპასუხა. შესაძლო ვარიანტებს ითვლიდა.

ამასობაში ჩვენ უკან მდგომი ტიპის ხმა გაისმა:

— ბავშვებო, ნინ ხომ ვერ ნაინევთ? როგორც ვიცი, შიგნით კონდიციონერებია ჩართული, იქნებ შევიდეთ?

— კარგი, კისერიც გიტეხიათ. — ეს პასუხი ბრეიდის იუმორის უმაღლესი გამოვლინება იყო.

— მოჩვენება მართლა არის შიგნით? — ვკითხე.

— რამდენიც გინდა. იმედი მაქვს, ყველა შენ შემოგაფრინდება.

„სარკეებიანი სასახლით“ დავიწყეთ. სარკეებთან ცოტა ხანს ვჩერდებოდით. იქიდან ხან ჩვენი უჩვეულოდ გაწელილი გამოსახულებები შემოგვყურებდნენ, ხანაც ბრტყელი და დაჭყლეტილი. მერე „ცვილის მუზეუმს“ მივადექით. იქ ჯგუფის სხვა წევრებზე გაცილებით ადრე მივედით. სხვები სარკეებს ვერ ცილდებოდნენ, შიგ იჭყიტებოდნენ და ხარხარებდნენ.

ტომის გასაკვირად „ცვილის მუზეუმში“ მკვლელების ნაცვლად ცნობილი ადამიანების ფიგურები დაგვხვდა. კართან

მომლიმარი ჯონ კენედი და თავის ცნობილ კოსტუმში გამოწყობილი ელვის პრესლი აეყუდებინათ. ერინმა ყურადღება არ მიაქცია წარწერას „გთხოვთ, ნუ შეხებით“ და ელვისის გიტარას ხელი ჩამოკრა. მერე უკან დაიხია და Can't Help Falling in Love with You-ს სიმღერა დაიწყო.

— ყოჩალ! — მხიარულად შესძახა ტომმა და ერინს მოეხვია.

„ცვილის მუზეუმიდან“ კარი „კასრისა და ხიდის“ ოთახში გადიოდა. ამ ოთახში უამრავი რახრახა მანქანა-დანადგარი დაგვხვდა. საზარელ ხმას კი გამოსცემდნენ, მაგრამ უვნებლები იყვნენ. ჭერიდან სხვადასხვა ფერის შუქი ასხივებდა. ერინი მეორე მხარეს ლაყლაყა ხიდით გადავიდა, მისი თანმხლები მაჩო კი გორიალა კასრებით. მე მათ შორის მივიკვლევდი გზას, მთვრალივით ვბარბაცებდი, მაგრამ ერთ ჯერზე მეტად არ წავქცეულვარ. ტომი შედგა, ხელ-ფეხი თოვინასავით გაჩაჩხა და სალტო გააკეთა.

— მორჩი, შე იდიოტო! იქნებ კისერი მოიტეხო! — დაუყვირა ერინმა.

— არ მოიტეხავს, რომც დავარდეს არაფერი მოუვა, ბალიშები დევს. — მივუგე მე.

ტომი მოგვიახლოვდა. იცინოდა, სულმთლად წითელი იყო.

— არა უშავს. ტვინის უჯრედები გამიცოცხლდა. ისინიც კი, ბავშვობის მერე რომ ეძინათ.

— იმ უჯრედებზე რას იტყვი, ამასობაში რომ დაგეხოცა? — ჰკითხა ერინმა.

სხვა ოთახში შევედით. სათამაშო აპარატები იდგა, თინეი-ჯერები ერთობოდნენ. ერინმა ცოტა ხანს უყურა. გულხელდაკრეფილი უყურებდა და სახეზე უკმაყოფილება ეწერა.

— რა, ვერ ხვდებიან, რომ სატყუარაა?

— ხალხი აქ იმიტომ მოდის, რომ სატყუარის მსხვერპლი გახდეს. — ავუხსენი მე.

ერინმა ამოიოხერა:

– მე კი ტომი მეგონა ცინიკოსი.

სათამაშო აპარატების ოთახის ბოლოს მოელვარე, მწვანე თავის ქალის ქვეშ წარწერა ანათებდა: „იძით საშინალებათა სახლია! ყურადღება! ფეხმძიმე ჩალებს და ბავშვიანებს შეუძლიათ გავიძნენ მარცხნივ“!

წინკარში შევედით. ყველგან კაკანის და კივილის ფონოგრამის ექო ისმოდა. მოციმციმე წითელი შუქები ერთადერთ ლიანდაგს და ჩაბნელებული გვირაბის შესასვლელს ანათებდნენ. გვირაბის სილრმიდან გრუხუნი და კივილი ისმოდა. მაგრამ ეს ფონოგრამა აღარ იყო. მხიარულ შეძახილებს ნამდვილად ვერ დაარქმევდი, თუმცა, შეიძლება, ზოგიერთი მხიარულობდა კიდეც.

„საშინელებათა სახლის“ ზედამხედველი, გუნდ „დოპერმანების“ ხელმძღვანელი ედი პარკსი. მოგვიახლოვდა. რბილი ტყავის ხელთათმანები ეკეთა და სიძველისგან გახუნებული, თითქმის ფერდაკარგული ქუდი ეხურა (თუმცა შუქის ყოველ ანთებაზე ქუდი კაშკაშა წითელი ხდებოდა). ჩვენს დანახვაზე უცნაურად ჩაიფრუტუნა:

– ძალიან მოწყენილი უქმეები გამოგსვლიათ.

– სულაც არა. – მიუგო ტომმა.

ერინმა ედის გაცისკროვნებული სახით შესცინა, თუმცა ედის ღიმილითვე არ უპასუხია.

– ალბათ სამივე ერთ ვაგონში ჩასხდებით, ასე გირჩევნიათ, არა?

– კი, აუცილებლად. – მივუგე მე.

– როგორც იტყვით. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ დაიმახსოვრეთ, თქვენზეც იგივე წესები ვრცელდება, რაც შველაზე. წესი წესია! ხელები შიგნით გქონდეთ.

– გასაგებია. – მიუგო ტომმა და თანხმობის ნიშნად ხელი აუნია. ედიმ ტომს ისე შეხედა, გეგონებოდათ, რაღაც უცნაურ მნერს აკვირდებაო და საკონტროლო პუნქტისკენ წავიდა. საკონტროლო პუნქტი სამი ბერკეტისგან შედგებოდა და ნათურით განათებული რამდენიმე ღილაკიც ჰქონდა.

– რა კაცია! – ჩაილაპარაკა ტომმა.

ერინმა ორივეს ხელმკლავი გამოგვდო და თავისკენ მიგვიზიდა:

– მაგას საერთოდ იტანს ვინმე?

– ვერა. თანაგუნდელებიც კი ვერ იტანენ. გუნდის ორი ნევრი უკვე გააგდო.

ჩვენი ჯგუფის სხვა წევრები მაშინდა შემოგვიერთდნენ, როცა მატარებელი უკვე ყურცელიტებით იყო სავსე (რამდენიმე აღრიალებული ბავშვიც იყო, რომელთა მშობლებს, წესით, ყურად უნდა ელოთ გაფრთხილება და დროზე გასულიყვნენ აქედან). ერინმა ერთ გოგონას ჰქითხა, მართლა საშიშიაო?

– ყველაზე საშიში ამის უსირცხვილო ხელებია. – მიუგო გოგონამ და სიხარულით აფრთხიალდა, როცა შეყვარებულმა კისერში აკოცა.

ჩავსხედით. ორ კაცზე გათვლილ ვაგონში სამნი მოვთავსდით. აშკარად ვინროდ ვიყავით. ვგრძნობდი, როგორ მეხებოდა ფეხზე ერინის თეძო, მკერდი კი მკლავზე მებჯინებოდა. ვიგრძენი, როგორ დაიძრა რაღაც ქამრის სამხრეთით. უსიამოვნო შეგრძნებას ვერ დაარქმევდი. მამაკაცთა უმეტესობა მონოგამური მხოლოდ წელსზემოთაა, აი ქამრის ბალთის ქვევით მობინადრე არსებას კი ეგეთი რამეები სულ კიდია.

– ხელები კაბინაში! – მონოტონურად გაჲყვიროდა ედი პარკსი. მისი ხმა ლეინ ჰარდის მხიარული შეძახილის სრული ანტითეზა იყო. – ხელები კაბინაში! თუ სამ ფუტზე დაბალი

ბავშვი გახლავთ თან, ან კალთაში ჩაისვით ან გადმობრძანდით!
იჯექით მშვიდად და დაელოდეთ ბუას!

უსაფრთხოების გისოსები ტკაცანით დაიკეტა და ამ
დროს რამდენიმე გოგონამ ერთდროულად შეჰყვირა. ალბათ
ყელი ჩაიწმინდეს უფრო ბნელ ადგილებში ენერგიულად სა-
კივლად.

მატარებელი შეინჯღლრა. „საშინელებათა სახლში“ შევედით.

ზუსტად ცხრა წუთის შემდეგ ვაგონებიდან გადმოვედით
და ჩვენი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად პავილიონი დავტო-
ვეთ. უკნიდან გვესმოდა, როგორ უტარებდა ედი ინსტრუქტაჟს
ახალ გუნდს: „ხელები შიგნით! იჯექით მშვიდად და დაელოდეთ
ბუას“! ამას ისე ამბობდა, ჩვენკენ არც გამოუხედავს.

— დილეგი საშიში სულაც არ ყოფილა, იმიტომ, რომ ყველა
ტყვე „დობერმანის“ წევრია. მეკობრის ფორმაში ბილი რუკე-
რიო იყო გამოწყობილი, — განაცხადა ერინმა. სახე ასწითლე-
ბოდა, თმა აწენილი ჰქონდა. მე მგონი, ასე კარგად არც არას-
დროს გამოიყურებოდა, — მაგრამ იმ მკივანა თავის ქალამ და
წამების ოთახმა მართლა შემზარა...

— ჰო, მართლა საშიში იყო. — დავეთანხმე. სკოლის დამამ-
თავრებელ კლასში ყოფნისას უამრავი საშინელებათა ფილმი
მქონდა ნანახი. ამ მხრივ თავი გამობრძმედილი მეგონა, მაგრამ
როცა გილიოტინადან გადმოგორებულ თავზე გადმოკარკლუ-
ლი თვალები დავინახე, კინალამ ჩავისვარე. პირი ჭერ კიდევ
მოძრაობდა.

„ჯოილენდ ავენიუზე“ გამოსულებმა „ფოქსჰაუნდის“ გუნ-
დის წევრი, კემ იორგენსენი დავლანდეთ, ლიმონათს ყიდდა.

— აბა, ლიმონათი ვის უნდა? მე ვყიდულობ. — წამოიძახა ერინმა. ჯერ კიდევ კანკალებდა.

— მე მინდა. — ვუპასუხე.

— ტომ, შენ? მიმართა ერინმა ტომს.

ტომმა თანხმობა მხრების აჩეჩვით გამოხატა. ერინმა გაოცებით შეათვალიერა და ლიმონათის საყიდლად გაიქცა. ტომს გავხედე. ცაში ატყორცნილ რაკეტას აკვირდებოდა, ან ეგებ მის მიღმა იყურებოდა.

ერინი მუყაოს სამი მაღალი ჭიქით დაბრუნდა. თითოეულ ჭიქაში ლიმნის ნაჭერი ეგდო. იქვე მდგომი მერხებისკენ წავედით და ჩრდილში დავსხედით. ერინი იმ ღამურებზე ყვებოდა, გასეირნების ბოლოს რომ ვნახეთ. ამბობდა, ვიცი, რომ გასაბერი სათამაშოებია და მავთულებზე კიდია, მაგრამ ღამურების ბავშვობიდან მეშინიაო. მერე გაჩერდა და ტომს მიუბრუნდა:

— შენ ხომ კარგად ხარ, ტომ? რაც იქიდან გამოვედით სიჭყვა არ გითქვამს. იმ კასრში გადაკოტრიალებამ ცუდად ხომ არ გაგხადა? გული ხომ არ გერევა?

— არა. — თქვა ტომმა და იმის დასტურად, რომ გული არ ერეოდა, ლიმონათი მოსვა. — იმ გოგოს რა ეცვა, დევ, ხომ არ იცი?

— ჰა?

— აი იმ გოგოს, რომ მოკლეს, ლორი გრეის.

— ლინდა გრეის.

— ლორია, ლარეინი თუ ლინდა, რა მნიშვნელობა აქვს? რა ეცვა? გრძელი ქვედაბოლო და უმკლავებო ბლუზი?

ტომს კარგად დავაკვირდი. უფრო სწორად, ორივე დავაკვირდით. თავიდან გვეგონა, რომ ტომ კენედი თავის ამპლუაში იყო და ღადაობდა. მაგრამ გამომეტყველებით მივხვდით, რომ ხუმრობის ხასიათზე არ გახლდათ, შიშისგან წამხდარიყო.

— ტომ! — ერინი მკლავზე შეეხო. — მართლა დაინახე? ახლა ხუმრობა არ დაიწყო.

ხელი ხელზე დაადო, მაგრამ ერინისთვის არ შეუხედავს. მე მიყურებდა.

— კი, ასეა. გრძელი ქვედაბოლო და უმკლავებო ბლუზი. შენ ეს იცი, იმიტომ, რომ მისის შოფლოუმ გითხრა.

— რა ფერის იყო? — ვკითხე მე.

— ზუსტად ვერ გეტყვი. შუქები მუდმივად იცვლებოდა და კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ ცისფერი. ორივე ცისფერი იყო.

ერინს ლოყებზე სიწითლე აღარ ეტყობოდა.

მისის შოფლოუს თქმით, კიდევ რაღაც იყო, რაღაც, რასაც პოლიცია დიდი ხნის მანძილზე არ ახმაურებდა.

— თმაზე რას იტყვი, ტომ? შეკრული ჰქონდა თუ გაშლილი?

თავი გააქნია. ლიმონათი მოსვა. მერე ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა. არც თმა გასთეთრებოდა, არც თვალები ჰქონდა გადმოცვენაზე, არც ხელები უკანკალებდა, მაგრამ ეს ის ბიჭი აღარ იყო — ბიჭი, რომელიც „საშინელებათა სახლში“ შესვლამდე იცინოდა და ხუმრობდა. ახლა კაცად ქცეულიყო. კაცად, რომელსაც ცხოვრებამ თავში წაუთაქა და მთელი სტუდენტური ფიქრები სადღაც გაუფანტა.

— არა, თმა შეკრული არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც ეკეთა, რაც თმას უმაგრებდა, სახეზე რომ არ ჩამოშლოდა...

— ლენტი.

— ჴო, ლენტი. ცისფერი იყო. ხელები წინ ჰქონდა გამონვდილი, — ეს თქვა და ხელები წინ ზუსტად ისე გამოიწმოდა, როგორც ემელინა შოფლოუმ, როცა ამ ამბავს მიყვებოდა, — თითქოს დახმარებას მთხოვდა.

— ეს ამბები მისის შოფლოუმ მოგიყვა, არა? ტომ, გვითხარი, არ გვეწყინება. ხომ არ გვეწყინება, ერინ?

- არა. ნამდვილად არა. – თქვა ერინმა.
ტომმა უარის ნიშნად თავი გააქნია.
- გიყვებით იმას, რაც ვნახე. თქვენ არცერთს არ დაგინა-
ხავთ?

არა-მეთქი, მივუგე.

- აბა, რაღა მე? – საწყლად ჩაილაპარაკა ტომმა. – შიგნით
რომ შევედით, მაგაზე აღარც მიფიქრია. უბრალოდ გართობა
მინდოდა. რაღა მე?

სანამ ჩემი მანქანით ჰევენს-ბეისაკენ მივჯაყვაყებდით,
ერინი შეეცადა ტომისთვის კიდევ ეთქმევინებინა რამე. ტომმა
ერთ-ორ შეკითხვაზე უპასუხა და ბოლოს მოკლედ და კატე-
გორიულად განაცხადა, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მსურსო.
მანამდე არასდროს გამეგონა, ტომი ასეთი ტონით დალაპარა-
კებოდა ერინს. მგონი, ასეთი ტონი ერინისთვისაც უცხო იყო,
რადგან გაჩუმდა და მთელი გზა გასუსული იჯდა. შეიძლე-
ბა მერე ამ თემაზე ერთმანეთში რაღაც ილაპარაკეს, მაგრამ
ტომს ჩემთან სიტყვა აღარ დაუძრავს. მხოლოდ სიკვდილამდე
ერთი თვით ადრე მითხრა რაღაც და ისიც ძალიან მოკლედ.
ტელეფონზე ლაპარაკს უკვე ვამთავრებდით, საკმაოდ მძიმე
და ტკივილიანი იყო ეს საუბარი; ლაპარაკი უჭირდა, ცხვირში
დუდლუნებდა, სიტყვები ერეოდა.

- ვიცი... რომ იქ რაღაც არის. თავად ვნახე... იმ ზაფ-
ხულს. იმ „საშინელებათა ქოხში“, – არ შემისწორებია, ვიცოდი,
რასაც გულისხმობდა, – ხომ... გახსოვს?
- კი, მახსოვს. – მივუგე.

— მაგრამ არ ვიცი... ის რაღაც... კარგია თუ ცუდი, — მო-
მაკვდავი ადამიანის ხმაში შიში იგრძნობოდა, — იცი, დევ... იცი,
როგორ გამოიწოდა ხელები?

დიახ.

როგორ გამოიწოდა ხელები.

შემდეგი გამოსასვლელი დღე მთლიანად თავისუფალი მქონ-
და. შეუა აგვისტო იყო და ყურცქვიტების რაოდენობაც საგ-
რძნობლად შემცირდა. იმდენჯერ აღარ მიწევდა წინ და უკან
სირბილი „კაროლინის ბორბალს“, „ჯოილენდ ავენიუსა“ და
ბორბლის მოძრავ ჩრდილქვეშ შეყუულ მადამ ფორტუნას ჯი-
ხურს შორის.

ლეინი და ფორტუნა — იმ დღეს როზი ფორტუნას სრულ
ალკაზმულობაში იყო გამოწყობილი — ბორბლის საკონტროლო
პულტთან იდგნენ და საუბრობდნენ. ლეინმა ჩემს დანახვაზე
ქუდი სანახევროდ მოიხადა, როგორც სჩვეოდა ხოლმე.

— ერთი ამას უყურეთ! — წამოიძახა. — აბა, როგორა ხარ,
ჯონსი?

კარგად-მეთქი, მივუგე, თუმცა ვტყუოდი. ღამეებს ისევ
თეთრად ვათენებდი მას მერე, რაც ქურქის ჩაცმა დღეში მხო-
ლოდ ოთხ-ხუთჯერდა მიწევდა. ვიწექი და ველოდებოდი, თავ-
ზე როდის დამათენდებოდა, ფანჯრები ღია მქონდა, ტალღების
ხმა მესმოდა, ვიწექი და უენდიზე და მის ახალ შეყვარებულზე
ვფიქრობდი. იმ გოგოზეც ვფიქრობდი, ტომმა „საშინელებათა
სახლში“ დილეგსა და წამების ოთახს შორის მდებარე ვითომ
აგურით ნაგებ გვირაბში, მატარებლის ლიანდაგთან მდგომი
რომ ნახა.

ფორტუნას მივუბრუნდი.

– შეიძლება, რაღაც გითხრა?

არ უკითხავს, რა გინდაო, პირდაპირ თავისი ჯიხურისკენ წამიძლვა, მენამული ფარდა გადასწია და შიგნით შემიყვანა. შუაში მრგვალი მაგიდა იდგა, ვარდისფერი სუფრით. მაგიდაზე ნაჭერგადაფარებული ბროლის ბურთი იწონებდა თავს. ორი უბრალო დასაკეცი სკამი ისე დაედგა, რომ მომსვლელი და წინასწარმეტყველი ერთმანეთის პირისპირ მსხდარიყვნენ, მათ შუაში კი ბურთი ყოფილიყო (შემთხვევით გავიგე, რომ სპეციალური ჩამრთველის საშუალებით საჭირო მომენტში მადამ ფორტუნა ბურთს ფეხით ანთებდა). კედელზე გიგანტური ზომის აბრეშუმგადაკრული ხელი ეკიდა, ხელს თითები გაფარჩეული ჰქონდა, ხელისგული კი გადმოტრიალებული. ხელისგულზე შვიდი ხაზი იყო გამოსახული, ყველას თავისი სახელი ეწერა: სიცოცხლის ხაზი, გულის, გონების, სიყვარულის (რომელსაც ვენერას სარტყელსაც ეძახიან), მზის, ბედის და ჯანმრთელობის.

მადამ ფორტუნამ ქვედაბოლო აიკეცა და სკამზე დაჯდა. მითხრა, შენც დაჯექიო. არც ბურთისთვის გადაუძვრია ნაჭერი და არც ის უთქვამს, ხელში მონეტა ჩამიდე, რომ გაუწყო, მომავალში რა გელისო.

– აბა, მკითხე, რის საკითხავადაც მოხვედი.

– მაინტერესებს, იმ პატარა გოგონაზე რაც მითხარი უბრალო დამთხვევა იყო თუ რამე იცოდი. რამე დაინახე?

დიდხანს მიყურა. თვალი არ მოუცილებია. მადამ ფორტუნას ოფისში პოპკორნის ან დაბრანული ფუნთუშის სუნის ნაცვლად გუნდრუკის მსუბუქი სურნელი ტრიალებდა. კედლები თხელი იყო, მაგრამ მუსიკის ხმა, ყურცქვიტების ურიამული და ატრაქციონების რახრახი თითქმის არ აღწევდა – სადღაც

ძალიან შორიდან ისმოდა. მომინდა თავი ჩამეხარა, მაგრამ გა-
ვუძელი.

— ანუ გაინტერესებს, ვთაღლითობ თუ არა, სწორად გა-
ვიგე?

— მე... იცი, გულწრფელად რომ გითხრა, თავადაც არ ვი-
ცი, რა მინდა. — ჩავილაპარაკე.

ამის გაგონებაზე ისე გაეღიმა, თითქოს გამოცდის რაღაც
ნანილი ნარმატებით გამევლოს.

— კარგი ბიჭი ხარ, ჯონსი, მაგრამ სხვა კარგი და საყვარე-
ლი ბიჭების მსგავსად შენც გამოუსწორებელი მატყუარა ხარ.

პასუხის გაცემა დავაპირე, მაგრამ თავისი ბეჭდებიანი ხე-
ლით მანიშნა გავჩუმებულიყავი. ხელი მაგიდის ქვეშ შეყო და
ფულის ყუთი გამოაძვრინა. მადამ ფორტუნას მკითხაობა უფა-
სო იყო, ბილეთის ფასში შედიოდა, თუმცა ფეხის ქირაზე უარს
არ ამბობდა. ამგვარი რამ ჩრდილოეთ კაროლინის კანონებს არ
ეწინააღმდეგებოდა. როდესაც ყუთი გახსნა, დაკუჭული კუპიუ-
რები დავლანდე. ძირითადად ერთდოლარიანები იყო. ერთი პა-
ტიარა კონვერტიც იდო. კონვერტზე ჩემი სახელი და გვარი ენე-
რა. გამომიწოდა. შევყოყმანდი, მაგრამ ბოლოს გამოვართვი.

— შენ დღეს „ჯოილენდში“ მაგის საკითხავად არ მოსულ-
ხარ.

— იცი რა...

ისევ ხელი ამიქნია.

— შენ ზუსტად იცი, რაც გინდა. ყოველ შემთხვევაში, უახ-
ლოეს მომავალში რა გინდა. და რადგან ეს უახლოესი მომავა-
ლი ერთადერთი რამეა, რაც ყველა ჩვენგანს გააჩნია, ვინ არის
ფორტუნა, ან როზი გოლდი, რომ შენი გადარწმუნება სცადოს.
ახლა წადი. ის გააკეთე, რისთვისაც აქ მოხვედი. როცა მორ-
ჩები, გახსენი და წაიკითხე, რა დავწერე. — გამიღიმა. — თა-

ნამშრომლებისგან ფულს არ ვიღებ. განსაკუთრებით შენნაირი კარგი ბიჭებისგან.

– იცი, მე არ...

კაბის შრიალითა და სამკაულების უღარუნით წამოდგა.

– წადი, ჯონსი, აქ აღარაფერი გესაქმება.

პატარა, ვიწრო ჯიხურიდან თავბრუდახვეული გამოვედი. ათობით სხვადასხვა პავილიონიდან გამოფრქვეული მუსიკის კორიანტელში გავეხვიე. მზე უმოწყალოდ აჭერდა. პირდაპირ ადმინისტრაციის შენობისკენ წავედი, ზრდილობის გულისთვის დავაკაკუნე, პასუხს არ დაველოდე კარი ისე შევაღე და ბრენდა რაფერტის მივესალმე, რომელიც ოთახში ბოლთას სცემდა – გადაშლილ საბუღალტრო დავთარსა და მის ერთგულ გამომ-თვლელ მანქანას შორის მიმოდიოდა.

– დევინს გაუმარჯოს! ყურადღებას ხომ აქცევთ თქვენს ჰოლივუდელ გოგოს?

– დიახ, მემ, ყველანი.

– თქვენთან დანა ელკარტია, არა?

– ერინ კუკი, მემ.

– ჰო, რაღა თქმა უნდა, ერინი, წითელთმიანი გოგო, შენ ხომ „ბიგლიდან“ ხარ. აბა, რა გნებავს? რით შემიძლია გემსა-ხურო?

– მისტერ ისტერბრუკთან მინდოდა დალაპარაკება.

– ისვენებს. მისი შეწუხება ნამდვილად არ მინდა. დღეს ტელეფონით ბევრი ილაპარაკა, მოგვიანებით ციფრებს უნდა ჩავუსხდეთ. არც ციფრებით მიყვარს მაგის შეწუხება, მაგრამ სხვა რა გზაა. ამ ბოლო დროს ძალიან მაღე იღლება.

- დიდ დროს არ წავართმევ·
ამოიოხოდა და მხრები აიჩეჩა.
- წავალ, ვნახავ, ღვიძავს თუ არა. ხომ ვერ მეტყვი, რა სა-
კითხზე გინდა ლაპარაკი?
- რაღაც უნდა ვთხოვო. თვითონ მიხვდება.

მიხვდა. ორი შეკითხვა დამისვა. პირველი: აინტერესებდა,
დარწმუნებული ვიყავი თუ არა ჩემს გადაწყვეტილებაში. ვუპა-
სუხე, რომ ვიყავი და მეორე...

- შენმა მშობლებმა იციან, ჯონსი?
- მარტო მე და მამა ვართ. მას კი ამაღამ ვეტყვი, მისტერ
ისტერბრუკ.
- ძალიან კარგი. სანამ წახვალ ბრენდა საქმის კურსში ჩაა-
ყენე. რაღაც აუცილებელ საბუთებს შეგავსებინებს... – სიტყვა
გაუწყდა, დაამთქნარა და თავისი ცხენის კბილები გადმოყარა.
- მაპატიე, შვილო, დღეს ძალიან მძიმე დღე მქონდა, მთელი
ზაფხული ძალიან დამღლელი იყო.
- გმადლობთ, მისტერ ისტერბრუკ.

ხელი დამიქნია.

- მოხარული ვარ, ეგეთი გადაწყვეტილება რომ მიიღე.
მაგრამ თუ მამას არ დაეკითხები, ძალიან მეწყინება. კარის და-
ხურვა არ დაგავიწყდეს.

შევეცადე, საბუთებში მოფათურე ბრენდას შეჭმუხნული
შუბლისთვის არ მეცქირა. ამ ქაღალდების შევსება აუცილებელი
იყო სამსახურში ჩემს სრულ განაკვეთზე ასაყვანად. ვგრძნობდი,
რომ ნერვები ეშლებოდა. საბუთები დავკეცე, შარვლის უკანა
ჯიბეში ჩავიჩურთე და წამოვედი.

საპირფუარეშოების უკან პატარა ტყე იყო. იქ მერხზე ჩა-
მოვჯექი, ხეს ზურგით მივეყრდენი და მაღამ ფორტუნას მიერ
გადმოცემული კონვერტი გავხსენი. წერილი მოკლე და საქმია-
ნი იყო:

მისტერ ისტერბრუკთან მიხვალ და „მშრომელთა დღის“
შემდეგ პარკში სამუშაოდ დატოვებას სთხოვ. რა თქმა უნდა,
თხოვნაზე უარს არ გეტყვის.

არ შემცდარა. ასეც მოხდა. მე კი მეგონა, რომ იტყუებოდა.
ამ წერილით ყველა შეკითხვაზე გამცა პასუხი. ყველაფერში
მართალი იყო. არც ის შეშლია, რომ უკვე გადაწყვეტილი მქონ-
და, როგორ წარიმართებოდა ამიერიდან დევინ ჯონსის ცხოვ-
რება.

მაგრამ წერილში კიდევ რაღაც ეწერა:

ერთი გოგონა გადაარჩინე, მაგრამ ყველას გადარჩენას
ვერ შეძლებ.

როდესაც მამას დავურეკე და ვუთხარი, რომ კოლეჯისგან
დასვენება მჭირდებოდა და შემდეგ სასწავლო წელს ნიუ-ჰემ-
პშირში არ დავბრუნდებოდი, ხაზის მეორე ბოლოს – სამხრეთ
მენში – სიჩუმე გამეფდა. მეგონა, ყვირილს დაიწყებდა, მაგრამ
შევცდი. დალლილი ხმით მითხრა:

– იმ გოგოს გამო, არა?

ამ ამბამდე ჯერ კიდევ ორი თვით ადრე ვუთხარი, რომ
მე და უენდის „ცოტა ხანს ერთმანეთისგან უნდა დაგვესვენა“,

მაგრამ მამა ყველაფერს მიხვდა. მას მერე ჩვენს ყოველკვირეულ სატელეფონო საუბრებში ერთხელაც არ უხსენებია ის. ახლა კი უბრალოდ იმ გოგოდ მოიხსენია.

— კი, უენდის გამოც, მაგრამ არა მხოლოდ. უბრალოდ, დასვენება მჭირდება, სულის მოთქმა. აქაურობა კი მომწონს და მივეჩვიე.

ამოიოხრა:

— ეგებ, მართლაც დასვენება გჭირდება. ყოველ შემთხვევაში ის მაინც მეცოდინება, რომ მუშაობ, დიუი მიშოს გოგოსავით ევროპაში კი არ დახეტიალობ ავტოსტოპით. როგორია თოთხმეტი თვე ჰოსტელებში ცხოვრება. თოთხმეტი თვე! თან ბოლოც რომ არ უჩანს?! ღმერთო, ან მუნი შეეყრება ან ვინმე დააორსულებს.

— ნუ გეშინია, თუ ფრთხილად ვიქნები, როგორმე ორივეს გადავურჩები.

— შენ მანდ ქარიშხლებს უფრთხილდი. ახლა ქარიშხლების სეზონი იწყება.

— მართლა არ გაბრაზდი, მამა?

— რა იყო? გინდა, მაგაზე კამათი დაგიწყო? რა ვქნა, ვეცადო, გადაგათქმევინო? სიამოვნებით გავაპროტესტებდი, მაგრამ ვიცი, დედაშენი რასაც იტყოდა — თუ იმ ასაკშია, რომ ალკოჰოლის ყიდვა არ ეკრძალება, ესე იგი გადაწყვეტილების მიღებაც შეუძლიაო.

გამეღიმა.

— ჰო, დედა სწორედ ასე იტყოდა.

— რაც შემეხება მე, ნამდვილად არ მინდა, კოლეჯში სიარული განაგრძო და თან ის გოგო იგლოვო, არ ისწავლო და ცუდი ქულები გყავდეს. თუ კარუსელების ღებვა და პავილიონების წმენდა დაგავიწყებს იმის თავს, მაშინ აჯობებს დარ-

ჩე. მაგრამ თუ 74-ში კოლეჯში დაბრუნებას კვლავ გადაწყვეტ, სტიპენდიას სადღა იშოვი?

- ნუ გეშინია, მაღალი ქულები მყავს.
- ოჟ, ის გოგო... – წარმოთქვა დაუფარავი ზიზღით. მერე სხვა თემებზე გადავედით.

მამა არ შემცდარა. ჯერ კიდევ ვნალვლობდი უენდისთან დაშორებას, მაგრამ რთულ გზას უკვე ვადექი, გზას უარყოფი-დან მიღებამდე. სულიერი წონასწორობა ჯერ ჰორიზონტზეც არ ჩანდა, მაგრამ აღარც ძველებურად ვთვლიდი, რომ სულის სიმშვიდე აღარასდროს დამიბრუნდებოდა.

აქ დარჩენა სხვა მიზეზებითაც იყო გამოწვეული, ჯერ ხეი-რიანად თავადაც არ ვიცოდი – რომლებით, ყველაფერი არეულ-დარეული მქონდა, მაგრამ გუმანი რაღაცას მკარნახობდა. ამ მიზეზებს შორის იყო ჰოლი სტენსფილდთან დაკავშირებული შემთხვევა, თავად ბრედლი ისტერბრუკი, რომელიც ზაფხულის დასაწყისში ყველას გვარნმუნებდა, ჩვენ გართობას ვყიდითო და ოკეანის ხმა, იქიდან მონაბერი ძლიერი სიო, რომელიც „კარო-ლინის ბორბლის“ კარკასში უსტვენდა ხოლმე. კიდევ იყო გრილი გვირაბები და „ჩვენი ენა“, რომელიც სხვა ახალბედებს შობის დადგომამდე მიავინწყდებოდათ. მე კი მისი დავიწყება არ მსურ-და, იმდენად მდიდარი იყო. ვგრძნობდი, რომ „ჯოილენდს“ კიდევ შეეძლო ჩემთვის რაღაცის მოცემა. ზუსტად არ ვიცოდი რისი, მაგრამ... რა-ღა-ცის!

ძირითადად მაინც იმიტომ დავრჩი, რომ – მას მერე მრა-ვალჯერ გადავამოწმე ჩემი იმდროინდელი მოგონებები და ვხვდები, რომ ნამდვილად ასე იყო – ჩვენმა ურნმუნო თომამ

ლინდა გრეის აჩრდილი ნახა. მისმა ნახვამ ჭომი შეცვალა. არ მგონია, ჭომს შეცვლა სდომოდა – მე მგონი, თავს ისეთადაც ბედნიერად გრძნობდა, როგორიც იყო – მე კი მინდოდა.

მე მისი ნახვა მინდოდა.

აგვისტოს მეორე ნახევარში სტაუიანები – მაგალითად, მა-მილო ალენი და დოტი ლასენი – მეუბნებოდნენ, ილოცე, რომ „მშრომელთა დღეს“ გაწვიმდესო. არ გაწვიმდა. შაბათს ნა-შუადლევს უკვე ვიცოდი, რატომაც მეუბნებოდნენ. ყურცქვი-ტები პარკს მოაწყდნენ, რათა გამოსათხოვარი ყიუინა დაეც-ხოთ. „ჯოილენდში“ ხალხის ჭევა არ იყო. საქმეს ის უფრო ართულებდა, რომ დამხმარეების დიდი ნაწილი უკვე გაკრეფი-ლიყო, თავთავიანთი სასწავლებლებისკენ გასდგომოდნენ გზას. დარჩენილები ენაგადმოგდებული ძალლებივით მუშაობდნენ.

იმ დღეს ქურქში ათვერ მაინც ჩავძვერი. ბოლოსწინა გამოს-ვლა მქონდა, გვირაბის სამი მეოთხედი გავლილი მექნებოდა, რო-ცა უცებ ვიგრძენი, როგორ მისხლტებოდა სამყარო, ნაცრისფერ აჩრდილებში ვიძირებოდი. ლინდა გრეის აჩრდილი – გავიფიქრე.

ელექტრომანქანაში ვიჯექი, ქურქი წელამდე ჩაწეული მქონდა, კონდიცირებული ჰაერი მკერდს მიგრილებდა. მივ-ხვდი, რომ მანქანას ვეღარ ვმართავდი. მოვისაზრე, კედელთან მიმეყენებინა და რეზინის ლილაკიდან, რომელიც გაზის ჰედ-ლის როლს ასრულებდა ფეხი ამეშვა. იმ დროს საწვრილფეხოში დრანცალა უოლი ისვენებდა. დამინახა, რომ მანქანა ცერად მყავდა გაჩერებული და თავად სამართავ ბერკეტზე ვიყავი გა-დაწოლილი. მაცივრიდან წყალი გამოიღო, ჩემთან მობაჯბაჯდა და ფუმფულა ხელით ნიკაპი ამინია.

— ე, ახალბედავ, ეს ერთი კოსტუმი გაქვს? შენი ზომის სხვა არ არის?

— კი, არის. — მთვრალივით ვლაპარაკობდი.

— კიდევ კარგი. — თქვა და წყალი თავზე დამასხა. გაკვირვებისგან ისე შევყვირე, ხალხი მოგროვდა.

— რა ჯანდაბა გინდა, უოლი?

დრანცალას ჩაეცინა:

— გამოფხიზლდი, არა? კი, ნამდვილად ეგრეა. მშრომელთა უქმეა! ეს ნიშნავს, რომ შენ უნდა იშრომო. სამუშაოზე ძილი არ შეიძლება. ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული — გარეთ მაგრად არ ცხელა.

მაგარი სიცხე რომ ყოფილიყო, ამ ამბავს ვეღარ გიამბობდით. ტვინი ამიდულდებოდა და მოვკვდებოდი. მაგრამ ის „მშრომელთა დღე“ მოღრუბლული იყო, ოკეანიდან სასიამოვნო სიოც უბერავდა. როგორლაც გავუძელი.

ორშაბათს, დაახლოებით ოთხ საათზე, იმ ზაფხულის ბოლო გამოსვლისთვის ვემზადებოდი — ქურქში ვძვრებოდი, როცა ტომ კენედი დამადგა. არც ძალლისგამოსახულებიანი ქუდი ეხურა და აღარც ჭუჭყიანი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. საგანგებოდ გამოწყობილიყო — იდეალურად გაუთოებული შარვალი ეცვა (გამიკვირდა, ნეტავ, სად ინახავდა-მეთქი), შიგნით „სუროს ლიგის“ პერანგი ჰქონდა ჩატანებული და ტყავის ფეხსაცმელები ეცვა. ამ ვარდისფერლოყება ნაბიჭვარს თმაც კი გაეკრიჭა. ნამდვილი კოლეჯის სტუდენტი იყო, რომელსაც თვალი ბიზნესის სამყაროზე უჭირავს. ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ორი დღის წინ ბინძური „ლევისი“ ეცვა, მაზუთიანი ვედროთი ხელში წინ გადახრილს ტრაკის ლარი ორ დუიმზე უჩანდა და შიგადაშიგ მამილო ალენს აგინებდა.

— რა არის? მიდიხარ?

– გამოიცანი, ძმაო! ხვალ დილით რვა საათზე ფილიში მა-
ტარებლით მივემგზავრები. ერთი კვირა შინ ვიქნები.

– კარგია.

– ერინს აქ რაღაცები დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ ლა-
მე უილმინგტონში შემომიერთდება. ერთ პატარა სასტუმროში
ჩვენთვის ოთახი ავიღე.

შურისგან ყელში რაღაც გამეჩირა.

– კარგი გოგოა. – ვუთხარი.

– ნამდვილი განძია.

– ეგრეა.

– შენც კარგი კაცი ხარ, დევ. არ დავკარგოთ ერთმანეთი.
ადამიანები ამას ყასიდად ამბობენ ხოლმე, მე კი გულით გეუბ-
ნები.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

– კარგი ბიჭი ხარ, ტომ, ერინი კი ნამდვილი საჩუქარია.
გაუფრთხილდი.

– მაგის დარდი ნუ გაქვს. მეორე სემესტრიდან ეგეც რატგერ-
ში გადმოდის. უკვე მეწამული რაინდების საბრძოლო სიმღერაც
ვასწავლე. ხომ იცი, არა: Upstream, Redteam, Redteam, Upstream...

– როული რამე ჩანს.

თითი დამიქნია:

– სარკაზმით შორს ვერ წახვალ. დიდი-დიდი, უურნალ
„მედში“ მოახერხო სტატიების გამოქვეყნება.

ამ დროს დოტი ლასენმა შემოგვძახა:

– გეყოთ ახლა ცრემლების ღვრა, მორჩით! ჯონსი, ხომ არ
დაგავიწყდა, რომ შოუზე ხარ გამოსასვლელი?

ტომი ახლა დოტის მიუტრიალდა და მკლავები გაშალა:

– დოტი, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! შენ ხომ არ იცი,
როგორ მომენატრები!

დოტიქ საჯდომზე ხელი მიირტყა, სულ მახატიაო და კოსტუმის შესაკეთებლად გატრიალდა.

ტომმა ფურცლის ნაგლეჯი გამომიწოდა.

– ჩემი სახლის და კოლეჯის მისამართია. ორივეს ტელეფონის ნომერი წერია. იმედი მაქვს, გამოიყენებ.

– აუცილებლად.

– შენ რა, მართლა აპირებ „ჯოილენდში“ კიდევ ერთ წელს დარჩე? ლუდის სმას ამ ჟანგიანი რკინების ლებვა გირჩევნია?

– კი.

– გაგიუდი?

ცოტა ხანს დავფიქრდი და ვუპასუხე:

– შეიძლება, მაგრამ ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოვდივარ.

ოფლიანი ვიყავი, მას კი სუფთა ტანისამოსი ეცვა, მაგრამ მაინც გადამეხვია. მერე კარისკენ წავიდა, მაგრამ წამით შეჩერდა და დოტის დანაოჭებულ ლოყაზე აკოცა. დოტიმ გამოლანდლვა ვერ მოახერხა – პირი ქინძისთავებით ჰქონდა სავსე – მაგრამ ხელით მაინც ანიშნა, აქედან ააცვიო.

ტომმი კართან შედგა:

– გინდა ერთი რჩევა მოგცე, დევ? აჯობებს, თავი შორს გეჭიროს იმ... – სათქმელი თავის გაქნევით დაამთავრა. კარგად მივხვდი რასაც გულისხმობდა – „საშინელებათა სახლს“. მერე კი წავიდა. ალბათ ფიქრობდა სახლზე, ერინზე, მანქანაზე, რომლის ყიდვის იმედიც ჰქონდა, მომავალ სასწავლო წელსა და კვლავ ერინზე. Upstream, Redteam, Redteam, Upstream – მეორე სემესტრიდან ამ სიმღერას ალბათ უკვე ერთად იმღერებდნენ. ამ სიმღერას იმ ღამესაც იმღერებდნენ, თუ მოისურვებდნენ. უილმინგტონში. საწოლში. ერთად.

პარკში საკონტროლო საათი არ გვექონდა. ჩვენს მისვლა-მოსვლას გუნდის ხელმძღვანელები აკონტროლებდნენ. სექტემბრის პირველ ორშაბათს, ჰოუის ბოლო ნომრის შესრულების შემდეგ, მამილო ალენმა მითხრა, შენი დროის აღრიცხვის ბარათი მომიტანეო.

- ერთი სამუშაო საათი კიდევ დამრჩა.
- არა. ჭიშკართან გელოდებიან.

უკვე ვიცოდი, ვინც მელოდებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მამილოს დაჩამიჩებულ გულში ვინმესთვის ადგილი კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ ყოფილა. ეს ადგილი იმ ზაფხულს ერინ კუკმა დაიკავა.

- ხვალინდელი გეგმები ხომ იცი? – მკითხა.
 - კი, რვის ნახევრიდან ექვსამდე. ხვალ ქურქში ალარ ვძვრები. რა ბედნიერებაა.
 - პირველ ორ კვირას კიდევ მე ვიქნები, მერე კი აქედან მოვუსვამ, ფლორიდაში მივდივარ. მერე ლეინ ჰარდის პასუხისმგებლობაში გადადიხარ. და ალბათ ფრედი დინის, თუ ისიც სადმე არ წავიდა.
 - კარგი, გასაგებია.
 - მოკლედ, ახლა შენს ბარათზე ხელს მოვაწერ და თავისუფალი ხარ. ჯონსი, იმ გოგოს უთხარი, შიგადაშიგ ლია ბარათი მაინც გამომიგზავნოს. ძალიან მომენატრება.
- მის გარდა სხვებსაც მოენატრებოდათ ის გოგო.

ერინსაც დასტყობოდა ჯოილენდური ცხოვრებიდან ჩვეულებრივ ცხოვრებაზე გადასვლის კვალი. აღარსად იყო გახუნებული ჯინსი და მაისური, მხრებამდე აკეცილი სახელოებით, ჰოლივუდელი გოგოს მწვანე კაბასა და რობინ ჰუდის ქუდზე რომ აღარაფერი ვთქვა. ნეონის შუქით განათებულ ჭიშკართან უმკლავებო ცისფერ ბლუზასა და ქამრიან ტრაპეცია ქვედაბოლოში გამოწყობილი ქალიშვილი მელოდა. თმა სარჭით ჰქონდა აწეული. ულამაზესი იყო.

- მოდი, სანაპიროზე გავისეირნოთ. უილმინგტონის ავტობუსის გასვლამდე დრო მაქვს. ტომს უნდა შევხვდე.
- ვიცი. ავტობუსი რად გინდა, მანქანით წაგიყვან.
- მართლა?
- აბა რა!

თეთრ ქვიშაზე მივსეირნობდით. წყალს ნახევარმთვარის შუქი დაჰნათოდა. ჰევენსის პლაჟის ნახევარი გვქონდა გავლილი – იმ მწვანე, ვიქტორიანული სტილის სახლთან ვიყავით, რომელმაც იმ შემოდგომაზე დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში – როდესაც ხელმკლავი გამომდო. დარჩენილი გზა ასე ვიარეთ. სანამ მანქანების სადგომისკენ ჩამავალ საფეხურებს არ მივუახლოვდით, ხმა არცერთს არ ამოგვიღია. ჩემკენ მოტრიალდა.

- გაგივლის. დაგავიწყდება. – თვალებში მიყურებდა. სახეზე არაფერი ესვა და არც სჭირდებოდა. მაკიაჟის მაგივრობას მთვარის შუქი უწევდა.

ვიცი-მეთქი, მივუგე. ვიცოდი, რომ უსათუოდ გამივლიდა, მაგრამ ჩემს ერთ ნაწილს არ სურდა ასე მომხდარიყო. გავლაც ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ გული ეკლებით გაქვს სავსე, მაინც არ გინდა, ეს გრძნობა გაქრეს.

– ამ ეტაპზე ეს მართლაც საუკეთესო ადგილია შენთვის.
მე ასე ვგრძნობ.

– ტომიც ასე გრძნობს?

– არა, მაგრამ მას „ჯოილენდის“ მიმართ იგივე გრძნობები
არ აქვს, რაც შენ... იმ დღის მერე კი, რაც „საშინელებათა სახ-
ლში“ მოხდა... რაც მან დაინახა...

– გილაპარაკიათ ამის შესახებ?

– ვცადე დავლაპარაკებოდი, მაგრამ შევეშვი. იქ ნანახი
სამყაროს მისეულ ალქმაში არ ჯდება, ამიტომაც დავიწყებას
ცდილობს. მაგრამ მე მგონი, შენ გამო ნერვიულობს.

– შენ ნერვიულობ ჩემ გამო?

– შენზე და ლინდა გრეის მოჩვენებაზე არ ვნერვიულობ.
აი, შენზე და უენდიზე – ცოტას.

ჩამეცინა.

– მამაჩემი მის სახელს აღარ წარმოთქვამს. უბრალოდ „იმ
გოგოდ“ მოიხსენიებს. ერინ, შეიძლება ერთი რამის გაკეთება
გთხოვო? აი, კოლეჯში რომ დაბრუნდები მერე, თუ დრო გექ-
ნება.

– რა თქმა უნდა. მითხარი!

ვუთხარი.

ერინმა მთხოვა, პირდაპირ უილმინგტონის ავტობუსების
სადგურში ჩამომსვი, სასტუმრომდე არ მიმიყვანო, მირჩევ-
ნია, იქამდე ტაქსით მივიდეო. ჯერ შევენინააღმდეგე, ვუთხარი,
იქამდეც მე მიგიყვან, ტყუილად ფული რატომ უნდა გადაყა-
რო-მეთქი, მაგრამ მერე შევეშვი. აღელვებული და დაბნეული
ჩანდა. მივხვდი, რომ ჩემი მანქანიდან გადასულს მაშინვე ტან-

საცმლის გაძრობა და ტომ კენედისთან ერთად ლოგინში ჩა-
კოტრიალება არ სურდა.

მანქანა ტაქსის გაჩერების მოპირდაპირე მხარეს გავუჩე-
რე. ჩემი სახე ხელებში მოიმწყვდია და ტუჩებში მაკოცა. ხან-
გრძლივი, ძალიან გულმოდგინე კოცნა იყო.

– ტომი რომ არ ყოფილიყო იქ, იმ ჩერჩეტ გოგოს მე და-
გავიწყებდი.

– მაგრამ ხომ იყო.

– ჰო, იყო. არ დაიკარგო, დევ.

– არ დაგავიწყდეს, რაც გთხოვე. აუცილებლად გააკეთე,
თუ დრო გექნება.

– არ დამავიწყდება. კარგი კაცი ხარ, დევ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე ტირი-
ლი მომინდა. მაგრამ არ მიტირია, უბრალოდ გავიღიმე.

– გეთანხმები. განსაკუთრებით ჰოუის როლი გამომდის
მაგრად.

– ნამდვილად. დევინ ჯონსი – პატარა გოგონების მხსნე-
ლი.

სულ ერთი წამით მომეჩვენა, რომ კიდევ მაკოცებდა, მაგ-
რამ არ მაკოცა. მანქანიდან გადახტა და ქუჩა გადაირბინა.
ტაქსის გაჩერებისკენ მირბოდა, ქვედაბოლო უფრიალებდა. მა-
ნამ ვიდექი, სანამ არ დავინახე, როგორ მოკალათდა ყვითელი
ტაქსის უკანა სავარძელზე და მანქანა დაიძრა. მეც დავიძა-
რი. უკან, მისის შოთლოუს პანსიონისკენ და ჩემი ჯოილენ-
დური შემოდგომისკენ წავედი. შემოდგომისკენ, რომელიც ჩე-
მი ცხოვრების ყველაზე კარგი შემოდგომაც იყო და ყველაზე
ცუდიც.

ისხდნენ კი სამშაბათს – „მშრომელთა დღის“ შემდეგ, როცა პლაზის გავლით პარკისკენ მივდიოდი – ენი და მაიკ როსები მწვანე ვიქტორიანული სტილის სახლის წინ, ბილიკის ბოლოში? ის თბილი კრუასანები მახსოვს, გზაში რომ ვჭამე, ჰაერში მოლივლივე თოლიებიც მახსოვს, მაგრამ მათ შესახებ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. ისინი იქაურობის, იმ პეიზაჟის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ, რომ აღარც კი მახსოვს, როდის შევნიშნე პირველად მათი იქ ყოფნა. განმეორება მეხსიერების ყველაზე საშიში მტერია.

აი, მაგალითად, იმ მოვლენებიდან, რომლებზეც ახლა გიამბობთ, ათი წლის შემდეგ, უურნალ „კლივლენდის“ მიმომხილველად ვმუშაობდი (ალბათ ცოდვების გამო დავისაჯე). პირველ ჩანაწერებს ყვითელფურცლებიან ბლოკნოტში უესტ-სერდ-სტრიტზე, ლეიკფრანტის სტადიონთან მდებარე კაფეში ვაკე-თებდი. ყოველდღე, ათ საათზე ის ახალგაზრდა ქალი კაფეში შემოდიოდა, ოთხ-ხუთ ჭიქა ყავას იღებდა და გვერდით მდებარე უძრავი ქონების სააგენტოში შეჰქონდა. ნამდვილად არ მახსოვს პირველად როდის დავინახე იგი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთ დღეს დავინახე და შევნიშნე, რომ გასვლისას ზოგჯერ შემომხედავდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს მეც გავხედე და როდესაც გამიღიმა, გავუღიმე. რვა თვის მერე შევუღლდით.

ენისა და მაიკის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს ისინი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცნენ. ხელს ყოველთვის ვუქნევდი, ხელს ინვალიდის ეტლში მჯდომი ბიჭიც მიქნევდა, ძალლი კი ყურებდაცემეტილი იჯდა და მიყურებდა. ძალლს ქარი უშლიდა ბეწვს. ქალი ქერა იყო და ლამაზი – მაღალი ყვრიმალები ჰქონდა, შორი-შორს ჩამჯდარი ცისფერი თვალები და მსხვილი ტუჩები. ეტლში მჯდომ ბიჭს „უაიტ სოქსის“

კეპი ეხურა. კეპი ყურებსაც უფარავდა. ძალიან ავადმყოფური გარეგნობა ჰქონდა, ღიმილი კი – ჯანსაღი. მივდიოდი თუ მოვდიოდი მისი ღიმილი ყოველთვის სახეში მანათებდა. ერთი-ორ-ჯერ მისალმების ნიშნად ხელიც ამინია, მეც ავუწიე. მე მისი სამყაროს ნაწილი ვიყავი, ის კი ჩემი სამყაროსი. მგონი, თვით მაილოს, ძალლის სამყაროს ნაწილიც კი ვიყავი. მხოლოდ დედას ეჭირა თავი შორს. ხშირად ისე ჩამივლია, წიგნიდან თავიც არ აუწევია. მაგრამ თუ აუწევია კიდეც, ხელი არ დაუქნევია, მითუმეტეს ხელის აწევით არასდროს მომსალმებია.

„ჯოილენდში“ საქმე სულ მქონდა. სამუშაო უწინდებურად საინტერესო და მრავალფეროვანი აღარ იყო, მაგრამ უფრო სტაბილური და ნაკლებად დამლლელი გახდა. რამდენიმეჯერ სახელოვან ჰოუის ქურქშიც გამოვეწყვე და Happy Birthday-ც შევასრულე, რადგან სექტემბრის პირველი სამი კვირის განმავლობაში „ჯოილენდი“ კვლავაც ღია იყო. მაგრამ ხალხი შეცოტავდა. „კაროლინის ბორბალი“ ერთხელაც ვერ შევავსე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ატრაქციონი საქანელების მერე ყველაზე პოპულარული იყო.

- ჩრდილოეთში, ნიუ-ინგლენდში პარკების უმრავლესობა ჰელოუინის დადგომამდე შაბათ-კვირას მუშაობს. – მითხრა ერთხელ ფრედ დინმა. მერხზე ვისხედით და ნოყიერ, ვიტამინებით მდიდარ ჩილიან ბურგერს და ლორიან ღვეზელს შევექცეოდით.
- სამხრეთით, ფლორიდაში მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ. ჩვენ რაღაც რუს ზონაში ვართ. მისტერ ისტერბრუკმა ჯერ კიდევ სამოციან წლებში სცადა პარკი მთელი წელი ემუშავებინა, რეკლამაზეც დიდი ფული დახარჯა, მაგრამ სულ ტყუი-

ლად. არაფერი გამოვიდა. სუსხიანი ლამეების დადგომისთანავე ხალხი სოფლური ბაზრობებისკენ მიიწევს. ჩვენი ვეტერანების უმრავლესობაც გამოსაზამთრებლად ან სამხრეთით მიეშურება ან დასავლეთით. – ცარიელ „ჰაუნდ დოგ უეის“ გახედა და დაა-მატა: – ჰომ, წელინადის ამ დროს აქ მოწყენილობაა.

მე მომწონს-მეთქი, ვუთხარი. მართლა მომწონდა. იმ წელს მარტოობა უნდა გამეთავისებინა. ზოგჯერ მისის შოფლოუს-თან და თვალებგადმოკარკულულ ტინა ეკერლისთან ერთად კინოში მივდიოდი ხოლმე, მაგრამ საღამოებს ძირითად ჩემს ოთახში, „ბეჭდების მბრძანებლის“ კითხვაში ვატარებდი. ზოგ-ჯერ ვიჯექი და წერილებს ვწერდი ერინს, ტომს და მამაჩემს. ლექსებიც ბლომად დავწერე. ახლა, როდესაც ამ ლექსებზე ვფიქრობ, თავს უხერხულად ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, ყვე-ლა დავწვი. ჩემს კოლექციას ახალი სევდიანი ალბომიც შევმა-ტე – The Dark Side of the Moon. ანდაზების წიგნში ერთი ასე-თი ანდაზა ამოვიკითხე: „როგორც ძალლი უბრუნდება თავის ნარწყევს, ასევე უბრუნდება ბრიყვი თავის ჩადენილ სისულე-ლეს“. ზოგჯერ „პინკ ფლოიდს“ ვასვენებდი და ჯიმ მორისონს ვუსმენდი – This is the end, my beautiful friend. ვიცი, ვიცი, რომ მძიმედ იყო საქმე.

კიდევ კარგი, „ჯოილენდში“ იმდენი საქმე მქონდა, დღისით ვერ ვიცლიდი. პირველი რამდენიმე კვირის მანძილზე, როდესაც პარკი ნახევარი დატვირთვით მუშაობდა, ძირითადად ვალა-გებდი. ფრედ დინმა მეგაზონეების პატარა ჯგუფის უფროსად დამნიშნა. სანამ პარკის შესასვლელში გამოვაკრავდით აბრას ნარწერით „ახალი სეზონის გახსნამდე პარკი დაკეთილი“, ყველა გაზონი გამოფოცხილი და გაკრეჭილი გვქონდა, ყვავი-ლების ყველა კვალი გამარგლული და ზამთრისთვის მომზადე-ბული, ყველა ჯიხური და ატრაქციონი კი გაფხეუილი. უკანა

ეზოში ლითონის ფარდული ავანენდეთ და საჭმლის საზიდი ურიკები შევალაგეთ. თითოეულ პოპკორნის, ნაყინის და ჰოთდოგის ურიკას მწვანე წყალგაუმტარი შალითა გადავაფარეთ.

როდესაც მეგაზონეებმა ვაშლის საკრეფად ჩრდილოეთით გასწიეს, მე ლეიინ ჰარდისთან და ედი პარკსთან ერთად ზამთრის სამზადისს შევუდექი. ედი უჟმური ვეტერანი და „საშინელებათა სახლის“ (ისევე, როგორც გუნდ „დობერმანის“) უფროსი იყო. „ჯოილენდ ავენიუსა“ და „პაუნდ დოგ უეის“ გადაკვეთაზე მდებარე შადრევანი წყლისგან დავცალეთ და წყლის სასრიალოებზე გადავედით, როცა შავ სამგზავრო კოსტუმში გამოწყობილი ბრედლი ისტერბრუკი წამოგვადგა.

– ამ საღამოს სარასოტაში მივემგზავრები, – გვითხრა, – ბრენდა რაფერტიც ჩვეულებისამებრ თან მომყვება, – გაიღიმა და თავისი ცხენის კბილები გამოაჩინა, – ახლა პარკში დავდივარ და დარჩენილ თანამშრომლებს მადლობას ვუხდი.

– აბა, ბედნიერ ზამთარს გისურვებთ, მისტერ ისტერბრუკ.
– უთხრა ლეიინმა.

ედიმ რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა. ალბათ კუთილ მგზავრობას გისურვებთოუნდა ეთქვა, მაგრამ მე ჯანდაბამდე გზა გქონია მომესმა.

– ყველაფრისთვის გმადლობთ. – ვთქვი მე.

სამივეს ხელი ჩამოგვართვა. ჩემთან ბოლოს მოვიდა.

– ჯონსი, იმედი მაქვს, მომავალ წელსაც გნახავ. შენ ხარ ახალგაზრდა, რომელსაც ჩვეულებრივზე მეტი კარნი აქვს სულში.

შემდეგ წელს აღარ ვუნახივარ, აღარც იგი უნახავს ვინმეს. მისტერ ისტერბრუკი ახალ წელს გარდაიცვალა.

– ჭკუასუსტი, ბებერი ნაბიჭვარი. – ჩაილაპარაკა პარკსმა და მანქანისკენ მიმავალ ისტერბრუკს თვალი გააყოლა. ისტერ-

ბრუკს მანქანასთან ბრენდა ელოდებოდა. ქალმა ხელი გაუწოდა და ჩაჯდომაში დაეხმარა.

ლეინმა ისტერბრუკს გახედა და ედის მიუტრიალდა:

– მოკეტე, ედი.

ედიმ მოკეტა. ასე ჯობდა.

ერთ დილას, როცა კრუასანებით ხელში „ჯოილენდისკენ“ მივდიოდი, ბოლოს და ბოლოს ძალლი ჩემს გასაცნობად და დასაზვერად გამოიქცა.

– მაილო, დაბრუნდი! – დაუძახა ქალმა.

მაილო მიტრიალდა და ქალს შეხედა, მერე ისევ მე გამომხედა. შავი, სხივიანი თვალები ჰქონდა. ჩემდა უნებურად კრუასანი მოვუტეხე და გავუწოდე. მაილო ტყვიასავით გამოქანდა ჩემკენ.

– არ გაბედოთ, არაფერი აჭამოთ. – კატეგორიული ხმით მომმართა ქალმა.

– კარგი რა, დედა. – უთხრა ბიჭმა.

მაილომ ქალის ხმა გაიგონა და კრუასანს არ გაეკარა, მაგრამ წინ დამიჯდა და წინა თათები ჰპერში ასწია. ერთი ლუკმა მოვუტეხე.

– გპირდებით, მეტს აღარ ვიზამ, – ვუთხარი ქალს, – არ მინდოდა მის ასეთ გარჯას ამაოდ ჩაევლო.

ქალმა რაღაც ჩაილაპარაკა და ისევ წიგნს მიუბრუნდა. წიგნი სქელტანიანი იყო. ტანკევით საკითხავი ჩანდა. ბიჭმა კი წამოიძახა:

– ჩვენ სულ ვაჭმევთ ხოლმე, მაგრამ წონაში არ იმატებს. იმდენს დარბის, არ ერგება.

დედას წიგნიდან თავი არ აუნევია, ბიჭს ისე უთხრა:

- აბა, უცხოებთან საუბრის შესახებ რა ვისწავლეთ, მაიკი?
- არა, სულ უცხოც არ არის. ხომ ყოველდღე ვხედავთ? – თქვა ბიჭმა. ჩემი აზრით, საკმაოდ გონივრული ნათქვამი გამოუვიდა.

– მე დევინ ჯონსი ვარ. პლაუთან ვცხოვრობ. „ჯოილენ-დში“ ვმუშაობ.

– ესე იგი გეჩქარებათ, არა? – ქალს არც ამჯერად მოუშორებია წიგნისთვის თვალი.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თითქოს მეუბნებოდა – რა გინდა ქნაო. ფერმკრთალი იყო და მოხუცივით მხრებში მოხრილი. მაგრამ კარგი იუმორის გრძნობა კი ჰქონდა. მეც მხრების აჩეჩვით ვუპასუხე და გზა განვაგრძე. მეორე დილით კრუასანი მანამ შევჭამე, სანამ მწვანე ვიქტორიანულ სახლს ჩავუვლიდი, საწყალი მაილოს ცდუნება აღარ მინდოდა. ჩავიარე და ხელი კვლავ დავუქნიე. მოსალმების ნიშნად მაიკმაც დამიქნია ხელი. ქალი ახლაც თავის ჩვეულ ადგილას, მწვანე ქოლგის ქვეშ იჯდა, მაგრამ წიგნს აღარ კითხულობდა. ხელი არც ამჯერად დაუქნევია. თითქოს მეუბნებოდა: აქ შენ არაფერი გესაქმება. წადი იმ შენს გასართობ პარკში და ჩვენ თავი დაგვანებე.

ასეც მოვიქეცი. ხელს ამის მერეც ვუქნევდი, ბავშვიც ხელის ქნევით მპასუხობდა. დილით თუ ღამით ბიჭუნა ყოველ-თვის მიქნევდა ხელს.

ორშაბათს, მას მერე რაც მამილო ალენი ფლორიდას გაემგზავრა ჯექსონვილში გამართულ „ალსტონის ყველა ვარსკვლავთა კარნავალზე“, სადაც ჯიხურის უფროსობა ელოდა,

„ჯოილენდში“ გამოვცხადდი და პირდაპირ ედი პარკსს მივადე-
ქი. სტაუიანთა შორის ყველაზე ნაკლებად ედი მიყვარდა. „სა-
შინელებათა სახლის“ წინ ვაშლის ყუთზე იჯდა. პარკში მოწევა
იკრძალებოდა, მაგრამ რადგან მისტერ ისტერბრუკი წასული
იყო და არც ფრედ დინი ჩანდა სადმე, ედიც თავს უსაფრთხოდ
გრძნობდა და ამ წესს აბუჩად იგდებდა. ხელთათმანები ეცვა
და ისე ეწეოდა. სხვას რომ ეს ექნა გამიკვირდებოდა, მაგრამ
ედის შემთხვევაში არ გამკვირვებია – ხელთათმანებს არას-
დროს იძრობდა.

- აჟა, ხომ ხედავ, ლანირაკო, უკვე ხუთი წუთით დაიგვია-
ნე. – ყველა დევს ან ჯონსის მეძახდა, მხოლოდ ედი მეძახდა
ლანირაკს.
- გაჭიმული რვის ნახევარია. – ვუთხარი და საათზე თითი
დავაკაკუნე.

- ესე იგი შენი საათი ურევს. ქალაქიდან მანქანით ვერ
მოხვალ? სხვები ხომ ეგრე დადიან? ხუთ წუთში აქ იქნები.
- პლაზზე სიარული მომწონს.

– სულ მკიდია, შენ რა მოგწონს. აქ დროზე მოდი ხოლმე.
თავი კოლეჯში ხომ არ გვინია, როცა მოგინდეს მოხვიდე და
როცა მოგინდეს წახვიდე. ეს სამსახურია! ახლა „ბიგლის“ ხელ-
მძღვანელი აქ აღარ არის და ისე მოგიწევს მუშაობა, როგორც
სამსახურში მუშაობენ.

მინდოდა მეთქვა, მამილომ მითხრა, ჩემი წასვლის შემდეგ
ლეინ ჰარდი იქნება შენი უფროსიო, მაგრამ დროზე მოვკე-
ტე. არ მინდოდა, ისედაც დაძაბული სიტუაციის გაუარესება.
მესმოდა, რატომაც არ მოვწონდი ედის. მას არც არავინ მოს-
წონდა, არც არავინ უყვარდა. ლეინს მხოლოდ უკიდურეს შემ-
თხვევაში, თუკი ედისთან აღარ დამედგომებოდა, მაშინ მივმარ-
თავდი. მამაჩემისგან ვისწავლე – მისი ცხოვრების წესით – თუ

კაცს სურს, თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი იყოს, თავისი პრობლემები თავადვე უნდა მოაგვაროს.

— აბა, რას დამავალებთ, მისტერ პარკს?

— ბევრ რამეს. პირველ რიგში, საკუჭნაოში მიდი და ერთი ბოთლი „თართლ-უექსი“ აიღე, გზაში ნაცნობებთან ლაზლანდა-რობა არ დაიწყო, დროზე წამოდი. მერე „საშინელებაში“ შედი და ყველა ვაგონი გაწმინდე. ხომ იცი, რომ ყოველი სეზონის დასასრულს ვწმინდავთ.

— არა, ეგ არ ვიცოდი.

— რა ბავშვები ხართ, ვინ ხართ... — ეს თქვა და სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა, მერე ვაშლის ყუთი ოდნავ წამოსწია და ნამწვი მის ქვეშ შეაგდო, თითქოს სადმე დაიკარგებოდა. — ძალიან მოინდომე და ისე გააკეთე, თორემ იცოდე, თავიდან გაგაკეთებინებ, ხო გაიგე?

— გავიგე.

— კარგია თუ გაიგე. — თქვა და მეორე სიგარეტი პირში გაიქანა. მერე შარვლის ჯიბეების ჩხრეკა დაიწყო, სანთებელას ამოლება უნდოდა. ხელთათმანების გამო საკმაო დრო დასჭირდა. როგორც იქნა ამოილო, სანთებელას თავი ახადა და შეყოვნდა. — რას უყურებ?

— არაფერს.

— მაშინ დაახვიე აქედან. შუქები აანთე, რომ დაინახო, რას აკეთებ. ხომ იცი ჩამრთველი სადაც არის?

არ ვიცოდი, მაგრამ მის გარეშეც მივაგნებდი.

— კი, რა თქმა უნდა, ვიცი.

მუავე სახით ამათვალიერა.

— ძაან ჭკვიანი ხარ, არა?

განათების კოლოფი „ცვილის მუზეუმსა“ და „კასრისა და ხიდის ოთახს“ შორის მდებარე კედელზე ვიპოვე. გავხსენი და ყველა ჩამრთველი მაღლა ავწიე. წესით, ანთეპულ შუქში „საშინელებათა სახლს“ მთელი შემზარაობა უნდა დაეკარგა, მაგრამ ასე არ მოხდა. კუთხეებში ჩრდილები მოძრაობდნენ, ქარის ზუზუნიც – იმ დღეს საშინელი ქარი უბერავდა – ისმოდა. ქარი ხის კედლებში ატანდა და სადღაც შორს ხის დაფას არახრახებდა. გავიფიქრე, მერე ვიპოვი და დავამაგრებ-მეთქი.

მკლავზე სუფთა ტილოებით სავსე მავთულის მოწნული კალათა მეკიდა. შიგ გიგანტური ზომის „თართლ-უექსიც“ მედო. დამრეცი იატაკი გავიარე და პავილიონში გავედი. ავტომატების დანახვისას ერინი გამახსენდა. გამახსენდა, როგორ თქვა: ვერ ხვდებიან, რომ სატყუარაა? გამელიმა. გული გამალებით მიცემდა. უკვე ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, როცა დავალების შესრულებას მოვრჩებოდი.

ოცივე ვაგონი ჩასასხდომ ბაქანზე მელოდა. „საშინელებათა სახლში“ შემავალი გვირაბი მოციმციმე ნათურების ნაცვლად, თეთრი ფერის შუქით იყო განათებული. ასე გაცილებით პროზაულად გამოიყურებოდა.

ვაგონებს შევხედე თუ არა, მივხვდი, რომ მთელი ზაფხული ედი მხოლოდ სველ ტილოს უსვამდა და ახლა, პირველ რიგში, უნდა გამერეცხა. ანუ ისევ საკუჭნაოში უნდა ნავსულიყავი და ფხვნილი მომეტანა, მერე უახლოესი ონკანიდან ერთი ვედრო წყალი მომერბენინებინა. სანამ ოცივე ვაგონი გავრეცხე და წყალი გადავავლე, შესვენების დროც დადგა, მაგრამ ვიფიქრე, უკანა ეზოში გასვლას ან საწვრილფეხოში ყავის სმას ისევ მუშაობა მიჯობს-მეთქი. არ მინდოდა იმ ყიამყრალ ედის გადავყროდი. იმის ლაპარაკის მოსმენას მუშაობა მერჩია. ედი დილითაც მეყო.

გაპრიალებას შევუდექი – ცვილს ბლომად ვუსვამდი და ისე ვაპრიალებდი. ვაგონიდან ვაგონზე გადავდიოდი, იმდენი ვაპრიალე, სანამ სულ ახლებს არ დავამსგავსე. მაგრამ რა? ახალ სეზონზე ცხრანულთიანი სეირნობისათვის მოსული ადრენალინის გამოყოფის მსურველები ამას ვერ შეამჩნევდნენ. ხეხვას რომ მოვრჩი, ხელთათმანები უკვე შემომცვდარი მქონდა. ქალაქში ახლის ყიდვა მომიწევდა, კარგი ხელთათმანი კი იაფი არ ღირდა. წარმოვიდგინე, რა დღეში ჩავარდებოდა ედი, ახლების ყიდვა რომ მეთხოვა.

ჩემი ძონძებიანი და „თართლ-უექსიანი“ (ქილა თითქმის ძირზე დავიყვანე) კალათა პავილიონში, გასასვლელ კართან დავდგი. პირველის ათი წუთი იყო, მაგრამ არ მშიოდა, სხვა რამე მინდოდა. ხელები მაგრად გავჭიმე, რომ სახსრებიდან ტკივილი განმედევნა და ჩასასხდომ ბაქანთან დავბრუნდი. ერთ წუთს შევდექი და გაპრიალებული ვაგონების ცქერით დავტკბი, მერე ლიანდაგს გავუყევი და პირდაპირ „საშინელებათა სახლში“ შევედი.

თავის ქალის ქვეშ გავიარე. მის მიღმა დილეგი იყო, რომელშიც გასულ ზაფხულს ედის „დობერმანები“ მუშაობდნენ და თავიანთი წივილ-კივილით და ოხვრა-გოდებით ბავშვებს აფრთხობდნენ. იატაკი ხის იყო, მაგრამ ისე შეეღებათ, ქვისა გეგონებოდათ. საკუთარი ნაბიჯების ექმ მესმოდა. ჩემივე სუნთქვაც კი მაფრთხობდა. ტომმა კი გამაფრთხილა, ამ ადგილს ერიდეო, მაგრამ ახლა ჩემს ცხოვრებას ედი პარკსი განაგებდა და არა ტომ კენედი. „დორზიც“ მქონდა და „პინკ ფლოიდიც“, მაგრამ სხვა რამეც მჭირდებოდა. ლინდა გრეი მჭირდებოდა.

დილეგსა და წამების ოთახს შორის ლიანდაგი ქვევით ეშვებოდა და S-ის ფორმის მრუდს ხაზავდა. აქ მატარებელი სიჩქარეს კრეფდა და მგზავრებს გვარიანად აჯანჯლარებდა. „საშინელებათა სახლში“ ახლაც ბნელოდა, მაგრამ მატარებ-

ლის მოძრაობისას აქ წყვდიადი იდგა ხოლმე. ალბათ მკვლელმა გოგონას აქ გამოჭრა ყელი და ვაგონიდანაც აქ მოისროლა. რა სწრაფად უმოქმედია და რა ზუსტად სცოდნია თავისი საქმე! ბოლო მოსახვევში მგზავრებს თვალებში ფერადი შუქები უჭყიტინებდათ. მიუხედავად იმისა, რომ ტომს არასდროს უთქვამს, ზუსტად სად ნახა იგი, დარწმუნებული ვიყავი, აქ ნახავდა.

S-ს ნელა გავუყევი. ვიფიქრე, ედისგან ყველაფერია მოსალოდნელი – ახლა გვირაბში ჩემი ნაბიჯების ხმა თუ გაიგონა, შეიძლება შუქებიც გამომირთოს და ამ მკვლელობის ადგილიდან ხელის ცეცებით მომიხდება გზის გაგნება, ქარის ზუზუნისა და ხმელი დაფის აკომპანიმენტის თანხლებით-მეთქი. წარმოიდგინეთ, ამ დროს რომელიმე ბნელი კუთხიდან გოგოს შველის სათხოვნად გამოწვდილი ხელი რომ ჩემთვის ეტაცა.

არც შუქები ჩამქრალა, არც სისხლიანი პერანგი ეგდოლიანდაგებზე და არც ხელთათმანები. არც ხელგამოწვდილი გოგო დამინახავს იმ ადგილას, სადაც, ჩემი აზრით, მკვლელობა უნდა მომხდარიყო (წამების ოთახთან).

მაგრამ იქ რაღაც მაინც იყო. მაშინაც ვიცოდი და ახლაც ვიცი. ჰაერი უფრო ცივი იყო. ისეთი ცივი არა, რომ საკუთარი ამონასუნთქი დამენახა, მაგრამ იმ ადგილას აშკარად უფრო ციოდა ვიდრე სხვაგან. ხელებზე, ფეხებსა და საზარდულზე დამხორკლა. კეფაზე თმა ყალყზე დამიდგა.

– დამენახე. – წავიჩურჩულე. თავს სულელურ მდგომარეობაში ვგრძნობდი. შიშმა ამიტანა. მინდოდა, ეს მომხდარიყო, მაგრამ იმედი მქონდა, რომ არ მოხდებოდა.

ხმა გავიგონე. გრძელი და ნელი ამოოხვრა. მაგრამ ეს არ იყო ადამიანის ოხვრა. თითქოს ვიღაცამ უხილავი სარქველიდან ორთქლი ამოუშვა. მერე სიჩუმე გამეფდა. ის ხმა მეტჯერ აღარ გამიგია.

— კაი დრო კი მოანდომე. — მითხრა ედიმ, როცა „საშინე-ლებათა სახლიდან“ გამოსული დამინახა. პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა. ისევ ვაშლის ყუთზე იჯდა, ხელში ბეკონიანი სენ-დვიჩი და ყავა ეჭირა. თავიდან ფეხებამდე ტურტლიანი ვიყავი. ედი კი სუფთად გამოიყურებოდა.

— ვაგონები ჭუჭყიანი იყო. ჯერ გავრეცხე, მერე გავაპრია-ლე.

ედიმ მომდგარი ნახველი პირში დაიგროვა, მერე კისერი წაიგრძელა და გადააფურთხა.

— მედალს თუ ელოდები, იმედები უნდა გაგიცრუო. მედ-ლებს მე არ ვარიგებ. წადი, ჰარდი მოძებნე, სარწყავი სისტემა აქვს გასაწმენდი. შენნაირი უქნარა მაგის კეთებას დღის ბო-ლომდეც ვერ მორჩება. თუ ადრე მორჩები, ჩემთან მოდი და რამეს კიდევ გამოგინახავ. საქმე ბლომადაა.

— კარგი, წავალ. — ვთქვი გახარებულმა, რადგან მისგან თავის დაღწევის შანსი მომეცა.

— ლანირაკო! — წელმოწყვეტილი მოვტრიალდი. — ნახე ის?

— რა?

უსიამოვნოდ გაიღმიჭა:

— ვიცი რასაც აკეთებდი. არც პირველი ხარ და არც უკა-ნასკნელი. ნახე-მეთქი?

— შენ ოდესმე გინახავს?

— არა.

მზით გარუჯული სახიდან ეშმაკური თვალები მიყურებ-დნენ. რამდენი წლისა იქნებოდა? სამოცის? დანამდვილებით ვერ იტყოდი, ისევე როგორც ვერ იტყოდი, ახლა სიმართლეს ამბობდა თუ ცრუობდა. ეგ არ მანალვლებდა. უბრალოდ მინ-დოდა, რომ გავცლოდი. ხელთათმნიანი ხელი ასწია:

– იცი, რომ იმ ტიპს, ვინც ეს ჩაიდინა, ხელთათმანები ეც-
ვა?

თავი დავუქნიე:

- ზედმეტი პერანგიც ჰქონდა წამოღებული.
- სწორი ხარ, – გაეცინა, – სისხლის კვალი რომ არ დას-
ტყობოდა. სწორადაც მოიქცა. ვერ დაიჭირეს. წადი ახლა, აქე-
დან მოუსვი.

„ბორბალთან“ მისულს ლეინის ჩრდილი შემომეგება. „ბორ-
ბალზე“ ამძვრალიყო, ნახევრამდე იყო ასული და სულ უფრო და
უფრო მაღლა მიინევდა. ფეხის დადგმამდე თითოეულ რკინას
საგულდაგულოდ ამონმებდა. თეძოზე იარაღების ტყავის ჩან-
თა ეკიდა და იქიდან ქანჩის ხშირ-ხშირად იღებდა. „ჯოილენდში“
მხოლოდ ერთი ბნელი ატრაქციონი იყო, მაღლები კი უამრავი.
სეზონზე თითოეულ მათგანს სამკაციანი ბრიგადა ყოველდღე
ამონმებდა – ყველა ჭანჭიკს სათითაოდ ამონმებდნენ და, რა-
ღა თქმა უნდა, კომისიაც ჩამოდიოდა (ჩრდილოეთ კაროლინის
გასართობ პარკთა ინსპექციიდან). მათი ვიზიტი ხან წინასწარ
დაგეგმილი იყო, ხანაც სრულიად მოულოდნელი. ლეინი კი ამ-
ბობდა, ატრაქციონის უოკეი, რომელიც თავის ატრაქციონს სა-
კუთარი თვალით და ხელით არ ამონმებს, ზარმაცი და უქნა-
რა არისო. ამიტომაც გავიფიქრე, ნეტავ, ედი პარკსმა თავისი
ვაგონებით ბოლოს როდის იმგზავრა, ან მათ უსაფრთხოებაში
როდის დარწმუნდა-მეთქი.

ლეინმა ქვემოთ ჩამოიხედა, დამინახა და ჩამომძახა:

- იმ მახინჯმა ნაბიჭვარმა ლანჩის საჭმელად მაინც თუ
გამოგიშვა?

– არა. მთელი შესვენება საკუთარი ნებით ვმუშაობდი. დრო გამეპარა. – ახლა უკვე მართლა მშიოდა.

– ჩემს ბუდრუგანაში თევზის და მაკარონის სალათა დევს. თუ გინდა ჭამე. გუშინ ძალიან ბევრი გავაკეთე.

პატარა ჯიხურში შევედი, კარგა მოზრდილი კონტეინერი ვიპოვე და თავი ტკაცანით ავხადე. ლეინის ძირს ჩამოსვლამდე მთელი სალათა გადავსანსლე.

– მადლობა, ლეინ. გემრიელი იყო.

– ჰო, ცოლად გამოვადგები ვინმეს.

– როგორ არის საქმე?

– ყველაფერი კარგადაა. „ბორბალი“ გამართულია. გინდა, ცოტას რომ მოინელებ, ძრავის შეკეთებაში მომეხმარო?

– კი, რა თქმა უნდა.

თავისი ქვაბურა მოიხადა და თითზე დაიბზრიალა. უკან გადაწეული თმა პატარა კუდად ჰქონდა შეკრული. შავ თმაში გამორეული რამდენიმე ჭალარა შევნიშნე. ზაფხულის დასაწყისში არ ჰქონდა, დარწმუნებული ვიყავი.

– მისმინე, ჯონსი. ედი პარკსი არის კარნი კარნთაგანი, მაგრამ რა? მაგარი ნაბიჭვარია. მის თვალში ორი ნაკლი გაქვს: პირველი – ახალგაზრდა ხარ და მეორე – რვა კლასზე მეტი განათლება გაქვს. როცა ყელში ამოგიყვანს, მითხარი და მე მივხედავ.

– დიდი მადლობა. ჯერ ვიტან.

– ვიცი, რომ იტან. გიყურებდი, როგორ გიჭირავს თავი და უნდა გითხრა, რომ მაგარი ხარ. მაგრამ ედი უბრალოდ უხეში არ არის.

– თავხედია.

– კი, ეგრეა. მაგრამ როგორც ყველა თავხედს მაგასაც კბილებს თუ აჩვენებ, ჩაისვრის. აქ მოიძებნებიან ადამიანები, ვისიც მაგას ეშინია. მათ შორის ჩემი. ერთი-ორჯერ ცხვირპირი

გავუერთიანე. თუ საჭირო გახდა, კიდევ გავიმეორებ. მოკლედ, თუ დაგლალა, მე მოვუვლი.

- რაღაც მინდა გკითხო მაგ ედიზე.
- მიდი.
- იმ ხელთათმანებს რატომ არ იძრობს?

ლეიინმა გაიცინა, ქუდი თავზე დაიმხო და გვერდზე მოიქცია.

— ფსორიაზი აქვს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს. არც მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე მაგისი ხელები. ამბობს, ხელთათმანები თუ არ მიკეთია იმდენს ვიფხან, სანამ სისხლი არ წამომივაო.

- ეგებ მაგიტომაცაა ასეთი უუმური?
- მე მგონი, უფრო პირიქითაა — კანი ცუდმა ხასიათმა გაუფუჭა. სხეულს თავი აკონტროლებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. კარგი, ჯონსი, წამო, ვიმუშაოთ.

„პორპალი“ ზამთრის ძილისთვის მოვამზადეთ და მერე სარწყავ სისტემასაც მივხედეთ. დაწესებილი ჰაერით მიღებიდან ჯერ წყალი გამოვტუმბეთ, მერე კი შიგ ანტიფრიზი ჩავასხით. მზე ჩადიოდა და ხეების ჩრდილები დაგრძელდა.

— დღეს გვეყოფა, — თქვა ლეიინმა, — საკმარისზე მეტი ვიმუშავეთ. ბარათი მომიტანე, ხელი მოგიწერო.

საათს ხელი დავარტყი იმის ნიშნად, რომ ჯერ მხოლოდ ექვსის თხუთმეტი წუთი იყო.

გაიღიმა და თავი გაიქნია.

— რა პრობლემაა? ბარათში ექვსს ჩავწერ. დღეს თორმეტი საათის საქმე გააკეთე, ლანირაკო. მინიმუმ თორმეტის.

- კარგი. მაგრამ ლანირაკს ნუ მეძახი! ეგრე ის მეძახის. —
თავი „საშინელებათა სახლისკენ“ გავიქნიე.
- კარგი, გავითვალისწინებ. ახლა პარათი მომიტანე და
მერე მოუსვი აქედან.

ნაშუადლევს ქარი ჩადგა. როდესაც პლაზის გზას დავადე-
ქი თბილოდა და სასიამოვნო სიო უბერავდა. ქალაქში დაბრუ-
ნებისას ყოველთვის ტალღებზე მოტივტივე ჩემს წაგრძელე-
ბულ ჩრდილს ვუყურებდი ხოლმე, იმ საღამოს კი, ძირითადად,
საკუთარ ფეხებს ვაშტერდებოდი. დაქანცული ვიყავი. „ბეტის
საცხობში“ ლორისა და ყველის სენდვიჩის და იქვე მდებარე
„7-ილევენში“ ლუდის ყიდვის გარდა არაფერი მინდოდა. ჩემს
ოთახში ავალ, სკამს ფანჯარასთან დავიდგამ, თან შევჭამ, თან
ტოლკინს წავიკითხავ-მეთქი, ვფიქრობდი.

ბიჭის ხმის გაგონებაზე თვალი ჩემს ფეხსაცმელებს მოვა-
შორე. სიო ჩემკენ უბერავდა და ბიჭის ხმა მოჰქონდა, ამიტომ
მკაფიოდ მომესმა.

— ჩქარა, დე! თითქმის გა... — სათქმელი ხველამ შეაწყე-
ტინა. — თითქმის გამოგივიდა!

იმ საღამოს მაიკის დედას თავისი ქოლგა მიეტოვებინა და
პლაზზე გამოსულიყო. ჩემკენ მორბოდა, მაგრამ ვერ მხედავდა.
ფრანს მისდევდა. ფრანი მის თავს ზემოთ ფრიალებდა.

„არასწორი მიმართულება გაქვთ, დედიკო“! — გავიფიქრე.

ფრანს ხელი გაუშვა. ფრანმა ერთი-ორი ფუტით აიწია,
აქეთ-იქით შექანდა და ქვიშაზე დაეშვა. ნიავმა აიტაცა და
ხტუნვა-ხტუნვით წაილო. დედიკო გაეკიდა.

— კიდევ ერთხელ! — დაიყვირა მაიკმა. — აი როგორც წელან! — მჭახედ დაახველა. — წელან თითქმის გამოგივიდა!

— არა, არც წელან გამომივიდა. — ქალს დაღლილი და იმედ-გაცრუებული ხმა ჰქონდა. — ამ წყეულ ფრანს არ ვუყვარვარ. წამოდი, შევიდეთ და ვივა...

მაილო მაიკის ეტლთან იჯდა და საღამოს გართობას ხალი-სით აკვირდებოდა. დამინახა თუ არა, ყეფა-ყეფით ჩემკენ გა-მოქანდა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მორბოდა. უცებ, მა-დამ ფორტუნას ნათქვამი გამახსენდა: შენს მომავალში პატარა გოგონას და პატარა ბიჭს ვხედავ. ბიჭს ძაღლი ყავს. ეს ხომ ჩემი აქ ჩამოსვლის პირველივე დღეს მითხრა!

— მაილო, გაჩერდი! — დაუძახა ძაღლს დედიკომ. საღამოს, პლაზიზე გამოსვლისას თმა, ალბათ, ანეული ჰქონდა, მაგრამ ეტყობა, საავიაციო ექსპერიმენტების დროს ჩამოეშალა. დაუ-დევრად გადაიწია.

მაილომ ყურადღება არ მიაქცია. ჩემ წინ დაერჭო და თა-თები ისევ ძველებურად ასწია. გამეცინა და თავზე ხელი გა-დავუსვი.

— მეგობარო, ამ საღამოს ალერსს უნდა დასჯერდე, კრუა-სანები არ მაქვს.

ერთხელ შემომყეფა და დედიკოსკენ გაიქცა. დედიკო ლრმად სუნთქავდა და უნდობლად მათვალიერებდა. ფრანი ხელში ეჭირა, მაგრამ ფეხებთან დასთრევდა.

— ხომ ხედავთ? ამიტომ არ მინდოდა, რომ რამე მიგეცათ. ნამდვილი მათხოვარია. თუ ვინმემ რამე მოუტეხა, მაშინვე უმეგობრდება.

— მეგობრობა მეც შემიძლია. — მივუგე.

— ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ გთხოვთ, ჩვენს ძაღლს აღარაფერი აჭამოთ.

სპორტული ფეხსაცმელი და გახუნებული ცისფერი მაისური ეცვა, გულზე წარწერით. მაისურზე შერჩენილი ოფლის ლაქებით თუ ვიმსჯელებდი, ფრანის გაშვებას ალბათ კარგა ხნის განმავლობაში ცდილობდა. თან ძალიან ცდილობდა. აბა რას იზამდა? ჩემი შვილიც რომ ეტლში მჯდარიყო, მეც მომინდებოდა მის სახელზე რამის ჰაერში საფრენად გაშვება.

— ფრანი არასწორად გიჭირავთ. არც გაქცევაა საჭირო. არ ვიცი, ამ ხალხს რატომ ჰგონია, რომ ფრანის გასაშვებად აუცილებლად უნდა გაიქცეს.

— დარწმუნებული ვარ, ამ საქმის ნამდვილი ექსპერტი ბრძანდებით, მაგრამ ახლა გვიანია, მაიკი სავახშმოდ უნდა წავიყვანო.

— დედიკო, გეხვეწები, მაგ ბიჭმა სცადოს რა! გთხოვ! — გაისმა მაიკის ხმა.

რამდენიმე წამს თავდახრილი იდგა. ჯერ კიდევ ოფლიანი, ანენილი თმა კისერზე ეკვროდა. მერე ამოიხხრა და ფრანი გამომიწოდა. ახლა კი გავარჩიე წარწერა მის მაისურზე: „პერა პერის ჩემაიონათი (გამოლილი), 1959“. ფრანის წინა მხარე მართლა საინტერესო იყო. ბევრი ვიცინე. ქრისტეს სახე იყო გამოსახული.

— ჩვენი ოჯახური ხუმრობაა. ნურაფერს მკითხავთ.

— კარგი.

— კეთილი, მისტერ ჯოილენდ, მხოლოდ ერთხელ სცადეთ. მერე ბიჭი სავახშმოდ უნდა წავიყვანო. მისი გაციება არ შეიძლება. შეარჩან ავად იყო და ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. თვითონ კი ჰგონია, რომ კარგად არის, მაგრამ ცდება.

პლაზზე გვარიანად ცხელოდა, მაგრამ არაფერი მითქვამს. დედიკო აშკარად არ იყო კამათის ხასიათზე. უბრალოდ, შევახსენე, დევინ ჯონსი გახლავართ-მეთქი. ხელები ასწია და ისე გაშალა, თითქოს მეუბნებოდა, როგორც თქვენ იტყვითო.

ბიჭს გავხედე.

- მაიკ?
- დიახ.
- თოკმობმული კოჭი დაატრიალე. მე გეტყვი, როდის უნდა გაჩერდე.

როგორც ვუთხარი ისე მოიქცა. თოკს მივყევი და როცა იმ ადგილს გავუსწორდი, სადაც ბიჭი იჯდა, იესოს თვალი თვალში გავუყარე.

- აბა, მისტერ ქრისტე, ამჯერად ინებებთ გაფრენას?

მაიკმა გაიცინა, დედიკომ – არა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ლიმილმა მასაც გადაურბინა სახეზე.

- ამბობს, კიო. – ვუთხარი მაიკს.

– კარგია, იმიტომ, რომ... – სათქმელი ვერ დაასრულა, ხველება აუვარდა. დედა არ ცდებოდა, ბიჭი ჯერ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო. სათქმელი მოგვიანებითლა დაასრულა: – ...აქამდე ქვიშის ყლაპვის მეტი არაფერი უკეთებია.

ფრანი თავს ზემოთ დავიჭირე, პირით ჰევენს-ბეისკენ ვიდექი. ვიგრძენი, რომ ქარი ფრანს ხელიდან მტაცებდა.

- როცა გავუშვებ, კოჭი დაატრიალე. – ვუთხარი მაიკს.
- მაგრამ...
- არავითარი მაგრამ. სწრაფად უნდა იმოქმედო და ყურადღებით იყო.

მინდოდა, ფრანს გვარიანად ეტკაცუნა, მინდოდა, ბიჭს თავი ყველაფრის შემძლედ ეგრძნო, მინდოდა, ფრანი მას გაეშვა ჰაერში. გაუშვებდა კიდეც. რაც მთავარია, ნიავს არ უნდა ემტყუნა. იმედი მქონდა, პირველივე ცდაზე გამოგვივიდოდა, რადგან ეს ფრანის გაშვების ერთადერთი შანსი იყო.

- ფრანი აფრინდება. როდესაც აფრინდება, თოკი გამოუშვი. მაგრად დაიჭირე, კარგი? თუ დაშვება დაიწყო...

- მოვქაჩავ, მივხვდი.
- კარგი. აბა მზად ხარ?
- კი!

მაილო ჩემსა და დედიკოს შორის იჯდა და ფრანს უყურებდა.

- წავედით!.. სამი... ორი... ერთი... ვუშვებთ!

ბავშვი ეტლში მოხრილი იჯდა, ფეხები გალეული ჰქონდა, მაგრამ ხელებს ჩვეულებრივად ხმარობდა და მითითებებსაც სწორად ასრულებდა. თოკი თავისკენ მოქაჩა და ფრანმაც უმაღლ ჰაერში აინია. მერე თოკი ნელ-ნელა მოუშვა – თავიდან ცოტა ზედმეტი მოუვიდა, ფრანი ოდნავ დაეშვა, მაგრამ ბიჭი მიხვდა რაშიც იყო საქმე და მაღლ ფრანმაც აწევა დაიწყო. ბიჭი იცინოდა.

- ვიგრძენი, ვიგრძენი! ხელებით ვგრძნობ!

– ჯერ მხოლოდ ქარს გრძნობ. მიდი, მაიკ! როგორც კი ცოტა ზევით აინევს, ქარი დაეპატრონება. მერე უნდა სცადო, არ გაგიფრინდეს.

თოკი მოუშვა და ფრანი ზევით ავარდა. ჯერ პლაჟის თავზე დაეკიდა, მერე – ოკეანის ტალღების. სულ მაღლა და მაღლა მიინევდა და სექტემბრის საღამოს სილურჯეს ერწყმოდა. ცოტა ხანს ფრანს ვუყურებდი, მერე ქალს შევავლე თვალი. ჩემს მზერას არ შეუკრთია, რადგან ვერ ამჩნევდა, რომ ვუყურებდი. მისი ყურადღება შვილისკენ იყო მიმართული. ასეთი სიყვარული ან ამხელა ბედნიერება, მე მგონი, არც მანამდე და არც მას მერე არავის სახეზე არ მინახავს. ბედნიერი იყო, რადგან ხედავდა, რომ ის იყო ბედნიერი. ბიჭს თვალები უბრწყინავდა და აღარ ახველებდა.

- დედიკო, იცი როგორი შეგრძნებაა, თითქოს ცოცხალი არსება მიჭირავს ხელში!

„არის კიდეც“ – გავიფიქრე და გამახსენდა, როგორ მას-ნავლიდა ბავშვობაში მამა ფრანის გაშვებას. მაშინ დაახლოებით მაიკის ასაკის ვიყავი, მაგრამ ჯანმრთელი ფეხები მქონდა და მყარად ვიდექი. იქ, ზემოთ, თავის საბრძანებელში, ის ცოცხალია.

– მოდი, ნახე! არ გინდა შენც იგრძნო? – დაუძახა ბიჭმა დედას.

ქალმა პატარა ბორცვი აიარა და ბიჭუნას გვერდით დადგა. თვალებით ფრანს უყურებდა, ხელებით კი ბიჭის მუქ თმას ეალერსებოდა.

– ეს ხომ შენი ფრანია, პატარავ!

– კი, მაგრამ ეს შენც უნდა იგრძნო. წარმოუდგენელი რამეა!

ქალმა ბიჭს კოჭი ჩამოართვა. მასზე დახვეული თოკი საგრძნობლად შეთხელებულიყო (ფრანი შავი მარგალიტივით ეკიდა. ქრისტეს სახეს ვეღარ ვხედავდით). სულ ერთი წამით ქალი თითქოს შეკრთა. მერე გაიღიმა. მონაბერმა ქარმა ფრანი აიტაცა, ჯერ მარცხნივ გააქანა, მერე მარჯვნივ. ქალის ლიმილი სიცილმა შეცვალა.

ცოტა ხნის მერე მაიკმა დედას მიმართა:

– დე, ახლა იმან აფრინოს.

– არა, იყოს, არ მინდა.

მაგრამ ქალმა კოჭი გამომიწოდა:

– დაუინებით მოვითხოვთ, მისტერ ჯონს, ბოლოს და ბოლოს ამ რეისის კაპიტანი თქვენ ხართ.

გამოვართვი. ხელში თოკის ნაცნობი თრთოლვა ვიგრძენი. ისე ირხეოდა და იჭიმებოდა, გეგონებოდათ, ანკესზე წამოგებული თევზი ფართხალებსო. მაგრამ ფრანის ფრენაში ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ არავის კლავ.

- სადამდე ავა? – მკითხა მაიკმა.
 - არ ვიცი. შეიძლება დღეს მაგაზე მაღლა აღარც წავიდეს.
- ზემოთ უფრო ძლიერი ქარი უბერავს და შეიძლება გახიოს. გარდა მაგისა, თქვენ ხომ სავახშმოდ ემზადებით.
- დედიკო, შეიძლება, მისტერ ჯონსიც დაგვენვიოს ვახშამზე?

ამის გაგონებაზე დედა აშკარად შეცპა, რაღაც არ ესია-მოვნა. მაგრამ შევნიშნე, რომ უარის თქმას არ აპირებდა, რადგან მე ფრანი ავუფრინე.

- არა, არ არის საჭირო. დაპატიჟებისთვის დიდი მადლობა, მაგრამ პარკში დღეს ძალიან დამღლელი დღე მქონდა. პარკს ზამთრისთვის ვალაგებთ და თავიდან ფეხებამდე ჭუჭყიანი ვარ.
- ჩვენთან სახლში დაიბანეთ. მე მგონი, სამოცდაათი აბაზანა გვაქვს.

– მაიკ!

– კარგი, მაშინ სამოცდათხუთმეტი გვექნება და ყოველ მათგანში ჯაკუზი გვიდგას. – თქვა ბიჭმა და სიცილი წასკდა. საყვარლად, გადამდებად იცინოდა, სანამ ხველა არ აუტყდა. მერე ხველა ყივილში გადაეზარდა. ბოლოს, როცა დედას უკვე შეშფოთება დაეტყო სახეზე (მე თავიდანვე შევშინდი), ბიჭი ხველას მოერია.

– სხვა დროს იყოს. – ვუთხარი და კოჭი გავუწოდე. – შენი ქრისტეს გამოსახულებიანი ფრანი ძალიან მომენტია. ძალლიც კარგი გყავს. – დავიხარე და მაილოს თავზე მივეფერე.

– კარგი... სხვა დროს იყოს, მაგრამ...

დედა ნაჩქარევად ჩაერთო საუბარში:

– მისტერ ჯონს, ხვალ დილით სამსახურისკენ მიმავალი ხომ არ შემოგვიერთდებოდით? პირდაპირ პლაზზე ვისაუზმებ-დით.

ცხადია, უცხო კაცის სახლში შეშვება არ სურდა.

– იცი, რა მაგარი იქნება?! – წამოიძახა მაიკმა.

– კარგი, ეგრე იყოს. „ბეტისთან“ შევივლი და ფუნთუშებს ვიყიდი.

– არა, არ არის საჭირო, – თქვა დედამ.

– რას ამბობთ, მემ. სიამოვნებით მოვიტან.

– აქამდე არ გაგცნობივართ, არა? მე ენ როსი ვარ. – თქვა და ხელი გამომიწოდა.

– ხელს ჩამოგართმევდით მისის როს, მაგრამ მართლა ძალიან ჭუჭყიანი ვარ. – ხელები ვუჩვენე და დავამატე: – ალბათ ფრანიც გაგიჭუჭყიანეთ.

– ალბათ, ქრისტეს ულვაშები დაახატე! – წამოიძახა მაიკმა და სიცილი აუტყდა. სიცილი მალე ისევ ხველაში გადაუვიდა.

– მაიკ, თოკი მოგეშვა, – ვუთხარი მე. ახლა კოჭი დაატრიალე და თოკი ნელ-ნელა დაახვიე. დავიხარე, დასამშვიდობებლად მაილოს თავზე მივიფერე და სანაპიროსკენ დავეშვი.

– მისტერ ჯონს! – დამიძახა ენიმ.

მივტრიალდი. წელგამართული იდგა, ნიკაპი ზემოთ აეწია. ოფლისგან მაისური ტანზე შემოტმასნოდა. ლამაზი მკერდი ჰქონდა.

– მის როსი გახლავართ! მაგრამ ახლა ხომ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, შეგიძლიათ ენი დამიძახოთ.

– ძალიან კარგი. – მივუგე და მაისურზე ვანიშნე. – რა ჩემ-პიონატია და რატომ „განოლილი“?

– განოლილი ისვრი და იმიტომ. – ამიხსნა მაიკმა.

– საუკუნეა აღარ მისვრია. – თქვა ქალმა ნაჩქარევად. ამით მაგრძნობინა, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურდა.

არ მწყენია. მაიკს ხელი დავუქნიე. მანაც დამიქნია. იცინოდა. ამ ბავშვს ძალიან მაგარი სიცილი ჰქონდა.

ორმოცდაათიოდე იარდი გავიარე და უკან მივიხედე. ფრანი ნელ-ნელა ეშვებოდა, მაგრამ ქარი ჯერ კიდევ ჰაერში ალივ-ლივებდა. ორივე ფრანს გაჰყურებდა. ქალს შვილის მხარზე ედო ხელი.

„მის და არა მისის. – გავიფიქრე. – იმ უზარმაზარ ვიქტორიანულ სამოცდაათაზანიან სახლში მისტერი არ ჰყავთ“? მათთან ერთად კაცი არასდროს მენახა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ეს კაცი არ არსებობდა. შეიძლება არც არსებობდა. ორნი იყვნენ. მარტონი. თავისთვის.

დილით ენი როსისგან ბევრი ვერაფერი შევიტყვე, სამაგიეროდ მაიკმა მიამბო ბევრი რამ. ენის იოგურტი თავად მოემზადებინა, მარწყვიც უშურველად გაერია. „ბეჭის საცხობში“ შევიარე და კრუასანები და მოცვიანი ფუნთუშები ვიყიდე. მაიკი ცომეულს არ მიეკარა, მაგრამ თავისი იოგურტი ბოლომდე შესანსლა და დამატებაც მოითხოვა. ამის გაგონებაზე დედამ გაოცებისგან პირი დააღო. მივხვდი, რომ უჩვეულო მოვლენის მოწმე გავხდი. თანაც ძალიან კარგის.

- დარწმუნებული ხარ, რომ მეორესაც მოერევი?
- ალბათ ნახევარს. შენ ხომ მეუბნები, რომ იოგურტი კუჭის მოქმედებაში მეხმარება.
- მაიკ, არ მგონია, დილაადრიან შენი კუჭის მოქმედებაზე ლაპარაკი დროული იყოს.
- ბოდიში. – თქვა ბიჭმა, მაგრამ წუხილისა არაფერი ეტყობოდა. თვალები უბრწყინავდა.
- ბოდიშს მე კი ნუ მიხდი, მისტერ ჯონსს მოუხადე.
- ბოდიში მიღებულია. – ჩავილაპარაკე სასწრაფოდ.

– მისტერ ჯონს, ცოტა ხანს თვალი გეჭიროთ მაიკზე, ახლავე დავბრუნდები.

– სიამოვნებით, ოღონდ დევინი დამიძახეთ.

– კარგი. – თქვა და აჩქარებული ნაბიჯით გაგვეცალა. ხის დაფებით მოპირკეთებულ ბილიკთან გაჩერდა და გამოგვხედა. მთელი გონებით ჩვენთან იყო, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ თავის ავადმყოფურად გამხდარი შვილის მუცელში რამდენიმე კალორიით მეტი შეიძლებოდა ჩასულიყო, მისთვის დიდი ცდუნება იყო. ამიტომ გზა განაგრძო.

მაიკმა თვალი გააყოლა და როცა ქალი თვალს მიეფარა, ამოიოხრა.

– ახლა კი ნამდვილად მომიწევს ჭამა.

– თავად არ მოითხოვე?

– იმიტომ მოვითხოვე, რომ მაგის გარეშე მსურდა შენთან ლაპარაკი. ძალიან მიყვარს, მაგრამ სულ მაკონტროლებს. გეგონება, რაც მჭირს სამარცხვინო საიდუმლო იყოს და არავინ უნდა გაიგოს. – მხრები აიჩეჩა. – კუნთების დისტროფია მაქვს. ეგ არის და ეგ. ეტლშიც მაგიტომ ვზივარ. სიარული შემიძლია, მაგრამ ყავარჯვების თავი არ მაქვს.

– ძალიან ვწუხვარ, მაიკ.

– ჰო, ცუდია, მაგრამ ჩემი თავი სხვანაირი არც მახსოვს. თან განსაკუთრებული ტიპის დისტროფია მაქვს. დუშენის დისტროფია ჰქვია. ბავშვების უმრავლესობა, ვისაც ეს ფორმა აქვს, ოც წლამდეც ვერ ცოცხლობს.

მითხარით, რა უნდა მეთქვა ათი წლის ბავშვისთვის, რომელმაც გამიმხილა, რომ სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა.

თითო მასწავლებელივით ასწია:

– გახსოვს, რომ თქვა, გასულ წელს ავად იყო?

- მაიკ, ნურაფერს მომიყვები, თუ მოყოლა არ გინდა.
- არა, მინდა. – ბიჭი დაუინებით მიყურებდა. – შენც გინდა. ეგებ საჭიროც არის რომ იცოდე.

ისევ მადამ ფორტუნა გამახსენდა. ორ ბავშვზე მითხრა – წითელქუდიან გოგოზე და ძალლიან ბიჭზე. ისიც მითხრა, ერთს ნიჭი აქვს, მაგრამ რომელს ვერ ვხედავო. სამაგიეროდ მე ვხედავდი.

- დედაჩემი ამბობს, თითქოს მგონია, რომ მოვრჩი. შენი აზრით, ასე მგონია?

– საშინლად ახველებ, მაგრამ სხვა მხრივ... – დავიბენი. ვერ ვხვდებოდი, დაწყებული როგორ დამებოლოვებინა. რა მეთქვა: ფეხები ჯოხებივით გკიდია, მაგრამ სხვა მხრივ არა გიშავს-მეთქი? ნაძლევი რომ მქონდეს დასადები, რომელი უფრო დიდხანს იცოცხლებთ – შენ თუ მაილო, ნაძლევს მაილოზე ჩამოვალ-მეთქი?

– მადლიერების დღის მერე ფილტვების ანთეპა დამემართა. ერთ-ორ კვირაში რომ ვერ მოვრჩი, ექიმმა დედას უთხრა, იმ აზრს უნდა შეეგუო, რომ ბიჭი კვდებაო.

„მაგრამ ექიმს ეს ხომ შენს გასაგონად არ უთქვამს? ეგეთ რამეებს პაციენტების გასაგონად არ ამბობენ“. – გავიფიქრე.

– მაგრამ ხომ ხედავ, გადავრჩი. – ამაყად განმიცხადა. – მაშინ ბაბუამ დედას დაურეკა – მანამდე დიდხანს არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. არ ვიცი, ვინ უთხრა, რა ხდებოდა ჩვენს თავს, მაგრამ იმას თავისი ხალხი ყველგან ჰყავს. ნებისმიერს შეიძლებოდა მიეტანა ამბავი.

ხალხი ყველგან ჰყავს – ასეთი რამ პარანოიად მეჩვენა, მაგრამ არაფერი ვთქვი. მერე გაირკვა, რომ პარანოია არ ყოფილა. მაიკის ბაბუას თავისი ხალხი მართლაც ყველგან ჰყოლია.

– ბაბუმ თქვა, ფილტვების ანთებას ღმერთის წყალობით გადაურჩაო. დედამ უთხრა, რაღაცებს ნუ როშავ, კაცმა შენ რომ გუითხოს, მისი დისტროფიაც ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელიაო. მერე დედამ ყურმილი დაუკიდა.

მაიკი, შესაძლოა, ამ საუბარს შეესწრო, მაგრამ დედის ნათქვამი მოისმინა და არა ბაბუის. არ მგონია, დედას ბაბუას სიტყვები მისთვის გადაეცა. მივხვდი, არ მინდოდა, ენი მალე დაბრუნებულიყო. მაიკის ლაპარაკი მადამ ფორტუნას ნათქვამს არ ჰერთვდა. ფორტუნას მართლაც ჰქონდა მეექვსე გრძნობა (მაშინაც მჯეროდა და ახლაც, ამდენი წლის მერეც, ამაში დარწმუნებული ვარ), გამჭრიახი იყო და ადამიანის ბუნებასაც კარგად იცნობდა. ამ ყველაფერს კარნის საბურველში ახვევდა და მკითხაობდა. მაიკი კი სხვანაირი იყო. უფრო უბრალო, უფრო სუფთა. მასთან ურთიერთობა ლინდა გრეის ნახვასავით იყო – სხვა სამყაროსთან შეხებას ნიშნავდა. ხომ ხვდებით?

– დედამ თქვა, აქ აღარასოდეს ჩამოვალთო, მაგრამ ხომ ხედავ? ჩამოვედით. იმიტომ რომ მე პლაუზე ყოფნა მინდოდა, კიდევ – ფრანის გაშვება. კიდევ იმიტომ ჩამოვედით, რომ მე თორმეტისაც ვერ გავხდები, ოცს ვინ ჩივის. ფილტვების ანთება მქონდა, წამლებს ვსვამ, მშველის, მაგრამ ფილტვების ანთებამ და დისტროფიამ გული და ფილტვები საბოლოოდ დააუძლურა.

ბავშვებისთვის დამახასიათებელი გამომწვევი მზერით მიყურებდა, აინტერესებდა, რა რეაქცია მექნებოდა მის ნათქვამზე, მის არცთუ მთლად ბავშვურ ლექსიკაზე. მოსმენილმა იმდენად შემძრა, რომ სიტყვებზე აღარ დავფიქრებულვარ.

– რაც შენ ახლა მითხარი, მაგას იოგურტის დამატებითი პორცია ნამდვილად ვერ უშველის.

თავი უკან გადააგდო და გაიცინა. მაგრამ სიცილი მალე საშინელ ხველაში გადაუვიდა. შეშინებული ვეცი და ზურგზე ხელი დავარტყი... ნაზად დავარტყი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მის სხეულში ძვლები არ იყო. მაილომ დაიყეფა და თა-თები მაიკის გალეულ ფეხებზე დააწყო.

მაგიდაზე ორი სურა იდგა. ერთში წყალი ესხა, მეორეში – ფორთოხლის ფრეში. მაიკმა თითით წყალზე მანიშნა. ნახევარი ჭიქა დავუსხი. მინდოდა, ჭიქა დამეჭირა და ჩემი ხელით და-მელევინებინა, მაგრამ მოთმინებადაკარგულმა შემომხედა და წყალი გამომართვა, მიუხედავად იმისა, რომ ხველისგან იკლაკ-ნებოდა. ცოტა მკერდზე ჩამოელვარა, ცოტა ყელშიც ჩაუვიდა და ხველაც შეუმსუბუქდა.

– ჰო, მაგრად შემომიტია. – თქვა და ხელი მკერდზე მოის-ვა. გული საშინლად მიცემს. დედას არაფერი უთხრა.

– ვითომ რა, არ იცის, ასე რომ გახველებს?

– ჩემი აზრით, საჭიროზე მეტი იცის. იცის, რომ სამი თვე შეიძლება კიდევ კარგად ვიყო, მერე კი ოთხი-ხუთი თვე საშინ-ლად ვიქნები. სულ ლოგინში უნდა ვიწვე, უანგბადი ვისუნთქო და ტელევიზორს ვუყურო. ახლა იმაზელა ფიქრობს, მისცეს თუ არა ბებიას და ბაბუას დაკრძალვაზე დასწრების უფლება. – თქვა და თვალები აუწყლიანდა. ეგებ ცრემლები ხველისგან წა-მოუვიდა, მაგრამ არა მგონია. სუსტად იყო, თუმცა თავი ხელში აიყვანა. წუხელ, როცა ფრანი ჰაერში აიჭრა, თავის ასაკთან შედარებით პატარას გავდა. ახლა კი ვხედავდი, როგორ ცდი-ლობდა, გაცილებით უფროსი ყოფილიყო. ერთმანეთს თვალებ-ში შევყურებდით. – დედამ ეს ყველაფერი კი იცის, მაგრამ ის აღარ იცის, მე რა ვიცი.

კარი გაჯახუნდა. დავინახეთ, როგორ გადმოჭრა ენიმ ეზო და ბილიკისკენ აიღო გეზი.

– მე რატომ უნდა ვიცოდე ეს ყველაფერი, მაიკ?

თავი გააქნია:

– წარმოდგენა არ მაქვს. დედას ხომ არაფერს ეტყვი? ღიზიანდება. ჩემს გარდა არავინ ჰყავს. – თქვა არა სიამაყით, არამედ დანანებით. უბრალოდ რეალობა აღნიშნა.

– კარგი, არ ვეტყვი.

– კინალამ დამავიწყდა... – თქვა და დედას გახედა. ქალს ნახევარი გზაც არ ჰქონდა გამოვლილი. – ის თეთრი არ არის.

– რა არ არის თეთრი?

მაიკ როსი საგონებელში ჩავარდნილივით მიყურებდა.

– არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს. დილით, როცა გამელვიძა, გამახსენდა, რომ უნდა მოსულიყავი და უცებ ეს ფრაზა მომივიდა თავში. მეგონა, შენ გეცოდინებოდა.

ენი მოვიდა. იოგურტის მცირე ულუფა წვენის ჭიქაში ჩამოესხა.

– გემრიელია! მადლობა, დე!

– არაფრის. – მიუგო დედამ.

ენიმ მაიკის სველი პერანგი შეათვალიერა, მაგრამ არაფერი თქვა. მერე მე მომიტრიალდა, წვენს კიდევ ხომ არ დალევთო. მაიკმა თვალი ჩამიკრა. სიამოვნებით-მეთქი, მივუგე. სანამ ენი წვენს მისხამდა, მაიკმა დრო იხელთა და ორი სავსე კოვზი იოგურტი მაილოს აჭამა.

ენი მიტრიალდა და ნახევრად ცარიელ ჭიქას შეავლო თვალი.

– მართლა რა მაგრად მოგშიებია!

– ხომ გითხარი, არა?

– რაზე ლაპარაკობდით შენ და მისტერ ჯონსი?

– ბევრზე არაფერზე. მოწყენილი იყო, მაგრამ ახლა კარგად არის.

არაფერი ვთქვი, მაგრამ ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.
ბოლოს გავბედე და ენის შევხედე. იღიმებოდა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება მაიკის სამყაროში, დე-
ვინ.

ალბათ იმ ქურდის გამომეტყველება მქონდა, დანაშაულის
ადგილზე რომ წაასწრეს. ენის სიცილი წასკდა. ძალიან ლამა-
ზად იცინოდა.

საღამოს, როცა „ჯოილენდიდან“ ვბრუნდებოდი, ენი ბი-
ლიკის ბოლოში იდგა და მელოდა. ქვედაბოლოსა და ბლუზში
გამოწყობილი პირველად ვნახე. მარტო იყო.

— დევინ! ცოტა ხნით გცალია?
— რა თქმა უნდა. — მივუგე და ბორცვს ავუყევი. — მაიკი
სად არის?

— კვირაში სამჯერ ფიზიოთერაპია უტარდება. ჯენისი —
მისი თერაპევტი — როგორც წესი, დილაობით მოდის ხოლმე,
მაგრამ დღეს ვთხოვე, საღამოს მოსულიყო. შენთან მარტო და-
ლაპარაკება მინდოდა.

— მაიკმა იცის?

ენიმ სევდიანად გაიღიმა.

— ალბათ. მაიკმა იმაზე გაცილებით მეტი იცის, ვიდრე უნ-
და იცოდეს. არ გეკითხები, რაზე ილაპარაკეთ დღეს დილით,
როცა თავიდან მომიშორა... მაგრამ ვიცი, რომ მისმა აზრებმა
არ გაგაკვირვა.

— უბრალოდ მითხრა, რატომ ზის ეტლში. ეგ არის და ეგ-
მერე ის მითხრა, რომ მადლიერების დღეს ფილტვების ანთება
დაემართა.

– მადლობა მინდოდა მეთქვა იმ ფრანის გამო. ჩემი ბიჭი მთელი ლამე ბორგავს, ვერ ისვენებს. ტკივილები არ აქვს, მაგრამ ძილის დროს სუნთქვა უჭირს. ნახევრად წამომჯდარს სძინავს, მაგრამ არც ეგ შველის. ზოგჯერ სუნთქვა ეკვრის, მაგრამ ასეთ დროს სიგნალიზაცია ირთვება და აღვიძებს. მხოლოდ გუშინ, ფრანის გაშვების მერე ეძინა მთელი ლამე უშფოთველად. ორი საათისთვის ავდექი და მის ოთახში მონიტორის შესამოწმებლად შევედი. ვიფიქრე, ხომ არ დაზიანდა-მეთქი. ჩვილი ბავშვივით ეძინა. არანაირი მოუსვენრობა და საწოლში ტრიალი. არც კოშმარები ესიზმრებოდა, არც ოხრავდა. ფრანის ამბავია. ისეთი სიამოვნება მიიღო, როგორსაც სხვა რამისგან, ალბათ, ვერ მიიღებდა... შენს გასართობ პარკში წასვლის გარდა, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. – გაჩერდა და გამიღიმა. – მგონი მოხსენება გამომივიდა.

– ეგ არაფერი.

– ალბათ იმის ბრალია, რომ ხმის გამცემი თითქმის არავინაა. სახლში დამხმარე ქალი მყავს – ჰევენს-ბეიდან არის, ძალიან კარგი ქალია – და, რაღა თქმა უნდა, ჯენისი, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. – ლრმად ამოისუნთქა და განაგრძო: – შენ, სრულიად უმიზეზოდ, რამდენჯერმე ძალიან უხეშად მოგექეცი. ვწუხვარ.

– მისის... მის... ჯანდაბა... ენი, საბოლიშო არაფერი გაქვს.

– კი, მაქვს. შენ ხომ შეგეძლო იმ სალამოს, ფრანით ხელში რომ დამინახე, უბრალოდ ჩაგევლო, არ გამოგვლაპარაკებოდი და მაიკისთვის ის მშვენიერი სალამო არ გეჩუქებინა. ვერც წუხელ დაიძინებდა ასე მშვიდად. ჩემი პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს ძნელად ვენდობი.

ახლა ვახშმად დამპატიუებს-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ არ დამპატიუა. შეიძლება იმის გამო, რაც ამის შემდეგ ვთქვი.

— მგონი პარკში წამოსვლას შეძლებს. ამას ადვილად მოვაგვარებ. პარკი ახლა დაკეტილია და ყველაფერს დავათვალიერებინებთ.

მოილუშა.

— არა, გამორიცხულია. თუ შენ ასე გგონია, ეს ნიშნავს, რომ მაიკს თავისი მდგომარეობის შესახებ ის არ უთქვამს, რაც მეგონა, რომ გითხრა. ეგ არ შესთავაზო. კი არ გთხოვ, მოვითხოვ.

— კარგი, მაგრამ თუ გადაიფიქრებ...

ავაცილე. გადაფიქრებას არ აპირებდა. საათზე დაიხედა და კვლავ ლიმილმა გაუნათა სახე. ისეთი ბრწყინვალე ლიმილი ჰქონდა, შეიძლებოდა გამოგპარვოდა, რომ თვალები არასოდეს უცინოდა.

— ფიზიოთერაპიის შემდეგ მაიკს ეშიება, მე კი ვახშმის სამზადისი არც კი დამიწყია. მაპატიებ?

— რა თქმა უნდა.

ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიიჩქაროდა მწვანე ვიქტორიანული სახლისკენ. სახლისკენ, რომელსაც ჩემი გრძელი ენის წყალობით ალბათ ვერასდროს ვნახავდი შიგნიდან. მაგრამ მაიკის „ჯოილენდში“ წაყვანის იდეა თავად მე ცუდად სულაც არ მეჩვენებოდა. ზაფხულის განმავლობაში პარკში უამრავი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი მოჰყავდათ — ხეიბრები, უსინათლოები, კიბოთი დაავადებულები, ფსიქიკური პრობლემების მქონენი (მაშინ, 70-იანებში, მათ „გონებრივად ჩამორჩენილებს“ ვეძახდით). რა თქმა უნდა, მაიკს „დელირიუმ შეიქერზე“ არ დავსვამდი და არ ვაჯანჯლარებდი. „შეიქერი“ დაკეტილი რომც არ ყოფილიყო, ასეთ რამეს მაინც არ გავაკეთებდი. კარუსელი კი კვლავაც ფუნქციონირებდა. კარუსელით გასეირნებას შეძლებდა. არც ფრედ დინი მეტყოდა უარს

ბავშვის „სარკეებიან სასახლეში“ შეყვანაზე. მაგრამ არა. არა და მორჩა. დედა მაიკს სათბურის ყვავილივით უფრთხილდებოდა. სხვანაირად ვერ წარმოედგინა. ფრანის გაშვება ერთგვარი ნორმიდან გადახრა იყო.

ვიდექი, ვუყურებდი და მსიამოვნებდა, რა სწრაფად და მოქნილად მოძრაობდა. ასე სიარულს მაიკი ვერასდროს შეძლებდა. ენის ფეხებს მივშტერებოდი. უენდი კიგანი წამითაც არ გამხსენებია.

შაბათ-კვირა თავისუფალი მქონდა. სისულელეა იმის მტკიცება, რომ შაბათ-კვირაობით სწორედ შენს ჯინაზე გაწვიმდება ხოლმე, მაგრამ სიმართლეს კი ძალიან ჰგავს. ჰკითხეთ, ნებისმიერ მშრომელ ადამიანს, რომელსაც შაბათ-კვირას სათევზაოდ ან პიკნიკზე წასვლა განუზრახავს და გეტყვით.

ასეთი შემთხვევებისთვის ტოლკინის წიგნი მქონდა. შაბათს, ნაშუადლევს ფანჯარასთან ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი, როცა მისის შოთლოუმ კარზე მომიკაკუნა – მისაღებ ოთახში ჩამოდი, მე, შენ და ტინა ეკერლიმ „ერუდიტი“ ვითამაშოთო. ეს თამაში დიდად არ მიყვარდა, რადგან ბევრჯერ ვიგემე მარცხი ჩემი დეიდების – ტენესისა და ნაომისაგან, რომელთაც ამ თამაშისთვის საჭირო სიტყვების საკმაოდ მდიდარი მარავი ჰქონდათ. მაინც დავთანხმდი. ბოლოს და ბოლოს, მისის შოთლოუ ბინის მეპატრონე იყო.

როცა კიბეზე ჩავდიოდით, გამანდო:

– ტინას ვავარჯიშებთ. „ერუდიტის“ მგელია. შემდეგ შაბათ-კვირას ატლანტიკ-სიტის ტურნირში მონაწილეობს. მე მგონი, ფულადი პრემიაც უნდა იყოს.

მალე – სულ რაღაც ოთხი ხელის მერე – როცა მის ეკერ-ლიმ მორიგი მაზალო სიტყვა გაგვიძრო (ისე მოკრძალებულად გაიღიმა, როგორც „ერუდიტის“ მგელს შეშვენის – ამ ღიმილს ეს ხალხი მე მგონი, სარკის წინ სწავლობს), დავრწმუნდი, რომ ჩვენი ბიბლიოთეკარი ჩემს ორივე დეიდას ჯიბეში ჩაისვამდა. ემელინა შოთლოუ ოთხმოცი ქულით ჩამორჩებოდა, მე კი... ჩემზე ლაპარაკიც არ ღირს.

– ენი და მაიკ როსების შესახებ, ალბათ, არაფერი გსმენიათ, არა? – ვიკითხე სხვათაშორის. – იმ მწვანე, ვიქტორიანული სტილის სახლში ცხოვრობენ.

მის ეკერლი შეყოვნდა. ყავისფერ ჩანთაში მორიგი ასოს ამოსალებად ჩაყოფილი ხელი ჩანთაშივე გაუშეშდა. ისედაც დიდი თვალები ჰქონდა, სქელი ლინზები კი კიდევ უფრო უდიდებდა.

– შენ რა, გაიცანი?

– ჰო. ფრანის გაშვებას ცდილობდნენ. ენი ცდილობდა... ცოტა მივეხმარე. ძალიან კარგი ხალხია. უბრალოდ მაინტერესებდა... ორნი არიან იმხელა სახლში... ბიჭი კი ძალიან ავადაა...

ერთმანეთს ისე გადახედეს, მივხვდი, არ დამიჯერეს და ვინანე, რომ ამაზე საუბარი საერთოდ დავიწყე.

– რა? გელაპარაკა?! ეგ ყინულის დედოფალი დაგელაპარაკა? – მკითხა მისის შოთლოუმ.

არა მხოლოდ მელაპარაკა, იოგურტითაც გამიმასპინძლდა და ბოდიშიც კი მომიხადა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ხმამალლა არაფერი მითქვამს. იმიტომ არა, რომ ენი ნამდვილ ყინულის დედოფლად იქცეოდა ხოლმე, როცა ზედმეტ აქტიურობას ვიწყებდი, უფრო იმიტომ, რომ ასეთი რამის თქმა ღალატი იქნებოდა.

– მცირე ხნით. ისიც იმიტომ, რომ ფრანი ავუფრინე. – ვთქვი და დაფა მოვატრიალე. ტინას დაფა იყო, პროფესიონა-

ლი მოთამაშის. – მიდით, მისის შოფლოუ, თქვენი ჯერია, ეგებ ისეთი სიტყვა ააწყოთ ჩემს მნირ ლექსიკონშიც რომ მოიპოვებოდეს.

– თუ ამ სიტყვას სწორ მდებარეობას შეურჩევ, 70 ქულის მოპოვების შანსი გაქვს. მითუმეტეს თუ ბოლოს წინა ასოთი ახალ სიტყვას დაიწყებ. – თქვა ეკერლიმ.

მისის შოფლოუ აღარც დაფას აქცევდა ყურადღებას და აღარც რჩევებს.

– ხომ იცი ენის მამა ვინც არის?

არა, არ ვიცი-მეთქი. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მამა ენის არ ელაპარაკებოდა.

– ბადი როსი. „ბადი როსის ძალაუფლების საათი“ ხომ იცი?

რაღაც ბუნდოვნად გამახსენდა. მგონი, ერთხელ საწვრილ-ფეხოში რადიოთი ვიღაც ქადაგის გამოსვლა მოვისმინე, მისი გვარი როსი იყო. ერთხელ, როდესაც ჰოუის კოსტუმში ვძვრებოდი, დოტი ლასენმა სრულიად მოულოდნელად მკითხა, ვიპოვე თუ არა ქრისტე. ვიფიქრე, ვეტყვი, არც ვიცოდი, დაკარგული თუ იყო-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

– ის ბიბლიის მქადაგებელი რომაა, ხომ?

– აი, ისეთივეა, ორალ რობერტსი და ჯიმი სვაგარტი რომ არიან, მაგრამ ერთი განსხვავებაა – როსი მათზე დიდია. – განაცხადა მისის შოფლოუმ. – სატელევიზიო ჩართვები უზარმაზარი ტაძრიდან აქვს ხოლმე, რომელსაც „ღვთის ციხესიმაგრეს“ უწოდებს. ეკლესია ატლანტაშია. მისი რადიოგადაცემები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადის, მაგრამ ახლა ტელევიზიაშიც ხშირად ჩნდება ხოლმე. არ ვიცი, ტელევიზიები საეთერო დროს ჩუქნიან თუ ფულს იხდის, მაგრამ ფული ბლომად აქვს, დარწმუნებული ვარ, თავისუფლად გადაიხდის. შოუებში ვითომ ხალხს კურნავს, მაგრამ ამ დროს შემოწირულობებს ითხოვს.

— თავის შვილიშვილს კი ვერაფერი უშველა. — ვთქვი მე.

ტინამ ჩანთიდან ხელი ამოყო, ისე რომ ასოც არ ამოუღია. „ერუდიტიც“ კი გადაავინყდა. ასეთი რამ ტინას უბედურ მსხვერპლებს ნამდვილად გვაწყობდა. თვალები უელავდა.

— მაგაზე მართლა არაფერი გსმენია? მე, საერთოდ, ჭორების არ მჯერა, მაგრამ... — ხმას დაუწია, თითქოს კონფიდენციალურ თემაზე საუბრობსო და ჩურჩულით თქვა: — მაგრამ რახან გაიცანი, ამიტომ გეტყვი.

მომიყევით-მეთქი, ვუთხარი, თუმცა, ვთვლიდი, რომ ჩემი შეკითხვა — რატომ ცხოვრობდნენ ენი და მაიკი ჩრდილოეთ კაროლინის უმდიდრეს სანაპიროზე — უკვე პასუხგაცემული იყო. რაღა თქმა უნდა, ეს საზაფხულო რეზიდენცია ბაბუა ბადის შემოწირულობებით გახლდათ ნაყიდი.

— ორი ვაჟი ჰყავს. ორივეს თავისთან ამუშავებს, ეკლესიაში. დიაკვნები თუ მღვდლების თანაშემწეები არიან. ზუსტად არ ვიცი, რას ეძახიან. ეგ ვითომ წმინდანები მე არ მაინტერესებს. აი მისი ქალიშვილი კი — ის განსხვავებულია. სპორტული ტიპი იყო — ჯირითი, ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, სროლა... ტურნირებშიც კი იღებდა მონაწილეობას. მას მერე, რაც ის ამბები მოხდა, ამეებზე გაზეთებმა დაიწყეს წერა.

ახლა მივხვდი, რატომ ეცვა ენის მაისური იმ წარწერით.

— 18 წლის რომ გახდა, თავს საშინელება დაატყდათ. ყოველ შემთხვევაში, მამა ასე თვლიდა. გოგონა „სეკულარულ-ჰუმანიტარულ კოლეჯში“ სწავლობდა და, როგორც ამბობენ, თავნება ვინმე იყო. იმას ვინდა ჩიოდა, რომ სროლისა და ჩოგბურთის ტურნირებში მონაწილეობაზე უარი თქვა, ეკლესიაში სიარულსაც თავი ანება. ამ ყველაფერს კი კაცების, სმის და გართობის გამო შეეშვა. და... — აქ ტინამ ხმას დაუწია: — მარისუანასაც ეწეოდა.

– ღმერთო! ეგ კი აღარ მჯერა! – ჩავილაპარაკე.

მისის შოთლოუმ გამომხედა, მაგრამ ტინას არაფერი შეუნიშნავს.

– დიახაც, მაგასაც შვრებოდა! მაგ გოგოზე გაზეთებიც წერდნენ, იმიტომ, რომ ლამაზი იყო და მდიდარი, მაგრამ, ძირითადად, მამამისის გამო აინტერესებდათ. და კიდევ იმიტომ, რომ ხელიდან იყო ნასული. ზუსტად ასე წერდნენ. გოგონამ მისი ეკლესია დიდ შარში გახვია, რადგან მოკლე კაბები ეცვა და ულიფოდ დადიოდა. ეგეც არ იკმარა... – ამის თქმისას ტინას თვალები ისე გაუფართოვდა, ვიფიქრე, ბუდეებიდან ამოუცვივდება და იატაკზე გაგორდება-მეთქი. – „მსროლელთა ნაციონალური ასოციაციიდან“ გამოვიდა და „ამერიკის ათეისტთა საზოგადოებაში“ გაწევრიანდა!

– ესეც გაზეთებში დაწერეს?

– დაწერესო?! დაწერეს რომელია!.. მერე დაორსულდა. ან რა გასაკვირი იყო? აღმოჩნდა, რომ ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა... მე მგონი, ცერებრალური დამბლა...

– არა, კუნთების დისტროფია.

– მამამისს ერთ-ერთი გამოსვლის დროს ამაზე შეკითხვაც დაუსვეს, და იცი, რა უპასუხა?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე, თუმცა, ვხვდებოდი, რასაც უპასუხებდა.

– თქვა, რომ ღმერთი ურნმუნოებს და ცოდვილებს სჯის. განაცხადა, რომ მისი ქალიშვილი ცოდვილი იყო და მას ღმერთთან მხოლოდ მისი ვაჟის ავადმყოფობა დააბრუნებდა.

– მე მგონი, ჯერ არ დაბრუნებულა. – ვთქვი და იესოსსახიანი ფრანი გამახსენდა.

– არ მესმის, რატომ იყენებენ ადამიანები რელიგიას ერთმანეთისთვის ტკივილის მისაყენებლად, როდესაც ამ ქვეყანა-

ზე ტკივილი ისედაც ბევრია. რელიგია ხომ დასამშვიდებლად არსებობს. – განაცხადა მისის შოთლოუმ.

– ეგ კაცი ბებერი, თვითკმაყოფილი ტვინის ბურლია. – თქვა ტინამ. – რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ კაცთან წოლილა, ის ხომ მაინც მისი ქალიშვილია? ბავშვი კი – შვილიშვილი. ის ბავშვი ერთი-ორჯერ ქალაქში ვნახე. ან ეტლში ზის ან იმ თავის საშინელ ორთოპედიულ ყავარჯნებზე დგას, სხვანაირად ვერ დადის. ბავშვი ძალიან კარგი ჩანს. დედამისიც ფხიზელი იყო. ლიფიც ეცვა...
– ცოტა ხნით ჩაფიქრდა, – ყოველ შემთხვევაში ასე მომეჩვენა.

– ეგებ მამა შეიცვალოს, მაგრამ არ მგონია. ახალგაზრდები იზრდებიან და იცვლებიან. მოხუცები კი მხოლოდ ბერდებიან და თავიანთ სიმართლეშიც მეტად რწმუნდებიან. მითუმეტეს, ისინი, ვინც წმინდა წერილში ერკვევიან. – განაცხადა მისის შოთლოუმ.

უცებ დედაჩემის საყვარელი გამონათქვამი მომაგონდა: წმინდა წერილი ეშმაკმაც იცის.

– და ხმაც სასიამოვნო აქვს. – კუშტად დაამატა მისის შოთლოუმ. – მაგრამ თუ ღირსი მამა როსი მათ თავის აგარაკ-ზე უშვებს, შეიძლება თვლის, რომ რაც იყო, იყო. ეგებ მიხვდა, რომ ის მაშინ პატარა გოგონა იყო, იმდენად პატარა, რომ ჯერ არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი არ ჰქონდა... დევ, ახლა ხომ შენი ჯერია?

ჩემი ჯერი იყო. სიტყვაც ავაწყე – ცრემლი. ექვსი ქულაც მოვიპოვე.

საშინელ დღეში ჩამაგდეს, მაგრამ მერე ტინა ეკერლიმ სერიოზული თამაში დაიწყო და ყველაფერი შედარებით მაღე და

უმტკივნეულოდ დამთავრდა. ჩემს ოთახში დავბრუნდი, ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე მოვკალათდი და შევეცადე კითხვა გამეგრძელებინა. არაფერი გამომივიდა. წიგნი დავხურე. ფანჯრიდან წვიმიან, დაცარიელებულ სანაპიროს და რუს ოკეანეს გავხედე. იქაურობა მიტოვებული და ეული იყო. ასეთ დროს, როგორც წესი, ფიქრებით კვლავ უენდისთან ვბრუნდებოდი ხოლმე. ვფიქრობდი, ნეტავ სად არის, ვისთან არის და რას აკეთებს-მეთქი. ვფიქრობდი მის ღიმილზე, იმაზე თუ როგორ ისწორებდა ხოლმე სახეზე ჩამოშლილ თმას და კიდევ იმაზე, როგორ აუდ-ჩაუდიოდა სვიტერში მკერდი. ვფიქრობდი, თავისი ურიცხვი და ულევი სვიტერების მარაგიდან, ნეტავ, რომელი აცვია-მეთქი.

მაგრამ იმ დღეს უენდიზე არ მიფიქრია. ფიქრებმა ენი როსთან მიმიყვანა. მივხვდი, რომ მომწონდა. ის, რომ არაფერი გამოვიდოდა – ჩემზე ათი-თორმეტი წლით უფროსი მაინც იქნებოდა – კიდევ უფრო აუარესებდა მდგომარეობას. ან, პირი-ქით, აუმჯობესებდა, რადგან ცალმხრივ სიყვარულს ახალგაზრდა მამაკაცებისთვის მართლა თავისებური ხიბლი აქვს.

მისის შოთვლოუმ ივარაუდა, ეგებ ენის წმინდან მამას წარსულის დავინუება სურსო, შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო. გაგონილი მქონდა, შვილიშვილების დაბადება ჯიუტ მშობლებს რქებს ტეხსო, ეგებ მასაც გასჩენოდა ბიჭის გაცნობის სურვილი, სანამ საამისო დრო ჯერ კიდევ იყო. ეგებ ისიც იცოდა (ხალხი ხომ ყველგან ჰყავდა), რომ ბიჭი მარტო ინვალიდი კი არა, სხარტი გონების პატრონიც იყო. ეგებ მის ყურამდე ის ჭორიც მივიდა, რომ მაიკს „ხილვები“ (როგორც ამას მადამ ფორტუნა უწოდებდა) ჰქონდა. ეგებ მეტისმეტად ვარდისფერი სათვალიდან ვუყურებდი ყველაფერს. ეგებ მისტერ „ცეცხლმა და მახვილმა“ ქალიშვილს სახლი მხოლოდ ერთი მიზეზით

დაუთმო – მარიხუანას მოწევის და მოკლე კაბით სიარულის გამო ახალ სკანდალში არ გაეხვია მშობელი.

მანამ ვფიქრობდი და ვვარაუდობდი, სანამ ღრუბლებში გახვეული მზე არ ჩაესვენა. ბადი როსის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცოდი, ენი როსის შემთხვევაში კი ერთ რამებში დარწმუნებული გახლდით – წარსულის დასავინყებლად ენი მზად არ იყო.

მისალებ ოთახში წელათრეული ჩავედი. გზად საფულედან ტელეფონის ნომრიანი პატარა ფურცელი ამოვაძვრინე. მისის შოთვლოუს და ტინას მხიარული საუბარი სამზარეულოდან მეს-მოდა. ერინ კუკის საერთო საცხოვრებლის ნომერი ავკრიფე, თუმცა არ მოველოდი, რომ შაბათ საღამოს ერინი იქ დამხვდე-ბოდა. ალბათ ტომთან ერთად ნიუ-ჯერსიში იქნებოდა წასული რატგერსის გუნდის საგულშემატკივროდ და მენამული რაინ-დების საბრძოლო სიმღერის შესასრულებლად.

მაგრამ ტელეფონთან მჯდომმა მორიგე გოგომ მითხრა, დავუძახებო. სამი წუთის მერე ერინის ხმა გავიგონე:

– დევ, შენთან დარეკვას ვაპირებდი. ჩამოსვლაც მინდა, თუ ტომი დავძარი. ალბათ მოვახერხებ, მაგრამ შემდეგ შაბათ-კვირას – ვერა. ალბათ იმის მერე.

კედლის კალენდარს შევხედე – ოქტომბრის პირველი შა-ბათ-კვირა გამოდიოდა.

– რამე ხომ არ გაგირკვევია? – ვკითხე.
– არ ვიცი. მართლა მინდა გამოვიძიო. ბევრი საჭირო ინ-ფორმაცია მოვიძიე, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ დავიტრაბა-ხებ, ბიბლიოთეკაში ჯდომით ლინდა გრეის მკვლელობის საქმე გავხსენი-მეთქი. მაგრამ... არის რაღაცები, რისი ჩვენებაც მინ-და. რაც მანუხებს.
– რა განუხებს? რას გულისხმობ?

– ტელეფონში ვერ აგიხსნი. თუ ტომი მანდ ჩამოსვლაზე ვერ დავიყოლიე, ყველაფერს დიდ კონვერტში ჩავდებ და გამოგიგზავნი. მაგრამ ალბათ დავიყოლიებ. ტომს შენი ნახვა კი უნდა, მაგრამ ჩემი გამოძიების გაგონებაც არ სურს. სურათებს ზედაც არ უყურებს.

რაღაც ძალიან იდუმალებით მოცულ რამეებს ამბობდა, მაგრამ მაინც გავაწყვეტინე და ვკითხე:

– მისმინე, შენ გსმენია რამე ბადი როსის შესახებ?
– ბადი... – თქვა და სიცილი წასკდა, – „ბადი როსის ძალაუფლების საათი“. მაგ ბებერ აფერისტს ბებიაჩემი უსმენს ხოლმე! თან გამუდმებით. ვილაცებს თხის კუჭს აცლის მუცლიდან, ვითომ სიმსივნე ამოაძრო! იცი, მამილო ალენი რას იტყოდა?

– კარნი კარნთაგანი! – სიცილით მივუგე.
– მართალი ხარ. მის შესახებ რა გაინტერესებს? ისე, შენ რაჭომ ვერ იგებ, რაც გაინტერესებს ხოლმე?

– სამსახურიდან რომ გამოვდივარ, ჰევენს-ბეის ბიბლიოთეკა უკვე დაკეტილია. თან არ მგონია, აქ „ვინ ვინ არის“ ჰქონდეთ. სულ ერთი ოთახია. არა, თავად ეგ ტიპი მკიდია. მაგისი ვაჟიშვილები მაინტერესებს. მაინტერესებს, ჰყავთ თუ არა შვილები.

– ეგ რაღად გინდა?
– მინდა, იმიტომ რომ მაგის გოგოს ჰყავს. მაგარი ბავშვია, მაგრამ კვდება.

გაჩერდა და მცირე ხნის მერელა მკითხა:
– დევ, კიდევ რამეში ხომ არ გაეხვიე?
– ახალი ნაცნობები გავიჩინე. ჩამოდით რა! ტომს უთხარი, „საშინელებათა სახლში“ არ შევალთ-თქო.

მეგონა, გაეცინებოდა, მაგრამ არ გასცინებია.

– „საშინელებათა სახლს“ ახლოსაც არ გაეკარება, ეგ კი ვიცი.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ზემოთ ავედი და ისევ ფანჯარასთან დავჯექი. ისევ ის უცნაური ეჭვიანობა მტანჯავდა. რატომ დაინახა ლინდა გრეი მაინცდამაინც ტომ კენედიმ? რატომ იმან და არა მე?

ჰევენს-ბეის ყოველკვირეული გაზეთი ხუთშაბათობით გამოდიოდა. ოთხი ოქტომბრის ნომერში სათაურად გამოეტანათ: „პოილენდის თანამშრომელმა უკვე მეორე ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს“. სიმართლე გითხრათ, ცოტა გაზვიადებული იყო. ჰოლი სტენსფილდის გადარჩენა მთლიანად ჩემი დამსახურება იყო, უუმური ედი პარკსისა კი – ნაწილობრივ. მის გადარჩენაში წვლილი უენდი კიგანსაც მიუძღვდა. ივნისში რომ არ დამშორებოდა, იმ შემოდგომით „ჯოილენდიდან“ შვიდასი მილის დაშორებით, ნიუ-ჰემპშირში ვიქნებოდი.

რას ნარმოვიდგენდი, ვინმეს გადარჩენა თუ კიდევ მომიხდებოდა. ასეთი ნინასნარმეტყველების უნარი როზი გოლდს და მაიკ როსს ჰქონდათ. როდესაც პირველ ოქტომბერს პარკში გამოვცხადდი, მხოლოდ ერინის და ტომის მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ ვფიქრობდი. მთელ შაბათ-კვირას წვიმდა, მაგრამ ორშაბათს გამოიდარა. ედი, ჩვეულებისამებრ, „საშინელებათა სახლის“ წინ, ვაშლის ყუთის ტახტრევანზე იყო დაბრძანებული და პირველ სიგარეტს აბოლებდა. ხელის აწევით მივესალმე, მაგრამ თავად ხელის აწევით თავი არ შეუწუხებია, სიგარეტის ნამწვი ფეხით გასრისა, უნდოდა ყუთის ქვეშ შეეგდო – ამის შემსწრე ორმოცდაათჯერ მაინც ვიყავი (ახლა

ვფიქრობდი, ნეტავ უკვე რამდენი დაახვავა-მეთქი) – მაგრამ გადაიფიქრა, წელში მოიხარა და თავი ჩაქინდრა.

მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. თავი, ზედ მოგდებული მაზუთიანი კეპით, მუხლებთან ჩამოუვარდა. მერე უცებ გადაქანდა და გულალმა გაიშხლართა. მოღრუბლული ცისთვის მიშვერილ სახეზე ტკივილი ალბეჭდვოდა.

მივვარდი და მის გვერდით ჩავიმუხლე.

– ედი, რა გჭირს?

რაღაც გაურკვეველი ბგერები ალმოხდა. მკერდის მარცხენა მხარეს ხელთათმნიანი ხელით მაგრად ებლაუჭებოდა. მთელი ხმით დავიყვირე. ახლომახლო მხოლოდ ლეინ ჰარტი ალმოჩნდა.

„ჯოილენდის“ პერსონალს პირველადი დახმარების ალმოჩნის ცოდნა არ მოეთხოვებოდა, მაგრამ მე ვიცოდი – თინეიჯერობაში სპეციალური ტრენინგი გავიარე. ასეთ რამეებს მე და ათობით სხვა თინეიჯერი სპეციალურ მანეკენს ვუტარებდით. ახლა თეორიის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა პირველად მომეცა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს პროცედურა ბევრით არ განსხვავდებოდა იმ ნჯღრევა-რყევისაგან, რომლის წყალობითაც სტენსფილდების ჰატარა გოგონას ჰოთდოგი ამოვაგდებინე. ამჯერად არც ქურქი გამიძვრია და ყველაფრის დამთავრების შემდეგ არც ვინმე ჩამხუტებია. ახლაც ძლიერად დაწოლა იყო საჭირო, სხვა არაფერი. ამასობაში ოთხი ბებრული ნეკნი გავუბზარე და ერთიც ჩავუმტვრიე.

ლეინის მოსვლისას, ედის გვერდით ჩამუხლული ვიდექი და გულის მასაუს ვუკეთებდი: ჯერ მთელი ძალით, ხელისგულებით ვაწვებოდი, მერე კი ვაკვირდებოდი, ჩაისუნთქა თუ არა ჰაერი.

– ღმერთო, რა სჭირს, გულის შეტევა აქვს? – მკითხა ლეინმა.

— კი, დარწმუნებული ვარ. სასწრაფო გამოიძახე.

უახლოესი სატელეფონო ჯიხური მამილო ალენის ჭირთან მდებარეობდა. ჯიხური დაკეტილი იყო, მაგრამ ლეინს მისი საპრძანებლის ყველა გასაღები ჰქონდა — სამი გასაღები, მთელ პარკში ყველაფერს რომ აღებდა. ლეინი გაიქცა. მე მასაუის კეთება განვაგრძე. ბარძაყები მტკიოდა, მუხლები კი „ჯოილენ-დის“ უხეშ ასფალტზე ხანგრძლივი დგომისგან დამიბუშდა. ყოველი ხუთი დაწოლის მერე სამამდე ნელა ვითვლიდი და ედის ყურს ვუგდებდი, ვაკვირდებოდი, ჩაისუნთქავდა თუ არა ჰაერს. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, არც ჰირველი ხუთი დაწოლის შემდეგ, არც მეორე ხუთის და არც ოცდამეორე ხუთის. უძრავად იწვა, ხელები გაეშალა და ჰირი დაელო. წყეული ედი პარკსი. მუხლებზე ვიდექი და ვაშტერდებოდი. ამასობაში ლეინიც მოქანდა და მამცნო, სასწრაფო უკვე მოდისო.

ისევ წინ გადავიხარე, ისევ მასაუის კეთება დავიწყე და ჰირი ჰირთან მივუტანე. ისეთი საშინელება არ იყო როგორიც წარმომედგინა... უარესი აღმოჩნდა. ტუჩებზე სიგარეტის მძალე გემო ჰქონდა, მაგრამ ჰირიდან კიდევ რაღაც სუნი ამოსდიოდა. ღმერთო! წინაკის გემო ჰქონდა — ეტყობა, დილით ომლეტს მიაყოლა. მაინც მაგრად მივეკარი, ნესტოებზე თითები წავუჭირე და ჰირში სული ჩავბერე.

ხუთჯერ თუ ექვსჯერ გავიმეორე. ამოისუნთქა. მასაუის კეთება შევწყვიტე. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, ჩამუხლული ვაკვირდებოდი. ედი სუნთქავდა. ვიფიქრე, ეტყობა, ზედმეტი ჭამა-მეთქი. გვერდზე გადავაბრუნე, ემანდ, ლებინება არ დაწყებოდა. ლეინი გვერდით მედგა, ხელი ჩემს მხარზე ედო... ცოტა ხანში მოახლოებული მანქანის სირენის ხმაც შემოგვესმა.

ლეინი გაიქცა, რომ მანქანას ჭიშკართან დახვედროდა და ჩვენკენ წამოეყვანა. ლეინის წასვლის შემდეგ, უნებლიერ „სა-

შინელებათა სახლის” ნახატების თვალიერება დავიწყე – სახლი მწვანე მბრდღვინავი ურჩხულების სახეებით იყო მოხატული. სახეებს ზემოთ გადღაპნილი ასოებით ეწერა: „შემოდი, თუ გაბედავ!” ჩემდა უნებურად ისევ ლინდა გრეიზე დავიწყე ფიქრი, რომელიც ამ სახლში ცოცხალი, თავისი ფეხით შევიდა და სულ რამდენიმე საათში იქიდან მკვდარი და გაყინული გამოიტანეს. მასზე ფიქრი ალბათ იმიტომ ამეკვიატა, რომ ერინს და მის ახალ ამბებს ველოდებოდი. ამბებს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდა მას. იმ გოგოს მკვლელზეც ვფიქრობდი.

ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც მისის შოფლოუმ მითხრა. შეიძლებოდა, მეც ვყოფილიყავი, იმ განსხვავებით, რომ ქერა თმა არ მაქვს, ხელზე კი – ფრინველის სვირინგი. იმას ჰქონდა. ან არწივი ან ქორი.

ედის თმა გაჭაღარავებოდა, მაგრამ ოთხი წლის წინ ეგებ ქერა იყო. ხელებზეც მუდამ ხელთათმანები ეკეთა. რა თქმა უნდა, მეტისმეტად ბებერი იყო იმისთვის, რომ ლინდა გრეის იმ ბოლო შავბნელი გასეირნების დროს თან ხლებოდა, მაგრამ...

სასწრაფო დახმარების მანქანა ახლოს იყო, მაგრამ ჯერ ჭიშკართან არ მოსულიყო. ლეინი კი იდგა და ხელებს იქნევდა, რათა მათთვის ენიშნებინა, დროზე აქეთ წამოდითო. ვიფიქრე, რა უჭირს, ვინ გაიგებს-მეთქი და ედის ხელთათმანები ფრთხილად წავაძრე. მკვდარი კანით დაფარული თითები მაქმანშემოხვეულს უგავდა, ხელის ზურგზე კი, თეთრი კრემის სქელი ფენის ქვეშ, წითელი კანი მოუჩანდა. სვირინგი არ ჰქონდა.

მხოლოდ ფსორიაზი.

როგორც კი ედი სასწრაფო დახმარების მანქანაში შევაწვინეთ და მანქანამ ჰევენს-ბეის პანაზინა საავადმყოფოსკენ აიღო გეზი, უახლოეს საპირფიარეშოში შევვარდი და პირში წყალი გამოვივლე. დიდხანს ვივლებდი. კარგა ხანი დამჭირდა, სანამ იმ წყეული წინაკის გემოს მოვიშორებდი.

როდესაც გამოვედი, ლეინ ჰარდი იქვე, კართან დამხვდა.

— ყოჩალ, შენ გააცოცხლე.

— ცოტა ხანს მდგომარეობიდან ვერ გამოვა. არ არის გამორიცხული, ტვინში სისხლის ჩაქცევა ჰქონდეს.

— ან ექნება ან არა, მაგრამ იქ რომ არ ყოფილიყავი, ჩვენს ჭირს წაიღებდა. ჯერ პატარა გოგონა გადაარჩინე, ახლა ეგ საზიზლარი ბერიკაცი. მე მგონი, ჯონსის მაგივრად იესო უნდა დაგიძახო. შენ ხომ მხსნელად მოევლინე აქაურობას.

— მასე თუ დამიძახებ, მაშინ აქედან გავქრები.

— კარგად მოიქეცი, ჯონსი. სიმართლე გითხრა, გამაოცე.

— ის გემო! მისი გემო! ღმერთ!

— ჰო, მაგრამ მოვლენებს დადებითი კუთხიდანაც შეხედე. ედი მოგშორდა და ახლა თავისუფალი ხარ. როგორც იქნა! ასე არ გირჩევნია?

ნამდვილად მერჩივნა.

შარვლის უკანა ჯიბიდან ლეინმა ტყავის ხელთათმანები ამოიღო. ედის ხელთათმანები.

— ძირს ეყარა. რატომ გახადე?

— მინდოდა, რომ ხელებს ესუნთქა. — დიდი სისულელე ვთქვი, მაგრამ სიმართლე რომ მეთქვა, კიდევ უფრო დიდი სისულელე იქნებოდა. თავადაც არ მჯეროდა, როგორ დავუშვი, რომ ედი პარკსი შეიძლებოდა ლინდა გრეის მკვლელი ყოფილიყო. მეტი დამაჯერებლობისთვის დავამატე: — იმ კურსებზე რომ

დავდიოდი, გვასწავლეს, რომ გულის შეტევის დროს, ადამიანის კანძაც კი თავისუფლად უნდა ისუნთქოს. თურმე შველის. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩინიათ. – ვთქვი და მხრები ავიჩეჩე.

– ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობ. – ლეინმა ხელთათმანები ერთმანეთს მიუტყაპუნა. – ედი სამსახურში გამოსვლას ალბათ კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებს. ასე რომ წადი და მის ბუდრუგანაში შეინახე.

– კარგი. – მივუგე და ხელთათმანები წავილე. მაგრამ იმავე დღეს, მოგვიანებით, ბუდრუგანიდან ხელთათმანები და კიდევ ერთი რაღაც გამოვიტანე.

იმაში ალბათ უკვე დარწმუნდით, რომ ედი არ მიყვარდა. რამდენადაც ვიცი, „ჯოილენდის“ სხვა თანამშრომლებიც ჩემ-სავით იყვნენ. თვით როზი გოლდი და მამილო ალენიც კი ერი-დებოდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად იმავე დღის 4 საათზე ჰევენს-ბეის საავადმყოფოში მივედი და ვიკითხე, შეიძლებოდა თუ არა ედუარდ პარკსის მონახულება. ხელში მისი ხელთათმანები და ის რაღაც მეჭირა.

მოხალისემ, თმა რომ ლურჯად შეეღება, დიდხანს ქექა საავადმყოფოს დავთარი, თან თავს აქეთ-იქით აქნევდა. უკვე ვფიქრობდი, ედი ალბათ მოკვდა-მეთქი, როცა გოგონამ წამოიძახა:

– ედვინი რქმევია და არა ედუარდი. 315-ე პალატაშია. ინტენსიური თერაპიის პალატაა და ამიტომ მთავარი მედდის ნებართვაა საჭირო.

მადლობა გადავუხადე და ლიფტისკენ წავედი. უზარმაზარი ლიფტი იყო. იმხელა, რომ მასში საკაცე თავისუფლად შე-

ტეულიყო. ლიფტი საშინლად ნელა მოძრაობდა, ამიტომ ფიქ-
რის დრო მქონდა. ვიდექი და ვფიქრობდი, აქ რამ მომიყვანა-
მეთქი. თუ „ჯოილენდიდან“ ვინმეს უნდა მოენახულებინა ედი,
ეს ვინმე ფრედ დინი უნდა ყოფილიყო და არა მე. პარკს ფრედი
ხელმძღვანელობდა, მაგრამ არა – მე მოვედი.

მთავარმა მედდამ ედის ანკეტა შეამოწმა და მიბრძანდითო
მითხრა.

- თუმცა, ახლა შეიძლება ეძინოს. – მომაძახა.
- ისე, გონიერა?
- რა ვიცი, სახელი და გვარი კი გვითხრა.

იმედი მომეცა.

მართლაც ეძინა. თვალდახუჭული იწვა, ჩამავალი მზის შუ-
ქი სახეზე ედგა. მის შემხედვარეს, აზრი, რომ ლინდა გრეის
თანმხლები ტიპი შეიძლებოდა ედი ყოფილიყო, კიდევ უფრო
სულელურად მეჩვენა. ასი წლისას ჰგავდა, ან ასოცისას. მივ-
ხვდი, რომ ხელთათმანებიც ტყუილად მოვუტანე. ხელები უკვე
დოლბანდით გადაეხვიათ. ალბათ იმაზე უფრო ძლიერი მალა-
მოთი დაუმუშავეს, ვიდრე თავად ხმარობდა. ამ უზარმაზარი
თეთრი ხელთათმანების დანახვაზე სიბრალული ვიგრძენი. შე-
მეცოდა.

პალატა შეძლებისდაგვარად უხმაუროდ გადავჭერი და
ხელთათმანები ტანსაცმლის კარადაში შევაწყვე. კარადაში
ის ტანისამოსი იდო, აქ მოყვანისას რომ ეცვა. ხელში ახლა
მხოლოდ ფოტოსურათი მეჭირა, რომელიც მისი ბუდრუგანის
კედელზე ორი წლის წინანდელი გაყვითლებული კალენდრის
გვერდით იყო გაკრული. სურათზე ედი ვიღაც ქალთან ერთად
იდგა – მოუვლელ ეზოში, სახლის წინ. ედი ოცდახუთი წლისა
იქნებოდა. ქალისთვის ხელი მოეხვია. ქალი ედის შესცინოდა
და – ვინ დაიჯერებს! – ედიც ულიმოდა.

საწოლის გვერდით გორგოლაჭებიანი მაგიდა იდგა. მა-
გიდაზე – პლასტმასის დოქი და ჭიქა. დიდი სისულელე იყო.
ასე შეხვეული ხელებით ედი კიდევ კარგა ხანს ვერ დაისხამ-
და წყალს. მაგრამ დოქის აქ დგომას ერთი გამართლება მაინც
ჰქონდა. ზედ ფოტო მივაყუდე. ედი თვალს რომ გაახელდა, ამ
ფოტოს დაინახავდა. კარისკენ წავედი. უკვე გასვლას ვაპირებ-
დი, როცა ედის ჩურჩული შემომესმა, მისთვის ჩვეული ღვარ-
ძლიანი ტონი ჰქონდა:

– ლანირაკო.

მივტრიალდი. მის სასთუმალთან მივედი. კუთხეში სკამი
იდგა, მაგრამ მასზე ჩამოჯდომას არ ვაპირებდი.

– როგორ ხარ, ედი?

– არც კი ვიცი, სუნთქვა მიჭირს. სულ შემკოჭეს.

– ხელთათმანები მოგიტანე... მაგრამ როგორც ვხედავ,
უკვე... – თავით შეხვეულ ხელებზე ვანიშნე.

– ჰო. თუ გამოვძვერი, ეგებ ხელებზეც მიშველონ. სულ
მტკივა. – მერე ფოტოს შეხედა. – ეს რატომ მოიტანე? ან ჩემს
ბუდრუგანაში რას აკეთებდი?

– ლეინმა მითხრა ხელთათმანები იქ შეინახეო. ჯერ შევი-
ნახე, მერე ვიფიქრე, ეგებ დასჭირდეს-მეთქი. ვიფიქრე, ეგებ
სურათიც უნდა-მეთქი. ხომ არ გინდა, ფრედ დინს ამ ქალთან
დავარეკინო?

– კორინთან? – ჩაიფრუტუნა. – ოცი წლის წინ მოკვდა. მი-
დი, ლანირაკო, ცოტა წყალი დამისხი. ყელი ძალლის ათი წლის
წინანდელი კურკლივით გამხმარი მაქვს.

დავუსხი, ჭიქაც დავუჭირე და როდესაც წყალი ჩამოელ-
ვარა, ტუჩის კუთხეც მოვწმინდე. ასეთ სიახლოვეზე არ მი-
ფიქრია, მაგრამ რამდენიმე საათის წინ უარესი არ გავაკეთე?
ტუჩებზე დავაკვდი და სული შთავბერე.

მადლობა არ გადაუხდია. მადლობის თქმა საერთოდ არ იცოდა. მარტო ეს მითხვა:

— ეგ სურათი ცოტა მაღლა დაიჭირე. — ასეც მოვიქეცი. ცოტა ხანს ჩუმად უყურა, მერე ამოიოხოდა: — საწყალი, ჯაჯლანა ძუკნა. ყველაზე ჭკვიანური რაც ცხოვრებაში გამიკეთებია ის არის, რომ გავეცალე და წავედი. „ამერიკულ სამეფო შოუში“ გავექეცი. — თვალზე ცრემლი დაეკიდა, ცოტა ხანს იქ გაჩერდა და ლოყაზე ჩამოუგორდა.

— გინდა ეს სურათი უკან წავიღო?
— არა. შეგიძლია აქ დატოვო. ბავშვიც შეგვეძინა, პატარა გოგონა გვყავდა.

— მართლა?

— ჰო. მანქანამ გაიტანა. სამი წლისა იყო, ძალლივით ქუჩაში მოკვდა. ის ძუკნა იმ დროს ტელეფონზე ქაქანებდა, ბავშვს კი არ უვლიდა. — თავი გვერდზე შეატრიალა და თვალები დახუჭა. — ახლა წადი, მომშორდი. გული მტკივა, რომ ვიგონებ. ლაპარაკიც მიჭირს. დაღლილი ვარ. თითქოს მკერდზე სპილომ დამადგა ფეხი.

— კარგი. აბა მაგრად. თავს გაუფრთხილდი.

სახე დაეჯლანა. თვალები არ გაუხელია.

— სასაცილოა! როგორ გავუფრთხილდე, ხომ არ იცი? მე არ ვიცი და ვერც ვხვდები. არც ნათესავები მყავს, არც მეგობრები, არც დანაზოგი გამაჩნია, არც დაზღვევა, რა უნდა ვქნა, ხომ არ იცი?

— რამე გამოჩინდება. — ყოყმანით ვუთხარი.

— ჰო, ფილმებში! წადი ახლა, აქედან მოშორდი.

კართან მისულს მისი ხმა ისევ შემომესმა:

— არ უნდა გადაგერჩინე, ლანირაკო. ახლა უკვე ჩემს პატარა გოგონასთან ვიქნებოდი. — ყოველგვარი მელოდრამატულობის გარეშე თქვა. უბრალოდ აზრი გამოთქვა.

საავადმყოფოს ვესტიბიულში გამოვედი და ადგილზე გავ-ქვავდი. ვიფიქრე, მელანდება, ის არ იქნება-მეთქი. მაგრამ ის იყო. თავისი უთვალავი ძნელად საკითხავი რომანებიდან ერთ-ერთი მუხლებზე გადაშლილი ედო. რომანს „დისერტაცია“ ერ-ქვა.

— ენი?

თავი უხალისოდ ასწია, მაგრამ როცა მიცნო, გაიღიმა და წამოიძახა:

— დუვ! აქ რას აკეთებ?

— პარკის ერთი თანამშრომლის სანახავად ვიყავი. დღეს გულის შეტევა ჰქონდა.

— ძალიან ვწუხვარ. ახლა ხომ კარგად არის?

არ უთქვამს, მოდი, ჩემს გვერდით დაჯექიო, მაგრამ მი-ვედი და დავჯექი. ედისთან ვიზიტმა საოცრად ამაფორიაქა. რაღაც უცნაური, უსაგნო ბრაზი მიტევდა, რომელსაც წიწა-კის გემო დაჰკრავდა. ეს გემო ჯერ კიდევ ვერ მომეშორებინა. უენდიზეც ვბრაზობდი. ღმერთმა უნყის, უენდი რა შუაში იყო. მიჭირდა იმის გაფიქრება, რომ ბოლომდე არ მომენელებინა ყველაფერი და უნებლიერი ისევ ამ გოგოზე ვფიქრობდი. მოტე-ხილი ხელი უფრო ადვილად და მალე მომირჩებოდა.

— არ ვიცი. ექიმთან არ მილაპარაკია. მაიკი ხომ კარგად არის?

— კი. ჩვეულებრივ, დაგეგმილ ვიზიტზე მოვიყვანე. რენ-ტგენით გააშუქებენ და სისხლის სრულ ანალიზს გაუკეთე-ბენ. ამ ფილტვების ანთების გამო. ხომ იცი, არა? მადლობა ღმერთს, მდგომარეობიდან გამოვიდა.

წიგნი კვლავაც გადაშლილი ჰქონდა. ალბათ უნდოდა, მა-ლე გავცლოდი. ამან კიდევ უფრო გამაბრაზა. ნუ დაგავიწყდე-ბათ, რომ იმ წელს ყველას სურდა, მე მოვეშორებინე. იმ ტიპ-

საც კი ასე სურდა, რომელიც სიკვდილს გადავარჩინე. ალბათ ამიტომაც ვთქვი:

– თავად მაიკი არ თვლის, რომ კარგად არის. რომელს და-გიჯეროთ?

გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, მაგრამ მერე გულ-გრილი გამომეტყველება მიიღო.

– ეგ ნაკლებად მანალვლებს ვისი ან რისი გჯერა, დევინ. შენი საქმე ნამდვილად არ არის.

– არის. – ხმა ჩვენს ზურგს უკან გაისმა. მაიკი ეტლით ჩვენთან მოგორებულიყო. მოტორიზებული არ იყო, ბიჭს ბორ-ბლები ხელით უნდა ემართა. ხველების მიუხედავად ძლიერი ბიჭი ყოფილა. სამაგიეროდ, პერანგის ღილები აცაბაცა შეეკრა.

ენი გაოცებული მიუბრუნდა:

– კი მაგრამ აქ რას აკეთებ? ახლა მედდას...

– ვუთხარი, რომ გზას თავადაც გამოვიგნებდი და გამო-მიშვა. რადიოლოგის განყოფილებიდან მარცხნივ უნდა ნახვი-დე, მერე ორჯერ მარჯვნივ გაუხვიო. ბრმა კი არ ვარ...

– მაიკ, მისტერ ჯონსი თავისი მეგობრის სანახავად იყო. – თქვა ენიმ. ახლა ისევ მისტერ ჯონსი გავხდი. წიგნი ხმაურით დახურა და ადგა. – მაიკს ალბათ შინ წასვლა უნდა და...

– არა. მე მინდა, დევმა პარკში წაგვიყვანოს. – თქვა მაიკ-მა მშვიდად, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ჩვენს გარშემო მყოფმა ხალხმა ჩვენკენ გამოიხედა.

– მაიკ, ხომ იცი, რომ არ...

– „ჯოილენდში“ მინდა. – განაცხადა კვლავ მშვიდად, მაგ-რამ უფრო ხმამაღლა. ყველა ჩვენ გვიყურებდა. ენის ლოყებზე ალმური ასდიოდა. – მინდა, რომ თქვენ ორივემ წამიყვანოთ.

– ხმას კიდევ უფრო აუნია. – მინდა, რომ სანამ მოვკვდები, თქვენ „ჯოილენდში“ წამიყვანოთ.

ენიმ ხელი პირზე აიფარა. თვალები გაუფართოვდა, ხმა ჩაუწყდა, მაგრამ სიტყვების გარჩევა შევძელი:

– მაიკ... არ მოკვდები... ვინ გითხრა... – მერე მე მომიბრუნდა. – ამ იდეის მიწოდებას შენ უნდა გიმადლოდე?

– რა თქმა უნდა, არა. – ჩვენს გარშემო რამდენიმე ადამიანი მოგროვდა. ერთი-ორი მედდა და ცისფერ ზედა-ქვედაში გამოწყობილი ექიმიც იყო, მაგრამ არ მენაღვლებოდა. კულავ გაბრაზებული ვიყავი. – თავად მაიკმა მითხრა. ან რა გიკვირს? არ იცი, როგორი ინტუიციაც აქვს?

იმ დღეს ყველას ვატირებდი. ჯერ ედი ავატირე, ახლა – ენი. მაიკს თვალები მშრალი ჰქონდა, მაგრამ ჩემსავით გაცეცხლებული ჩანდა. ხმა აღარ ამოუღია, როცა ენიმ მისი ეტლის სახელურებს ხელები ჩასჭიდა და კარისკენ გააგორა. ისე მიჰყავდა, ვიფიქრე, კარს მიანარცხებს-მეთქი. მაგრამ კარი დროულად გაიღო.

„აჯობებს გავუშვა“ – გავიფიქრე, მაგრამ ამ ქალების ხელიდან გაშვებამაც დამღალა. დამღალა იმან, რომ მოვლენებს საშუალებას ვაძლევდი მომხდარიყო, ჩემი ცხოვრებისთვის ახალი მიმართულება მიეცა.

მედდა მომიახლოვდა.

- ყველაფერი კარგადაა?
- არა. – მივუგე და დედა-შვილის დასაწევად გარეთ გავედი.

ენის მანქანა საავადმყოფოს გვერდით მდებარე ავტოსადგომზე, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის განკუთვნილ რიგში გაეჩერებინა. ფურგონი იყო, რომელშიც ეტლი

თავისუფლად ეტეოდა. მანქანის კარი გაეღო, მაგრამ მაიკი ეტლიდან არ გადმოდიოდა. ორივე ხელით სახელურებს ებლაუ-ჭებოდა.

— ჩაჯექი! — უყვირა ბიჭს.

მაიკმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს.

— ჩაჯექი-მეთქი!!!

ამჯერად მაიკს თავიც აღარ გაუქნევია.

ქალმა ხელი ჩაავლო და შეაჯანჯლარა. ეტლი წინ გადა-ქანდა. ხელი დროულად ვტაცე. ენის თმა სახეზე ჩამოშლოდა. თმის მიღმა კი რისხვით სავსე თვალები მოუჩანდა. მოულოდ-ნელ ჭექა-ქუხილში მოხვედრილ დამფრთხალ ცხენს ჰეგავდა.

— წავედით! სულ შენი ბრალია! არ უნდა...

— გაჩერდი. — ვუთხარი და ხელები მხრებში ჩავავლე. ძვა-ლი და ტყავი იყო. „სულ იმაზე ზრუნავს, რამენაირად შვილ-მა დამატებითი კალორიები მიიღოს. თავისთვის კი დრო აღარ რჩება“. — გავიფიქრე.

— შემეგვი...

— ენი, მე მაიკს არ გართმევ. ასეთი რამ არც მიფიქრია.

წინააღმდეგობას აღარ მიწევდა. ხელი გავუშვი. ამ გაწევ-გამოწევაში წიგნი, რომელსაც წელან კითხულობდა ასფალტზე დავარდნილიყო. დავიხარე, ავიღე და ეტლის უკანა ჯიბებში ჩავ-დე.

— დედიკო, ყველაფერი კარგად იქნება. — უთხრა ბიჭმა და დედის ხელი ხელში აიღო.

მაშინდა მივხვდი ყველაფერს. სანამ მხრები აუკანკალდე-ბოდა და აქვითინდებოდა, მანამ მივხვდი. იმის კი არ ეშინოდა, რომ ბიჭს რომელიმე გიუურ ატრაქციონზე დავსვამდი და მოზ-ლვავებული ადრენალინისგან გულს გავუხეთქავდი; არც იმის

ეშინოდა, რომ ბიჭის ავადმყოფ გულში მის ადგილს სხვა დაიკავებდა. ეს იყო დედის რწმენა, რომ ყველაფერი უცვლელად გაგრძელდებოდა: დილით ზღვის პირას ისაუზმებდნენ, საღამოს ფრანს გაუშვებდნენ და მათი ზაფხული არასდროს დასრულდებოდა. მაგრამ ახლა ოქტომბერი იდგა და სანაპიროც დაცარიელებულიყო. ატრაქციონებზე მსხდომი თინეიჯერების წივილ-კივილი არემარეს აღარ აყრუებდა, ჰაერსაც ნელ-ნელა სუსხი ეპარებოდა, დღეები მოკლდებოდა და ღამეები გრძელდებოდა. ყველა ზაფხულს თავისი დასასრული აქვს.

ხელები სახეზე აიფარა და მანქანაში მძლოლის გვერდით სავარძელზე დაჯდა. მისთვის ძალიან მაღალი იყო და კინაღამ ჩამოსრიალდა. ხელი შევაშველე. მე მგონი, არც შეუმჩნევია.

— მიდი, წაიყვანე. მკიდია. თუ გინდა პარაშუტიდან გადმოახტუნე. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ მე... მაგ თქვენი ბიჭური თავგადასავლის მონაწილე ვიქნები.

— უშენოდ ვერ წავალ. — უთხრა მაიკმა.

ამის გაგონებაზე ხელები უმნეოდ ჩამოუშვა და ბიჭს შეხედა.

— მაიკ, შენს გარდა არავინ მყავს. გესმის ეს?

— მე კი შენს გარდა. — მიუგო ბიჭმა.

ქალის სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ ამაზე ახლადა დაფიქრდა.

— გეხვეწებით, ჩაჯდომაში დამეხმარეთ. ორივემ ჩამსვით.

როცა მაიკი ჩავსვით და მოხერხებულადაც მოვაწყვეთ (რაღაც არ მახსოვს, ღვედი შეგვეკრას, ალბათ ეს მანამდე იყო, სანამ ღვედებზე ერთი ამბავი ატყდებოდა), კარი დავუხურე და მე და ენიმ მანქანას წინიდან შემოვუარეთ.

— მისი ეტლი... — თქვა დაბნეულად. — მისი ეტლი მანქანაში უნდა შევდო.

– მე ჩავდებ, მიდი, შენ საჭესთან დაჯექი. ჰაერი რამდენ-ჯერმე ლრმად ჩაისუნთქე.

მანქანაში ჩაჯდომაში დავეხმარე. წინააღმდეგობა არ გაუ-ნევია. ხელი მკლავზე მოვკიდე. მინდოდა მეთქვა, მარტო იმ ძნელად საკითხავი რომანებით ვერ ისულდგმულებ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, იმ დღეს ისედაც ბევრი რამ ვუთხარი.

ეტლი დავკეცე და საბარგულში შევდე. საჭიროზე მეტი დრო შეგნებულად მოვანდომე. მინდოდა, მისთვის აზრზე მოს-ვლის საშუალება მიმეცა. როდესაც მძლოლის კარს გავუს-ნორდი ფანჯარა კვლავაც ჩაწეული იყო. თვალები და ცხვირი მოეწმინდა და თმაც რაღაცნაირად მოეწესრიგებინა.

– იქ მაიკი უშენოდ ვერ წამოვა. ვერც მე წავალ. – ვუთხარი.

ისე დაიწყო ლაპარაკი თითქოს მაიკი იქ არ ყოფილიყოს და ჩვენთვის არ ესმინოს:

– მის გამო ძალიან ვდარდობ. მეშინია, ძალიან მეშინია, იმდენს ხედავს, იმდენი ესმის და იმდენი რამე სტკენს გულს. კოშმარებიც ამიტომ ესიზმრება. მაგაში დარწმუნებული ვარ. შესანიშნავი ბავშვია, მართლა ძალიან მაგარია. არ შეიძლება, გამოჯანმრთელდეს? რატომ ვერ გამოდის მდგომარეობიდან? რატომ?

– არ ვიცი.

მიტრიალდა და მაიკს ლოყაზე აკოცა. მერე ისევ მე მომიბ-რუნდა. ლრმად ამოისუნთქა და მკითხა:

– აბა! როდის მივდივართ?

ტოლკინი „დისერტაციასავით“ რთული საკითხავი, ცხა-დია, არ იყო, მაგრამ იმ საღამოს „ჩექმებიანი კატის“ წაკითხვის

თავიც არ მქონდა. ვახშმად დაკონსერვებული სპაგეტი ვჭამე (ყურადღება არ მივაქციე მისის შოფლოუს კომენტარებს იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა შეგნებულად არ უფრთხილდება საკუთარ ორგანიზმს), ჩემს ოთახში ავედი, ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე დავკექი და ჩაბნელებულ სივრცეს მივაშტერდი. ტალღების დგაფუნს ვუგდებდი ყურს.

ის-ის იყო ჩამთვლიმა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. მისის შოფლოუ იყო.

— გირეკავენ, დევ. ვიღაც პატარა ბიჭია.

მისაღებ ოთახში სწრაფად ჩავირბინე, რადგან ჩემთვის ერთადერთ პატარა ბიჭს შეიძლებოდა დაერეკა.

— მაიკ, შენ ხარ?

ხმადაბლა ლაპარაკობდა.

— დედას სძინავს. დალლილი ვარო, თქვა და დაიძინა.

— დალლილი იქნება, აბა რა. — გამახსენდა, როგორ შევუტიეთ ენის ორივემ.

— ვიცი, რომ შევუტიეთ. — ისე მიპასუხა ბიჭმა, თითქოს რაც გავიფიქრე ხმამაღლა მეთქვას. — სწორადაც მოვიქეცით...

— მაიკ... შენ რა, აზრებს კითხულობ? ჩემს აზრებს კითხულობ?

— თვითონაც არ ვიცი. ზოგჯერ რაღაცებს ვხედავ და რაღაცები მესმის. სულ ეს არის. ზოგჯერ კი რაღაც აზრები მომდის. ბაბუაჩემის სახლში ჩამოსვლაც ჩემი იდეა იყო. დედამ მითხრა, არ შეგვიშვებსო, მაგრამ მე ვიცოდი, რომ შემოგვიშვებდა. რაც მე მაქვს — ეს რაღაც განსაკუთრებული უნარი — ბაბუაჩემისგან მაქვს. ხომ იცი ადამიანებს რომ კურნავს? ზოგჯერ აფერისტობს, მაგრამ ზოგჯერ მართლა კურნავს.

— მაიკ, რატომ დამირეკე?

გამოცოცხლდა.

– „კულტურული დაკავშირებით დაგირეცე. საქანელაზე მართლა ვიქანავებთ და „ბორბალზეც“ მართლა დავსხდებით?

– კი, აუცილებლად.

– ტირშიც მასროლინებ?

– თუ დედაშენი ნებას დაგვრთავს. ყველაფერი დედაშენის თანხმობით მოხდება, ანუ...

– ჰო, მესმის, რაც არის ეს „ანუ“... – მიპასუხა მოთმინებადაკარგულმა. მერე ხმაში ისევ აღტაცება გამოერია. – რა მაგარი იქნება!

– ჩქარ კარუსელებზე არ დავსხდებით. მე მგონი, ამაზე შევთანხმდით. პირველ რიგში იმიტომ, რომ ზამთარში არ ვამუშავებთ ხოლმე. – „კაროლინის ბორბალიც“ დაკეტილი იყო, მაგრამ ლეინ ჰარდის წყალობით ორმოც წუთში ავამუშავებდით. – გარდა ამისა...

– ჰო, ვიცი. ჩემი გულის გამო. მე „ბორბალიც“ მეყოფა. ჩვენი ბილიკის ბოლოდან მოჩანს. იქიდან გადმოხედვა ფრანიდან სამყაროს დანახვას ნიშნავს.

გამელიმა.

– ჰო, რაღაც მაგდაგვარია. მაგრამ იცოდე, მხოლოდ დედაშენის თანხმობით. მეთაური ეგ არის.

– ჩვენ იქ მისი გულისთვის მივდივართ. თვითონ მიხვდება, როცა მივალთ. – საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის ხმით ლაპარაკობდა. – შენი გულისთვისაც დევ, მაგრამ უფრო იმ გოგოს გულისთვის. ძალიან დიდი ხანია იქ არის. იქიდან გამოსვლა უნდა.

გაოცებისგან პირი დავალე, მაგრამ დორბლი არ წამომსვლია. პირი გამიშრა.

– საიდან... – ხავილით ვლაპარაკობდი. – საიდან იცი იმ გოგოს შესახებ?

– არ ვიცი. მაგრამ მე აქ, მგონი, მაგის გულისთვის ჩამოვედი. ხომ გითხარი, თეთრი არ არის-მეთქი.

– კი, მითხარი, მაგრამ ისიც მითხარი, არ ვიცი ეს რას ნიშნავსო. ახლა იცი?

– არა... – ხველა აუტყდა. როდესაც დამშვიდდა, თქვა: – ახლა წავედი. დედაჩემს ღამე ეღვიძება ხოლმე. მთელ ღამეს წიგნის კითხვაში ატარებს.

– მართლა?

– ჰო, მართლა. იმედი მაქვს, „ბორბალზე“ დაჯდომის ნებას დამრთავს.

– მაგას „კაროლინის ბორბალი“ პქვია, მაგრამ იქაურები ამწეს ეძახიან. – ზოგიერთები, მაგალითად, ედი, ლენჩ ამწეს ეძახდა, მაგრამ ეს მისთვის არ მითქვამს. – „ჯოილენდელებს“ თავიანთი ენა აქვთ.

– ამწე. – დავიმახსოვრებ, დევ.

ყურმილში ჩხაკუნი გაისმა.

გულის შეტევა ამჯერად ფრედ დინს დაემართა.

„კაროლინის ბორბალთან“ პანდუსზე იწვა. სახე გალურ-ჯებოდა. ჩავიმუხლე და გულის მასაუის კეთება დავიწყე. როცა მივხვდი, რომ ამაოდ ვირჯებოდი, დავიხარე, ნესტოებზე თი-თები მოვუჭირე და ტუჩები ტუჩებზე დავადე. ჯერ ტუჩებზე ვიგრძენი ჩხვლეტა, მერე – ენაზე. წამოვინიე და დავინახე, რომ პირიდან პატარა ობობების ჯგრო ამოუცოცდა.

გამეღვიძა. საწოლზე გადმოკიდებული ვიყავი, ზენარი ტან-ზე შემომხვეოდა, გული გამალებით მიცემდა. რამდენიმე წამი დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ პირში არაფერი მქონდა.

საწოლიდან წამოვხტი, აბაზანაში შევვარდი და ორი ჭიქა წყალი სულმოუთემელად დავლიე. შეიძლება ამ სიზმარზე საშინელი რამეც დამსიზმრებია ოდესმე, მაგრამ ვერ ვიხსენებ. ლოგინი გავასწორე და ისევ შევწექი, თუმცა ვიცოდი, რომ იმ ლამეს ვეღარ დავიძინებდი. მივხვდი, რომ მთელი ის სცენა, რომელიც საავადმყოფოში ჩვენ სამს შორის გათამაშდა, ამაო იყო.

რა თქმა უნდა, „ჯოილენდი“ სიამოვნებით მასპინძლობდა და საგანგებო ლონისძიებებსაც მართავდა ხეიბრებისთვის, გონებრივად ჩამორჩენილებისა და უსინათლოებისთვის – ანუ მათთვის, ვისაც თანამედროვე ენაზე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს“ უწოდებენ – მაგრამ მართავდა სეზონზე, ახლა კი სეზონი დამთავრებული იყო. არც იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ პარკი მაიკ როსს ხარჯებს აუნაზღაურებდა, თუ რამე დაემართებოდა. წარმოვიდგინე, როგორ გააქნევდა ფრედ დინი უარის ნიშნად თავს და იტყოდა: „ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ...“.

იმ დილით ძლიერი ქარი უბერავდა. სამსახურში მანქანით წავედი. ჩემი „ფორდი“ ლეინის პიკაპის გვერდით გავაჩერე. ავტოსადგომზე ხუთასამდე მანქანა ეტეოდა, მაგრამ იმ დილით მხოლოდ ჩვენი მანქანები იდგა. ასფალტზე ჩამოცვენილი ფოთლების შარიშური ისმოდა. მწერების ხმა მომაგონდა, მწერების გახსენებაზე კი – ჩემი სიზმარი.

ლეინი მადამ ფორტუნას ჯიხურის წინ (ამ ჯიხურსაც მალე დავშელიდით და შევინახავდით) დასაკეც სკამზე იჯდა და ბლითს ილუკმებოდა, რომელზეც მდნარი ყველი გადაესვა. ქუდი, ჩვეულებისამებრ, გვერდულად ეხურა, ყურთან კი სიგარე-

ტი ჰქონდა გარჭობილი. ყველაფერი ძველებურად იყო. ახალი მხოლოდ მისი ღია ცისფერი ჯინსის ქურთუკი გახლდათ. ეს ქურთუკიც იმის ნიშანი იყო, რომ შემოდგომის თბილი ამინდები დასრულდა.

— ჯონსი, რაღაც ძალიან მარტოსულად გამოიყურები. ბლითი არ გინდა? კიდევ მაქვს.

— რატომაც არა. შეიძლება, რაღაცაზე დაგელაპარაკო?

— აღსარება უნდა თქვა? დაჯექი, შვილო ჩემო. — მითხრა და ჯიხურთან ჩამწკრივებულ დასაკეც სკამებზე ხელით მანიშნა.

— ცოდვები იქით იყოს. — სკამი გავშალე, დავჯექი და ბლითი ავიღე. — ერთ ადამიანს პირობა მივეცი, ახლა კი ვშიშობ, რომ მის შესრულებას ვერ შევძლებ. — მაიკის შესახებ ვუამბე, ისიც ვუთხარი, როგორ დავიყოლიე დედამისი ბიჭისთვის პარკში წამოსვლის ნება დაერთო. — ადვილი არ იყო, ნერვები დაწყვეტაზე აქვს. — მოვუყევი რა დღეშიც ჩავვარდი, როცა წარმოვიდგინე, რომ ფრედ დინი კარუსელების ჩართვაზე უარს მეტყოდა. იმ კოშმარული სიზმრის შესახებ არაფერი მითქვამს.

— გასაგებია. ლამაზია? დედას ვგულისხმობ. — მკითხა ლეიინმა.

— კი, ლამაზია, მაგრამ ეგ არ არის მიზეზი...

გამილიმა და უფროსი კაცისთვის დამახასიათებელი უესტით ხელი მხარზე მომითათუნა. ჯობდა არ ექნა.

— კარგი, ჯონსი, გასაგებია. მეტის თქმა არ არის საჭირო.

— ლეიინ, ჩემზე ათი წლით უფროსია!

— კარგი, კარგი, გასაგებია! ვინმემ იმდენი ერთდოლარიანი რომ მომცეს, რამდენჯერაც მე ჩემზე ათი წლით უმცროს გოგოსთან გამივლია, ახლა ბეიში ერთ მაგარ სტეიკს დავურტყამდი. ასაკს რა მნიშვნელობა აქვს. ასაკი უბრალოდ რიცხვია.

– მადლობა არითმეტიკის გაკვეთილისთვის. ახლა ის მითხარი, ხომ არ მივქარე, იმ ბავშვს რომ ვუთხარი პარკში საქანელაზე გაქანავებ და „ბორბალზე“ დაგსვამ-მეთქი.

– კი, მიქარე... – გული შემეკუმშა, მაგრამ ლეინმა თითო დროულად აღმართა, – მაგრამ...

– რა მაგრამ?

– ზუსტი თარიღი ხომ არ დაგითქვამთ?

– არა, ზუსტი არა, მაგრამ ამ ხუთშაბათს მინდოდა (ერინის და ტომის ჩამოსვლამდე).

– ხუთშაბათს არ გამოვა, არც პარასკევს. ის ბავშვი და მისი ლამაზი დედიკო იქით კვირასაც აქ იქნებიან?

– კი, ალბათ, მაგრამ...

– მოკლედ, ორშაბათს ან სამშაბათს დავგეგმოთ.

– და რა შეიცვლება? რას უნდა ველოდოთ?

– გაზეთს.

– რა გაზეთს?

– ადგილობრივ გაზეთს. როდესაც გაზეთები დაწერენ, რომ შენ კიდევ ერთი ადამიანი გადაარჩინე სიკვდილს, ფრედის თვალში ოქროდ იქცევი. – თქვა ლეინმა და ბლითის ნარჩენს უახლოეს კასრში გადაუძახა. – ორი ქულა. – ხელები ჰაერში ასწია, თითქოს გაზეთის სათაური მოხაზა. – „მობრძანდით „ჯოილენდში“! ჩვენ არა მარტო გართობას ვყიდით, ხალხის გადარჩენაც შეგვიძლია“! – გაიღიმა და თავისი ქვაბურა ახლა მეორე მხარეს მოიგდო. – მაგარი რეკლამაა. ფრედი შენგან დიდად დავალებული იქნება. მერე მისი მადლობა ბანკში წაიღე, არ დაგავიწყდეს.

– და გაზეთი როგორლა გაიგებს? არ მგონია, ედი პარკსმა რამე თქვას. რომც თქვას, ალბათ იმაზე უფრო ილაპარაკებს, ნეკნები რომ ჩავუმტვრიე და მოითხოვს, პირველივე აბზაცში ამაზე დაწერონ.

თვალები გადაატრიალა.

– სულ მავიწყდება, რომ დამწყები ხარ და აქაურობას კარგად არ იცნობ. აქაურები გაზეთში მარტო პოლიციისა და სასწრაფოს გამოძახების ფაქტებს კითხულობენ. სასწრაფოს გამოძახების ფაქტები მშრალი და უინტერესოა ხოლმე. შენ-დამი ულრმესი პატივისცემის ნიშნად, შესვენებაზე „ბანერის“ რედაქციაში გავივლი და შენი გმირობის შესახებ ვუამბობ. ვინ-მეს გამოგზავნიან, ინტერვიუს ჩამოგართმევენ და სურათსაც გადაგიღებენ.

– და რად მინდა? არ მჭირდება...

– კარგი რა! ბოისკაუტი ხარ? თავმდაბლობისთვის ჯილდო გეკუთვნის. არ გინდა, ის ბავშვი პარკში მოიყვანო?

– კი, მინდა.

– მაშინ ინტერვიუც უნდა მისცე და კამერებსაც გაულიმო.

ახლა მოვლენებს ნინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ასეც მოვიქეცი.

სკამს რომ ვკეცავდი ლეინმა მითხრა:

– ფრედ დინმა შეიძლება მაგ ყველაფრის გარეშეც მია-ფურთხოს დაზღვევას. არ იმჩნევს, თორემ ეგეც კარნი კარნთა-განია. მამამისიც ამ საქმეში იყო, მაგრამ ფრედს ეგ ნაკლებად აინტერესებს.

– აბა რა აინტერესებს?

– საერთოდ, კარნებს გათქვირული გოგოები უყვართ და ბავშვები, რომლებსაც ამ ცხოვრებაში არ გაუმართლათ. ყურ-ცქვიტების წესებსა და კანონებზე ალერგია აქვთ. ბულალტე-რიაც ეჯავრებათ.

– მაშინ ეგებ...

ხელის აწევით გამაჩერა.

– არაფერი. ჯობია, ინტერვიუ მისცე.

„ბანერის“ ფოტოკორესპონდენტმა ფოტო „სანდერბოლის“ ფონზე გადამიღო. დაბეჭდილი სურათის ნახვისას თვალებს არ დავუჯერე. თვალები მოჭუტული მქონდა და სოფლელ იდიოტს ვგავდი, მაგრამ ფოტომ თავისი საქმე მაინც გააკეთა. პარასკევს, დილით, როცა ფრედის კაბინეტის კარი შევაღე, გაზეთი მაგიდაზე ედო. თავიდან ბევრი ივიშვიშა, მაგრამ ბოლოს დამთანხმდა, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლეინი დაპირდა, სანამ ბავშვი და დედიკო პარკში იქნებიან, მარტოებს ერთი წუთით არ დავტოვებო.

ლეინმა მითხრა, შენი შეყვარებულის გაცნობაც მინდაო, მაგრამ ჩემი განრისხებული სახის დანახვაზე სიცილი აუტყდა.

იმ დღეს, მოგვიანებით, ენი როსს ვუთხარი, რომ პარკში ყველაფერი მოვაგვარე და თუ კარგი ამინდი იქნა, სამშაბათს გველიან, თუ არადა ოთხშაბათს ან ხუთშაბათს-მეთქი.

დიდხანს დუმდა.

ბოლოს დამთანხმდა.

პარასკევს ბევრი საქმე მქონდა. პარკიდან ადრე გამოვედი და ჩემი მანქანით უილმინგტონისკენ წავედი. სადგურის ბაქანზე ვიდექი, ტომისა და ერინის მატარებლიდან გადმოსვლას ველოდებოდი. ჩემს დანახვაზე ერინი გამოქანდა, ჩამეხუტა და ორივე ლოყასა და ცხვირის წვერზე მაკოცა. მეც ჩავეხუტე და ვაკოცე, მაგრამ ეს და-ძმური კოცნა იყო. მერე ტომს გადავეხვიე. დიდხანს ვუტყაპუნეთ ერთმანეთს მხრებზე ხელები. გეგონებოდათ, ხუთი წლის უნახავები ვიყავით და არა ხუთი

კვირის. ახლა მუშათა კლასს ვეკუთვნოდი. გამოსასვლელი პე-
რანგი მეცვა, მაგრამ მაინც მუშას ვგავდი. მაზუთით მოთხუპ-
ნული ჯინსი და გახუნებული მაისური მისის შოფლოუსთან,
კარადაში დავტოვე, მაგრამ მუშურ გარეგნობას ვერაფერი მო-
ვუხერხე.

— როგორ გამიხარდა შენი ნახვა! — თქვა ერინმა. — ღმერ-
თო, როგორ გარუჯულხარ!

მხრები ავიჩეჩე.

— აბა რა გითხრა? სამხრეთის სანაპიროს უკიდურეს ჩრდი-
ლოეთში ვმუშაობ.

— სწორად მოიქეცი, კოლეჯში რომ არ დაბრუნდი. — თქვა
ტომმა. — მაშინ ვიფიქრე, ხომ არ გაგიუდა-მეთქი, მაგრამ სწო-
რი გადაწყვეტილებაა. ეგებ, ჯობდა, მეც „ჯოილენდში“ დავ-
რჩენილიყავი.

გამიღიმა. სათნო ღიმილი ჰქონდა, მაგრამ სახეზე უცებ
ჩრდილმა გადაურბინა. ტომი „ჯოილენდში“ არ დარჩებოდა. მი-
თუმეტეს, იმ წყვდიადში გასეირნების მერე.

შაბათ-კვირას მისის შოფლოუსთან გაჩერდნენ (მისის შოფ-
ლოუს მათი ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა, ტინა ეკერლიც გაი-
ბადრა). იმ ღამეს სანაპიროზე ცოტა დავლიეთ, ვივახშემეთ და
ბევრი ვიცინეთ. გასათბობად კოცონი დავანთეთ. შაბათს ნა-
შუადლევს კი, როცა დადგა დრო, ერინს ის ინფორმაცია გაე-
ზიარებინა ჩემთვის, რომელიც ასე ანუხებდა, ტომმა გვითხრა,
მე თავი დამანებეთ, ნავალ მისის შოფლოუს და ტინა ეკერლის
„ერუდიტს“ ვეთამაშებიო. ვიფიქრე, თუ ენი და მაიკი ხის დაფე-
ბით მოპირკეთებული ბილიკის ბოლოში ისხდებიან, მათ ერინს
გავაცნობ-მეთქი. მაგრამ გრილი დღე იდგა, ქარი უბერავდა და
ბილიკის ბოლოში მდგომი მაგიდა ცარიელი იყო. არც ქოლგა
ჩანდა. შეეტანათ.

„ჯოილენდის“ ავტოსადგომი ცარიელი იყო, თუ არ ჩავ-
თვლით სამსახურის რამდენიმე მანქანას. ერინს სქელი, ყელია-
ნი ჯემპრი და შალის შარვალი ეცვა, ხელში თავისი ინიციალე-
ბიანი პატარა კეისი ეჭირა. გაკვირვების ნიშნად წარბი აზიდა,
როცა ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოვაძვრინე და „ჯოილენ-
დის“ ჭიშკრის გასაღებად მოვემზადე.

— აჲა, გასაგებია. ამათიანი გამხდარხარ.

დავიბენი. ხომ ყველა ვიბნევით (თუმცა, არ ვიცით რატომ),
როდესაც გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვიღაცისიანები ვართ.

— არა, უბრალოდ ჭიშკრის გასაღები მაქვს. ისიც იმ შემ-
თხვევისთვის თუ სხვებზე ადრე მოვედი ან სხვებზე გვიან წა-
ვედი. ამ სამეფოს ყველა გასაღები მხოლოდ ფრედს და ლეინს
აქვთ.

ისე გაიცინა, თითქოს რაღაც დიდი სისულელე მეთქვას.

— ჭიშკრის გასაღები ამ სამეფოს გასაღებია. — მითხრა და
სერიოზული სახით ამათვალიერა. — გაზრდილხარ, დევინ. მა-
ტარებლიდანაც კი შევნიშნე. შენ სამუშაოდ დარჩი, ჩვენ კო-
ლეჯში დავბრუნდით, უამრავ ბედის მაძიებელ გოგო-ბიჭს შე-
ვუერთდით. მერე ეს გოგო-ბიჭები ჯიბეში მაგისტრის დიპლო-
მებს ჩაიდებენ და „ბრუკს ბრაზერსის“ კოსტუმებში გამოეწყო-
ბიან.

კეისზე მივუთითე.

— „ბრუკს ბრაზერსის“ კოსტუმზე ეგ შენი კეისი მაგრად
ნავა. რა თქმა უნდა, თუ ეგენი ქალის სამოსსაც კერავენ.

ამოიოხრა.

— მშობლებმა მაჩუქეს. მამაჩემს უნდა, მეც მასავით იუ-
რისტი გავხდე. ჯერ საიმისო გამბედაობა არ მეყო, რომ ვუთ-
ხრა, ფოტოგრაფობა მინდა-მეთქი. როდესაც ვეტყვი, გაგიუდე-
ბა. მაგას რა გაუძლებს?

„ჯოილენდ ავენიუ“ უბმოდ გავიარეთ. მხოლოდ ხმელი ფოთლების შრიალი ისმოდა – თითქოს ძვლები ჩხარუნობდნენ. ერინი შალითაგადაფარებულ ატრაქციონებს, დამშრალ შადრევნებს, კარუსელების ერთ პოზაში გაშეშებულ ცხენებს და ყველასგან მიტოვებულ „ბზრიალა კასრებს“ შესცეკეროდა.

– ამის შემხედვარეს სევდა მიპყრობს. სიკვდილზე მეფიქრება. – უცებ აღტაცებით შემომხედა. – გაზეთი ვნახეთ. მისის შოფლოუმ ოთახში დაგვახვედრა. კიდევ ვიღაც გადაგირჩენია.

– ედი. იმ ადგილას შემთხვევით აღმოვჩნდი.

ამასობაში მადამ ფორტუნას ჯიხურსაც მივადექით. ჯიხურზე კვლავაც დასაკეცი სკამები იყო მიყუდებული. ორი სკამი გავშალე და ერინს ვანიშნე, დაჯექი-მეთქი. გვერდით მივუჯექი და ჯიბიდან „ოულდ ლოგ ქებინი“ ამოვაძვრინე.

– იაფფასიანი ვისკია, მაგრამ კარგად კი ახურებს. – ვუთხარი.

ცოტა მოსვა. მეც დავლიე, მერე თავსახური მოვუჭირე და ჯიბეში ჩავიდე. „ჯოილენდ ავენიუდან“ 50 იარდის მოშორებით „საშინელებათა სახლის“ მაღალი სახურავი მოჩანდა. სახლს მწვანე, გადღაბნილი ასოებით ეწერა: „შემოდი, თუ გაგედავ“!

ერინმა თავისი პატარა ხელი მხარზე გასაოცარი ძალით მომიჭირა.

– ის ბებერი ნაბიჭვარი შენ გადაარჩინე, შენ. თქვი, ნუ გერიდება.

გამელიმა. ლეინის ნათქვამი გამახსენდა – ბოისკაუტი ხომ არ ხარო. საკუთარი დამსახურებების აღიარება არ მეხერხებოდა. ყოველ შემთხვევაში მაშინ.

– გადარჩება?

– ალბათ. ექიმებს ფრედი დინი ელაპარაკა. ხომ იცი, რასაც ეტყოდნენ, ავადმყოფი თავს უნდა გაუფრთხილდეს, არ

უნდა მოწიოს, ფრი არ ჭამოს, უნდა ივარჯიშოს და ათასი სი-სულელე.

- წარმოიდგინე, პარკში მოძუნძულე ედი პარკსი.
- აბა! პირში სიგარეტით და ხელში ლორიანი სენდვიჩით.

ხმამალლა გაიცინა. ქარმა დაუბერა და თმა აუნენა. სქელ ჯემპრში ერინი იმ ამერიკელ ლამაზმანს აღარ ჰეგავდა, ამ ზაფ-ხულს მწვანე კაბაში გამოწყობილი „ჯოილენდში“ რომ დარბოდა, ხალხს მომხიბლავად ულიმოდა და არწმუნებდა, ფოტო გადაეღოთ.

- აბა, რა ჩამომიტანე? რა ინფორმაცია მოიპოვე?

კეისი გახსნა და იქიდან საქალალდე ამოაძვრინა.

– დარწმუნებული ხარ, რომ ამ საქმეში ჩართვა გინდა? მგონი არ მომისმენ, იტყვი – „ელემენტარულია, ერინ“! და მერე შერლოკ ჰოლმსივით დაუფიქრებლად დააბრეხვებ მკვლელის სახელს.

იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი ვერაფერი შერლოკ ჰოლმსი ვიყავი, ის სულელური აზრიც კმაროდა, ამასწინათ რომ მომივიდა თავში – მკვლელი ედი პარკსი მეგონა. დავაპირე მეთქვა, მე მსხვერპლის მოსვენება უფრო მინდა, ვიდრე მკვლელის დაჭერა-მეთქი, მაგრამ დროზე გავჩერდი. ასეთი ნათქვა-მი ერინს სისულელედ მოეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ტომმა თავისი თვალით ნახა ლინდა გრეი.

- მოგისმენ.
- ჰო, მართლა, არ დამავიწყდეს, 40 დოლარი გაქვს ჩემი ვალი, ბიბლიოთეკებში ქექვის ფული.
- კი ბატონო. მაგდენს გავწვდები.
- თერდში მუჯლუგუნი მკრა.
- დიახაც, უნდა გადამიხადო. მე გასართობად კი არ ვმუშაობ, სწავლის ფული მაქვს გადასახდელი.

კეისი ფეხებს შორის მოიქცია და საქალალდე გადაშალა. რაღაც ქსეროასლები დავინახე, ორი-სამი ნაბეჭდი გვერდი და პრიალა ფოტოებიც შევამჩნიე. აი ისეთები, ყურცქვიტები რომ იღებდნენ „ჯოილენდში“.

– კარგი, დავიწყოთ. როგორც შენ მირჩიე, „ნიუზ-ენდ-კუ-რიერში“ გამოქვეყნებული სტატიით დავიწყე. – თქვა და ერთი ქსეროასლი მომაწოდა. – საკვირაო გაზეთიდან აღებული სტატიაა. ხუთიათასი სიტყვა მოსაზრებები და ვარაუდებია, მხოლოდ რვაასი თუ ეთმობა რეალურ ფაქტებს. თუ გინდა მერე წაიკითხე. ახლა მთავარ მომენტებს მოგიყვები. სულ ოთხი გოგოა. მისი ჩათვლით ხუთი. – ხელი „საშინელებათა სახლისკენ“ გაიშვირა. – პირველი დილაიტ მოუბრი იყო. მეგობრები დიდის ეძახდნენ. უეიკროსიდან იყო, ჯორჯიის შტატიდან. თეთრკანიანი. ოცდაერთი წლის. მკვლელობამდე ორი-სამი დღით ადრე თავისი მეგობრისთვის უთქვამს, ახალი შეყვარებული მყავსო. ჩემზე ბევრად უფროსი, მაგრამ ძალიან სიმპათიურიაო. 1961 წლის 31 აგვისტოს, გაუჩინარებიდან მეცხრე დღეს, გოგონა ოკეფენოკის ჭაობში მოკლული ნახეს. იმ ტიპს ჭაობში ცოტა უფრო ღრმად რომ შეეთრია, უფრო დიდხანს ვერ იპოვიდნენ.

– თუ საერთოდ იპოვიდნენ. ალიგატორები ოც წუთში შეახრამუნებდნენ.

– უხეში ნათქვამია, მაგრამ სიმართლესთან ახლოსაა. – თქვა ერინმა და ახლა სხვა ქსეროასლი გადმომცა. – ეს უეიკროსის „ჯორნალ-ჰერალდში“ დაბეჭდილი სტატიაა. – სტატიას ფოტოც ახლდა. პოლიციელი მანქანის ნაკვალევზე მიუთითებდა. – მათი აზრით, მკვლელმა გოგონას ყელი გამოჭრა და იქვე დააგდო. ვარაუდობენ, რომ საბურავების ნაკვალევი სატვირთო მანქანისაა.

– ნაგავივით მოისროლა.

– უხეში ნათქვამია, მაგრამ სიმართლეა. – ახლა სხვა სტატიის ქსეროასლი მომაწოდა. – ესეც ნომერი ორი. კლაუდინ შარპი. როკი-მაუნთიდან იყო, ჩრდილოეთ კაროლინიდან. თეთრკანიანი, ოცდასამი წლის. ადგილობრივ კინოთეატრში მკვდარი იპოვეს. 1963 წლის 2 აგვისტოს. „Lawrence of Arabia“ გადიოდა, ფილმი გრძელია და ძალიან ხმაურიანი. ამ სტატიის ავტორი ნერს, რომ იმ ტიპმა გოგოს ყველი ერთ-ერთი ხმაურიანი სცენის დროს გამოჭრა. რა თქმა უნდა, ვარაუდია და სხვა არაფერი. სისხლიანი პერანგი და ხელთათმანები იქვე დაყარა, თავად კი მიიმალა. პერანგის ქვეშ, სავარაუდოდ, მეორე პერანგიც ეცვა.

– ეს ალბათ იგივე ტიპია, ვინც ლინდა გრეი მოკლა. შენ რას იტყვი?

– ალბათ ასეა. პოლიციამ გოგოს ყველა მეგობარი დაკითხა, მაგრამ მისი ახალი შეყვარებულის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

– არ იცოდნენ ვისთან ერთად წავიდა იმ საღამოს კინოში? არც მშობლებისთვის უთქვამს რამე?

ერინმა შემწყნარებლური მზერით შემომხედა.

– დევინ, ის გოგო ოცდასამი წლის იყო, თოთხმეტის კი არა. მშობლებთან აღარ იყო. სხვაგან, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა. აფთიაქში მუშაობდა და ზედა სართულზე პატარა ბინას ქირაობდა.

– ეს ყველაფერი გაზეთებში წაიკითხე?

– არა. ზოგან დავრეკე კიდეც. თუ სიმართლე გინდა, რეკვით თითები გადავიტყავე. ჰო, მართლა, საქალაქთაშორისო საუბრების ფულიც გმართებს. ამ კლაუდინ შარპს ისევ დავუბრუნდები. ახლა წინ წავინიოთ. მსხვერპლი ნომერი სამი. „ნიუზ-ენდ-კურიერში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით,

სანტიდან, სამხრეთ კაროლინიდან ყოფილა. უკვე 1965 წელია. ევა ლონგბოტომი, ცხრამეტი წლის. შავკანიანი. 4 ივლისს დაიკარგა. მისი გვამი ერთ-ორ დღეში ადგილობრივმა მეთევზეებმა მდინარე სანტის ჩრდილოეთ სანაპიროზე იპოვეს. გოგონა გაუპატიურებინათ და გულში დანის ჩარტყმით მოეკლათ. სხვები არც შავკანიანები იყვნენ და არც გაუპატიურებულები. შეიძლება, მისი მკვლელიც „საშინელებათა სახლის“ მკვლელი იყოს, მაგრამ პირადად მე არ მგონია.

სკოლის გამოსაშვები ალბომისთვის გადაღებული ფოტო გადმომცა. ფოტოდან ლამაზი, ქერათმიანი გოგონა შემომყურებდა. ასეთი გოგონები სკოლის გუნდის გულშემატკივართა ლიდერები არიან ხოლმე, მათ სკოლის ღონისძიებებზე დედოფლებად ირჩევენ.

– დარღინ სტამნაგარი. კინოინდუსტრიაში მოხვედრა რომ დასცლოდა, ალბათ, სახელს და გვარს შეიცვლიდა. მისი ცხოვრების მიზანი კინო ყოფილა და ყოველთვის ყველასთან დაუფარავად ამბობდა. თეთრკანიანი. ცხრამეტი წლის. მაქსტონიდან, ჩრდილოეთ კაროლინა. 1967 წლის 29 ივნისს გაუჩინარდა. იპოვეს ორდღიანი ძებნის შემდეგ, ელროდის სამხრეთით, ტირიფებით დაფარულ გზისპირა ქოხში. ყელი აქვს გამოჭრილი.

– ღმერთო, რა ლამაზია! შეყვარებული არ ჰყავდა?

– ასეთ ლამაზ გოგოს როგორ არ ეყოლებოდა? პოლიცია პირველად იმ ბიჭს მიადგა, მაგრამ ადგილზე არ დახვდათ. სამ ძმაკაცთან ერთად ბლუ-რიჯის მთებში ყოფილა ნასული. სამივე თავდებად დაუდგა. ის ვერ მოკლავდა, თუ ფრთები არ გამოისხა და არ გადაფრინდა.

– მერე ლინდა გრეის ჯერი დადგა. – ჩავილაპარაკე. – მეხუთე ნომერი. რა თქმა უნდა, თუ ყველა ერთმა და იმავე ტიპმა მოკლა.

ერინმა მასწავლებელივით ასწია თითი.

– ხუთი იმ შემთხვევაშია, თუ ამ ტიპის ყველა მსხვერპლი აღმოაჩინეს. სხვებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ – 62-ში, 64-სა და 66-ში.

ქარმა დაუბერა და „კაროლინის ბორბლის“ კარკასი ახმიანდა.

– აი რა მანუხებს ყველაზე მეტად... – ისე თქვა, თითქოს ის ხუთი გოგო არაფერს ნიშნავდა. საქალალდიდან კიდევ ერთი ქსეროასლი ამოაძვრინა. „მენლი უელმანის შოუს“ სარეკლამო ფლაერი იყო. მასზე გამოსახულ ორ მასხარას ხელში ეტრატი ეჭირა. ეტრატზე კი ზოგიერთი საოცრება იყო ჩამოთვლილი. მათ შორის, „მახინჯების საუკეთესო ამარიკული შოუ“. ასევე იყო ატრაქციონები, კარუსელები, საბავშვო გასართობები და „მსოფლიოში ყველაზე საშიში საშინელებათა სახლი“.

„შემოდი, თუ გაძედავ“! – გავიფიქრე.

– ეს ბიბლიოთეკების აბონემენტის საშუალებით მოიპოვე?
– ვკითხე ერინს.

– ამ აბონემენტით ყველაფერზე მიგინვდება ხელი, ყველა-ფერს მოიპოვებ, თუ ქართველი არ გეზარება. უფრო სწორად, თუ იცი, რას ეძებ. ეს რეკლამა უეიკროსის „ჯორნალ-ჰერალდში“ გამოქვეყნდა. 1961 წლის აგვისტოს პირველ კვირაში.

– პირველი გოგოს დაკარგვის დროს უელმანის შოუ უეიკროსში იყო?

– არა, მაგრამ იმ დროს, როცა თავის დაქალს ახალი შეყვარებულის შესახებ უამბო, შოუ ჯერ კიდევ იქ იყო. ახლა ეს ნახე. როკი-მაუნთის „ტელეგრამიდან“ არის. 1963 წლის ივლისში დაიბეჭდა. სტანდარტული სარეკლამო განცხადებაა. უჩემოდაც მიხვდები.

იგივე სარეკლამო განცხადება მთელ გვერდზე იყო დაბეჭდილი: „მენლი უელმანის შოუ“. იმავე მასხარებს იგივე ეტრატი

ეჭირათ, მაგრამ უეიკროსში გასტროლების მერე თამაში „ბინო“ დაემატებინათ – პრიზი 10 000 ლოდარი იყო. რეკლამაში „მანინჯებზე“ აღარაფერი იყო ნათქვამი.

– ეს შოუ ქალაქში მაშინ იმართებოდა, როცა გოგო კინო-თეატრში მოკლეს?

– არა. შოუ წინა დღეს გაემგზავრა ქალაქიდან. – თქვა ერინმა და თითი გვერდის ბოლოს დაჰკრა. – დევ, თარიღებს დახედე.

თარიღები მასავით ზუსტად არ ვიცოდი, მაგრამ თავის დასაცავად არაფერი მითქვამს.

– მესამე გოგოზე, ლონგბოტომზე რაღას იტყვი?

– კარნების სანტიში ყოფნის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიე. ვერც უელმანის შოუზე ვიპოვიდი რამეს, რადგან შოუ 1964 წლის შემოდგომაზე გაკოტრდა. ეს ინფორმაცია „აუთ-დორ თრეიდ ენდ ინდასტრიში“ ვნახე. მე და ჩემმა დამხმარებიბლიოთეკარებმა ისიც გავარკვიეთ, რომ ეს ერთადერთი უურნალია, სადაც კარნების და გასართობი პარკების ბიზნეს სამყაროს ამბები შუქდება.

– ღმერთო! ერინ, ფოტოგრაფია უნდა დაივიწყო და ვინმე მდიდარი მწერალი ან კინოპროდიუსერი იპოვო. მერე ასისტენტად ააყვანინო თავი – მოკვლევებს გაუკეთებ ხოლმე.

– სურათების გადაღება მირჩევნია. კვლევის წარმოება მძიმე შრომაა. მაგრამ მთავარი ძაფი არ გაგისხლეს, დევ. მართალია, სანტიში კარნების კვალი არ ჩანს, მაგრამ არც ევა ლონგბოტომის მკვლელობა ჰგავს სხვების მკვლელობებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. სხვა გოგოები არ გაუუპატიურებიათ.

– ეგ შენ გგონია მასე. ზოგჯერ გაზეთები ასეთ რამეებზე დუმან.

– მართალი ხარ. ასეთ რამეებს ისინი სექსუალურ ძალა-დობას ან ფიზიკურ შეურაცხყოფას უწოდებენ. სიტყვა გაუპა-ტიურების ხსენებას გაურბიან, მაგრამ დამიჯერე, ყველასთვის ყველაფერი ისედაც გასაგებია ხოლმე.

– დარღინ შუმახერზე რას იტყვი?

– სტამნაგარი. ეს გოგოები მოკლეს, დევ, ხომ გემის? მათი გვარები მაინც დაიმახსოვრე.

– დავიმახსოვრებ. დრო მჭირდება.

ხელი ხელზე დამადო.

– ბოდიში. ყველაფერი ერთად მოგაყარე, არა? მე კი დიდი ხანია მათზე ვფიქრობ.

– მართლა?

– ჰო. საშინელებაა.

მართალი იყო. დეტექტივს რომ კითხულობ ან ამ უანრის ფილმს უყურებ, ამდენი გვამებით გარემოცული უდარდელად უსტვენ და მარტო მკვლელის ვინაობა გაინტერესებს – ლაქია იყო თუ ბოროტი დედინაცვალი. მაგრამ ახლა საქმე რეალურ გოგოებს ეხებოდა. ალბათ, მათი გვამები ყვავებმა დაკორტნეს. თვალები მატლებმა ამოჭამეს და ნესტოებში, ყურებსა და თავის ტვინშიც ბევრი იფუთფუთეს.

– სტამნაგარის მკვლელობისას მაქსტონში ვინმე კარნი ხომ არ იყო?

– არა, მაგრამ ლუმბერტონში ბაზრის სანახაობა იმართებოდა. ლუმბერტონი მაქსტონთან მდებარე უახლოესი ქალაქია. ახლა ეს გამომართვი.

კიდევ ერთი ქსეროასლი მომაწოდა. რობსონის ოლქში გასამართი ბაზრის სანახაობის შესახებ იუნყებოდა. ერინმა კიდევ ერთხელ დაჰკრა ფურცელს ხელი. ამჯერად უნდოდა, ყურადღება სათაურისთვის მიმეპყრო: „პომპანია „სამ-

ხრეთის ვარსკვლავი“ გთავაზობთ 50 უსაფრთხო ატრაქ-
ციონს“.

— კომპანია „სამხრეთის ვარსკვლავის“ შესახებ ინფორმა-
ცია „აუთდორ თრეიდ ენდ ინდასტრიშიც“ მოვიძიე. კომპანია
მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილა დაარსებული. სამხრეთ-
ში მუშაობს, ყველგან ატრაქციონებს დგამს. „სანდერბოლისა“
და „დელირიუმ შეიქერის“ ზომის ატრაქციონები არ აქვთ, მაგ-
რამ „დოყლაპიებს“ ამონტაჟებენ. უოკეებიც თავიანთი ჰყავთ.

ჩამეცინა, აქაური ენა ჯერ არ დავიწყებოდა. „დოყლა-
პიებს“ იმ ატრაქციონებს ვეძახდით, ადვილად რომ იწყობოდა
და იშლებოდა.

— „სამხრეთის ვარსკვლავის“ კარუსელების უფროსსაც და-
ვურეკე. ვუთხარი, ზაფხულში „ჯოილენდში“ ვმუშაობდი, ახლა
კი სოციოლოგიაში საკურსოს ვაკეთებ გართობის ინდუსტრიის
შესახებ-მეთქი. ეგებ, მართლაც გავაკეთო. ჩემთვის ახლა ეს
უმარტივესი თემაა. იგივე მითხრა, რაც უმისოდაც ვიცოდი –
ჩვენთან კადრების საოცარი დენადობააო. ზეპირად არ ახსოვ-
და, ოდესმე აუყვანიათ ვინმე უელმანის შოუდან თუ არა, მაგ-
რამ სავსებით შესაძლებელიაო. შეიძლებოდა, მუშებიც აეყვანათ
და მაღალკუვალიფიციური სპეციალისტებიც. ასე რომ დიდის და
კლაუდინის მკვლელი თავისუფლად შეიძლებოდა მათი შოუდან
ყოფილიყო. დარღინ სტამნაგარსაც შეეძლო მისი გაცნობა. მარ-
თალია, იმ დროისთვის სანახაობა ჯერ გახსნილი არ იყო, მაგრამ
ადგილობრივები ბაზრობების გახსნამდეც იკრიბებიან ატრაქ-
ციონების აწყობის და სამზადისის სანახავად. – ერინმა დაუი-
ნებით შემომხედა. – ალბათ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა.

— ერინ, ლინდა გრეის მკვლელობის შემდეგ გამოქვეყნე-
ბულ სტატიაში რამე ხომ არ არის ნათქვამი იმაზე, რომ გოგოს
მკვლელობა კარნის, გართობის სამყაროს უკავშირდება?

- შენი ბოთლიდან ერთ ყლუპს კიდევ მოვსვამ, გავიყინე.
- თუ გინდა, შიგნით შევიდეთ...
- არა. ამ მკვლელობებზე ფიქრმა გამყინა. ყოველთვის, როცა ამაზე ვფიქრობ...

ბოთლი გავუწოდე. ჯერ მან მოსვა, მერე – მე.

- ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი ხარ. როგორ გგონია, ჰოლიციამ ეს კავშირი ვერ შენიშნა?

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არ უნდა გამოჰქმარვოდათ. ასეთი რამ დეტექტიურ ტელესერიალში რომ მომხდარიყო, საქმეს აუცილებლად გახსნიდნენ. გამოჩენდებოდა ვინმე საზრიანი ხნიერი ჰოლიციელი – კოლომბოს ტიპის – ყველაფერს დაკავშირებდა და საქმესაც გახსნიდა. მაგრამ ნამდვილ ცხოვრებაში ასეთი ტიპები აღბათ არ არსებობენ. გარდა ამისა, რაღაცების ერთმანეთთან დაკავშირება რთულია, რადგან ყველაფერი მიმოფანტულია – სამ შტატში და რვა წლის მანძილზე. ერთი რამ უდავოა, თუ ის ტიპი „ჯოილენდში“ მუშაობდა კიდეც, აქედან უკვე დიდი ხნის წასულია. აქ კადრების ისეთი მაღალი დენადობა არ არის, როგორც „სამხრეთის ვარსკვლავში“, მაგრამ აქაც ბევრი მიღის და მოდის.

ეს მეც კარგად ვიცოდი. უოკეები ძალიან ხშირად არ იცვლებიან, აი დამლაგებლების და მეგაზონეების წასვლა-მოსვლას კი კაცი ვერ გაარკვევს.

- კიდევ ერთი რამ მაშტოთებს. – თქვა და სურათების დასტა გამომინოდა.

თითოეული ფოტოს ბოლოში, ცარიელ თეთრ ზოლზე ეწერა: „ფოტოსურათი გადაღებულის „ჯოილენდის“ ჰოლივუდელი გოგოს მიერ“. სურათები გადავქექე და როცა მივხვდი რაც იყო, ვიგრძენი, რომ სასწრაფოდ უნდა დამელია. ფოტოებზე ლინდა გრეი და მისი მკვლელი იყვნენ აღბეჭდილი.

– ლმერთო! ერინ, ეს სურათები ხომ გაზეთებიდან არ არის! სად იშოვე?

– ბრენდა რაფერტიმ მომცა. თავი მოვუქონე. ვუთხარი, პოლივუდელი გოგოების დედიკო ხართ-მეთქი და დავკერე. სურათები ახალი დაბეჭდილია. ბრენდამ ნეგატივები მათხოვა. არის მათში რაღაც საინტერესო, დევ. ხედავ, გოგოს როგორი თმის სამაგრი უკეთია?

– კი, ლენტი.

– ბრენდამ თქვა, რომ პოლიცია გაზეთებში გამოქვეყნებულ სურათებზე ამ ლენტს ფარავდა. ფიქრობდნენ, იმ ტიპის გამოჭერაში დაგვეხმარებაო, მაგრამ ვერა.

– და შენ რა გაღელვებს, ერინ?

მე, ჩემდათავად, ყველა სურათი მაღელვებდა. რაღაც არ მომწონდა იმათშიც კი, რომლებშიც ლინდა გრეი და მისი თანმხლები მამაკაცი ფოტოს უკანა პლანზე ჩანდნენ და სადღაც მიდიოდნენ. ამ სურათებზე მათი გარჩევა მხოლოდ ლინდას უმკლავებო ბლუზით და ცისფერი ლენტით, იმ ტიპის ბეისბოლის კეპით და მზის სათვალით შეიძლებოდა. ლინდა გრეი და მისი მკვლელი მხოლოდ ორ სურათზე ჩანდნენ მკვეთრად. პირველში კაცს ხელი ლინდას ტაკოზე ედო. მეორეში კი – ყველას ეს სურათი სჯობდა – ორივე „ენი ოუკლის სასროლეთან“ იდგა. კაცს სახე არცერთ ფოტოზე არ უჩანდა.

ერინმა პირველი ფოტო აიღო.

– მის ხელს შეხედე.
– სვირინგი აქვს. ვიცი, მისის შოფლოუმ მითხრა. რა არის? ქორი თუ არწივი?

– მე მგონი, არწივია, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს.

– მართლა?

– ჰო, მართლა. ხომ გითხარი, კლაუდინ შარპს ისევ და-ვუბრუნდები-მეთქი. ამ გოგოს ყელი კინოთეატრის, დარბაზში გამოჭრეს, როდესაც ფილმს უყურებდნენ. როკი-მაუნთი პატა-რა ქალაქია და გოგოს მკვლელობა სენსაციად იქცა. ადგილობ-რივი გაზეთი ლამის ერთი თვე მის შესახებ წერდა. პოლიციამ ერთადერთი ხელჩასაჭიდი რამ იპოვა. ვიღაც თანასკოლელმა გოგომ კლაუდინი სეანსის დაწყებამდე კინოთეატრის კაფეში ნახა და მიესალმა. კლაუდინმაც დაუბრუნა სალამი. ის გოგო ამბობს, ვიღაც კეპიანი და სათვალიანი ტიპიც დავინახეო, მაგ-რამ ვერ დავუშვი, რომ კლაუდინთან ერთად იქნებოდაო, მას-ზე გაცილებით უფროსი იყო. ყურადღება იმიტომ მიუქცევია, რომ იმ ტიპს კინოში სათვალე ეკეთა... და კიდევ იმიტომ, რომ ხელზე სვირინგი ჰქონდა.

– ფრინველი.

– არა, დევ. კოპტური ჯვარი ყოფილა. აი ასეთი. – ერინმა კიდევ ერთი ქსეროასლი ამოიღო. – პოლიციელებისთვის უთ-ქვამს, თავიდან ნაცისტური სიმბოლო ან რაღაც მაგდაგვარი მეგონაო.

ჯვარს დავხედე. ლამაზი იყო. ფრინველს ნამდვილად არ ჰვავდა.

– ორი სვირინგი აქვს. ერთ ხელზე ფრინველი ახატია, მეო-რეზე – ჯვარი.

ერინმა უარის ნიშნად თავი გააქნია და ფოტო გამომინდა.

– აბა, რომელ ხელზე ახატია ფრინველი?

კაცი ლინდას მარცხნივ იდგა. მარჯვენა ხელი მის ტაკოზე ედო...

– მარჯვენაზე. – ვუპასუხე.

– მართალია. მაგრამ გოგონა, რომელმაც ის კინოში ნახა, ამბობს, რომ ჯვარი მარცხენაზე ჰქონდა.

ცოტა ხანს დავთიქრდი.

- ალბათ შეეშალა. მოწმეებს სულ რაღაც ეშლებათ ხოლმე.
- ვიცი, რომ ეშლებათ. ამ თემაზე მამაჩემს შეუძლია მთელი დღე ილაპარაკოს, მაგრამ ნახე, დევ.

ერინმა ისევ „სასროლეთთან“ გადაღებული ფოტო მომაწოდა. ეტყობა, ჰოლივუდელმა გოგომ შენიშნა, რომ საინტერესო პოზაში იდგნენ და გადაუღო, იმ იმედით, რომ სურათს მიჰყიდდა. მაგრამ იმ ჭიპმა მოიშორა და მისის შოთლოუს თქმით საკმაოდ უხეშადაც. უცებ გამახსენდა, როგორ აღმინერა მისის შოთლოუმ ეს სურათი – ამ ფოტოზე ერთად იდგნენ, თეძო თეძოზე მიედოთ, ბიჭი გოგოს უხსნიდა, როგორ დაეჭირა თოფი. ხომ გესმით, როგორც ბიჭებს სჩვევიათ ხოლმე, როდესაც გოგონებს ამგვარ რაღაცებს ასწავლიან. ეტყობა, მისის შოთლოუს ამ ფოტოს საგაზეთო ვერსია ჰქონდა ნანახი, მე კი ორიგინალი მედო – სრულიად მკაფიო და იმდენად ცოცხალი, ვფიქრობდი, ახლა სურათში შევალ და გოგოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ვეტყვი-მეთქი. მამაკაცი გოგოს ეხუტებოდა, კაცის ხელი გოგოს ხელს ფარავდა. გოგოს ხელში 22 კალიბრიანი ჭირის თოფი ეჭირა. ბიჭი დამიზნებაში შველოდა.

მარცხენა ხელი იყო და მასზე სვირინგი აშკარად არ ჩანდა.

- ხომ ხედავ? – თქვა ერინმა.
- რა არის დასანახი?
- საქმეც ამაშია, დევ. სწორედ ამაში.
- რისი თქმა გინდა, რომ ორი ჭიპი იყო? ერთმა, რომელსაც ხელზე ჯვარი ეხატა კლაუდინ შარპი მოკლა, მეორემ კი – ფრინველი რომ ეხატა – ლინდა გრეი? რაღაც არ მგონია.
- მეც სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ასე არ არის.
- აბა რას ამბობ? საით მიგყავს ლაპარაკი?

– მომეჩვენა, რომ ერთ ფოტოზე რაღაც შევნიშნე, მაგრამ ვერ მივხვდი რა. უფრო სწორად, დარწმუნებული არ ვიყავი. ამიტომ ფოტოც და ნეგატივიც ჩვენი კოლეჯის ერთ კურსდამ-თავრებულს, ფილ ჰენდრონს წავულე. ფოტოგრაფიაში მაგრად ერკვევა, ნამდვილი გენიოსია. ხომ გახსოვს, ის ტლანქი „სპიდ-გრაფიკები“ ჩვენ რომ დავათრევდით?

– როგორ არ მახსოვს.

– ისინი ეფექტის გამო გვქონდა – ლამაზი გოგოები ძველ-მოდური ფოტოაპარატებით – მაგრამ ფილი ამბობს, რომ აპარატები ძლიერია. მაგ ჭაბახანებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, – ფოტოს გადიდებული ფრაგმენტი მომაწოდა. ამჯერად ჰოლივუდელი გოგოს სამიზნე ვიღაც ახალგაზრდა წყვილი იყო, მაგრამ ამ გადიდებულ ვარიანტში ისინი არც ჩანდნენ. სურათის ამ ფრაგმენტის ცენტრში ლინდა გრეი და მისი კომპანიონი იყვნენ. – მის ხელს შეხედე, დევ. სვირინგს დაკვირდი!

– ცოტა ცუდად ჩანს. – შევჩივლე. – ხელი სხვა რამეებთან შედარებით გადლაბნილივით არის.

– არ მგონია.

ამჯერად სურათი თვალებთან ახლოს მივიტანე.

– ეს... ღმერთო! ერინ, ეს რა, მელანია?! ჩამოლვენთილია? გამარჯვებულის ლიმილით შემომხედა.

– 1969 წლის ივლისია. მაშინ დიქსიში ძალიან ცხელოდა. ყველა ოფლად იღვრებოდა. თუ ჩემი არ გჯერა, სხვა სურათებს დააკვირდი და ოფლის ლაქებს დახედე. მაგას კი სხვა რამის გამოც სდიოდა ოფლი. მკვლელობა ჰქონდა ჩაფიქრებული. სასტიკი მკვლელობა.

– ნაბიჭვარი... „მეკობრე პიტთან“?

ამის გაგონებაზე საჩვენებელი თითი ჩემკენ გამოიშვირა:

– ათიანში!

„მეკობრე პიტი“ სუვენირების მაღაზიას ერქვა. მის სახურავზე ამაყად ფრიალებდა მეკობრეების დროშა. მაგრამ შიგ სრულიად ჩვეულებრივი რამეები იყიდებოდა: სპორტული მაისურები, ყავის ჭიქები, პირსახოცები, საცურაო კოსტუმები. ყველაფერს „ჯოილენდის“ ლოგო ჰქონდა. საგანგებო დახლიც იყო, სადაც ყალბი სვირინგების ფართო არჩევანს გთავაზობდნენ. ხელზე დაიკრავდი და სურათიც გადავიდოდა. თუ თავად ვერ შეძლებდი, მეკობრე პიტი (ან მისი რომელიმე თანაშემწე) დაგეხმარებოდა, რა თქმა უნდა, გასამრჯელოს ფასად.

ერინი თანხმობის ნიშნად თავს მიქნევდა.

– არ მგონია „პიტთან“ ეყიდა. სისულელე იქნებოდა. მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილი სვირინგი არ არის. არც ის იქნებოდა ნამდვილი, იმ გოგომ რომ ნახა კინოში.

– ნინ გადმოიხარა და ხელი ჩამჭიდა. – იცი, რატომ აკეთებს ამას? ალბათ იმიტომ, რომ სვირინგი ყურადღებას იქცევს. ხალხი ამ სვირინგს ამჩნევს, სხვას ვერაფერს, დანარჩენი...

– ჰო, სხვა დანარჩენი უმნიშვნელო ხდება.

– მერე ადგება და ჩამოიბანს.

– ეს პოლიციამ იცის?

– არ ვიცი. შეგიძლია, შენ უთხრა – მე კოლეჯში უნდა დავბრუნდე – მაგრამ ამდენი ხანი გავიდა და არ მგონია, ამ ამბავმა ვინმე დააინტერესოს.

ფოტოები ხელახლა გადავათვალიერე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერინმა რაღაცას ჩაავლო, მაგრამ იმაზე თავს ვერ დავდებდი, რომ ეს მკვლელის აღმოსაჩენად საკმარისი იქნებოდა. ამ ფოტოებში კიდევ იყო რაღაც. რაღაც. ხომ იცით, სიტყვა რომ მოგადგება ენის წვერზე და ვერ იხსენებ. რაღაც ამგვარი შეგრძნება დამეუფლა.

– ამ ბოლო ოთხი თუ ხუთი, თუ რამდენიც გავიდა, წლის
მანძილზე ლინდა გრეის შემდეგ ასეთი მკვლელობა კიდევ ხომ
არსად მომხდარა?

– ვცადე. მოკლედ რომ ვთქვა, არ მომხდარა, ყოველ შემ-
თხვევაში, მე ვერ მივაკვლიე. მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული
არ ვარ. ორმოცდაათი გოგონას და ქალის მკვლელობის შესა-
ხებ მაინც წავიკითხე, მაგრამ ისეთს ვერ მივაგენი, რომელიც
ამ პარამეტრებში ჩაჯდებოდა. ანუ ყველა ზაფხულში მოხდა.
ყველა გოგო ვიღაც მასზე ბევრად უფროს, უცნობ კაცს ხვდე-
ბოდა. ყველას ყელი გამოჭრეს. ყველა ამ მკვლელობას კავშირი
აქვს კარნი...

– გამარჯობა, ბავშვებო!

შემკრთალებმა თავები ავნიეთ. ფრედ დინი შეგვრჩა. იმ
დღეს გოლფის მაისური და ჭყეტელა წითელი შარვალი ეცვა,
თავზე კეპი ეხურა, რომელზეც სირმებით იყო ამოქარგული:
„პევენს-პეის კლუბი“. არაოფიციალურად ჩაცმული არასდროს
გვენახა. მუდამ კოსტუმში გამოწყობილი დადიოდა და ყველაზე
დიდი ფამილარობა, რის უფლებასაც თავს აძლევდა, ჰალსტუ-
ხის მობოშება და პერანგის საყელოს შეხსნა იყო. ამგვარად ჩაც-
მული ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მის ასაკზე
მხოლოდ საფეხბურთო შეჭალარავებული თმა მეტყველებდა.

– სალამი, მისტერ დინ. – მიესალმა ერინი და ფეხზე წა-
მოდგა. ქალალდები და ფოტოები ცალ ხელში ეჭირა, საქალალ-
დე – მეორეში. – არ ვიცი, რამდენად გახსოვართ...

– რა თქმა უნდა მახსოვხარ. ჰოლივუდელი გოგოები არ
მავიწყდებიან ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ სახელები მერევა. ეშლი
ხარ თუ ჯერი?

გაილიმა, ქალალდები საქალალდეში დაბრუნა და გამომი-
ნოდა.

– ერინი გახლავართ.
– მართალია, ერინ კუკი. – თქვა და თვალი ჩამიკრა. მის-
გან ასეთი საქციელი უფრო უცნაურად მეჩვენა ვიდრე მისი
ძველმოდური შარვალი. – ჯონსი, მინდა გითხრა, რომ გოგოებ-
ში კარგად ერკვევი. ჩინებული გემოვნება გქონია.

– ჰო, ალბათ. – გამეცინა მე. იმის ახსნას ხომ არ დავუწყებ-
დი, ერინი ტომ კენედის შეყვარებულია-მეთქი. ფრედს ტომი არც
ემახსოვრებოდა. ტომი მოტკეცილი მწვანე კაბით არ დადიოდა.

– საბუღალტრო წიგნების წასაღებად შემოვიარე. კვარტა-
ლური საშემოსავლო გადასახადის გადახდის დრო დგება. აბა,
ერინ, მოგწონს „ჯოილენდში“ დაბრუნება?

– დიახ, სერ. ძალიან.

– მომავალ წელსაც აპირებ ჩამოსვლას?

ამ კითხვის გაგონებაზე თავი ცოტა უხერხულად იგრძნო,
მაგრამ გულწრფელი პასუხის გაცემა არჩია:

– ალბათ, არა.

– შენი ნებაა. მაგრამ თუ გადაიფიქრებ, რაფერტი რამეს
გამოგინახავს. – მერე მე შემომხედა. – ჯონსი, იმ ბავშვის მოყ-
ვანას რომ აპირებ, მის დედას თარიღზე უკვე მოელაპარაკე?

– სამშაბათს. მაგრამ თუ იწვიმებს, ოთხშაბათს ან ხუთშა-
ბათს. იმ ბავშვის წვიმაში გამოყვანა არ შეიძლება.

ერინი გაოცებული შემომცეკეროდა.

– გირჩევ, სამშაბათზე შეჩერდეთ. მერე შტორმია მოსა-
ლოდნელი. მადლობა ლმერთს, ქარიშხალი არ იქნება, მაგრამ
ტროპიკული ქარი გვიახლოვდება.. მაგარ წვიმას და ძლიერ
ქარს ელოდებიან. ოთხშაბათს დილით დაიწყება.

– გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ.

– ერინ, ძალიან გამიხარდა შენი ნახვა. – ქუდზე ხელი
წაივლო და გაგვეცალა.

სანამ დინი თვალს არ მიეფარა, ერინი სიცილს იკავებდა.

– რა კაცია! შარვალი ნახე?

– კი.

უცნაური სანახავი იყო. მაგრამ ფრედზე არ გამცინებია. როგორც ლეინი ამბობდა, ფრედ დინს „ჯოილენდი“ კბილებით და ბუღალტრული ჯადოსნობის წყალობით ეჭირა. ამიტომ რაც კი გოლფის შარვლები არსებობდა ყველა ფრედს რომ ჩაეცვა, მასზე მაინც არ გავიცინებდი.

– რომელი ბავშვის მოყვანას აპირებ?

– გრძელი ამბავია. უკანა გზაზე მოგიყვები.

მოვუყევი, მაგრამ ბოისკაუტის თავმდაბლობა ვერც ახლა მოვიშორე და საავადმყოფოში გათამაშებული სცენის შესახებ არაფერი ვთქვი. ერინი უხმოდ მისმენდა. არ შეუწყვეტინებია. ერთადერთი შეკითხვა დამისვა.

– სიმართლე მითხარი, დევ, დედამისი ლამაზია?

ყველა ამას მეკითხებოდა.

იმ ლამით ერინი და ტომი ლუდხანა „სერფერ ჯოში“ წავიდნენ. გასულ ზაფხულს თავისუფალი ლამეების უმეტესობა სწორედ იქ გაატარეს. ტომმა მეც დამპატიუა, მაგრამ ვიუარე. ვიცოდი, იქ მათთვის ნაცნობი მხიარული გარემო აღარ დახვდებოდათ. ჰევენს-ბეის მსგავს ქალაქებში ივლისი და ოქტომბერი ერთმანეთისგან საოცრად განსხვავდება. დიდი ძმის როლი მოვირგე და ჩემი აზრი ხმამაღლა გამოვთქვი.

– დევ, მე და ერინი გართობას და მხიარულებას კი არ ვეძებთ, ჩვენ თვითონ დაგვაქვს მხიარულება. გასულ ზაფხულს ხომ სწორედ ეს ვისწავლეთ.

ადრე დაბრუნდნენ. კიბიდან მათი ფეხის ხმა შემომესმა. ფხიზლები იყვნენ. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ჩუმად იცინოდნენ. თავი ეულად ვიგრძენი. არა იმიტომ, რომ უენდი გვერდით არ მყავდა, უბრალოდ ვინმე მინდოდა მყოლოდა.

მათ არყოფნაში ერინის საქალალდე გადავიკითხე, მაგრამ ახალს ვერაფერს მივაგენი. თხუთმეტ წუთში გვერდზე გადავდე და ფოტოებს მივუბრუნდი. ჯერ უნესრიგოდ ვათვალიერე, მერე იატაკზე დავჯექი და წინ დავილაგე. ფოტოებს ადგილებს ისე ვუცვლიდი, თითქოს ბანქოს ქალალდი მქონდა გაშლილი. თითქოს რაღაც თავსატეხს ვხსნიდი. სწორედაც თავსატეხს ვხსნიდი.

ერინს ის აღელვებდა, რომ ყველა ეს შემთხვევა კარნის უკავშირდებოდა და კიდევ ის, რომ სვირინგი, სავარაუდოდ, სვირინგი სულაც არ იყო. ეს მეც მანუხებდა, მაგრამ კიდევ იყო რაღაც. თუმცა, არ ვიცოდი რა. კინალამ გავგიუდი. ვხვდებოდი, რომ ეს რაღაც პირდაპირ სახეში შემომცექეროდა. ბოლოს ყველა ფოტო, ორის გარდა, საქალალდეში ჩავაბრუნე. ეს ორი მთავარი იყო. ზემოთ ავნიე და ჯერ ერთს დავაკვირდი მერე მეორეს.

ლინდა გრეი და მისი მკვლელი. მკვლელს ხელი გოგოს ტაკოზე უდევს.

ლინდა გრეი და მისი მკვლელი ტირთან დგანან.

„ამ წყეულ სვირინგს მოეშვი. ეგ არ არის მთავარი, მთავარი სხვა რამეა“. – ვუთხარი საკუთარ თავს.

თვალებს მზის სათვალე უფარავდა, წამოზრდილი წვერი – სახის ქვედა ნაწილს, ბეისბოლის კეპი კი – შუბლს და წარბებს. კეპს ლოგო ჰქონდა – დიდი წითელი C-იდან დაზოლილ თევზს ამოეყო თავი. სამხრეთ კაროლინის მცირე ლიგის გუნდის სიმბოლო იყო. სეზონის პიკზე პარკში ყოველდღე ასობით

ასეთ კეპიან ადამიანს წააწყდებოდით, იმდენად ბევრს, რომ
მათ „დოგტოპების“ (ძალლის ქუდის) ნაცვლად „ფიშტოპებს“
(თევზის ქუდებს) ვეძახდით. ამ ნაბიჭვარს ქუდიც ანონიმური
შეერჩია.

ხან ერთ სურათს ვაშტერდებოდი, ხან მეორეს. ბოლოს
ფოტოები საქალალდეში ჩავყარე და საქალალდე მაგიდაზე და-
ვაგდე. ტომისა და ერინის დაბრუნებამდე ვკითხულობდი, მერე
გადავბრუნდი და დავიძინე.

„ეგებ დილით მივხვდე, – ვუთხარი საკუთარ თავს, – დი-
ლით გავიღვიძო და ვთქვა: ჯანდაბა! აქამდე როგორ ვერ მივ-
ხვდი? რა თქმა უნდა ასეა“.

დილით ტალღების ხმამ გამაღვიძა. მესიზმრა, რომ ენის-
თან და მაიკთან ერთად სანაპიროზე ვიყავი. მე და ენის ერ-
თმანეთისთვის ხელები შემოგვეხვია, ტალღებში ვიდექით და
ვუყურებდით, როგორ უშვებდა მაიკი ფრანს. ყველაფერს თა-
ვისუფლად აკეთებდა. ჯანმრთელი იყო. დუშენის დისტროფია
არ არსებობდა.

ადრე გამეღვიძა, იმიტომ, რომ სქელი ფარდების ჩამოფა-
რება დამვიწყნოდა. საქალალდესთან მივედი, სურათები ამოვი-
ღე და ახლად ამოსული მზის პირველი სხივების შუქზე დავაშ-
ტერდი, ეგებ, ახლა მაინც მივხვდე-მეთქი რამეს.

ვერაფერს მივხვდი.

მატარებლების განრიგის წყალობით ტომი და ერინი ნიუ-
ჯერსიდან ჩრდილოეთ კაროლინაში ერთად ჩამოვიდნენ. წას-
ვლისას კი ერთად მხოლოდ ჰევენს-ბეიდან უილმინგტონამდე
იმგზავრეს და ისიც ჩემი „ფორდით“. ერინის მატარებელი, რო-

მელიც ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა, ჭომის ექსპრესზე, რომელსაც იგი ნიუ-ჯერსიში უნდა ჩაეყვანა, ორი საათით ადრე გავიდა.

ჩეკი ქურთუკის ჯიბეში ჩავუტენე.

– ბიბლიოთეკის აბონემენტის და სატელეფონო ხარჯების დასაფარად. – ვუთხარი.

ჯიბე მოიქექა, თანხას დახედა და უკან შემომაჩეჩა.

– ოთხმოცი დოლარი რა ამბავია, დევ!

– რაც შენ იმუშავე, კიდევ ცოტაა. გამომართვით, ლეიტენანტო კოლომბო.

ჩაიცინა, ჩეკი ჯიბეში ჩაიდო და დამშვიდობებისას მაკოცა. არა ისე, როგორც ზაფხულის მიწურულს მაკოცა ჩემს მანქანაში. რაღა თქმა უნდა, ახლა ჭომის მელავებში უკვე დიდი დრო ჰქონდა გატარებული. მოილაპარაკეს, რომ ერთმანეთს მადლიერების დღეს ჭომის მშობლების სახლში, პენსილვანიაში შეხვდებოდნენ. ვხედავდი, რომ ჭომს მისი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ როდესაც რიჩმონდის, ბალტიმორის და უიკლის-ბარის მგზავრების მატარებელში ჩასხდომა გამოაცხადეს, ჭომმა ერინი გაუშვა.

ერინის გამგზავრების შემდეგ მე და ჭომმა ქუჩა გადავჭერით და იქაურ არცთუ ურიგო რესტორანში ვისადილეთ. სადილობისთვის ადრე იყო, მაგრამ მაინც. მენიუს ჩავყურებდი, დესერტს ვარჩევდი, როცა ჭომმა ჩაახველა და დაიწყო:

– მისმინე, დევ.

ისეთი ხმა ჰქონდა, სასწრაფოდ თავი ავწიე. ლოყები ჩვეულებრივზე მეტად ასწითლებოდა. მენიუ დავდე.

– აი ის, რასაც შენ ერინს აკეთებინებდი... მე მგონი, ეს უნდა დამთავრდეს. ძალიან ანუხებს და მგონი, აღარც ისე სწავლობს, როგორც საჭიროა. – გაიცინა, სადგურის ორომ-

ტრიალს გახედა და ისევ მე მომიბრუნდა: – რაღაც მამასავით უფრო ვლაპარაკობ, ვიდრე შეყვარებულივით, არა?

– არა. უბრალოდ შეწუხებული ხარ. ზრუნავ მასზე.

– ვზრუნავ? სიგიურემდე მიყვარს. მაგაზე მნიშვნელოვანი ამ ცხოვრებაში არავინ მყავს. ახლა ეჭვიანობა კი არ მალაპარა-კებს. არ მინდა, ასე გეგონოს. აი რაშია საქმე: თუ უნდა, რომ სხვა კოლეჯში გადავიდეს და თან სტიპენდია არ დაკარგოს, მალალი ქულები სჭირდება. ხომ ხვდები, არა?

რა თქმა უნდა, ვხვდებოდი. სხვა რამესაც ვხვდებოდი. იმას, რასაც თავად ტომი ვერ ხვდებოდა. მას სურდა, ერინი „ჯოილენდისთვის“ მოეშორებინა. არა მხოლოდ ფიზიკურად. ტომს იქ რაღაც ისეთი შეემთხვა, რაც ბოლომდე თავადაც ვერ გაეგო. ალბათ, არც სურდა გაგება. უცებ ისეთი შური ვიგრძენი, რომ მუცელი ამტკიცდა. გავიღიმე და ვუთხარი:

– გასაგებია. ყველაფერს მივხვდი. რამდენადაც ვიცი, ჩვენი პატარა კვლევაც დასრულდა. ასე რომ დამშვიდდი, ტომ. ნულა ფიქრობ იმაზე, რაც „საშინელებათა სახლში“ მოხდა. ნურც იქ ნანახზე ფიქრობ.

– კარგი. ხომ ისევ მეგობრებად ვრჩებით?

– სიცოცხლის ბოლომდე.

ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვართვით.

„ბზრიალა კასრების“ სცენას სამი ფონი ჰქონდა: მეფის-ნულის კოხტა ციხესიმაგრე, ჯეკის ჯადოსნური მუხუდო და წითელი ნეონის შუქით განათებული „კაროლინის ბორბალი“. ზაფხულში დეკორაციები მზემ გაახუნა. ორშაბათ დილით სწორედ მათ ვლებავდი (ვიმედოვნებდი, რომ ბოლომდე დედას არ

ვუტირებდი – რომელი ვან გოგი მე ვიყავი?), როცა დამლაგებ-ლები მოვიდნენ და მითხრეს, ფრედ დინი კაბინეტში გიხმობსო.

ფეხათრევით მივედი, მეგონა, შაბათს პარკში ერინის მოყვანის გამო საყვედურებით ამავსებს-მეთქი. გავოცდი, როცა ფრედის ჩაცმულობა დავინახე – გახუნებულ ჯინსსა და ასევე გახუნებულ ჯოილენდურ სპორტულ მაისურში გამოწყობილიყო. მაისურის სახელოები ბოლომდე აეკეცა და კუნთები მოუჩანდა. თავზე ზონარი ჰქონდა შემოჭერილი. პარკის მთავარ ბუღალტერს და კადრების უფროსს კი არა, ატრაქციონის ნამდვილ უოკეის ჰგავდა.

გაკვირვება შემამჩნია და გამიღიმა.

– მოგწონს ჩემი ჩაცმულობა? მე მომწონს. ასე მეცვა, როცა 50-იანებში ბლიც ბრაზერსის შოუში მივედი. დედაჩემს ბლიცების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მამაჩემს კი თავზარი დაეცა. არ დაგავიწყდეს, მამაჩემი კარნი იყო.

– ვიცი. – მივუგე.

წარბები აზიდა.

– მართლა? მოკლედ არაფერი იმაღება. დღეს ბევრი საქ-მეა.

– რა არის გასაკეთებელი მითხარით და... დეკორაციების ღებვას უკვე ვამთავრებ...

– არავითარ შემთხვევაში. დღეს მოკლე დღე გაქვს. შუადღეს უკვე თავისუფალი ხარ. ხვალ დილის 9 საათამდე არ მჭირდები. დილით კი შენს სტუმრებთან ერთად მოდი. ხელფასზე ნუ ინაღვლებ, გაცდენილი საათების ფულს არ დაგაკლებ.

– რა მოხდა, ფრედ?

რაღაც უცნაურად გამიღიმა. ვერაფერს მივხვდი.

– სიურპრიზია.

ის ორშაბათი თბილი და მზიანი იყო. როცა ჰევენს-ბეიში ვძრუნდებოდი, მაიკი და ენი ბილიკის ბოლოში ისხდნენ და ლანჩის შეექცეოდნენ. პირველმა მაილომ შემამჩნია და ჩემკენ გამოქანდა.

— დევ! მოდი, დაგვენვიე. — დამიძახა მაიკმა.

— არა. ჯობია...

— დაუინებით მოვითხოვთ. — საუბარში ჩაერია ენი, წარბი აზიდა და დაამატა: — თუ, რა თქმა უნდა, ავად არ ხარ. არ მინდა, მაიკს რამე ინფექცია შეხვდეს.

— არა, კარგად ვარ. უბრალოდ, სახლში ადრე გამომიშვეს. მისტერ დინმა — ჩემი უფროსია — ისიც არ მითხრა, რატომ მიშვებდა ადრე. მითხრა, სიურპრიზიაო. ხვალინდელთან უნდა იყოს დაკავშირებული. — ვთქვი და აღტაცებით შევხედე. — ხვალ ხომ მივდივართ?

— კი. თუკი ვნებდები, ესე იგი ვნებდები და მორჩა. უბრალოდ... მაიკი არ უნდა გადავლალოთ. ხომ არ გადავლლით, დევ?

— დედა! — წამოიძახა მაიკმა.

ენიმ მაიკს ყური არ ათხოვა.

— ხომ არ გადავლლით?

— არა. — მივუგე. კუნთებამოყრილი ფრედ დინი არ მასვენებდა. ნამდვილად ვუთხარი, რომ ბიჭს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა? კი, ვუთხარი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე...

— მაშინ მოდი და სენდვიჩი ჭამე. — მითხრა ენიმ. — იმედია, კვერცხის სალათაც გიყვარს.

იმ ლამით ცუდად მეძინა. თითქმის ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ოთხშაბათისთვის გამოცხადებული შტორმი ნაადრევად, სამშაბათს დაგვატყყდებოდა თავს და პარკში გასეირნებაც ჩაგვეშლებოდა. სამშაბათს მზიანი, უღრუბლო ამინდი გამოვიდა. მისაღებში ფეხაკრეფით ჩავიპარე და ამინდის პროგნოზის მოსასმენად ტელევიზორი ჩავრთე. ხმას დავუწიე. შტორმი გვიახლოვდებოდა, მაგრამ დღეს მხოლოდ ფლორიდისა და ჯორჯიის შტატის სანაპირო ზოლის მაცხოვრებლებს ეწვეოდა. იმედი მქონდა, მისტერისტერბრუკს თავისი კალოშების წაღება არ დაავიწყდებოდა.

— რა ადრე ამდგარხარ? — სამზარეულოდან თავი გამოყო მისის შოთლოუმ. — ბეკონიან ერბოკვერცხს ვაკეთებ. მოდი, დამეწვიე.

- არ მშია, მისის შოთლოუ.
- რა სისულელეა. მოზარდი ხარ და კარგი კვება გჭირდება. ერინმა მითხრა შენი დღევანდელი გეგმების შესახებ. გადასარევ რამეს აკეთებ.
- იმედია, მართალი ბრძანდებით.

სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ფრედ დინი გონებიდან არ ამომდიოდა. ფრედი, რომელმაც სახლში ადრე გამომიშვა. ფრედი, რომელიც სიურპრიზის მოწყობას გეგმავდა.

წინა დღეს ყველაფერი დავგეგმეთ. ამიტომ, როცა სამშაბათს, დილის ცხრის ნახევარზე მანქანა მწვანე ვიქტორიანული სახლის წინ გავაჩერე, ენი და მაიკი უკვე გარეთ მელოდნენ. მაილოც თან ახლდათ.

– დარწმუნებული ხარ, რომ მაილოს წამოყვანაც შეიძლება? – მკითხა მაიკმა.

– „ჯოილენდში“ თანმხლებ ძალლებს უშვებენ. მაილოც თანმხლები იქნება. არა, მაილო?

მაილომ ყურები ცქვიტა. ეტყობა, „თანმხლები ძალლი“ პირველად გაიგო. მინდოდა, მაიკს მანქანაში ჩაჯდომაში დავხმარებოდი, მაგრამ ხელით მანიშნა, არ მინდაო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ვიფიქრე, ახლა ხველა აუტყდება-მეთქი, მაგრამ არა. აღელვებისა და აღტაცებისგან ლამის ხტოდა. ენის ჯინსი ეცვა და ფეხები საოცრად გრძელი მოუჩანდა. მანქანის გასაღები გამომიწოდა.

– საჭესთან შენ დაჯექი. – მერე ისე, რომ მაიკს მისი ნათქვამი არ გაეგონა, ჩურჩულით დაამატა: – ისე ვნერვიულობ, მანქანის მართვას ვერ შევძლებ.

მეც ვნერვიულობდი. მე დავიუინე, მაიკის პარკში წაყვანის გადაწყვეტილება მე მივაღებინე. რა თქმა უნდა, მაიკიც დამეხმარა, მაგრამ მე უფროსი ვიყავი. რამე რომ მომხდარიყო, ყველაფერი ჩემი ბრალი იქნებოდა. ლოცვა დიდად არ მეხერხებოდა, მაგრამ, როდესაც მაიკის ყავარჯვები და ეტლი მანქანაში ჩავდე, ღმერთს შევთხოვე, გვიშველე-მეთქი. ეზოდან უკუსვლით გამოვედი და გზას გავუყევი. ბილბორდს ჩავუარეთ, რომელზეც ეწერა: „მოიყვანეთ ჰავავები „ჯოილენდში“, დაუვიწყარი დროის გასატარებლად“!

ენი გვერდით მეჯდა. ისეთი ლამაზი არასდროს ყოფილა, როგორიც იმ ოქტომბრის დილას. გახუნებული ჯინსი და თხელი სვიტერი ეცვა, თმა ცისფერი ლენტით ჰქონდა შეკრული.

– დიდი მაღლობა, დევ. იმედი მაქვს, არ ვცდებით, ამას რომ ვაკეთებთ.

— არა, არ ვცდებით. — ვთქვი მტკიცე ხმით. მინდოდა, საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული კაცის იერი მქონოდა. სინამდვილეში ეჭვები მიღრღნიდა გულს.

პირველად „ჯოილენდის“ განათებული აბრა შევნიშნე. მე-რე მხიარული მუსიკა მომესმა, ის, ზაფხულობით რომ უკრავ-დნენ — სამოციანების ბოლოს და სამოცდაათიანების დასაწყი-სის ჰიტების ნაკრები იყო. აქეთ რომ მოვდიოდით, ვფიქრობდი, მანქანას ინვალიდებისთვის გამოყოფილ ავტოსადგომზე გა-ვაჩერებ-მეთქი, მაგრამ პარკის ჭიშკართან ფრედ დინი დაგ-ვხვდა. იდგა და ხელით თავისკენ გვიხმობდა. დღეს უილეტსა და კოსტუმში გამოწყობილიყო. ასე მხოლოდ VIP სტუმრებს ეგებებოდა. ეს კოსტუმი ადრეც მენახა, მაგრამ შავი ცილინდრი — არასდროს. ასეთები ძველ კინოქრონიკებში დიპლომატებს ახურავთ.

— ასე ხდება ხოლმე? — მკითხა ენიმ.

ჭიშკარში შევედი და პირდაპირ „ჯოილენდ ავენიუზე“ გა-ვედი. მანქანა „ბზრიალა კასრების“ გვერდით, მერხთან მივა-ყენე. ამ მერხზე ჰოუის როლის პირველი შესრულების მერე ვიჯექი. მაშინ მისტერ ისტერბრუკი მეჯდა გვერდით.

მაიკს უნდოდა, მანქანიდან ისეთნაირადვე გადმოსულიყო, როგორც ჩაჯდა — თავისით. გვერდით ვედექი, წონასწორობა რომ დაეკარგა, დავიჭერდი. ამასობაში ენიმ ეტლი მანქანის საბარგუ-ლიდან გადმოათრია. მაილო ფეხებთან მეჯდა და კუდს მოუთ-მენლად აქიცინებდა, ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, თვალები კი ბედნიერი.

სანამ ენის მანქანიდან ეტლი გადმოჰქონდა, ფრედიც მოგვიახლოვდა. ოდეკოლონის სურნელს აფრქვევდა. ქუდი მოიხადა, ენის თავი დაუკრა და ხელი გაუწოდა.

— თქვენ მაიკის დედა ბრძანდებით, არა?

არ დაგავინყდეთ, რომ იმ დროს ყველა ქალს, ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მისით არ მიმართავდნენ. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ მაინც შევნიშნე, რა დელიკატურად აიცილა ფრედმა მის/მისის დიქოტომია.

— დიახ, გახლავართ. — მიუგო ენიმ.

არ ვიცი, რამდენად დაახვია ენის თავბრუ ფრედის თავაზიანობამ ან მისმა უჩვეულო სამოსმა, მაგრამ გაოცებული ნამდვილად ჩანდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ეს ყმაწვილი ალბათ მაიკლია. — თქვა და გაოცებისგან თვალებდაჭყეტილ ბიჭს ხელი გაუწოდა. — გმადლობთ, რომ გვეწვიეთ.

— პირიქით, თქვენ გმადლობთ. გმადლობთ, რომ მიგვიღეთ. — თქვა მაიკმა და ფრედს ხელი ჩამოართვა. რა უზარმაზარია!

რა თქმა უნდა, უზარმაზარი არ იყო. აი დისნეი მართლაც უზარმაზარია. მაგრამ ათი წლის ბიჭს, რომელიც გასართობ პარკში არასდროს ყოფილა, ეს პარკი ვეებერთელად ეჩვენებოდა. ეს მის გაბრწყინებულ თვალებში ამოვიკითხე და ყოველგვარი ეჭვი უმალ გამეფანტა. რაღა თქმა უნდა, არ შევმცდარვართ — კარგი ვქენით, მაიკი რომ „ჯოილენდში“ წამოვიყვანეთ.

ფრედი დაიხარა, ხელები მუხლებზე დაილაგა და როსების ოჯახის მესამე წევრს გამოელაპარაკა.

— შენ ხომ მაილო ხარ?

მაილომ დაიყეფა.

– გასაგებია. შენი გაცნობაც ძალიან გამიხარდა. – ფრედ-მა ხელი გაუწოდა და მაილოს თათის შემოგებებას დაელოდა. მაილომ თათი ასწია, ფრედმა ჩამოართვა.

– ჩვენი ძალლის სახელი საიდანლა იცით? დევმა გითხრათ? ფრედი წელში გასწორდა და გაიღიმა.

– არა, დევს არ უთქვამს. ეს ჯადოსნური ადგილია, ჩვენ ყველაფერი ვიცით. ენის ჯერ ცარიელი ხელები აჩვენა. მერე ხელები უკან წაიღო და ჰკითხა:

– აბა მითხარით, რომელ ხელში მაქვს?
– მარცხენაში. – ხუმრობაში აჰყვა ენი.

ფრედმა მარცხენა ხელი აჩვენა. ცარიელი იყო. ენის ვითომ გაუკვირდა, თვალები ჭყიტა:

– კარგი, მაშინ მარჯვენაში.

ამჯერად ფრედმა თორმეტი ვარდი გაუწოდა. ნამდვილი ვარდები იყო. ენიმ და მაიკმა გაოცებისგან პირები დააღეს. მეც. ამდენი წლის მერეც კი ვერ ვხვდები და არ ვიცი, როგორ გააკეთა ეს.

– „ჯოილენდი“ ბავშვებისაა, ჩემო კარგებო და რადგან დღეს მაიკი აქ ერთადერთი ბავშვია, მთელი პარკი მას ეკუთვნის. აი, ვარდები კი თქვენია.

ენიმ ვარდები ისე ჩამოართვა, გეგონებოდათ სიზმარშიაო. თავი ყვავილებში ჩარგო და მათი მტვერი შეიყნოსა.

– მანქანაში ჩაგიდებ. – ვუთხარი ენის.

კიდევ ერთი წამით ეკავა და მერე გამომიწოდა.

– მაიკ, იცი, ჩვენ რას ვყიდით აქ?

მაიკმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

– ატრაქციონებს. ატრაქციონებს და თამაშებს?

– გართობას. აბა, გავერთოთ?

პარკში გატარებული ის დღე ცხადად მახსოვს, მაგრამ იმ გრძნობებს და განცდებს ჩემზე გაცილებით ნიჭიერი მთხოვობელი თუ გადმოსცემს. ვერც იმას გეტყვით, როგორ და რატომ მოშუშდა ჩემს გულში უენდი კიგანის მიერ დატოვებული იარა ზუსტად იმ დღეს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც უჩემოდაც იცით: ჩვენს ცხოვრებაში არის დღეები, რომლებიც ნამდვილი განძია. ასეთი დღეები ბევრი არაა, მაგრამ ყველას ჰქონია. ის ჩემი ცხოვრების ულამაზესი დღე იყო. ახლაც კი, როდესაც სევდა მეძალება ხოლმე, იმ დღეს ვიგონებ და ჩემს თავს ვეუბნები, ცხოვრება ყოველთვის დაუნდობელი არ არის-მეთქი. ზოგჯერ ჯილდოსაც გამოიმეტებს. ზოგჯერ ძალიან ძვირფას ჯილდოსაც.

რა თქმა უნდა, ყველა ატრაქციონი არ მუშაობდა. არც იყო საჭირო. მაიკი ბევრ მათგანზე მაინც ვერ დაჯდებოდა. თუმცა, ნახევარ პარკზე მეტი ფუნქციონირებდა – განათება, მუსიკა... ზოგიერთი ჯიხურიც კი აემუშავებინათ. ჯიხურებში მეგაზონეები დაეყენებინათ – ზოგი პოპულარნის ყიდდა, ზოგი ფრის, ზოგი ბამბის ნაყინს. არ ვიცი, ერთ დღეში ფრედმა და ლეინმა ამდენი როგორ მოახერხეს.

ლეინს მატარებელი აემუშავებინა. განუყრელი ქვაბურას ნაცვლად მემანქანის კეპი ეხურა, ისიც გვერდზე მოეგდო.

– ყველანი ბორტზე! ძალლებისა და დედიკოებისთვის მგზავრობა უფასოა, ბავშვები კი ჩემთან ერთად მემანქანის კაბინაში სხდებიან!

ლეინმა მაიკს მემანქანის კაბინაში მგზავრის სავარძელზე მიუთითა. მაიკი ეტლიდან წამოდგა, ყავარჯინებს დაეყრდნო და კაბინასთან მივიდა. ენი მიჰყვა.

– ნუ გეშინია, დედა, მე თვითონ, მე თვითონ.

ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ოლონდ რობოტის ფეხებზე შემ-
დგარი. ლეინმა ხელი მოკიდა და გვერდით დაისვა.

— ამ ზონარს თუ ჩამოვწევ, მატარებელი დაუსტვენს? შეიძ-
ლება მოვქაჩო? — იკითხა მაიკმა.

— აბა რისთვისაა? — მიუგო ლეინმა. — მაგრამ თვალი გე-
ჭიროს, რელსებზე გოჭებმა არ გადმოგვირბინონ. აქ მგელიცაა
და გოჭებს მისი ეშინიათ.

მე და ენი ერთ ვაგონში ჩავსხედით. თვალები უბრნყინავ-
და. ალმური ასდიოდა. ტუჩები კი უცახცახებდა.

— ხომ კარგად ხარ? — ვკითხე.

— კი, — თითები თითებზე გადამაჯდო და მაგრად მომიჭი-
რა, — კი, კი, კი.

— მწვანე შუქი აგვინთეს! — დაიყვირა ლეინმა. — ხომ არ
მეშლება, მაიკ?

— არა, მწვანეა.

— აბა, თვალი რაზე უნდა გეჭიროს?

— გოჭებზე!

— მიდი, ზონარი ჩამოქაჩე და გავდივართ.

მაიკმა ზონარი მოქაჩა. საყვირის ხმა გაისმა. მაილომ დაი-
ყეფა. პნევმატური მუხრუჭები ალრჭიალდა და მატარებელი
დაიძრა.

მატარებელი მხოლოდ პატარა ბავშვებისთვის იყო. ამ მოე-
დანზე ატრაქციონების უმრავლესობა მხოლოდ სამიდან შვიდ
წლამდე ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ ნუ დაგავიწ-
ყდებათ, რომ მაიკ როსი გარეთ ნაკლებად გადიოდა, შარშან-
დელი ფილტვების ანთების შემდეგ კი გამუდმებით დედასთან
ერთად ბილიკის ბოლოში იჯდა და ატრაქციონების რახრახს და
ბედნიერი ბავშვების მხიარულ შეძახილებს ისმენდა. ისმენდა
და იცოდა, რომ ეს მისთვის არ იყო. მას ბედმა საწოლი არ-

გუნა, რომელშიც მალე მოკვდებოდა, სიკვდილამდე კი სახეზე უანგბადის ნიღაბი ექნებოდა აფარებული.

ახალბედებისა და მათ მიერ განსახიერებული ზღაპრების გმირების გარეშე იქაურობა მიტოვებულს გავდა. სამაგიეროდ, ფრედს და ლეინს ყველა მექანიკური გასართობი აემუშავებინათ: მუხუდოს მარცვლები ჩვენს თვალწინ ცოცხლდებოდა, ჯადოქარი ბოროტად ხითხითებდა, ჩაჩიანი მგელი მატარებლის წინ გადარბოდა. ბოლო მოსახვევში ყველა ბავშვისთვის ნაცნობი სამი ქოხი იდგა: ერთი ჩალის, ერთი ხის და ერთიც აგურის.

— გოჭებს უყურე! — დაიძახა ლეინმა და სამი გოჭიც კუდის ქიცინით და ჭყივილით საიდანლაც გამოვარდა. მაიკმა გულიანად გაიცინა და ზონარი ჩამოქაჩა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გოჭები ბენვზე გადარჩნენ...

როცა სადგურში დავბრუნდით, ენიმ ჩემი ხელიდან ხელი გაითავისუფლა და მემანქანის კაბინისკენ გაემართა.

— კარგად ხარ, საყვარელო? ინჟალატორი ხომ არ გინდა?

— ჰეითხა მაიკს.

— არა, კარგად ვარ. არაფერი არ მინდა. გმადლობთ, მემანქანევ. + მიმართა მან ლეინს.

— რას ამბობ, მაიკ, არაფრის. — მიუგო ლეინმა და ხელი გაუწოდა. — დაარტყი!

მაიკმა ხელი სიამოვნებით დაარტყა. არ მგონია, მაიკს ასე ოდესმე გაეხაროს.

— ახლა წავედი. დღეს ბევრი როლი მაქვს შესასრულებელი. — თქვა ლეინმა და თვალი ჩამიკრა.

ყოყმანის მერე ენიმ მაიკს „ბზრიალა კასრებზე“ დაჯდომის ნებართვა მისცა. როცა მაიკის სავარძელი მიწიდან 30 ფუტზე აიჭრა და ჰაერში დაბზრიალდა, ენი მკლავზე მაგრად ჩამებლაუჭა. ხელი მხოლოდ მაშინდა მოადუნა, როცა მაიკის სიცილი შემოესმა.

– ღმერთო, ერთი მაგის თმას შეხედე! როგორ უფრიალებს!
– ილიმოდა და თან ტიროდა, მაგრამ საკუთარ ცრემლებს ვერ ამჩნევდა. ვერც წელზე შემოხვეულ ჩემს ხელს გრძნობდა.

ფრედი საკონტროლო პუნქტთან იდგა და კარუსელს მხოლოდ ნახევარი სიჩქარით ამუშავებდა. როცა ბავშვი მიწაზე დაეშვა, ისეთი თავბრუ ესხმოდა, ვერ გაიარა. მე და ენი აქეთიქიდან ამოვუდექით და ეტლთან მივიყვანეთ. მაიკის ყავარჯნები ლეიის მოჰქონდა.

– რა მაგარი იყო! მართლა რა მაგარი იყო! – გაიძახოდა მაიკი.

მერე „სწრაფი კატერების“ ჯერი დადგა. სახელის მიუხედავად ატრაქციონი სახმელეთო იყო. მაიკი და მაილო დახატულ წყალზე სეირნობდნენ. სახეზე ეტყობოდათ, რომ ძალიან მოსწონდათ. მეორე კატერში მე და ენი ვისხედით. უკვე ოთხითვე იყო რაც „ჯოილენდში“ ვმუშაობდი, მაგრამ კატერებზე მანამდე არასდროს ვმჯდარვარ. კინაღამ შევყვირე, როცა დავინახე, რომ მაიკის და მაილოს კატერი გვეჯახებოდა და შვებით ამოვისუნთქე, როცა გვერდით ჩაგვიქროლეს.

– მშიშარა! – ჩამყვირა ენიმ ყურში.

გადმოსვლისას მაიკი მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ არ ახველებდა. მისი ეტლი „ჰაუნდ დოგ უეიზე“ გავაგორეთ და გამაგრილებელი სასმელიც ვიყიდეთ. მეგაზონეებმა ენის ხუთდოლარიანი არ გამოართვეს.

- დღეს ყველა ხარჯს პარკი ფარავს, მემ.
 - დე, შეიძლება ბამბის ნაყინი ვჭამო? – იკითხა ბიჭმა.
 - ენიმ ჯერ ამოიოხრა, მერე მხრები უმწეოდ აიჩეჩა.
 - კარგი, ჭამე. მაგრამ მხოლოდ დღეს. დღევანდელი დღე გამონაკლისია. სწრაფ საქანელებზე მეტს ვეღარ იქანავებ.
- ჯიხურთან ეტლი თავად მიაგორა, ძალლი გვერდით მიჰყვებოდა. ენი მომიბრუნდა:
- ზედმეტად რომ დანაყრდეს, შეიძლება გული აერიოს. ლებინება კი მაიკის მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, საშიშია. ისინი...

ვაკოცე. ტუჩებზე ნაზად შევეხე. თითქოს წარმოუდგენლად ტკბილ რაღაცას დავეწაფე.

თვალები გაუფართოვდა. ერთი წამით ისიც კი გავიფიქრე, ახლა სახეში სილას გამანნავს და გამეცლება-მეთქი. მაგრამ ენიმ გაიღიმა და ისე შემომხედა, თითქოს ჩემი შეფასება უნდოდა. გული მიფართხალებდა.

- ალბათ უკეთესადაც გამოგივა, შანსი რომ მოგცენ.
- სანამ რამეს ვუპასუხებდი მაიკისკენ წავიდა. რომ დარჩენილიყო, არაფერი შეიცვლებოდა. მეხდაცემულივით ვიდექი.

ენი, მაიკი და მაილო გონდოლით სეირნობისას ერთ ვაგონში შეეკვეხნენ. გონდოლა მთელ პარკს დიაგონალურად კვეთდა. მე და ფრედ დინი ელექტრომანქანით მივყვებოდით. უკან მაიკის ეტლი გვედგა.

- მაგარი ბიჭი ჩანს. – მითხრა ფრედმა.
- კი, მაგარია. მაგრამ არ ველოდი, ასე თუ გაირჯებოდით.

– მარტო მისთვის არ გავრჯილვართ, შენთვისაც გავისარჯეთ. პარკისთვის იმდენი გააკეთე, დევ, თავადაც არ იცი. როდესაც მისტერ ისტერბრუკს ჩემი გეგმების შესახებ მოვუყევი, მწვანე ამინთო.

– დაურევე?

– აბა რა ვქენი?

– ის ვარდები... საიდან გამოაძრე?

ფრედმა პერანგის სახელოები აიკეცა და საწყალი კაცის იერი მიიღო.

– არ იცი, რომ ჯადოქარი თავის საიდუმლოს არასდროს გათქვამს?

– ბლიც ბრაზერსთან მუშაობისას ქუდებიდან ყურცქვიტებიც ხომ არ ამოგყავდა?

– არა, ეგეთ რამეებს არ ვაკეთებდი. მე მხოლოდ ატრაქციონებს ვმართავდი. რამდენჯერმე საბარგოს საჭესთანაც ვიჯექი – მიუხედავად იმისა, რომ მართვის უფლება არ მქონდა – როცა შუალამისას რომელიმე მივარდნილი ქალაქიდან გავრბოდით.

– აბა ეს ფოკუსები სად ისწავლე?

ფრედი გადმოიხარა, ხელი ჩემი ყურის უკან წაიღო, ვერცხლის დოლარიანი გამოიღო და კალთაში ჩამიგდო.

– რა ვიცი, სად აღარ... ჯონსი, ახლა გირჩევნია, სიჩქარეს მოუმატო, თორემ ძალიან წინ წავიდნენ.

ახლა კარუსელზე გადავინაცვლეთ. ლეინ ჰარდი უკვე იქ გვიცდიდა. მემანქანის ქუდის ნაცვლად თავისი განუყრელი ქვაბურა დაემხო. სანამ მაიკი საქანელაზე დაჯდებოდა, ფრედმა ბიჭის წინ ჩამუხლა და სერიოზული სახით შეხედა.

— აქ „ჯოილენდის“ ქუდის გარეშე ვერ დაჯდები. ჩვენ „დოგტოპებს“ ვეძახით. გაქვს?

— არა. — მიუგო მაიკმა. არ ახველებდა, მაგრამ თვალები ჩაუშავდა. — არ ვიცოდი, რომ...

ფრედმა ქუდი მოიხადა, შიგნით ჩაიჭყიტა და ჩვენც ჩაგვახედა. ცარიელი იყო. მერე ისევ ჩაიხედა და სახე გაუბრნებინდა.

— აჟა! — წამოიძახა. იქიდან ახალთახალი „დოგტოპი“ ამოაძრო და მაიკს დაახურა. — აბა, რომელ მხეცს შემოასკუპდები? ცხენს? მარტორქას? ქალთევზბას? თუ ლომს?

— ლომს! — წამოიძახა მაიკმა. დე, შენ ჩემ გვერდით დაჯექი, ვეფხვზე.

— რა მაგარია! სულ მინდოდა ვეფხვზე დაჯდომა!

— ეი, ჩემპიონო! მოდი, დაჯდომაში მოგეხმარო! — დაუყვირა ბიჭს ლეიინმა.

ამასობაში ენიმ დრო იხელთა და სანამ მაიკი ჯდებოდა, ფრედს წასჩურჩულა:

— მეტი აღარ, კარგი? ყველაფერი ძალიან მაგარია, მაგრამ მეტი აღარ შეიძლება. ეს დღე ისედაც არასდროს დაავინწყდება...

— იღლება, მესმის. — ჩაილაპარაკა ფრედმა.

ენი მაიკის ლომის გვერდით, მბრდღვინავ, მწვანეთვალება ვეფხვზე დაჯდა. მაილო მათ შორის მოკალათდა. როდესაც კარუსელი დაიძრა რეპროდუქტორებში Twelfth Street Rag გაისმა. ფრედმა ხელი მხარზე დამადო. „ბორბალთან“ შეგხვდებით, მაგრამ შენ მანამდე კოსტუმების საცავში შეიარე. ცოტა იჩქარე.

მინდოდა მეკითხა, რატომ ვიჩქარო-მეთქი, მაგრამ უკითხავადაც ყველაფერს მივხვდი. უკანა ეზოსკენ წავედი.

1973 წლის ოქტომბრის იმ დღეს ქურქი ბოლოჯერ მეცვა. სასწავლოდ გამოვეწყვე და მიწისქვეშა გასასვლელით პარკის ცენტრში მივვარდი. ელექტრომანქანას მაქსიმალური სიჩქარით ვმართავდი, ჰოუის თავი მხარზე მქონდა გადმოგდებული. მადამ ფორტუნას ჯიხურთან დროულად გავჩნდი. ლეინი მაიკის ეტლს მოაგორებდა. ვერ შემამჩნიეს, როგორ ვიჭყიტებოდი ჯიხურის კუთხიდან. კისერნაგრძელებულები „კაროლინის ბორბალს“ აჰყურებდნენ. სამაგიეროდ ფრედმა დამინახა. თათი ავუნიე. თავი დამიქნია და ხელით ნიშანი მისცა. რამდენიმე წამში ყველა დინამიკში მუსიკა გაისმა. მკლავები ფართოდ გავშალე და დავიყვირე:

– მაიკ! მაიკ! მაიკ! – მაშინ ჰოუიმ პირველად დაილაპარაკა. საკუთარი საქციელის გასამართლებლად მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ეს ხმა ძალლის ყეფას უფრო ჰგავდა, ვიდრე ლაპარაკს.

მაიკმა მკლავები გაშალა, ეტლიდან წამოინია და წინ გადაქანდა. იცოდა, რომ დავიჭერდი. მასზე პატარებიც ჩაჰუტებიან ჰოუის, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ასეთი თბილი არცერთის ჩახუტება არ ყოფილა. უეცრად ძალიან მომინდა, დამებზრიალებინა და ჰოლი სტენსფილდივით მაგრად ჩამეკრა გულში. იმდენად მაგრად, რომ მისი ავადმყოფობა სხეულიდან გამომედევნა, როგორც ჰოლის ამოვაგდებინე გადაცდენილი ჰოთდოგი.

ქურქში თავი ჩარგო:

– მართლა მაგარი ჰოუი ხარ, დევ.

თათი თავზე გადავუსვი და „დოგტოპი“ მოვაძრე. პასუხს ვერ დავუბრუნებდი – ჰოუის მარტო ყეფის უფლება ჰქონდა.

მაიკმა ჰოუის თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

– „ბორბალზე“ ჩვენთან ერთად დაჯდები?

თავი დავუქნიე და მივეალერსე. ლეინმა მაიკის ძირს დაგდებული დოგტოპი აიღო და დაახურა.

ენი მოგვიახლოვდა. დოინჯშემოყრილი იდგა. თვალებში უსაზღვრო სიხარული ედგა.

– მისტერ ჰოუი, შეიძლება ელვა გაგიხსნათ?

ელვის გახსნის წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ მას ხომ არ გავახსნევინებდი? ყველა შოუს თავისი წესები აქვს, მტკიცე და ურყევი წესები. „ჯოილენდის“ წესების თანახმად კი ჰოუი ყოველთვის ჰოუიდ უნდა დარჩენილიყო. ყურცევიტების თანდასწრებით ქურქის გახდა არ შეიძლებოდა.

ისევ „ჯოილენდის“ მიწისქვეშეთში ჩავყვინთე, ქურქი სასწრაფოდ გავიხადე და მათკენ გავიქეცი. იმ დროს მივუსწარი, როცა „კაროლინის ბორბლის“ პანდუსს მიუყვებოდნენ. ენიმ ზემოთ ნერვიულად აიხედა და მაიკს მიუბრუნდა:

– მაიკ, ამით გასეირნება მართლა გინდა? დარწმუნებული ხარ?

– ჰო, ამით სეირნობა ყველაზე მეტად მინდა.

– კარგი, რა გაეწყობა. – ჩაილაპარაკა ენიმ და მე მომიბრუნდა: – სიმაღლის მეშინია-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ ამის შემყურეს ტანში ურუანტელი მივლის.

ლეინს კაბინის კარი გაეღო.

– აბა, ყველანი ბორტზე! მე კი ჩემს სამართავ პულტს დავუბრუნდები და გაგამგზავრებთ იქ, სადაც არის ჰაერი სულ სხვანაირი... – დაიხარა და მაილოს ყურებზე გაეთამაშა. – შენ აქ დარჩები, მეგობარო.

კაბინის სიღრმეში, საჭესთან დავჭექი. ენი შუაში დაჯდა, მაიკი კი კიდესთან, საიდანაც ყველაზე უკეთ იშლებოდა ხედი. ლეინმა დამცველი ურდული გადასწია, თავის პულტან მივიდა და ქვაბურა მეორე მხარეს მოიგდო.

– იქ საოცრება გელით! – თქვა და დავიძარით.

მედიდურად და მშვიდად მივიწევდით ზემოთ, თითქოს მეფედ კურთხევის ცერემონიალს ვატარებდით. სამყარო ნელ-ნელა თვალწინი გადაგვეშალა: ქვემოთ პარკი, მარჯვნივ კობალტისფერი ოკეანე, მარცხნივ კი ჩრდილოეთ კაროლინის ვაკე-როცა ჩვენი კაბინა უმაღლეს წერტილს მიუახლოვდა, მაიკმა ხელები გაშალა და შესძახა:

– ჩვენ მივფრინავთ!

ენის ხელი ჩემს ფეხზე ედო. შევხედე. ერთადერთი სიტყვა უხმოდ წარმოთქვა:

– გმადლობ!

ზუსტად არ ვიცი, რამდენ წრეზე გაგვიშვა ლეინმა. ყველაზე უკეთ მაიკის სახე დამამახსოვრდა – გაფითრებული და გაოცებული. კიდევ ენის ხელი მახსოვს. ჩემი ფეხიდან ხელი მანამ არ აუღია, სანამ ბორბალი არ გაჩერდა.

მაიკი მომიბრუნდა:

– ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რას განიცდის ხოლმე ჩემი ფრანი.

უკვე მეც ვიცოდი.

ენიმ მაიკს უთხრა, ახლა გეყოფა, სახლში წავიდეთო. ბიჭი არ შეწინააღმდეგებია. ქანცგაცლილი იყო. როცა ლეინი ეტლში სვამდა, მაიკმა ხელი გაუწოდა:

– ხუთჯერ დაარტყიყი!

ლეინს გაეცინა და ხელი ხუთჯერ დაარტყიყა.

– როცა გენებოს, მოდი, მაიკ.

– მადლობა. მაგარი იყო.

მე და ლეინმა მისი ეტლი შეუა გზაზე გავაგორეთ. ყველა ჯიხური დაკეტილი იყო, „ენი ოუკლის ტირის“ გარდა. იქ, სა-დაც მთელი ზაფხულის განმავლობაში მამილო ალენი იდგა, ახლა ფრედ დინი დაყუდებულიყო. ტირში იხვები და ბაჭიები სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობდნენ. მათ ზემოთ ყვითელ წინილებს მოეკალათებინათ. მართალია, არ მოძრაობდნენ, მაგრამ ზომით ძალიან პატარები იყვნენ.

– წასვლამდე შესაძლებლობებს სროლაშიც ხომ არ მოსინ-ჯავდით? დღეს წაგებული არავინ იქნება, დღეს ყველა პრიზს მიიღებს. – თქვა ფრედმა.

მაიკმა მიმოიხედა და თვალებით ენი მოძებნა:

– დე, შეიძლება?

– რა თქმა უნდა. მაგრამ დიდხანს არა. კარგი, საყვარელო?

მაიკმა ეტლიდან წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მეტისმეტად დაღლილი იყო. მე და ლეინი აქეთ-იქიდან ამოვუ-დექით და წამოვაყენეთ. მაიკმა თოფი აიღო და ერთი-ორჯერ გაისროლა, მაგრამ ხელებს ვერ იმორჩილებდა, უკანკალებდა, იმის მიუხედავად, რომ თოფი მსუბუქი იყო. ტყვიები ბრეზენჭს მოხვდა და ძირს დაცვივდა.

– მგონი, ავაცილე. – თქვა ბიჭმა და თოფი დადო.

– მიზანში ვერ მოარტყი, მაგრამ ხომ გითხარი, დღეს წაგე-ბულები არ არსებობენ. – თქვა ფრედმა და თაროდან ყველაზე დიდი ჰიმოილო. რბილი სათამაშო იყო, რომლის მოსა-გებად ყველაზე მაგარი მსროლელებიც კი რვა-ცხრა დოლარს ხარჯავდნენ ხოლმე.

მაიკმა მადლობა გადაუხადა და ეტლში ჩაჯდა. ძალლი ლა-
მის ბიჭის სიმაღლის იყო.

– ახლა შენ, დედიკო. – მიმართა ენის.
– იყოს, არ მინდა. – თქვა ენიმ, მაგრამ მივხვდი, რომ უნ-
დოდა. მივხვდი, რომ თვალით დამიზნების ადგილსა და სამიზ-
ნებს შორის მანძილს ზომავდა.

– გეხვეწები, რა! – თქვა ბიჭმა და ჩვენ მოგვიბრუნდა. –
მართლა კარგად ისვრის. ჩემს დაბადებამდე ტურნირი მოიგო,
მანამდე კი ორჯერ მეორე ადგილზე გავიდა.

ლეინი 22 კალიბრიან ჭირის თოფს უკვე ხელში ათამაშებდა.

– მოდი, ვნახოთ, რას იზამს „ენი ოუკლის“ საუკეთესო ენი.
– თქვა მან.

ენიმ თოფი ჩამოართვა და შეათვალიერა. ეს თოფი ასე მა-
ნამდე, ალბათ, არავის შეუთვალიერებია.

– რამდენი გასროლაა? – იკითხა ენიმ.
– თითო მჭიდრში ათი ტყვია.
– კარგი. გავისვრი. შეიძლება, ორი მჭიდრი ვისროლო?
– რამდენიც გენებოთ, მემ. დღეს თქვენი დღეა.
– დედა ადრე ჭირში ბაბუასთან ერთად დადიოდა ხოლმე.
– განაცხადა მაიკმა.

ენიმ თოფი ხელში აიღო და ათჯერ ზედიზედ გაისროლა.
დაახლოებით ორნამიანი ინტერვალებით ისროდა. ორი იხვი და
სამი ბაჭია დააწვინა. წინილებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

– მაგარი იყო! – წამოიძახა ფრედ დინმა. – აირჩიეთ ნების-
მიერი პრიზი შუა თაროდან.

ენის გაელიმა.

– 50% იყო. მაგარ სროლად ვერ ჩაითვლება. მამა სირცხვი-
ლით დაიწვებოდა. ერთს კიდევ გადავტენი, თუ წინააღმდეგი
არ იქნებით.

ფრედმა დახლის ქვემოდან ქალალდის კონუსი გამოაძრო – აქაურ ენაზე მას „მონადირის ცრემლს“ ვეძახდით – და წვერით თოფის ღრიფოში შეარჩო. თოფმა გაიჩხაკუნა.

– სამიზნე ცოტა გადახრილია? – იკითხა ენიმ.

– არა, მემ. „ჯოილენდში“ არ ვიტყუებით. თუმცა, რომ გითხრათ, მამილო ალენი – ამ ჭირის უფროსი – თოფების სა-მიზნეებში ჭყიტინს დიდ დროს ანდომებს-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ.

მამილო ალენის გუნდში ამდენ ხანს ვმუშაობდი და კარ-გად ვიცოდი, რომ ფრედის ნათქვამი სიმართლისგან შორს იყო. მეტი საქმე არ ჰქონდა მამილოს თოფებში ჭყიტინით თავი შეე-ნუხებინა. რაც უკეთ გაისროდნენ ყურცქვიტები, მით მეტი პრიზის გაცემა მოუხდებოდა... პრიზებს კი თავად ყიდულობდა. ყველა ჯიხურის უფროსი პრიზს თავად ყიდულობდა. იაფი საქონელი იყო, მაგრამ მაინც.

– მარცხნივ და მაღლა მიაქვს. – უფრო თავისთვის ჩაილა-პარაკა ენიმ. მერე თოფი ასწია, მხარზე მიიბჯინა და ათჯერ ზედიზედ გაისროლა. ამჯერად სროლასა და სროლას შორის ინტერვალი თითქმის არ ყოფილა, არც ბაჭიებისა და იხვების-თვის დაუმიზნებია. წინილებს დაუმიზნა და ათიდან რვას გაარ-ტყა.

ლეინმა თოფი თავის ადგილას დააბრუნა და კისერზე მომ-დგარი ოფლი მოიწმინდა.

– ლმერთო! რვისთვის ჯერ არავის მოურტყამს.

– ბოლო უბრალოდ გავკანრე. არადა, ამ მანძილიდან არ-ცერთისთვის არ უნდა ამეცილებინა. – ჩაილაპარაკა ენიმ. არ ტრაბახობდა, უბრალოდ ფაქტს აღნიშნავდა.

მაიკმა კი ისეთი ხმით თქვა, თითქოს ბოდიშს იხდიდა:

– ხომ გითხარით, კარგად ისვრის-მეთქი.

– თქვენ ნამდვილი ენი ოუკლი ხართ. ნებისმიერი პრიზი აირჩიეთ. – თქვა ლეინმა.

– პრიზი უკვე მივიღე. საოცარი დღე იყო. სიტყვები არ მყოფნის. არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ თქვენ – ჩემკენ მოტრიალდა. – და ამ ბიჭს. მან დამარწმუნა, მაიკი აქ წამომეყვანა. – დაიხარა და მაიკს თავზე აკოცა. – ახლა დროა, ჩემი ბიჭი შინ წავიყვანო. მაილო სადღაა?

მიმოვიხედეთ და დავინახეთ, რომ მაილო „საშინელებათა სახლის“ წინ იჯდა.

– მაილო, მოდი აქ! – დაუძახა ენიმ.

მაილომ ყურები ცქვიტა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ენისკენ არც კი მოუხედავს. იჯდა და „საშინელებათა სახლის“ ფასადს აშტერდებოდა. კინალამ ისიც დავიჯერე, ფასადზე გაკეთებული, გადლაბნილი ასოებით და ობობის ქსელით დაფარული მიპატიუებაც ამოიკითხა-მეთქი.

ვიდრე ენი მაილოს უყურებდა, თვალი მაიკისკენ გავაპარე. დალლილ-დაქანცული იყო, მაგრამ აშკარად კმაყოფილი ჩანდა. ვიცი, რომ სისულელეა იმის გაფიქრებაც კი, რომ მან და მისმა ძალები უკელაფერი წინასწარ მოიფიქრეს და დაგეგმეს, მაგრამ მაშინ სწორედ ასე მეგონა.

ახლაც ასე მგონია.

– დედა, იქით გამაგორე, რა! – თქვა ბიჭმა. – მე გამომყვება.

– არ არის საჭირო. – მიუგო ლეინმა. – საყელური თუ გაქვთ, მე წამოვიყვან.

– მაიკის ეტლის უკანა ჯიბეში დევს. – მიუგო ენიმ.

– რაღაც არ მგონია. ნახეთ, მაგრამ, მგონი, სახლში დამრჩა. – თქვა მაიკმა.

ენიმ შეამონმა, მე კი გავიფიქრე: „დაგრჩა კი არა, დატოვე“.

— მაიკ! რამდენჯერ გითხარი, რომ ძალლი შენია, ანუ მასზე შენ აგებ პასუხს. — უთხრა ენიმ საყვედურნარევი ტონით.

— მაპატიე, დედა! — ჩაილაპარაკა მაიკმა და ფრედსა და ლეინს მიუბრუნდა. — საყელურს არ ვხმარობთ, რადგან მაილო დაძახებაზე ყოველთვის მოდის.

— მაგრამ მაშინ არა, როცა მართლა გვჭირდება. — თქვა ენიმ და ხელები პირთან მიიტანა. — მაილო, მოდი აქ! მაილო, სახლში მივდივართ! — მერე დაშაქრული ხმით დაამატა: — მაილო, მოდი, ნამცხვარი გაჭამო! ნამცხვარი ხომ გინდა?

ისეთი ხმა ჰქონდა, მე სირბილით მივვარდებოდი. მაილო არც განძრეულა.

— მოდი რა, დევ! — ისეთი ტონით მითხრა მაიკმა, თითქოს მეც მათი თანამზრახველი ვყოფილიყავი.

ეტლს ხელი წავავლე და მაიკი „საშინელებათა სახლისკენ“ გავაგორე. ენი უკან გამოგვყვა. ფრედი და ლეინი ადგილიდან არ დაძრულან. ლეინი ტირთან, თოფებისკენ გადახრილი იდგა. ქვაბურა მოეხადა და თითზე ატრიალებდა. როცა ძალლს მივუახლოვდით, ენიმ ბრაზით შეხედა.

— მაილო, რა გჭირს?

მაილომ ენის ხმის გაგონებაზე კუდი შეარხია, მაგრამ ზედაც არ შეხედა. სადარაჯოზე იდგა და თუ ძალით არ წაათრევ-დნენ, არსად წასვლას არ აპირებდა.

— მაიკ, შენს ძალლს უთხარი, წამოვიდეს. შინ მივდივართ. ახლა უნდა დაის...

სანამ ენი სათქმელს დაასრულებდა, ორი რამ მოხდა. არ ვიცი, რომელი რომელზე ადრე. მას მერე მრავალჯერ დავფიქ-რებულვარ — ძირითადად, ღამით ვფიქრობ ხოლმე, როცა ძილი არ მეკარება — მაგრამ ზუსტად დღემდე არ ვიცი, როგორი თანმიმდევრობით მოხდა ის, რაც მოხდა. მგონი, ჯერ რახრახი

გაისმა: ლიანდაგზე მიმავალი ვაგონის ხმა იყო. ან შეიძლება, ჯერ ბოქტომის დაცემის ხმა შემოგვესმა. ან ეგებ, ორივე ერთდროულად მოხდა.

დიდი ბოქტომი ჩამოვარდა, „საშინელებათა სახლის“ წინ ხის იატაკზე დაეცა და ოქტომბრის მზის სხივებზე ალაპლაპდა. ფრედ დინი ამბობდა, ალბათ ჩამკეტ მექანიზმში ხუნდი ბოლომდე მოჭერილი არ იყო და მოძრავი ვაგონის ვიბრაციამ ბოლომდე მოუშვაო. სიმართლესთან ახლოს იყო, რადგან როცა მე შევამოწმე, ხუნდი ნამდვილად მოშვებულიყო.

მაგრამ ეს მაინც სულელური ახსნა იყო.

კარგად მახსოვს, რომ ბოქტომი თავად ჩავკეტე და წკაპანის ხმაც გავიგონე, რაც ნიშნავდა, რომ საიმედოდ ჩაიკეტა. ისიც მახსოვს, რომ მაგრად ჩამოვქაჩე, შევამოწმე, ხომ მართლა ჩაიკეტა-მეთქი. ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა ფრედს არც კი უცდია: „საშინელებათა სახლში“ ელექტროენერგიის წყაროს ჩამრთველები გამორთული იყო და მატარებელი როგორ დაიძრა? აი მერე რაც მოხდა...

ახლა გიამბობთ, როგორ სრულდებოდა გასეირნება „საშინელებათა სახლში“. წამების ოთახის ბოლოს, როდესაც გეგონათ, რომ მოგზაურობა უკვე დამთავრდა და ყურადღებაც მოგიდუნდებოდათ, საიდანლაც მკივანა ჩონჩხი გამოხტებოდა და პირდაპირ თქვენ მოგაფრინდებოდათ. როცა ჩონჩხი მოგეშვებოდათ, წინ ქვის კედელი აღიმართებოდა. კედელზე გახრნილი ზომბი და საფლავის ქვა იყო მიხატული. ქვაზე კი ეწერა: „გზის დასასრული“. რა თქმა უნდა, ქვის კედელი დროულად იხსნებოდა, მაგრამ ნერვებზე ორმაგი დარტყმა სასურველ შედეგს აღწევდა. მერე მატარებელი დღის სინათლეზე გადიოდა, ნახევარნერეს ხაზავდა, ორმაგი კარებისკენ იღებდა გეზს და მოგზაურობა „საშინელებათა სახლში“ თავიდან იწყებოდა. ეს

ყველაფერი ისეთი შემზარავი იყო, რომ კაცებიც კი შიშისგან ბლაოდნენ. ბოლო შეძახილები „საშინელებათა სახლის“ საუკეთესო რეკლამა იყო.

იმ დღეს კივილი და ბლავილი არ ყოფილა. ვერც იქნებოდა, რადგან, როდესაც ორმაგი კარი გაილო, მატარებელში არავინ იჯდა. მატარებელმა ნახევარწრე მოხაზა, ორმაგ კარებს მსუბუქად დაეჯახა და გაჩერდა.

— კარგი. — ჩაილაპარაკა მაიკმა იმდენად ჩუმად, რომ ძლივს გავიგონე. დარწმუნებული ვარ, ენის არაფერი გაუგია. მთელი ყურადღება მატარებლისკენ ჰქონდა მიმართული. ბავშვი იღი-მოდა.

— რა მოხდა? კარი რამ გააღო? — მკითხა ენიმ.

— არ ვიცი. შეიძლება, მოკლე ჩართვა მოხდა. — მივუგე მე. ეს ახსნა მართებული ჩანდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კაცმა არ იცოდა, რომ ჩამრთველები გამორთული იყო.

ფეხის წვერებზე ავინიე და გაჩერებულ ვაგონში ჩავიჭყიტე. პირველი ის შევნიშნე, რომ ურდფული ღია იყო. ედი პარკს ან მის რომელიმე დამხმარეს ურდფულის გადაწევა რომც დავიწყნოდა, მატარებლის დაძვრისას ურდფული ავტომატურად ჩაიკეტებოდა. შტატის კანონმდებლობით ასე იყო დადგენილი. ის, რომ ურდფული ღიად დარჩენილიყო, ყოველგვარ ლოგიკას იყო მოკლებული.

სავარძლის ქვეშ თვალი რაღაცას ვკიდე. ისეთივე ნამდვილს და რეალურს, როგორც იმ ვარდებს, ფრედმა ენის დილით რომ აჩუქა. მაგრამ ეს რაღაც წითელი არ გახლდათ.

ცისფერი ლენტი იყო.

ენის მანქანისკენ წავედით. მაილო ისევ კარგი ძალლობის ხასიათზე დამდგარიყო და მაიკის ეტლის გვერდით მოაბიჯებდა.

- ამათ შინ მივიყვან და დავბრუნდები. – ვუთხარი ფრედს.
- დამატებით საათებს ვიმუშავებ.

უარის ნიშნად თავი გააქნია.

– დღეს თავისუფალი ხარ. ადრე დაწექი და ხვალ ექვს საათზე პარკში იყავი. ერთი-ორი სენდვიჩით მეტი გამოიყოლე, ჩვეულებრივზე დიდხანს უნდა ვიმუშაოთ. მე მგონი, შტორმი უფრო სწრაფად გვიახლოვდება, ვიდრე მეტეოროლოგები ვარაუდობდნენ.

ენიმ შეშფოთებული სახით შემოგვხედა.

– მაიკი ქალაქში ხომ არ წავიყვანო, როგორ ფიქრობთ? ახლა მისი წაყვანა არ მინდა, ისეთი დაღლილია, მაგრამ...

– საღამოს რადიოს მოუსმინეთ. თუ სანაპირო ზოლზე ევაკუაცია გამოცხადდა, წასასვლელად კიდევ ბევრი დრო გექნებათ. მაგრამ არ მგონია, საჭირო გახდეს. შეიძლება, ცოტა შეგვაჯანჯლაროს, მაგრამ დიდი არაფერი. მე მაღალი ატრაქციონების ბედი მანუხებს, ეგ არის და ეგ. – თქვა ფრედმა.

– არაფერი მოუვათ. შარშან „აგნესს“ გაუძლეს. ქარიშხალი ეგ იყო. – ჩაილაპარაკა ლეიინმა.

– ამ ქარიშხალს რა ჰქვია? – იკითხა მაიკმა.

– „გილდა“. მაგრამ ქარიშხალი არც არის. ტროპიკული შტორმია, მეტი არაფერი. – მიუგო ლეიინმა.

– პროგნოზის მიხედვით, ქარიშხალი ლამით გაძლიერდება, თავსხმა წვიმა კი ქარის ამოვარდნიდან ერთ-ორ საათში დაიწყება. – თქვა ფრედმა. – ლეიინი მართალია, როცა ამბობს, სა-

ნერვიულო არაფერიაო, მაგრამ ხვალ მაინც ბევრი საქმე გვექნება. დევ, წყალგაუმტარი ლაპადა ხომ გაქვს?

- კი, რა თქმა უნდა.
- ჰოდა ჩაიცვი.

რადიოთი მოსმენილმა ამინდის პროგნოზმა ენი დაამშვიდა. „გილდას“ სიჩქარე საათში 30 მილს არ გადააჭარბებდა, მხოლოდ შიგადაშიგ წამოუბერავდა ძლიერი ქარი. მოსალოდნელი იყო ღელვა და სანაპირო ზოლის უმნიშვნელო დატბორვა. დიჯეიმ გაიხუმრა კიდეც, ფრანების გასაშვებად საუკეთესო ამინდი დგებაო. გულიანად გაგვეცინა... ფრანის გაშვების გამოცდილებაც გვქონდა და სასიამოვნო მოგონებაც.

როცა ვიქტორიანულ სახლს მივუახლოვდით, მაიკს სანახევროდ ეძინა. ხელში ავიყვანე და ეტლში ჩავსვი. არ გამჭირვებია. ბოლო ოთხ თვეში კუნთები დავიყენე. მაიკი კი ძალიან მსუბუქი იყო. როცა ეტლს სახლისკენ მივაგორებდი, მაილო გვერდით მომყვებოდა.

მაიკს საპირფარეშოში გასვლა მოუნდა. ენიმ ეტლს ხელი წაატანა, მაგრამ მაიკმა იკითხა, დევი ხომ ვერ წამიყვანსო. საპირფარეშოში შევაგორე, ხელი შევაშველე და შარვალი ჩავუნიე. ბიჭი მოაჯირებს მოეჭიდა.

- ვერ ვიტან, როცა დედა მეხმარება. თავი პატარა ბავშვი მგონია.

მაიკმა ჯანსალი მოზარდის ენერგიულობით მოშარდა. მერე წყლის ჩასარეცხად გადაიხარა და წაბორძიკდა. ხელი რომ არ შემეშველებინა უნიტაზში თავით ჩაერჭობოდა.

– მადლობა, დევ. იცი, მინდა, რომ მაგარი ქარიშხალი ამო-
ვარდეს, მაგარი სანახაობა იქნება.

– მასე ალარ იტყოდი, ნამდვილი ქარიშხალი ნანახი რომ
გქონდეს. – ვთქვი და ორი წლის წინანდელი ქარიშხალი „დო-
რია“ მომაგონდა, რომელიც ნიუ-ჰემპშირს დაატყდა თავს. მისი
სიჩეარე საათში 90 მილი იყო, მთელ პორტსმუტში, კიტერიში,
სანფორდსა და ბერვიკში ხეები ფესვებიანად მოთხარა. ერთი
უზარმაზარი ფიჭვის ხე კინაღამ ჩვენს სახლსაც დაეცა, სარ-
დაფი დაიტბორა, ოთხი დღე ელექტროენერგიის გარეშე ვის-
ხედით.

– არ მინდა, რომ პარკში რაღაცები დაიმტვრეს და განად-
გურდეს. ეგ მთელ დედამინაზე ყველაზე მაგარი ადგილია, ყო-
ველ შემთხვევაში, მე სადაც ვყოფილვარ იმათ შორის.

– კარგი ბიჭი ხარ. ახლა გასწორდი და ჩამეჭიდე, შარვა-
ლი აგინიო. არაა საჭირო, ამხელა ბიჭმა დედას შიშველი ტაკო
აჩვენოს.

მაიკ გაეცინა, მაგრამ სიცილი ხველაში გადაეზარდა. რო-
ცა გამოვედით, ენიმ ეტლს ხელი ნაავლო და საძინებლისკენ
გააგორა.

– დევინ, არ გამეპარო! – მომაძახა.

იმ დღეს წასასვლელი არსად ვიყავი და არც მისგან გა-
პარვას ვაპირებდი, მითუმეტეს, თუ დარჩენას მთხოვდა. მისა-
ლებ ოთახში გავიარ-გამოვიარე და იქაურობა შევათვალიერე.
ნივთები ალბათ ძვირფასი იყო, მაგრამ არცთუ საინტერესო.
ყოველ შემთხვევაში, ოცდაერთი წლის კაცისთვის. სინათლე
უზარმაზარი ფანჯრიდან შემოდიოდა. რომ არა ეს ფანჯარა,
ოთახი ჩაბნელებული და საშინლად მოღუშული იქნებოდა. ფან-
ჯარა უკანა ეზოს, ხის ფილებით მოპირკეთებულ ბილიკს და
ოკეანეს გადაჰყურებდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ლრუბლე-

ბი დაძრულიყვნენ, თუმცა, ცა კვლავინდებურად ლურჯი იყო. მახსოვს, გავიფიქრე, როგორც იქნა, ამ დიდი სახლის შიგნიდან ნახვასაც ველირსე-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი საპირ-ფარეშოების დათვლის შანსი არ მომეცემოდა. ლენტი გამახ-სენდა და გავიფიქრე, ნეტა, ფრედი თუ შენიშნავს, როდესაც იმ თავნება ვაგონს თავის ადგილას დააბრუნებს-მეთქი. კიდევ რაზე ვფიქრობდი? იმაზე, რომ ბოლოს და ბოლოს მოჩვენება მეც ვნახე. თუმცა, არა თავად პიროვნება.

ამასობაში ენიც დაბრუნდა.

- მაიკს შენი ნახვა უნდა, მაგრამ დიდხანს ნუ გაჩერდები.
- კარგი.
- მარჯვნივ, მესამე კარია.

დერეფანი გავიარე, კარზე ფრთხილად დავაკაკუნე და ოთახში შევედი. თუკი ხელმოსაჭიდ მოაჯირს და ჟანგბადის ბალიშებს არ ჩავთვლიდით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ერ-თი ჩვეულებრივი ბიჭის ოთახში. ბეისბოლის ხელთათმანები არ ეყარა და არც სკეიტბორდი იყო კედელზე მიყუდებული, მაგ-რამ პლაკატები კი გაეკრათ. საწოლის თავზე „ბიტლზის“ პლა-კატი იწონებდა თავს.

ოთახში მალამოს სუსტი სუნი იდგა. მწვანე ზენარგადაფა-რებულ საწოლში მაიკი არც კი ჩანდა. მაილო მოკუნტული იწვა, ცხვირი კუდში ჩაერგო, მაიკი კი გონებაგაფანტული უსვამდა ბენვზე ხელს. ძნელად დაიჯერებდი, რომ ეს ის ბავშვი იყო, „კა-როლინის ბორბლის“ უმაღლეს წერტილზე გაშლილი ხელებით რომ იჯდა. მოწყენილი არ იყო, პირიქით, სახე გაცისკროვნე-ბული ჰქონდა.

– დევ, დაინახე ის? დაინახე, როგორ წავიდა?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე და გავილიმე. ტომის შემშურ-და, მაგრამ მაიკისა არა. მაიკის არასდროს შემშურებია.

– ნეტავ, ბაბუა იქ ყოფილიყო, ბაბუა მას უსათუოდ დაინა-
ხავდა და იმასაც გაიგებდა, რა თქვა მან წასვლის წინ.

– რა თქვა?

– მადლობა. ორივე გვიგულისხმა და შენ დაგიბარა, ფრთხი-
ლად იყავიო. მართლა არაფერი გაგიგია? სულ ცოტა მაინც?
უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

– არა, სულ არაფერი.

– მაგრამ ხომ იცი? – მაიკის სახე ძალიან დაღლილი და
ავადმყოფი ბიჭის სახე იყო, მაგრამ თვალები ცოცხალი და
ჯანსაღი ჰქონდა. – ხომ იცი, არა?

– კი. – ვთქვი და ისევ ლენტი გამახსენდა. – მაიკ, შენ იცი,
რა შეემთხვა?

– ვიღაცამ მოკლა. – დაიჩურჩულა.

– არ მგონია, ეთქვა ვინ...

სიტყვა არ დამიმთავრებია და არც იყო საჭირო. მაიკმა უა-
რის ნიშნად თავი გააქნია.

– ახლა უნდა დაიძინო.

– კი. რომ გავიღვიძებ, უკეთ ვიქნები. ყოველთვის უკეთ
ვარ ხოლმე. – თვალები დახუჭა და მერე ისევ გაახილა. – ყვე-
ლას ბორბალი ჯობდა. ამწე მაგარია. გეგონება დაფრინავ.

– ჰო, ეგრეა.

თვალები ისევ დახუჭა, მაგრამ აღარ გაუხელია. კარისკენ
ფეხაკრეფით წავედი. როცა ხელი სახელურს წავავლე, ისევ მა-
იკის ხმა ჩამესმა.

– გაფრთხილდი, დევ. ის თეთრი არ არის.

მივიხედე. მაიკს ეძინა. დარწმუნებული ვარ, ეძინა. მარტო
მაილო მიყურებდა. გამოვედი და კარი ფრთხილად გამოვიხუ-
რე.

ენი სამზარეულოში იყო.

— ყავას ვადუღებ, მაგრამ, იქნებ, ლუდი გირჩევნია? „ბლუ რიბონი“ მაქვს.

— არა, იყოს ყავა.

— აბა, რას იტყვი? მოგეწონა ჩვენი სახლი?

გადავწყვიტე სიმართლე მეთქვა.

— რაღაც-რაღაცები ცოტა ძველმოდურად მეჩვენება, მაგრამ რომელი ინტერიერის დიზაინერი მე ვარ?

— არც მე ვარ. კოლეჯიც არ დამიმთავრებია.

— არც მე.

— კი, მაგრამ შენ ხომ დაამთავრებ. იმ გოგოს, რომელმაც დაგადო, თავიდან ამოიგდებ და სწავლას განაგრძობ.

— შენ რა იცი...

— იმ გოგოს შესახებ? ჯერ ერთი, სახეზე გაწერია. გარდა მაგისა, მაიკმა იცის. მაიკმა მითხრა. იყო დრო, ანთროპოლოგიას ვსწავლობდი. უცხო და ზღაპრული ადგილებიც უნდა მომენახულებინა და ჩემი თაობის მარგარეტ მიდიც გავმხდარიყავი. წიგნების დაწერას ვაპირებდი და მამაჩემის დაკარგული სიყვარულის დაბრუნებასაც. იცი, ვინ არის მამაჩემი?

— ჩემი ბინის მეპატრონემ მითხრა.

— ჰო, ბადი როსი. კაცი თეთრებში. თმაც სულ თეთრი აქვს. ეკლესია, რადიოში ხშირი გამოსვლები. ახლა უკვე ტელევიზიითაც გამოდის. აი, ცხოვრებაში კი ტრაკია, მაგრამ კარგი თვისებებიც აქვს. ყველა ეგრე არ ვართ? — თქვა და ყავა ორჭიქაში დაასხა.

— რაღაც გულდაწყვეტილი ლაპარაკობ. — ვიცოდი, რომ ასეთი რამის თქმა დიდ თავაზიანობად არ ჩამეთვლებოდა, მაგრამ უკვე ახლობლები ვიყავით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნდა.

ყავა ნინ დამიღება და ჩემ პირდაპირ დაჯდა.

– ხომ იცი, როგორც იმ სიმღერაშია, რაღაცებზე გული
მეც მწყდება. მაგრამ მაიკი მაგარი ბავშვია და მამაჩემის წყა-
ლობით შემიძლია, სულ მასთან ვიყო. მამა ფინანსურად გვეხ-
მარება. ზოგჯერ ვფიქობ ხოლმე, რომ ჩეკის წიგნაკით გამოხა-
ტული სიყვარული სულ არაფერს მაინც ჯობია. დღეს რაღაც
გადავწყვიტე, როცა გიყურებდი, იმ სულელურ კოსტუმში გა-
მოწყობილი სულელურ ცეკვას როგორ ასრულებდი.

– რა გადაწყვიტე?

– გადავწყვიტე, მამაჩემის სურვილს დავმორჩილდე. ანუ
სანამ ჯერ კიდევ დროა, ჩემი შვილის ცხოვრებაში შემოვუშვა. რაღაც საშინელებებს ამბობს, თითქოს ღმერთმა მაიკს კუნთე-
ბის დისტროფია ჩემს დასასჯელად მოუვლინა, ჩემი ცოდვების
გამო. მაგრამ ახლა ყველაფერზე მაღლა უნდა დავდგე. მისგან
ბოდიშს თუ ველოდე, ლოდინი კარგა ხანს მომინევს... მამას
სჯერა, რომ ეს ასეა და მორჩა.

– ძალიან ვწუხვარ.

მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს ეს ყველაფერი არც ანალვლებდა.

– ვცდებოდი, მაიკს რომ „ჯოილენდში“ არ ვუშვებდი. ახ-
ლაც ვცდები, როცა ვჯიუტობ და მამაჩემთან ურთიერთობაში
მხოლოდ ალებ-მიცემობაზე ვფიქრობ. დევ, როგორ გგონია, 31
წლის ადამიანი აღარ გაიზრდება?

– არ ვიცი. მაგხელა რომ გავხდები, მერე მკითხე.

– ერთ წუთს დამელოდე.

ლამის ხუთი წუთი არ ჩანდა. სამზარეულოში ვიჯექი და
ყავას ვსვამდი. დაბრუნებულს თავისი სვიტერი მარჯვენა ხელ-
ში ეჭირა. მუცელი გარუჯული ჰქონდა. ლია ცისფერი ლიფი
ეცვა, თავისი გახუნებული ჯინსის ფერი.

– მაიკს სძინავს. გინდა, ზევით ავიდეთ?

მისი საძინებელი დიდი და სადა იყო. რამდენიმე თვე იყო, აქ ცხოვრობდა, მაგრამ ნივთები ბოლომდე არ ამოელაგებინა. ჩემკენ მოპრუნდა და მკლავები კისერზე შემომაჭდო. თვალები ფართო და მშვიდი ჰქონდა. ტუჩებზე ლიმილი გაუკრთა.

— დარწმუნებული ვარ, უკეთ გამოგივა, შანსი რომ გქონდეს-მეთქი. გახსოვს რომ გითხარი?

— კი.

— ეგ სანაძლეო მოვიგე?

პირი ტკბილი და სველი ჰქონდა. მისი სუნთქვის გემოსაც კი ვგრძნობდი.

უკან დაიხია.

— ერთი რამ უნდა იცოდე, ეს მხოლოდ ერთადერთხელ მოხდება.

— თუ რა თქმა უნდა... ამას იმისთვის არ აკეთებ, რომ... ხომ გესმის...

ახლა ნამდვილად გაიღიმა, ლამის გაიცინა კიდეც-

— არა, მადლობის ნიშნად არ გაძლევ, დამიჯერე. ბოლოს შენნაირ ბავშვთან რომ ვიწექი, თავადაც ბავშვი ვიყავი. — ჩემი ხელი აიღო და მარცხენა ძუძუზე დაიდო. მისი გულის ნაზი და რიტმული ძგერა ვიგრძენი. ერთმანეთს ისევ ვაკოცეთ. ხელები ქამარზე ჩამავლო და ბალთა შემიხსნა. შარვლის ელვა ჩასწია. მერე ხელი საცვალში ჩამიცურა და ამდგარ ასოზე გადამისვა. სუნთქვა შემეკრა.

— დევ?

— ჰო...

— აქამდე არასდროს გიქნია? არ მომატყუო.

— არა.

— დეგენერატია? ის შენი გოგო დეგენერატია?

– მგონი, ორივე დეგენერატები ვიყავით.

გაილიმა. ხელი ასოზე მომიჭირა. ეს გამოცდილი ქალის ხელი იყო. ცერა თითი ასოს თავზე გადამისვა და მივხვდი, რომ უენდის მთელი ძალისხმევა, ჩემთვის სიამოვნება მოენიჭებინა, უმდაბლეს ლიგაში თამაში იყო.

- ესე იგი ვაჟიშვილი ხარ?
- ბრალდება სწორია.
- კარგია.

კიდევ კარგი, მართლა ერთხელ არ მოხდა. იმიტომ, რომ პირველმა ჯერმა მხოლოდ რვა წამს გასტანა. მაქსიმუმ ცხრა წამს. შედება კი მოვახერხე, მაგრამ მაშინვე გავათავე. ამაზე დიდი სირცხვილი, მგონი, მხოლოდ ერთხელ განვიცადე, როცა „ნორჩ მეთოდისტთა ბანაკის“ გუნდში სიმღერისას ყიყლიყოები ამოვუშვი.

– ღმერთო! – აღმომხდა და თვალებზე ხელი ავიფარე.

გაიცინა, მაგრამ ბოროტი სიცილი არ იყო.

– შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ გამიხარდა კიდეც. მოდუნდი, არ დაიძაბო. ახლა ქვემოთ ჩავალ, მაის დავხედავ. საწოლში ჰოუისთან ერთად არ წამასწროს.

– სასაცილო იქნება. – ვთქვი და ლოყებზე აღმური წამეკიდა. მეტად რომ გავნითლებულიყავი, აღბათ მართლა აღიამვარდებოდა.

– რომ დავბრუნდები, აღბათ, ისევ მზად იქნები. დევ, იცი, რა კარგია ოცდაერთი წლის რომ ხარ! აი ჩვიდმეტის რომ იყო, უკვე მზად იქნებოდი.

დაბრუნებულს ხელში ყინულიანი ვედრო და „კოკა-კოლას“ ორი ქილა ეჭირა. მაგრამ როცა ხალათი გაიძრო და ჩემ წინ

შიშველი დადგა, „კოკა-კოლას“ დარდი აღარ მქონდა. მეორე-ჯერ გაცილებით უკეთ გამომივიდა. მგონი, ოთხი წუთი გავქა-ჩე. ჩუმად კვნესოდა. გავათავე. მაგარი იყო.

ენის თავი ჩემს მხარზე ედო.

— კარგი იყო? — მკითხა.

— კარგი? ვერც ვიჯერებ, იმდენად კარგი იყო.

ლიმილი არ დამინახავს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ილიმოდა.

— ამდენი წლის მერე ამ საძინებელს ძილის გარდა სხვა რა-მისთვის გამოყენებაც ელირსა.

— მამაშენი აქ არ რჩება ხოლმე?

— არა. დიდი ხნით არა. მეც მხოლოდ მაიკის გამო და-ვიწყე აქ ჩამოსვლა. აქაურობა მაიკს უყვარს. ზოგჯერ თით-ქოს ვეგუები იმ აზრს, რომ კვდება, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ. ისე კი გავურბივარ. საკუთარ თავთან პირობებს ვდებ ხოლმე: „თუ „ჯოილენდში“ არ წავიყვან, არ მოკვდება. თუ მამაჩემს არ შევურიგდები და მისი ნახვის უფლებას არ მივცემ, მაიკი არ მოკვდება. თუ აქედან არ წავალთ, არ მოკვდება“. რამდენიმე კვირის წინ, როცა პალტო ჩავაცვი და სანაპიროზე ჩავიყვანე, ვიტირე. გაუკვირდა, რა ხდებაო, ვუთხარი ის მაქვს-მეთქი. ეგ იცის რაც არის. — წამოჯდა და ზენარი გადაიფარა. — სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ. მაიკის იქით... სიცარიელეა. ვინ თქვა, რომ ამერიკელების ცხოვრებაში მეორე აქტი არ არსებობს?

მისი ხელი ავიღე.

— მეორე აქტზე ნუ ფიქრობ, სანამ პირველი არ დამთავ-რებულა.

ხელი გაითავისუფლა და სახეზე მომეფერა.

– ახალგაზრდა ხარ, მაგრამ სულელი არა.

მესიამოვნა რაც მითხრა, მაგრამ თავს მაინც ბრიყვად ვგრძნობდი. უენდის გამოც, მაგრამ არა მხოლოდ. უცებ თავში ერინის საქალალდეში ჩანცობილი ფოტოები ამომიტივტივდა. მათში იყო რაღაც...

ისევ დაწვა. ზენარი ძუძუს თავებიდან გადაუსრიალდა. ოცდაერთი წლის რომ ვიყავი, ერთი მხრივ, მართლაც კარგი იყო.

– ტირი მაგარი იყო. უკვე დავიწყებული მქონდა, რა კარგია თვალისა და ხელის კოორდინაცია. ექვსი წლის ვიყავი, როცა მამამ პირველად თოფი დამაჭერინა ხელში.

– მართლა?

– ჰო. ეს გვქონდა საერთო. მაგრად გვაკავშირებდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეს გვაკავშირებდა. – იდაყვს დაეყრდნო და წამოიწია. – იმ რაღაც სისულელეს ჯოჯოხეთის კუპრისა და ცეცხლის შესახებ უხსოვარი დროიდან ყიდის, მე მგონი მოზარდობიდან, მაგრამ არა მარტო ფულის გამო. ბავშვობიდან მშობლები თავში უტენიდნენ ეკლესიურ რაღაცებს და ეჭვიც არ მეპარება, რომ რასაც ამბობს, ყველაფრის სჯერა. მაგრამ იცი რაშია საქმე? პირველ რიგში, სამხრეთელი კაცია და მხოლოდ მერე ქადაგი. შეკვეთით დამზადებული პიკაპი ჰყავს, რომელიც 50 ათასი დოლარი ღირს, მაგრამ პიკაპი მაინც პიკაპია. დღემდე ჭამს ბისკვიტებს „შოუნისში“. უყვარს სიმღერები ლალატსა და ბორდელებზე. და კიდევ თოფები უყვარს. მკიდია, იესოს როგორ ხატებას აწვდის ხალხს, არც მაგისი პიკაპი მაინტერესებს, აი თოფები კი... მათი სიყვარული მემკვიდრეობით გადმომცა. გავისვრი და თავს უკეთ ვგრძნობ. ხო მაგარი მემკვიდრეობაა?

არაფერი მითქვამს. წამოვდექი და „კოკა-კოლა“ გავხსენი. ერთი მას გავუნიდე.

– სავანაში, თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ორ-მოცდაათამდე თოფი აქვს. ბევრი ძალიან ძვირადლირებულია, ანტიკვარული. ერთი ექვსი თოფიც ამ სახლში აქვს, სეიფში უდევს. ორი თოფი მეც მაქვს, ჩემს სახლში, ჩიკაგოში, მაგრამ დღეს ორი წლის განმავლობაში პირველად გავისროლე. მაიკი თუ მოკვდება... – ქილა ისე მიიდო შუბლზე, თითქოს ტკივილს იამებდა. – როცა მაიკი მოკვდება, პირველ რიგში მათ მოვიცილებ თავიდან. შეიძლება, მაცდუნონ.

– მაიკი არ მოიწონებდა...

– არა, ცხადია, მაგრამ მხოლოდ მაიკის გამო არ ვამბობ. ნეტავ, მამასავით მეც მჯეროდეს, რომ როცა მოვკვდები, საიქიოს კართან გასხივოსნებული მაიკი დამხვდება. მაგრამ ვაი, რომ არ მჯერა. ღმერთის და სამოთხის არსებობის მხოლოდ ოთხი წლით მეტ ხანს მჯეროდა, ვიდრე ფერიისა. მგონია, რომ სიკვდილის მერე მხოლოდ სიბნელეა. აღარც ფიქრი არსებობს, არც მოგონება, არც სიყვარული. მხოლოდ სიბნელე. დავიწყება. ამიტომ მიჭირს მაიკის მდგომარეობასთან შეგუება ასე ძალიან.

– მაიკმა იცის, რომ დავიწყების გარდა სხვა რამეც არსებობს.

– რა იცის? საიდან იცის? რატომ გგონია, რომ იცის?

იმიტომ, რომის გოგოიქიყო. მაიკმა დაინახა. ისიც დაინახა, როგორ ნავიდა იგი. მან მაიკს მადლობა გადაუხადა. მე ლენტი დავინახე, მაიკმა კი ის გოგო ნახა.

– მას ჰერიტე და გეტყვის.

ენიმ „კოკა-კოლა“ გვერდზე გადადო და გამომცდელად შემომხედა. ოდნავ იღიმოდა, თითქმის შეუმჩნევლად.

– არა მგონია, მესამედაც გინდოდეს.

ქილა მეც ძირს, საწოლის გვერდით დავდგი.

– კაცმა რომ თქვას...

მკლავები გაშალა.

პირველ ჯერზე შევრცხვი... მეორეჯერ კარგი იყო. მესამე კი, მესამე სრული ნეტარება გამოდგა.

სანამ ენი იცვამდა, მისაღებ ოთახში ვიჯექი. ქვემოთ ჩამოსულს იგივე ჯინსი და სვიტერი ეცვა. ის ცისფერი ლიფი გამახსენდა, მისი სვიტერი რომ მალავდა, და ისევ ამიდგა.

- აბა როგორ ვართ? – იკითხა.
- კარგად, მაგრამ უკეთესადაც შეიძლება.
- უკეთესად მეც მინდა, მაგრამ ახლა მეტი არაფერი გამოვა. თუ შენც ისევე მოგწონვარ როგორც მე, მგონი, დამე-თანხმები.
- ასეა.
- ძალიან კარგი.
- შენ და მაიკი აქ კიდევ რამდენ ხანს დარჩებით?
- თუ დღეს ქარმა არ წაგვიღო...
- ნუ გეშინია, არ წაგვიღებს.
- კიდევ ერთი კვირა. მაიკს ჩიკაგოში კომპლექსური გამოკვლევები უნდა ჩაუტარონ, 17-ში ვართ დაბარებულები. მინდა, ცოტა ადრე ჩავიდე. – ღრმად ჩაისუნთქა. – მინდა, ბაბუამისს დაველაპარაკო. რაღაც პირობები უნდა წავუყენო. არავითარი იესო, ეგ გამორიცხულია.
- წასვლამდე ხომ კიდევ გნახავ?
- კი. – ხელები კისერზე მომხვია და მაკოცა. მერე უკან დაიხია. – მაგრამ არა ისე, როგორც დღეს. ასე რომ გაგრძელდეს, ყველაფერი დაიხლართება. ალბათ, ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– დევ, ახლა აჯობებს წახვიდე. დიდი მადლობა. შესანიშნავი იყო. საუკეთესო ატრაქციონი ბოლოსთვის მოვიტოვეთ.

მართალი იყო.

– ნეტა, მეტის გაკეთება შემეძლოს. შენთვის, მაიკისთვის.

– მეც მინდა, მაგრამ სამყარო ასე არ არის მოწყობილი.

ხვალ ვახშმად შემოგვიარე, თუ საშინელი ქარიშხალი არ ამოვარდა. მაიკს შენი ნახვა გაუხარდება.

ძალიან ლამაზი იყო – ჯინსი ეცვა და ფეხშიშველი იდგა. უცებ ძალიან მომინდა, მივსულიყავი, ხელში ამეყვანა და სადმე უპრობლემო მომავლისკენ გამექანებინა.

მაგრამ იქ დავტოვე, სადაც იყო. სამყარო ასე არ არის მოწყობილი.

მართალი იყო.

ქალაქიდან ასი იარდის მოშორებით, გზის გადაღმა მაღაზიები იყო ჩამწერივებული, სავაჭრო ცენტრს ეძახდნენ, მაგრამ ამ სახელისთვის მეტისმეტად პატარა იყო. აქ სასურსათო მაღაზიასაც ნახავდით, სილამაზის სალონსაც, აფთიაქსაც, ბანკის ფილიალსაც და რესტორანსაც. როცა ჰევენს-ბეისკენ ან მისის შოთლოუს პანსიონისკენ მივდიოდი, ამ შენობებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. იმის მტკიცებულებად, რომ მე არ მქონდა ნიჭი, რომელსაც მაიკ როსი და როზი გოლდი ფლობდნენ, ეს ფაქტიც გამოდგება.

ადრე დაწექიო, მითხრა ფრედ დინმა. ასეც მოვიქეცი. ვინექი და ისე, როგორც მთელი ზაფხულის განმავლობაში, თავ-ქვეშ ხელებამოდებული ტალღების ხმაურს ვუსმენდი. ვინექი და მისი ხელების შეხება, მკერდის სიმკვრივე და კოცნის გემო მაგონდებოდა. ძირითადად კი, მის თვალებსა და ბალიშზე გაშლილ თმაზე ვფიქრობდი. ისე არ მიყვარდა, როგორც უენდი – ასეთი ძლიერი და სულელური სიყვარული ცხოვრებაში ერთხელ მოდის – მაგრამ მაინც მიყვარდა. მაშინაც მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ძირითადად მისი სიკეთის და მოთმინების უნარის გამო. ალბათ არიან ყმაწვილკაცები, რომელთა პირველი სექსუალური თავგადასავალი უფრო საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ ასეთი ტკბილი არ იქნებოდა.

ბოლოს ჩამეძინა.

სადღაც ქვემოთ დარაბა გაბრახუნდა. გამეღვიძა. ტუმბოდან ჯიბის საათი ავიღე და დავხედე – პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა. მივხვდი, რომ იმ რახარუხში ალარ დამეძინებოდა. ავდექი, ჩავიცვი და კარისკენ წავედი, მაგრამ უკან მოჭრიალდი და კარადიდან საწვიმარი გამოვიღე. როცა ქვემოთ ჩავედი, წამით შევყოვნდი. მისაღების გვერდით, საძინებელში ხერხს ამუშავებდნენ – მისის შოფლოუ ხვრინავდა. დარაბების ჯახაჯუხი ძილს ვერ უფრთხობდა.

როგორც აღმოჩნდა, საწვიმარი ჯერ არ მჭირდებოდა, არ წვიმდა. სამაგიეროდ, ძლიერი ქარი ქროდა. უკვე 25 მილის სიჩქარით უბერავდა. ტალღები ლრიალით ენარცხებოდნენ ნაპირს.

ისიც გავიფიქრე, ეგებ მეტეოროლოგები „გილდას“ შეფასებაში შეცდნენ-მეთქი. მერე უცებ სანაპიროსთან მდებარე სახლი და ენი და მაიკი გამახსენდნენ. გული შემეკუმშა.

ლიად დარჩენილი დარაბა ვიპოვე და დავამაგრე. მერე უკან ავბრუნდი, გავიხადე და დავწექი, მაგრამ ვეღარ დავიძინე. დარაბა აღარ ბრახუნობდა, სამაგიეროდ, ქარი სახურავს ოხვრით ეხეთქებოდა (ყოველ დაბერვაზე თითქოს ჩუმი შეკივლება ისმოდა). ტვინი ჩამერთო და გამალებით ამუშავდა.

ის თეთრი არ არის. – გამახსენდა მაიკის ნათქვამი. ნათქვამი არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ უნდა ეთქვა. ამ დილით პარკში ნანახთან რაღაც კავშირი ჰქონდა.

თავზე ჩრდილი გადგას, ყმანვილო. – მითხვა როზი გოლდმა გაცნობის დღეს. უცებ ძალიან მომინდა გამეგო, რამდენი ხანი იყო, რაც როზი „ჯოილენდში“ მუშაობდა ან სად მუშაობდა „ჯოილენდში“ მოსვლამდე. იყო იგი კარნი კარნთაგანი?

ამ პავშეებიდან ერთ-ერთს ნიჭი აქვს, მაგრამ რომელს, ვერ ვხედავ.

სამაგიეროდ, მე ვხედავდი. ლინდა გრეი მაიკმა დაინახა. და გაათავისუფლა. კარი აჩვენა. კარი, რომელსაც იგი თავად ამაოდ ეძებდა. აბა, მადლობას სხვა რის გამო გადაუხდიდა?

თვალები დავხუჭე და ტირთან მდგომი, კოსტუმსა და ცილინდრში გამოწყობილი ფრედი დამიდგა თვალწინ. მერე ლეინი წარმოვიდგინე, როგორ გამოიწოდა ის 22 კალიბრიანი, ჯაჭვზე დამაგრებული თოფი.

ენი: რამდენი გასროლაა?

ფრედი: თითო მჭიდში ათი ტყვიაა. რამდენიც გენებოთ, მემ. დღეს თქვენი დღეა.

უცებ თვალები ამეხილა. ჩემს ტვინს რამდენიმე აზრი ერთდროულად მოაწყება. წამოვჯექი, ქარის ლრიალს და ტალღე-

ბის ხმაურს ყური მივუგდე. მერე შუქი ავანთე და საწერი მაგიდის უჯრიდან ერინის საქალალდე ამოვიღე. ფოტოები იატაკზე დავალაგე, გული გამალებით მიცემდა. განათება არ ვარგოდა. ჩავიცვი, სურათები საქალალდეში შევყარე და ქვემოთ ჩავედი.

მისალებში, „ერუდიტის“ სათამაშო მაგიდის თავზე, სანათი ეკიდა. აქ გატარებული მრავალი სალამოს წყალობით ვიცოდი, რომ განათება კარგი იყო. მისალებ ოთახსა და ჰოლს, რომელიც მისის შოთლოუს აპარტამენტებში გადიოდა, გასაწევი კარი ჰყოფდა. კარი დავხურე, რათა მისის შოთლოუ შუქს არ შეეწყობინა. სანათი ავანთე, „ერუდიტის“ დაფა ტელევიზორის თავზე გადავდე და ფოტოები ამოვალაგე. იმდენად აღელვებული ვიყავი, დამჯდარი ვერ ვისვენებდი. მაგიდასთან დავიხარე. სურათებს ხან ერთი თანმიმდევრობით ვაწყობდი, ხან მეორეთი. უკვე მესამედ უნდა გადამეწყო, რომ ხელი ჰაერში გამიშეშდა. დავინახე. ის კაცი დავინახე. სასამართლოში მტკიცებულებად არ გამოდგებოდა, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისი იყო. მუხლები მომეკვეთა და დავჯექი.

უცებ ტელეფონმა დარეკა. იმ ქარიან ღამეში მისი ზარის ხმა კივილივით გაისმა. ერთი ნახტომით მივვარდი, რათა კიდევ ერთხელ არ დაეწერიალა.

— აა... — მეტის თქმა ვეღარ მოვახერხე, გული ისე მიცემდა.

— შენ ხარ? — იკითხა ხმამ. სასიამოვნოდ გაკვირვებული ჩანდა. — მეგონა, შენი ბინის მეპატრონე აიღებდა ყურმილს. ამბავიც კი შევთხზე საგანგებოდ.

მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ კრინტი ვერ დავძარი.

— დევინ? — თითქოს მაჯავრებდა. ხალისიანი ხმა ჰქონდა.
— მისმენ?

— მე... ერთი წამით.

ყურმილი მკერდზე მივიდე (საკვირველია, რა სწრაფად მუშაობს ტვინი სტრესულ მდგომარეობაში). უცებ შემეშინდა, ჩემი გულის ბაგაბუგი არ გაიგონოს-მეთქი. მისის შოფლოუს ხმა მესმოდა – გაბმული ხვრინვის ხმა. კიდევ კარგი, მისაღების კარი დავხურე და მთლად უკეთესი, რომ მის საძინებელში პარალელური ტელეფონი არ იდგა. ყურმილი ისევ ყურზე მივიდე:

– რა გინდა? რატომ მირეკავ?

– მე მგონი, ხვდები, დევინ... და თუ ვერ ხვდები, ახლა უკვე ყველაფერი ძალიან გვიანია.

– შენც ტელეპათი ხარ? – უადგილო და სულელური კითხვა იყო. ტვინი და პირი სხვადასხვა ტალღაზე მუშაობდა.

– არა, ტელეპათი როზია... ჩვენი „მადამ ფორტუნა“. – თქვა და გულიანად გაიცინა. თითქოს არაფერი ანალვლებდა, მაგრამ არ მგონია, ეგრე ყოფილიყოს. როცა მშვიდად არიან, მკვლელები შუალამისას არ რეკავენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ისიც კი არ იციან, ვინ უპასუხებს ტელეფონს. – ვიცოდი, რაც გაინტერესებდა. მანამდეც ვიცოდი, სანამ ის გოგო საქალალდეს მოგიტანდა. დღეს კი... ლამაზ დედიკოსთან და იმ ხეიბარ ბავშვთან ერთად... მათ უთხარი რამე, დევინ? ამოცანის ამოხსნაში ისინი ხომ არ დაგეხმარნენ?

– მათ არაფერი იციან.

ქარმა ისევ დაუბერა. ქარის ხმა ხაზის მეორე ბოლოდანაც მესმოდა... თითქოს სადღაც გარეთ იყო და იქიდან რეკავდა.

– ნეტავ, მჯეროდეს შენი.

– შეგიძლია დამიჯერო. – ვთქვი და ფოტოებს დავხედე, სვირინგიან კაცს ხელი ლინდა გრეის ტაკოზე ედო. სვირინგიანი კაცი მას თოფის დამიზნებას ასწავლიდა.

ლეინი: მოდი, ვნახოთ, რას იზამს „ენი ოუკლის“ საუკეთესო ენი.

სვირინგიანი კაცი კეპსა და შევ სათვალეში. ქერა წვერით. ამ სურათებზე ფრინველის სვირინგი იმიტომ უჩანდა, რომ „საშინელებათა სახლში“ შესვლამდე ტყავის ხელთათმანები ჯიბეში ედო. სანამ ლინდას სიბნელეში შეიყვანდა, ისინი იქ ედო.

— იცი, რა მაინტერესებს, დევინ? დღეს იმ დიდ სახლში კარგა ხანს დარჩი. იმ ფოტოებზე ელაპარაკებოდი, კუკმა რომ ჩამოგიტანა თუ ტყნავდი? ეგებ ორივეს აკეთებდი? ისე კარგი ვინმე კია.

— იმათ არაფერი იციან. — გავუმეორე. ხმადაბლა ვლაპარაკობდი და თან დახურულ კარს თვალს არ ვაცილებდი. ყოველ წუთს ველოდი, რომ კარი გაიღებოდა და ლამის პერანგში გამოწყობილი, თეთრი კრემით სახეგათხუპნული მისის შოთლოუ მოჩვენებასავით შემოაბიჯებდა.

— ჯერ არა. უბრალოდ, დროის ამბავია. გაფრენილ სიტყვას რომ ვერ დააბრუნებ, ეგეც ხომ იცი?

— კი, როგორ არა. — სასწრაფოდ დავეთანხმე. რომ ეთქვა, ბობი რაიდელი („ჯოილენდის“ ერთ-ერთი მუსიკოსი) პრეზიდენტიაო, იმაზეც თავს დავუქნევდი.

— აი, რა უნდა ქნა. სასწრაფოდ „ჯოილენდში“ უნდა მოხვიდე. იქ დავილაპარაკოთ, პირისპირ, კაცურად.

— და რატომ? რისთვის უნდა მოვიდე? მითუმეტეს, თუ ის ხარ, ვინც მე მგონიხარ...

— ხომ იცი, რომ ის ვარ. — ისეთი ხმით მითხრა, აშკარად მოთმინება დაკარგა. — ისიც ვიცი, პოლიციაში, რომ განაცხადო, გაარკვევენ — „ჯოილენდში“ მუშაობა ლინდა გრეის მკვლელობიდან ერთი თვის თავზე დავიწყე. მერე უელმანის შოუსთანაც დამაკავშირებენ და ატყდება ერთი ამბავი.

— მაშინ პირდაპირ დავურეკავ, კარგი?

— და შენ იცი, სად ვარ? — ხმაში სიბრაზე შეეპარა. — იცი, სად ვარ ახლა, შე პატარა, არამკითხე ნაბიჭვარო?

— ალბათ „ჯოილენდში“. ადმინისტრაციის შენობაში.

— სავაჭრო ცენტრში ვარ. იქ, სადაც მდიდარი ძუკნები ცხოველების საკვებს ყიდულობენ. შენი ქალისნაირი მდიდარი ძუკნები. — სიცივემ დამიარა. კისრიდან ხერხემალს ჩაჰუდა და კუდუსუნთან გაჩერდა. ხმა ვერ ამოვიღე. — აფთიაქის გვერდზე ფასიანი ავტომატია. ჯიხური არ არის, მაგრამ არა უშავს, ჯერ არ წვიმს. მარტო ქარი ქრის. აი იქ ვარ. აქედან შენი შეყვარებულის სახლს მშვენივრად ვხედავ. სამზარეულოში სინათლე უნთია — ალბათ მთელ ღამეს ანთებულს ტოვებს ხოლმე — სხვაგან ყველგან ბნელა. ახლა ტელეფონს დავკიდებ და ერთ ნუთში იქ გავჩნდები.

— სიგნალიზაცია აქვთ. — დარწმუნებული არ ვიყავი, ჰქონდათ თუ არა.

გაიცინა.

— შენ როგორ გგონია, სიგნალიზაცია შემაჩირებს? ეგ მაგის ყელის გამოჭრაში ხელს ვერ შემიშლის. მაგრამ ჯერ ვაყურებინებ, როგორ გამოვჭრი ყელს მაგის მახინჯ შვილს.

„მაგრამ ხომ ვერ გააუპატიურებ? — გავიფიქრე. — დრო რომც გქონდეს, მაინც ვერ გააუპატიურებ“. კინალამ ხმამაღლა ვთქვი, თუმცა თავი დროზე შევიკავე. შეშინებული ვიყავი, მაგრამ იმდენს ვაზროვნებდი, რომ არ შემეგულიანებინა.

— დღეს ისე კარგად მოექეცით... — ჩავილაპარაკე. — ყვავილები, პრიზები, ატრაქციონები...

— ჰო, ყველაფერი, რასაც ყურცევიტებს ვთავაზობთ ხოლმე. ახლა იმ ვაგონზე მითხარი, თავისით რომ ამოძრავდა. რატომ ამოძრავდა? რა მოხდა?

— არ ვიცი.

— მე კი მგონია, რომ იცი. არა უშავს, მაგაზე „ჯოილენდში“ ვილაპარაკოთ. შენს „ფორდს“ კარგად ვიცნობ, ჯონსი. მარცხენა ფარი უციმციმებს. თუ არ გინდა, რომ იმ სახლში წავიდე და ორივეს ყელი გამოვჭრა, ახლავე ჩაჯექი მანქანაში და „ჯოილენდისკენ“ წამოდი.

— მე...

— მოკეტე და მისმინე! სავაჭრო ცენტრს რომ ჩაუვლი და-მინახავ, ერთ-ერთ სატვირთოსთან ვიდგები. ტელეფონს რომ დავკიდებ, იმ წამიდან ოთხ წუთში აქ უნდა გაჩნდე. თუ არ მოხვალ, იმ ქალს და ბავშვს მოვკლავ. გაიგე?

— მე...

— გაიგე?

— კი.

— პარკამდე მე გამოგყვები. ჭიშკარზე არ ინერვიულო, უკვე ღიაა.

— ანუ, უნდა ავირჩიო — ან მე მომკლავ ან იმათ, არა?

— მოგკლავ? არა, დევინ, არ მოგკლავ, ეგ ჩემს საქმეს უფრო გაართულებს. აქედან უნდა ავახვიო. არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი. შენთან დალაპარაკება მინდა. მაინტერესებს, ჩემზე როგორ გამოხვედი.

— მაგას ტელეფონზეც გეტყოდი.

გაიცინა.

— მაშინ აღარ გექნება შანსი, დამამარცხო და კიდევ ერთხელ გახდე გმირი ჰოუი. ჯერ ის პატარა გოგო, მერე ედი პარკსი, ახლა ის მაგარი დედიკო და მისი მახინჯი შვილი. რა შთამბეჭდავი კულმინაცია იქნება! ამის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლება! — სიცილი მოსხიპა. — ოთხი წუთი და მორჩა.

— მე...

ყურმილი დაკიდა. ფოტოებს დავაცქერდი. მერე „ერუდიტის“ მაგიდის უჯრა გამოვალე, ბლოკნოტი ამოვილე და იმ ფანქრის ძებნა დავიწყე, რომლითაც, ტინა ეკერლის მოთხოვნით, ერუდიტის ქულებს ვიწერდით ხოლმე. აი რა დავნერე: მისის შ. თუ თქვენ ამ წერილს კითხულობთ, ე. ი. მე რაღაც მომივიდა. ვიცი, ვინც მოკლა ლინდა გრეი და სხვებიც.

მკვლელის სახელი დიდი ასოებით დავწერე.

მერე კარისკენ გავიქეცი.

ჩემი „ფორდის“ სტარტერმა გაიტკაცუნა, მაგრამ მანქანა არ დაიქოქა. თითქოს აცემინებსო, ფრუტუნებდა, მაგრამ არ იქმებოდა. მთელი ზაფხული ვამბობდი ჩემთვის, აკუმულატორი უნდა გამოვუცვალო-მეთქი, მაგრამ სამაგისო ფული არ მოჩებოდა.

გაზიდან ფეხი ავილე და გავშემდი. დრო კი არ მიდიოდა, მიფრინავდა. ჩემი გულის ერთი ნაწილი მეუბნებოდა, შებრუნდი და პოლიციაში დარეკეო. ენის ვერ დავურეკავდი, რადგან ნომერი არ მქონდა. მამამისის გამო კი ტელეფონის ნომერი ცნობარში შეტანილი არც იქნებოდა. იცოდა მან ეს? ალბათ, არა. ეს უტიფარი და თავხედი ნაბიჭვარი მინიმუმ სამ-ოთხჯერ უკვე დაჭერილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძალლის ბედი ჰქონდა.

ენი გაიგონებს, როგორ შეანგრევს კარს და ესვრის.

მაგრამ თოფები ხომ სეიფშია ჩაკეტილი. მან ხომ ასე თქვა. ასეც რომ არ ყოფილიყო და თოფი გვერდითაც რომ ჰქონდა, სანამ ენი გასროლას მოასწრებდა, ის ნაბიჭვარი ბიჭს სამართებლით ყელს გამოღადრავდა.

გასაღები ერთხელ კიდევ გადავატრიალე. „ფორდი“ დაიქოქა. ეზოდან გავედი და „ჯოილენდისკენ“ ავილე გეზი. სწრაფად მცურავი ლრუბლების ფონზე „ბორბლის“ ნითელი და „სანდერბოლის“ ლურჯი ნეონის ნათურები ციმციმებდა. ქარიან ღამეში ორივე ატრაქციონი განათებული იყო ხოლმე, რათა გემებისთვის მიეცათ სიგნალი და პერიშის აეროპორტში დასაჯდომად გამზადებული თვითმფრინავებისთვის ენიშნებინათ.

სანაპიროზე არავინ იყო. ქარს ყოველ წამობერვაზე ქვიშა მოჰქონდა. ზოგჯერ ისე ძლიერად დაუბერავდა ხოლმე, რომ მანქანა ზანზარებდა. როცა სავაჭრო ცენტრს ჩავუარე, ერთადერთი სულიერი დავინახე. მანქანასთან იდგა. ხელი ასწია და მედიდურად დამიქნია.

ვიქტორიანული სახლის სამზარეულოში სინათლე მართლაც ენთო. უცებ გამახსენდა, როგორ შემოვიდა სამზარეულოში ენი თავისი სვიტერით ხელში. გამახსენდა მისი გარუჯული მუცელი. გინდა, ზევით ავიდეთ?

სარკეში ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა მისი მანქანის აბდლვრიალებული ფარები. შორი განათების ფარები ჰქონდა ჩართული და სხვას ვერაფერს ვხედავდი. არც მჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ტექნიკური სამსახურის მანქანა იყო და ისიც ვიცოდი, რომ მომატყუა, როცა მითხრა, შენ მოკვლას არ ვაპირებო. ის წერილი კი, რომელიც მისის შოთლოუს დავუტოვე, ხვალ დილითაც იქ იქნებოდა. იმ წერილსაც წაიკითხავდა და მის სახელსაც. საქმე ის იყო, დაიჯერებდა თუ არა და რამდენ ხანში დაიჯერებდა. ის ხომ ისეთი თავაზიანი იყო, ისე ხალისიანად ლაყბობდა, მომაჯადოებელი ლიმილი ჰქონდა და გვერდზე მოქცეული ქვაბურა ქუდი ეხურა.

ქალებს ლეიინ ჰარდი უყვარდათ.

ჭიშკარი მართლაც ლია დამხვდა. შევედი და მანქანის გა-
ჩერება დაკეტილ ტირთან ვცადე. სიგნალი მომცა და ფარე-
ბი ამინთო: წინ წადი. „ბორბალს“ მივუახლოვდი. ფარები ისევ
ამინთო. „ფორდის“ ძრავა გამოვრთე და მივხვდი, რომ შეიძლე-
ბოდა, ვეღარასოდეს დამექოქა. ამწეს წითელი ნეონის შუქში
ტორპედო, სავარძლები და ჩემი კანიც კი სისხლისფერი იყო.

მისი მანქანის ფარები ჩაქრა. გავიგონე, როგორ გაიღო და
დაიხურა კარი. მესმოდა, როგორ ეხეთქებოდა ქარი „ბორბლის“
ბიჯგებს – იმ ლამეს ეს ხმა ჰარპიას გააფთრებულ კივილს ჰგავდა.

ლინდა გრეის, დიდი მოუბრის, კლაუდინ შარპისა და დარ-
ლინ სტამნაგარის მკვლელი ჩემს მანქანასთან მოვიდა და იარა-
ლის ლულა მინაზე მომიკაკუნა. მეორე ხელით თავისთან მიხმო.
კარი გავაღე და გადმოვედი.

– ხომ მითხარი, არ მოგკლავო. – ჩავილაპრაკე. ჩემი ხმა
ჩემი ფეხებივით უმწეო იყო.

ლეინმა თავისი მომხიბვლელი ლიმილი შემომაგება.

– ვნახოთ. გამოჩნდება, რომელი გზით უნდა წავიდეთ.

ქვაბურა მაგრად ჩამოემხო, ქარს რომ არ გაეტაცა. თმა
გაშლილი ჰქონდა და ქარის ყოველ წამობერვაზე უფრიალებდა.
ქარმა დაუბერა და „ბორბალმა“ საშინლად გაიჭრაჭუნა. ნეონის
წითელმა შუქმა სახე გაუნათა.

– ამწის ნუ გეშინია. ბიჯგები რომ არ ჰქონდეს, მაშინ ქარი
მოგლევდა, მაგრამ ქარი ბიჯგებს ეჯახება და მხოლოდ არ-
ხევს. ახლა სხვა რამ გაქვს სანერვიულო. მითხარი, რა მოუ-
ვიდა იმ ვაგონს. ეგ მაინტერესებს. როგორ გამოგივიდა? რამე
დისტანციური ხელსაწყოთი მართავდი? ეგეთი რამეები მაგრად
მაინტერესებს. მომავალი ეგეთი ხელსაწყოებისაა. ყოველ შემ-
თხვევაში, მე ასე მგონია.

- არანაირი ხელსაწყო არ მქონია.
- მგონი, ვერ გაიგო რა ვუთხარი.
- და რატომ გააკეთეთ? ჩემი შეშინება გინდოდათ? თუ ეგ გინდოდათ, ტყუილად გაისარჯეთ.
- ეს მანთავად შეძლო. ლინდა გრეიმ შეძლო. ვერ დაინახე?

ლიმილი სადღაც გაუქრა.

- უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? რაღა დროს ეგაა? ძველი მოჩვენება „საშინელებათა სახლში“.

ესე იგი, არც მას დაუნახავს. მაგრამ, მგონი, იცოდა, რომ იქ რაღაც იყო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, იცოდა და იმიტომ შემოგვთავაზა, მაილოს მე მოვიყვანო. არ უნდოდა, რომ „საშინელებათა სახლს“ ახლოს გავკარებოდით.

- ნამდვილად იქ იყო, მისი ლენტი ვნახე. გახსოვს, ვაგონში რომ ჩავიხედე? სავარძლის ქვემოთ ეგდო.

ისე უცებ მომვარდა, ხელის აფარებაც ვერ მოვასწარი. ლულა ჩამარტყა და შუბლი გამიხეთქა. ნახეთქიდან სისხლი წამსკდა და თვალებში ჩამივიდა. ველარაფერს ვხედავდი. წავბორძიკდი და რომ არ წავქცეულიყავი, უკან დავიხიე, პანდუსის მოაჯირს ხელი ჩავჭიდე. სახე საწვიმრის სახელოთი მოვიწმინდე.

- ამ შუაღამისას რა ზღაპრებს მიყვები. ვითომ მაშინებ? ეგ ლენტი იმ შენი ჩათლახი მეგობრის მოტანილ სურათზე ნახე. - გაიღიმა. მაგრამ ეს აღარ იყო ლეინის მომხიბვლელი ლიმილი. მარტო კბილები გამოაჩინა. - ლანირაკო, ეგეთები არ გაგივა.

- მაგრამ ის საქაღალდე შენ ხომ არ გინახავს. ფრედმა ნახა. იმან გითხრა? - ჩემს ტვინს კიდევ ჰქონდა ფიქრისა და განსჯის უნარი.

- ჰო, ორშაბათს. მასთან ვისხედით კაბინეტში და ვჭამდით. მაშინ მითხრა. მაგრამ ცოტა სხვანაირად მითხრა. ლადაობდა.

მე კი არ მეღადავებოდა. მე ხომ თავად ვნახე, როგორ გააძრე ედი პარკსს ხელთათმანები. მაშინვე მივხვდი, რომ შენს ჭკუაში დეტექტივობანას თამაშობდი... ის საქალალდე კი... ფრედმა მითხრა, ჩანაწერების მთელი დასტა მოუტანაო. მივხვდი, დრო გჭირდებოდა და იმასაც დაადგენდი, რომ უელმანთან ვმუშაობდი.

სამართებელმომარჯვებული ლეინ ჰარდი წარდი წარმოვიდგინე.

— ერინმა არაფერი იცის.

— რა გგონია, იმას გავეკიდები? ცოტა ტვინი გაანძრიე და ძალა მოიკრიბე. სასეირნოდ მივდივართ! იქ, სადაც არის ჰაერი სულ სხვანაირი.

მინდოდა მეკითხა, ხომ არ გაგიუდი-მეთქი, მაგრამ სისულელე იქნებოდა და გავჩერდი.

— რა გაცინებს, ჯონსი?

— არაფერი. შენ რა, ამ ამინდში მართლა იქ აპირებ ასვლას? — მაგრამ „ბორბლის“ ძრავა უკვე ჩართული იყო. აქამდე არ შემიმჩნევია. აქამდე მის ხმას ქარის ბლავილი და ტალღების გრგვინვა ახშობდა, ახლა კი ყური მივუგდე და გავიგონე: მონოტონურად რახრახებდა. გეგონებოდათ, კრუტუნებსო. კიდევ ერთ რაღაცას მივხვდი — როცა მე მომკლავდა, ალბათ თვითონაც ტყვიას დაიხლიდა შუბლში. ამას უფრო ადრეც უნდა მივმხვდარიყავი — გიუებს ამგვარი რამეები ახასიათებთ. უნდა მივმხვდარიყავი, მაგრამ დაზაფრული ვიყავი.

— „ბებერი კაროლინა“ საშიში არ არის. ქარი 60 მილის სიჩქარითაც რომ უბერავდეს, მაინც შეიძლება დაჯდომა.

— როგორ აამუშავებ, თუ ორივე ერთდროულად ჩავსხდებით?

— ჩაჯექი და ნახავ. ან... — იარაღი ასწია. — შემიძლია აქაც გაგათავო.

პანდუსზე ავედი, კაბინის კარი გავალე და შესვლა დავა-
პირე.

— არა, არა. შენ კიდესთან დაჯდები. იქიდან უკეთესი ხე-
ლია.

ლეინი პირველი შევიდა კაბინაში. ლულა ჩემკენ ჰქონდა
მოშვერილი. სისხლი კვლავაც ღვარად მდიოდა, მაგრამ საწ-
ვიმრიდან ხელის ამოღებას ვერ ვძედავდი. ვხედავდი, როგორ
გადათეთრებოდა თითები, რომლითაც იარაღი ეჭირა. კაბინის
სილრმეში შევიდა და დაჯდა.

— შემოდი.

სხვა რა გზა მქონდა?

— კარი დახურე. კარი იმიტომ აქვს, რომ დახურო.

დავხურე. ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში კი რაღაც
ხელსაწყო. მოკლე და მსხვილი ანტენა ჰქონდა.

— ხომ გითხარი, ხელსაწყოები და მოწყობილობები მიყ-
ვარს-მეთქი. ეს ჩვენი გარაუისაა, ცოტათი გადავაკეთე. რა-
დიოსიგნალებს გზავნის. მისტერ ისტერბრუკსაც ვაჩვენე და
ვუთხარი, დისტანციურად მართვისთვის ჩინებული რამ არის-
მეთქი. გამოგვადგება; როცა პულტან შემცვლელი ახალბედა
ან მეგაზონე არ გვეყოლება-მეთქი. მითხრა, მაგის გამოყენე-
ბა შტატის მარეგულირებელი კომისიის ნებართვის გარეშე არ
შეიძლება. ეგ ბებერი ნაბიჭვარი ძალიან ფრთხილია. დაპა-
ტენტებას ვაპირებდი, მაგრამ დამაგვიანდა. გამომართვი.

გარაუის კარის გამღები პულტი იყო. მამაჩემსაც ასეთი
ჰქონდა.

— ხედავ ამ ღილაკს, ზემოთ მიმართული ისარი რომ ახა-
ტია?

— კი.

— დააწერი.

ღილაკს ცერი დავადე, მაგრამ არ დავაწექი. ქვემოთაც ძლიერი ქარი უბერავდა და ზემოთ რაღა იქნებოდა? მივფრინავთ. – დაიყვირა წინა დღეს მაიკმა.

– ჯონსი, ან დააჭირე, ან მუხლს გაგიხვრიტავ!

ღილაკს თითო დავაჭირე. დავიძარით.

– ახლა მოისროლე!

– რაა?

– გადააგდე! სამამდე ვითვლი. ერთი... ორი...

პულტი მოვისროლე. ბორბალი სულ უფრო ზევით მიიწევდა. მარჯვნივ ჩანდა, როგორ ენარცხებოდა აქაფებული ტალღები ნაპირს. მარცხნივ კი ხმელეთი იყო – ბნელი და მდუმარე. სანაპიროზე მანქანის ერთი ფარიც კი არ ანათებდა. ქარი ბდლვინავდა. სისხლით გაწეპილი თმა შუბლიდან უკან მეყრებოდა. კაბინა ღრჯიალებდა. ლეინი ჯერ წინ გადაქანდა, მერე უკან, კაბინა მეტად აქანავდა... მაგრამ ჩემკენ მომართული იარაღი არც შერხეულა. ლულაზე ნეონის წითელი შუქები ლიცლიცებდნენ.

ლეინმა დაიყვირა:

– დღეს „კაროლინა“ პენსიონერების ატრაქციონს აღარ ჰეთვის, არა, ჯონსი?

ცხადია, აღარ ჰეთვის, არა ჯონსი. იმ ღამით დინჯი და დარბაისელი „კაროლინა“ შემაძრნუნებელ რამედ იქცა. როცა უმაღლეს ნერტილს მივაღწიეთ, ქარმა ბორბალი ისე მძლავრად შეაჯანჯლარა, რომ გავიგონე, როგორ მიენარცხა ჩვენი კაბინა ბორბლის დამჭერ ფოლადის ღეროს. ლეინს ქარმა ქვაბურა მოაძრო და სიბნელეში შთანთქა.

– შენი..! არა უშავს, სხვას ვიშოვი.

ლეინ, აქედან როგორ ჩავალთ? ტუჩები კითხვის დასასმელად მოვამზადე, მაგრამ ვერ გავბედე. შემეშინდა, რომ მეტ-

ყოდა, არასდროს ჩავალთო. თუ ქარი ბორბალს ღერძიდან არ მოგლეჯდა ან თუ ელექტროენერგია არ გაითიშებოდა, ჩვენ ამ ბორბალთან ერთად მანამ ვიპრუნებდით, სანამ დილით პარკში მოსულ ფრედს ორი გაყინული გვამი არ დახვდებოდა. ორი გვამი „ჯოილენდის“ ამწეზე. ამის გაფიქრებაზე ისეთი მოძრაობა გავაკეთე, ლეინი ფიქრს მიმიხვდა. გაელიმა.

— რა გინდა? იარაღს გინდა სტაცო ხელი? თვალებში გეტყობა.

ახლა ქვემოთ ვეშვებოდით, კაბინა კვლავ ირყეოდა, მაგრამ ისე ძლიერად აღარ.

— რამდენი მოკალი, ლეინ?

— შენი საქმე არ არის! იარაღი მე მაქვს, ესე იგი, კითხვებსაც მე ვსვამ. რამდენი ხანია რაც იცი? კარგა ხანია, არა? ყოველ შემთხვევაში, მას მერე, რაც იმ ძუკნამ ფოტოები დაგათვალიერებინა. უბრალოდ, არ აჩქარდი, ჯერ იმ ხეიბარი ბავშვის მოყვანა გინდოდა, არა? შეცდი, ჯონსი. მოტყუვდი.

— მხოლოდ ამ ლამით მივხვდი.

— ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, ჯონსი.

პანდუსს ჩავუარეთ და ისევ ზევით წავედით. გავიფიქრე: „ალბათ, მაშინ მესვრის, როცა ჩვენი კაბინა უმაღლეს წერტილს მიაღწევს. მერე ან თვითონ დაიხლის ტყვიას, ან მე გადმომაგდებს. მერე კი, როცა კაბინა პანდუსს გაუსწორდება, გადმოხტება. ეგებ გაუმართლოს და არც ფეხი მოიტეხოს, არც კისერი“. რატომლაც მეგონა, რომ ჯერ მე მომკლავდა, მერე თავს მოიკლავდა, მაგრამ მანამდე არა, სანამ ცნობის-მოყვარეობას ბოლომდე არ დაიკმაყოფილებდა.

— თუ გინდა, შტერი დამიძახე, მაგრამ მატყუარას ნუ მეძახი. იმ ფოტოებს დაუსრულებლად ვუყურებდი, რაღაც

მეცნობოდა, მაგრამ ზუსტად ვერ ვხვდებოდი რა. ბოლოს ძალა მივხვდი, რომ ქუდში იყო საქმე. იმ ფოტოებზე ბეისბოლის კეპი გახურავს და არა ქვაბურა. მაგრამ ერთ ფოტოზე კეპი ერთ გვერდზე გაქვს მოქცეული, მეორეში კი – მეორეზე. მერე სხვა სურათებსაც დავაკვირდი, უკანა ფონზე რომ ჩანხართ. იქაც იგივე დავინახე. განუწყვეტლივ ვაკვირდებოდი, ხან რომელს და ხან რომელს. ეგ ჩვევა გაქვს, ქუდს მუდმივად ატრიალებ, მაგრამ ალბათ თავადაც ვერ ამჩნევ, ამას რომ აკეთებ.

- სულ ეგ არის? ანუ გვერდზე მოქცეული ქუდი?
- არა.

ახლა უკვე მეორედ ვუახლოვდებოდით ბორბლის უმაღლეს წერტილს. განვიმდა. „სახიდან სისხლს მაინც ჩამომპანს“. – გავიფიქრე. როცა ლეიის შევხედე, მივხვდი, რომ წვიმა მხოლოდ მე არ მპანდა სისხლს.

– ერთხელ პარკში უქუდოდ გნახე და მივხვდი, რომ თმაში პირველი ჭალარა გაგრეოდა. – ვყვიროდი, ლამის ვლრიალებდი, რომ ქარის გუგუნსა და წვიმის ჩხრიალში მისთვის ხმა მიმენვდინა. – გუშინ დაგინახე, კისერი როგორ მოიწმინდე, მეგონა, ჭუჭყს იწმენდდი. როცა ქუდის საიდუმლო ამოვიცანი, მერე ფრინველის ყალბ სვირინგზეც დავფიქრდი. ერინმა შეამჩნია, რომ ოფლმა სვირინგი გაგიდლაბნა. ეტყობა, პოლიციას გამორჩა. – ბორბალი კვლავ მიწას უახლოვდებოდა. მეორე წრეც მთავრდებოდა. „ჯოილენდ ავენიუზე“ რაღაც დიდი – ალბათ მოგლეჯილი ბრეზენტის საფარი – მოფრინავდა. – ჭუჭყს კი არ იშორებდი, ჩამოსულ სალებავს იწმენდდი. სალებავიც ისევე ჩამოგდიოდა, როგორც სვირინგი. ახლაც ჩამოგდის. კისერზე გაქვს გადლაბნილი. მაშინ შენი ჭალარა კი არ შემინიშნავს, ეტყობა, შენი ქერა თმის ლერები დავინახე.

კისერი მოიწმინდა და ხელისგულზე შავ ლაქას დახედა. იმ მომენტში კინალამ ვეცი, მაგრამ უცებ იარაღი აღმართა. პირდაპირ შავ ლულაში ჩავიხედე. პატარა იყო, მაგრამ შემზარავი.

— ქერა ვიყავი. მაგრამ ახლა, რაც თმას შავად ვიღებავ, თითქმის სულ გავჭალარავდი. ძალიან დაძაბული ცხოვრება მაქვს გამოვლილი, ჯონსი. — სევდიანად გაიღიმა, თითქოს ისეთი რამ მითხრა, რასაც მხოლოდ ჩვენ ორნი მივხვდებოდით.

ისევ ზევით მივიწევდით. უცებ, სულ რაღაც ერთი წამით, გავიფიქრე, რომ ის რაღაც „ჯოილენდ ავენიუზე“ რომ შევნიშნე და მოფარფატე ბრეზენტად მივიჩნიე, შეიძლებოდა, მანქანა ყოფილიყო. სისულელე იყო, მაგრამ იმედი გამიჩნდა. წვიმა სახეში გვასხამდა. ქარი საწვიმარს მაძრობდა. ლეინს თმა დაგლეჯილ დროშასავით უფრიალებდა. იმედი მქონდა, რომ კიდევ ერთი ბრუნის განმავლობაში სასხლეტს არ გამოკრავდა. ეგებ ორი ბრუნიც გამექაჩა? გამორიცხული არ იყო, მაგრამ ნაკლებ სავარაუდო კი ჩანდა.

— როდესაც ლინდა გრეის მკვლელად წარმოგიდგინე, ლეინ — დამიჯერე, ამ აზრამდე მისვლა ადვილი არ იყო — მერე უფრო მეტი დავინახე ვიდრე სათვალე, ქუდი და წვერია. შენ დაგინახე. შენ აქ არ მუშაობდი...

— მაშინ ფლორენსში ვმუშაობდი, საწყობში. არიფების სამუშაო იყო, მეზიზღებოდა. — თქვა და ცხვირი შეჭმუხნა.

— ფლორენსში მუშაობდი, ლინდა გრეისაც იქ შეხვდი, მაგრამ ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე „ჯოილენდზეც“ ბევრი რამ იცოდი, არა? არ ვიცი, ხარ თუ არა კარნი კარნთაგანი, მაგრამ შოუები ნამდვილად გიტაცებს. როცა ლინდას გასეირნება შესთავაზე, უარი არ უთქვამს.

– მისი შეყვარებული ვიყავი, ოღონდ ვმალავდით. ვუთხარი, ეს ამბავი არავინ უნდა გაიგოს, რადგან შენზე ბევრად უფროსი ვარ-მეთქი. – გაელიმა. – დაიჯერა. წარმოდგენა არ გაქვს, რა ადვილად იჯერებენ ახალგაზრდა გოგოები.

– ჰევენს-ბეიში ჩამოიყვანე. ერთი ღამე მოტელში გაატარეთ. მერე „ჯოილენდში“ მოიყვანე და აქ მოკალი, თუმცა, იცოდი, რომ აქ „სპიდ-გრაფიკებით“ შეიარაღებული ჰოლივუდელი გოგოები დარბიან. ასეთი მკვლელობა უფრო საინტერესო ჩანდა. მეტი ადრენალინი იყო, როცა ყურცქვიტებით სავსე პავილიონში მოკალი...

ქარმა დაიზმუვლა. ბორბალი უფრო მძლავრად შეჯანჯლარდა, მაგრამ ლეინმა ვერ იგრძნო. კაბინის სილრმეში იჯდა.

– არითები ვერაფერს ხედავენ. გეგონება, თვალები ტრაკზე აქვთ მიერთებული და არა ტვინზე. ყველაფერი მხედველობის მიღმა რჩებათ.

– შენ კი რისკი გიყვარს, არა? ამიტომაც დაბრუნდი და „ჯოილენდში“ დაიწყე მუშაობა.

– ჰო. თან ამ ამბიდან ერთი თვეც არ იყო გასული. სულ მათ ცხვირწინ ვტრიალებდი. – ფართოდ გაიღიმა. – და კიდევ იცი, რა? კარგად გავხდი. ყველაფერმა გამიარა. კარგი გავხდი. სხვა ცხოვრება დავიწყე. აქ ყოფნა მომწონს. ეს ხელსაწყოც გამოვიგონე და მის დაპატენტებასაც ვაპირებდი.

– მე მგონი, ადრე თუ გვიან, მაინც იმავეს გააკეთებდი. – ისევ უმაღლეს წერტილზე მოვექეცით. ქარი და წვიმა დაუნდობლად გვიტევდა. ვცახცახებდი. სულმთლად გალუმპული ვიყავი. ლეინს თმის საღებავისგან ლოყები გაუშავდა. თითქოს ვიღაცას შავი კლანჭები ჩამოესვა.

– არა. განვიკურნე, მაგრამ შენ ბოლო უნდა მოგიღო, ჯონსი. იმიტომ, რომ ცხვირი იქ ჩაყავი, სადაც არ უნდა ჩაგეყო. ძალიან ცუდია. მართლა მაგრად მომწონდი. მართლა.

მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა, ამიტომ ის, რაც ხდებოდა, კიდევ უფრო საშინლად მომეჩვენა.

ისევ ქვემოთ ჩავდიოდით. ქარი ღრიალებდა. ყველაფერი წვიმას გაეუღინთა. ფარებანთებული მანქანაც არსად ჩანდა. ჩემმა ტვინმა მოფრიალე ბრეზენტი მანქანად აღიქვა, იმიტომ, რომ სურდა მართლა მანქანა ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს დასახმარებლად არავინ მოიჩქაროდა. საკუთარი თავის-თვის თავად უნდა მეშველა. ამას კი მხოლოდ მისი გაბრაზებით შევძლებდი.

– რისკი მოგწონს და არა სექსი და გაუპატიურება, არა? ასე რომ არ იყოს, იმ გოგოებს სადმე განმარტოებულ ადგილას წაიყვანდი. მე მგონი, გეშინია კიდეც იმის, რაც ფეხებს შუა აქვთ. რომ მოკლავ, მერე რას აკეთებ ხოლმე? წევხარ და ანძრევ? თან გიხარია, რომ მაგარი ხარ და უმწეო გოგო მოკალი?

– მოკეტე.

– გოგოებს აბამ, მაგრამ ვერაფერს უშვები. – ქარმა დაიკივლა, კაბინა შეზანზარდა. არ ვიცი, რამდენად გავაპრაზე ლეიინი, თავად კი ორივეს მაგივრად გავპრაზდი. – ასეთი რამ გაგხადა? როცა იფსამდი, დედა ჭუჭუზე სარეცხის სარჭს ხომ არ გიკეთებდა? იქნებ, ბიძია სტენი გიდებდა პირში? ან...

– მოკეტე! – დაიყვირა და წამოდგა, ცალი ხელით რიკულებს ებლაუჭებოდა, მეორეთი კი იარაღს მიმიზნებდა. სახე ელვის შუქმა გაუნათა – თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, თმა გადაგლესილი. – გააჩერე ეგ შენი...

დევინ, დაიხარე!

არც დავფიქრებულვარ. უბრალოდ ბრძანებას დავემორჩილე. ლამის სიბნელეში გასროლის მჭახე ხმა გაისმა. ჩვენმა კაბინამ ჩასასხდომ მოედანს ჩაუარა და უცებ ენი როსი დავინახე.

პანდუსზე იდგა და ხელში თოფი ეჭირა. თმა უფრიალებდა. უკან მისი მანქანა იდგა.

ისევ ზემოთ წავედით. ლეიის შევხედე. თავის სკამზე უძრავად იჯდა, პირი დაელო, ლოყებზე შავი საღებავი ჩამოსდიოდა. თვალები ატრიალებული ჰქონდა. ტყვიას ცხვირი წაეგლიჯა – მხოლოდ შავი ლრმულის გარშემო დარჩენილი წითელი ნაფლეთი მოუჩანდა. ხელიდან იარაღი გამოვტაცე და გვერდზე მოვისროლე. რას ვგრძნობდი? არაფერს. უბრალოდ, გავიფიქრე, რომ იმ ღამეს აღარ მოვკვდებოდი.

ლეიიმა ამოიგმინა და თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ისე იჯდა, გეგონებოდათ, რაღაც არჩევანი აქვს გასაკეთებელი და იმაზე ფიქრობსო. როცა კაბინამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, კვლავ გაიელვა. ჩემი თანამგზავრი მოციალე ლურჯმა ცეცხლმა გაანათა. ქარმა დაუბერა, ბორბალმა კი თითქოს ამოიგმინა, თითქოს რაღაცაზე უარს ამბობდა. ისევ ქვემოთ ვეშვებოდით.

ქვემოდან ხმა მომესმა, რომელსაც ქარი ახშობდა:

– დევინ, როგორ გავაჩერო?

ჯერ ვიფიქრე, ვეტყვი, პულტი მოძებნე-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ იმ ქარში ნახევარი საათი მაინც უნდა მეყვირა, რამე რომ გამეგონებინა. რომც ეპოვნა ან დაზიანებული იქნებოდა ან სადმე გუბეში ეგდებოდა. ბორბლის გასაჩერებლად უკეთესი გზაც არსებობდა.

– ძრავასთან მიდი, ენი! წითელი ღილაკი მოძებნე! წითელი ღილაკი, ენი! საავარიო ღილაკია!

ჩემმა კაბინამ გვერდით ჩაუარა. იგივე ჯინსი და სვიტერი ეცვა, მაგრამ ახლა გალუმპული იყო და ყველაფერი ზედ მიჰკვროდა. არც ქურთუკი ეცვა, არც ქუდი ეხურა. ნაჩქარევად გამოქცეულიყო. ვიცოდი, ვინც გამოგზავნა. ყველაფერი რა მარტივად იქნებოდა, მაის ლეიინისთვის თავიდანვე რომ მიექცია

ყურადღება. არც როზის მიუქცევია მისთვის ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში იცნობდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, მაის ლეინზე საერთოდ არ უეჭვია.

ისევ ზემოთ მივიწევდი. ჩემს გვერდით ლეინი იჯდა. თმიდან ჩამოსული შავი წყალი კალთაში ელვრებოდა.

— დაიცადე, სანამ ქვემოთ არ ჩამოვალ!

— რა?

მეტი არაფრის თქმა არ მიცდია. ქარის ღმუილში მაინც ვერაფერს გავაგებინებდი. იმის იმედი მქონდა, რომ წითელ ღილაკს ხელს მაშინ არ დააჭერდა, როცა უმაღლეს წერტილზე ვიქნებოდი. ქარიშხალი გაძლიერდა. ელვას ჭექა-ქუხილიც მოჰყვა. თითქოს გრუხუნმა გამოაფხიზლაო, ლეინმა თავი ასწია და შემომხედა. შეეცადა, შემოეხედა. ეს საზარელი სანახაობა დღემდე თავს არ მანებებს, ყველაზე უცნაურ დროს მახსენდება ხოლმე, მაგალითად, როცა ფასიან გზატკეცილზე გავდივარ, როცა დილაობით CNN-ის წამყვანებთან ერთად, რომლებიც ძირითადად საშინელ ამბებს ყვებიან, ყავას ვსვამ, როცა ღამის სამ საათზე მოსაფსმელად ვდგები...

პირი დაალო. სისხლმა გადმოხეთქა. რაღაც მწერის მსგავსი ხმა აღმოხდა, თითქოს ჭრიჭინობელასი. მერე სხეული დაეკრუნჩხა. ფეხები კაბინის მეტალის იატაკზე დააპრახუნა.

„მოკვდი. გეხვეწები, ახლა მაინც მოკვდი“. — გავიფიქრე.

ჩვენი კაბინა ისევ ძირს დაეშვა. სწორედ ამ დროს „სანდერბოლს“ მეხი დაეცა. დავინახე, როგორ განათდა ირგვლივ ყველაფერი. „შეიძლებოდა, მე დამცემოდა“ — გავიფიქრე. ჩვენს კაბინას ქარი ახალი ძალით დაეძგერა. ასეთი ძალით აქამდე არ დასტაკებია. ურდულს ხელები მაგრად ჩავჭიდე და სიცოცხლეს ჩავებლაუჭე. ლეინი უზარმაზარი თოჯინასავით დაენარცხა ძირს.

ენის ჩავხედე. გაფითრებული სახით მაღლა იყურებოდა. უკვე პულტან იდგა. ჯერ-ჯერობით ყველაფერი კარგად მი-დიოდა. ხელები პირთან მივიტანე და რაც ძალა და ღონე მქონ-დე დავიყვირე:

- წითელი ლილაკი!
- გასაგებია!
- სანამ არ დაგიძახებ, ხელი არ ახლო!

მიწა ნელ-ნელა მიახლოვდებოდა. ხელები ურდულს ჩავ-ჭიდე. როცა საკონტროლო პულტან აწვარდაცვლილი (იმედი მქონდა, უკვე გარდაცვლილი იყო) ლეინ ჰარდი იდგა, კაბინები ძალიან ნაზად, ზედმეტი ნჯღრევის გარეშე ჩერდებოდა ხოლმე. არ ვიცოდი, საავარიო გაჩერება როგორი იქნებოდა.

- ენი, მიდი!

კიდევ კარგი, ხელი მაგრად მეჭირა. ჩემი კაბინა ჩასაჯდო-მი მოედნიდან ათი ფუტის მოშორებით, მიწიდან კი ხუთი ფუ-ტის სიმაღლეზე გაჩერდა. კაბინა გვერდზე გადაიხარა. ლეინი წინ გადავარდა და თავით ურდულს შეასკდა. არც დავფიქრე-ბულვარ, ისე დავითრიე პერანგის საკინძით და უკან დავქაჩე. მისი ცალი ხელი კალთაში ჩამივარდა, სასწრაფოდ მოვიცილე. საოცარი ზიზღი ვიგრძენი.

ურდული არ იღებოდა. დავწექი და მის ქვეშ გავხოხდი.

- ფრთხილად, დევ! ენი კაბინის გვერდით იდგა და ხელები ისე ეჭირა, გეგონებოდათ, რომ გადავვარდნილიყავი, დამიჭერ-და. თოფი, რომლითაც ლეინ ჰარდი სიცოცხლეს გამოასალმა, ძრავასთან მიეყუდებინა.

- უკან დაიხიე! - დავუყვირე და ცალი ფეხი კაბინიდან გა-დავყავი. ისევ გაიელვა. ქარმა დაიღმუვლა, ბორბალმაც დაიკ-ვნესა. ბიჯგს ჩავეჭიდე. სველ ლითონზე ჩავსრიალდი და მუხ-ლებზე დავეცი.

– ხომ კარგად ხარ?

– კი.

კარგად არ ვიყავი. ჩემ გარშემო ყველაფერი ბზრიალებდა. ცოტაც და გონებას დავკარგავდი. თავი ჩავლუნე, მუხლებზე ხელები წავივლე და ლრმად სუნთქვა დავიწყე. მალე გონება მოვიკრიბე. გავსწორდი. ვიცოდი, რომ სწრაფი მოძრაობები არ უნდა გამეკეთებინა.

იმ თავსხმაში რამის გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ენი ტიროდა.

– სხვა გზა არ მქონდა. მოგკლავდა, არა? გთხოვ, დევ, მითხარი, რომ მოკვლას გიპირებდა. მაიკმა მითხრა, რომ გიპირებდა...

– ასეა, მაგაზე ნუ დარდობ! მოკვლას მიპირებდა და არც პირველი ვიქნებოდი. ჩემამდე ოთხი გოგო ჰყავდა მოკლული.

– გამახსენდა, ერინი ამბობდა, რომ მხოლოდ ეს ოთხი ვიცოდით, მაგრამ დანარჩენების შესახებ არაფერი იყო ცნობილი. – შეიძლება, უფრო მეტიც. სავარაუდოდ, მეტი. პოლიცია უნდა გამოვიძახოთ. ტელეფონი...

ენი მკლავში მწვდა.

– არა. პოლიცია არ უნდა გამოვიძახოთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არა.

– ენი...

სახე ახლოს მომიტანა. თითქოს უნდოდა ეკოცნა, მაგრამ კოცნაზე ნამდვილად არ ფიქრობდა.

– პოლიციას რა ვუთხრათ? მე აქ რას ვაკეთებდი? იმას ხომ არ ვეტყვი, ჩემს შვილს შუალამისას მოჩვენება გამოეცხადა და უთხრა, რომ თუ სასწრაფოდ აქ არ მოვიდოდი, შენ „ბორბალზე“ სიკვდილი გელოდა? მაიკის სახელი არ უნდა ვახსენოთ. მაიკი ამ საქმეში არ უნდა გავრიოთ. თუ გაბედავ და

მეტყვი, რომ ზედმეტად მზრუნველი დედა ვარ, მაშინ საკუთარი ხელით მოგელავ.

- არა. მაგას არ გეტყვი.
- აბა, რა ვთქვათ, აქ როგორ გავჩნდი?

თავიდან ვერაფერი მოვიფიქრე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავადაც გვარიანად შეშინებული ვიყავი. თუმცა, სიტყვა „შეშინებული“ იმას ვერ გადმოსცემს, რაც მაშინ მჭირდა. ხელი ჩავჭიდე, მანქანასთან მივიყვანე და საჭესთან დავსვი. მერე მანქანას შემოვუარე და გვერდით სავარძელზე დავჯექი. სანამ დავჯდებოდი უკვე ვიცოდი, რა უნდა მექნა. მარტივი აზრი იყო, მაგრამ გაჭრიდა. კარი დავკეტე და ნინა ჯიბიდან საფულე ამოვილე. როცა გავხსენი, კინალამ ძირს დამივარდა. შეშლილივით ვკანკალებდი. საფულეში ბევრი ქალალდი იყო, მაგრამ კალამი არ მქონდა.

- ენი, მითხარი, რომ კალამი ან ფანქარი გაქვს.

- შეიძლება მქონდეს. პოლიცია უნდა გამოიძახო, დევ. სასწრაფოდ მაიკთან უნდა დავბრუნდე. დანაშაულის ადგილიდან მიმალვისთვის ან რამე მაგდაგვარისთვის... ან მკვლელობისთვის რომ დამიჭირონ...

- არავინ დაგაპატიმრებს, ენი. შენ ხომ სიკვდილს გადამარჩინე. - თან ვლაპარაკობდი და თან მანქანის სათავსოში ვიქექებოდი. ქვითრების მთელი დასტა იდო, M&M's-ის შეკვრა და იელოვას მოწმეების ფლაერი, რომელშიც მეკითხებოდნენ, ვიცოდი, თუ არა, სად მოვხვდებოდი გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ კალამს ან ფანქარს ვერ მივაგენი.

- მოცდა არ შეიძლება... ასეთ სიტუაციაში... - სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა, რადგან კბილს კბილზე აცემინებდა. - უბრალოდ უნდა დაუმიზნო... და გამოკრა... არც უნდა დაფიქრდე... ტყვიას თვალებს შორის უნდა გაევლო, მაგრამ...

ქარი... ალბათ, ქარის გამო... – ხელი ისე მაგრად ჩამავლო, მხარი მეტკინა. თვალები გაუდიდდა. – რა, შენც მოგარტყი, დევ? შუბლზე ჭრილობა გაქვს და პერანგზე სისხლი!

– ჩემთვის არ მოგირტყამს! იმან ჩამარტყა. ენი, კალამი ვერ ვნახე...

მაგრამ არა. სათავსოს სიღრმეში ვიპოვე. ვერ დავიჩემებ, მხოლოდ იმ კალამმა გადაარჩინა ენი და მაიკი სერიოზულ პრობლემებს-მეთქი, მაგრამ დაუსრულებელი დაკითხვებისგან კი ნამდვილად იხსნა. პოლიცია ენის არ მოასვენებდა, იმ ქარიან და წვიმიან ლამეს პარკში რამ მოგიყვანათო.

კალამი და ჩემი სავიზიტო ბარათი გავუწოდე. ცოტა ხნის წინ ჩემს მანქანაში ვიჯექი და საკუთარ თავს იმის გამო ვუწყრებოდი, ახალი აკუმულატორის ყიდვას თავი რომ ვერაფრით მოვაბი. ამ გულმავიწყობის გამო შეიძლებოდა, ენი და მაიკი დამეღუპა. ვიფიქრე, შინ შევბრუნდები და ენის დავურეკავ-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ მისი ტელეფონის ნომერი არ მქონდა. ენის მივუბრუნდი:

– ნომერი დამინერე, ნომრის ქვეშ კი მიაწერე: დამირეკე, თუ გეგმები შეიცვალა.

სანამ ენი წერდა, მისი მანქანა დავქოქე და გამათბობელს ბოლომდე ავუწიე. ბარათი დამიბრუნა. საფულეში ჩავტენე, სა-ფულე უკანა ჯიბეში ჩავიდე და კალამიც თავის ადგილას შევაგდე. მერე მკლავებში მოვიმწყვდიე და ცივ ლოყაზე ვაკოცე. ისევ კანკალებდა, მაგრამ ცოტა დამშვიდდა.

– სიკვდილს გადამარჩინე. ახლა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ შენ და მაიკს ამის გამო უსიამოვნება არ შეგხვდეთ. ყურადღებით მისმინე...

ექვსი დღის შემდეგ ჰევენს-ბეიში კვლავ შემოდგომის თბილი ამინდები დადგა. შუადღით როსების ხის დაფებით მოპირკეთებული ბილიკის ბოლოში ლანჩის ჭამაც შეიძლებოდა, მაგრამ იქ ვერ გამოვჩინდებოდით, უურნალისტები იყვნენ ჩასაფრებული. იმ ტერიტორიის დაკავება უპრობლემოდ შეეძლოთ, რადგან, მწვანე ვიქტორიანული სახლისგან განსხვავებით, პლაზი კერძო საკუთრება არ იყო. ის ამბავი, თუ როგორ დააწვინა ერთი გასროლით ენიმ ლეინ ჰარდი (რომელსაც იმ დროს უკვე „მკვლელ კარნიდ“ მოიხსენიებდნენ), მთელ ქვეყანას მოედო.

გაზეთმა „უილმინგტონმა“ სტატია დაბეჭდა სათაურით: „პატი როსის ეალიშვილმა „მკვლელი კარნი“ სიცოცხლეს გამოასალმა“. „ნიუ-იორკ-პოსტმა“ უფრო ლაკონური სათაურის სტატია გამოაქვეყნა: „გმირი დედა!“ და თან ენის ახალგაზრდობის ფოტოები დაურთო. იმ დროს ყველაზე პოპულარულმა ტაბლოიდმა „ინსაიდ-ვიუმ“ ამ ამბავს სპეციალური ნომერი მიუძღვნა. ენის ძველი ფოტოც გამოჩერიკეს. ფოტოზე ენი ჩვიდმეტი წლის იყო. ეს ფოტო ჩემპიონატის შემდეგ გადაეღო. მოტკეცილი ჯინსი, სპორტული მაისური და კოვბოის ჩექმები ეცვა, ცალ მხარზე გადაჭრილი, ანტიკვარული თოფი ეკიდა, ხელში კი ცისფერი ლენტი ეჭირა. ამ ფოტოს გასწვრივ მეორე ფოტოც იყო, პოლიციის მიერ გადაღებული. სურათიდან ოცდაერთი წლის ლეინ ჰარდი შემოგვცეროდა. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლეონარდ ჰოპგუდი ყოფილა. მაშინ სან-დიეგოში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უღირსი საქციელის ჩადენის გამო დაუკავებიათ. ეს ორი ფოტო საოცარ კონტრასტს ქმნიდა. სათაური კი ასეთი იყო: „ლამაზმანი და ურჩეული“.

რადგან ამ ამბავში მცირე წვლილი მეც მიმიძლოდა, ერთ გაზეთში მახსენეს, ტაბლოიდები კი ჩემს შესახებ დუმდნენ.

ეტყობა, დიდად საყურადღებოდ და სექსუალურად არ ჩამთვალეს.

მაიკს სათაური „გმირი დედა“ ძალიან მოეწონა. ენი კი ამ ყველაფერმა საოცრად გააღიზიანა. ერთი სული ჰქონდა, რამე ახალი მომხდარიყო და მის მიმართ პრესის ყურადღება გაენელებინა. პრესის ყურადღება ენის არც ახალგაზრდობაში აკლდა, მაშინ, როცა წმინდა კაცის თავქარიანი ქალიშვილი იყო და გრინვიჩ-ვილიჯის ბარებში ცეკვავდა. ენი ინტერვიუს თავს არიდებდა, ამიტომ გამოსათხოვარი პიკნიკი სამზარეულოში გავმართეთ. ხუთნი ვიყავით. მაილო სკამის ქვეშ იყო მოკალათებული და მოთმინებით ელოდა, ეგებ რამე შემხვდესო, მაიკის ფრანზე გამოსახული იესო კი სკამზე გვყავდა დასვენებული.

ჩანთები უკვე ჰოლში ელაგა. როცა ჭამას მოვრჩებოდით, უილმინგტონის აეროპორტში მანქანით უნდა წამეყვანა. იქიდან თვითმფრინავი ჩიკაგოში წაიყვანდა და ჩემი ცხოვრებიდანაც გაქრებოდნენ. ჰევენს-ბეის პოლიციას ენისთან უამრავი შეკითხვა ექნებოდა. ადრე თუ გვიან, სასამართლოსთვის ჩვენების მისაცემად ენის ჰევენს-ბეიში ჩამოსვლა მოუხდებოდა, მაგრამ ყველაფერს ადვილად გაართმევდა თავს. ენი ახლა გმირი დედა იყო.

ძალიან უბრალო ამბავი შევთხზეთ, რომელშიც მაიკი საერთოდ არ ფიგურირებდა. ლინდა გრეის ამბით ჯოილენდური ლეგენდის გამო დავინტერესდი. შეთხზულ ამბავში ჩემი ანალიტიკური ტვინის პატრონი მეგობარი და თანამშრომელი ერინ კუკიც უნდა გვეხსენებინა. ლინდა გრეის და მისი მკვლელის ფოტოებმა ვიღაც მომაგონა, მაგრამ გონება მხოლოდ მაიკის „ჯოილენდში“ სტუმრობის მერე გამინათდა. პოლიციასთან დაკავშირება ვერ მოვასწარი, ლეინ ჰარდი თავად დამიკავშირდა და დამემუქრა, რომ თუ დაუყოვნებლივ „ჯოი-

ლენდში” არ მივიღოდი, მაიკს და ენის მოკლავდა. ყველაფერი სიმართლე იყო, ერთი პატარა, უმნიშვნელო ტყუილის გარდა: მე ენის ტელეფონის ნომერი მქონდა. ნომერი ენიმ მომცა, იმ შემთხვევისთვის თუ მაიკის „ჯოილენდში” გასეირნების გეგმები შეიცვლებოდა. ასე რომ ლეინის ზარის შემდეგ ენის დავურეკე და ვუთხარი, კარ-ფანჯარა კარგად ჩაეკეტა, სახლიდან ფეხი არ მოეცვალა და პოლიციისთვის დაერეკა. დანაბარები მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა – კარ-ფანჯარა საგულდაგულოდ ჩარაზა, მაგრამ შინ არ დარჩენილა და არც პოლიციისთვის დაურეკავს, რადგან შეეშინდა, რომ პოლიციის მანქანების ფერადი შუქების დანახვისთანავე, ლეინი მომკლავდა. ამიტომ თოფი სეიფიდან გამოილო და ჩამქრალი ფარებით „ჯოილენდისკენ“ წამოვიდა. სურდა, ლეინს მოულოდნელად დასდგომოდა თავზე. დაადგა კიდეც. ასე რომ ენი ნამდვილი გმირი დედა იყო.

- მამაშენი რას ამბობს, დევ? – მკითხა ენიმ.
- ანუ რას ამბობს იმის გარდა, რომ თუ მოისურვებ, ჩიკაგოში ჩამოვა და მთელი ცხოვრება თქვენი მანქანების მრეცხავი იქნება? – გაეცინა, მაგრამ მამაჩემმა მართლა ასე თქვა. – რა ვიცი, კარგად არის. შემდეგ თვეში ვესტუმრები. მადლიერების დღეს ერთად გავატარებთ. ფრედმა მთხოვა, მანამდე პარკში დარჩი და საქმეების დასრულებაში მომეხმარეო. დავთანხმდი. ზედმეტი ფული არ მაწყენს.
- სწავლისთვის გჭირდება?
- ჰო. მეორე სემესტრიდან სწავლას ისევ გავაგრძელებ.
- კარგია. უნდა ისწავლო. აქ კი რას აკეთებ? ატრაქციონებს ღებავ და ნათურებს ცვლი.
- ჩიკაგოში ხომ ჩამოხვალ ჩვენს სანახავად, სანამ ძალიან ცუდად გავხდები? – მკითხა მაიკმა.

ენი შეიშმუშნა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– სხვა რა გზა მაქვს? – ვუთხარი და ფრანზე ვანიშნე. – აბა, ეს როგორ დაგიბრუნო? ხომ მითხარი, გათხოვეო?

– ეგებ, ბაბუაჩემიც გაგაცნო. მარტო იესოზე ჭედავს, თორემ ისე მაგარი ტიპია. – თქვა და ენის გვერდულად გახედა. – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. სარდაფში უზარმაზარი ელექტრომატარებელი აქვს.

– მაიკ, შეიძლება ბაბუაშენს ჩემი გაცნობა არც უნდოდეს. დედაშენი ლამის შარში გავხვივ.

– ბაბუა მიხვდება, რომ შენ მისი შარში გახვევა არ გინდოდა. რა შენი ბრალია, იმ ტიპთან ერთად რომ მუშაობდი? – მაიკს სახეზე შეშფოთება გამოეხატა. სენდვიჩი დადო, ხელსახოცი აიღო და ჩაახველა. – მისტერ ჰარდი კარგი ვინმე ჩანდა. იმ დღეს რამდენი გვასეირნა.

„ბევრი გოგოც ასე ფიქრობდა“. – გავიფიქრე ჩემთვის.

– მაგის შესახებ ზმანება არ გქონია? – ვიკითხე ხმამალოა.

მაიკმა უარის ნიშნად თავი გააქნია და ისევ დაახველა.

– არა. მე მომენტონა და მეგონა, რომ მასაც მოვენონე.

უცებ „კაროლინის ბორბალი“ გამახსენდა. გამახსენდა, როგორ უნდა ლეინმა მაიკს „მახინჯი“.

ენიმ მაიკს წვრილ კისერზე ხელი დაადო:

– ზოგიერთი ადამიანი თავის ნამდვილ სახეს მალავს. ზოგჯერ ხვდები, რომ ადამიანებს ნილბები უკეთიათ, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ და არა ყოველთვის. ზოგჯერ ძლიერი ინტუიციის პატრონებიც კი ცდებიან.

აქ მათთან სასადილოდ, გამოსამშვიდობებლად და აეროპორტში წასაყვანად ვიყავი მოსული, მაგრამ სტუმრობის სხვა მიზეზიც მქონდა.

– მაიკ, რაღაც მინდა გვითხო. იმ მოჩვენების შესახებ, ლა-
მე რომ გაგალვიძა და ჩემზე გითხრა, გასაჭირშიაო. შეიძლება?
ხომ არ გაღიზიანდები?

– არა, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ისეთი არ არის, როგორ-
საც ტელევიზორში აჩვენებენ – თეთრი, გამჭვირვალე, ჰაერში
რომ დაფარფატებს და უცნაურ ხმებს გამოსცემს. უბრალოდ
გამელვიძა... და დავინახე, რომ ჩემს საწოლთან იჯდა, ნამდვი-
ლი ადამიანივით იყო.

– არ მინდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი. მაიკს არ აღიზია-
ნებს, მაგრამ მე მაგიუებს. – მითხრა ენიმ.

– კარგი, კიდევ ერთ რამეს ვკითხავ და მერე თავს დავა-
ნებებ.

– კარგი. – თქვა ენიმ და მაგიდის წმენდა დაიწყო.

სამშაბათს მაიკი პარკში გვყავდა. ოთხშაბათს გამთენიი-
სას ენიმ ლეიინი მოკლა, მე კი სიცოცხლე მაჩუქა. მერე მთელი
დღე დაკითხვაზე იყო, არც ჟურნალისტები ანებებდნენ თავს.
ხუთშაბათს ფრედ დინი მოვიდა ჩემს სანახავად, მაგრამ მისი
ვიზიტი ლეიინ ჰარდის არ უკავშირდებოდა.

თუმცა, მე მაინც ჩავთვალე, რომ უკავშირდებოდა.

– აი, რა მაინტერესებს, მაიკ. ის მოჩვენება „საშინელებათა
სახლის“ მოჩვენება იყო? ის ჩამოგიჯდა სასტუმალთან?

მაიკს თვალები გაუფართოვდა.

– ლმერთო, არა! ის წავიდა. ეგენი როცა მიდიან, უკან,
მგონი, აღარასდროს ბრუნდებიან. ის კაცი იყო.

1991 წელს, სამოცდამესამე დაბადების დღის შემდეგ, მა-
მამ სერიოზული გულის შეტევა გადაიტანა. ერთი კვირა პორ-
306

ტსმუტის საავადმყოფოში იწვა. გამოწერის წინ მკაცრად გააფრთხილეს დიეტა დაიცავი, ოცი ფუნტი დაიკელი და ძილის წინ სიგარა აღარ მონიოო. მამაჩემი ის იშვიათი გამონაკლისია, მტკიცედ რომ იცავს ექიმის მითითებებს. ახლა ოთხმოცდახუთი წლისაა და მხოლოდ ფერდი აწუხებს და კიდევ თვალები, სხვა მხრივ კარგად არის.

1973 წელს კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. ჩემი ახლანდელი ასისტენტის (Google Chrome-ის) წყალობით შევიტყვე, რომ იმ დროს ადამიანები, რომლებსაც ინფარქტი გადაეტანათ, საშუალოდ ორ კვირას ატარებდნენ საავადმყოფოში – ერთ კვირას რეანიმაციულ განყოფილებაში, ერთსაც – ჩვეულებრივ პალატაში. ედი პარკსი რეანიმაციაში თავს კარგად გრძნობდა, რადგან იმ დღეს, როცა მაიკი „ჯოილენდში“ სეირნობდა, ედი რეანიმაციული განყოფილებიდან ქვედა სართულზე ჩაიყვანეს. გადაყვანისას მეორე შეტევა მოუვიდა. ლიფტში გარდაიცვალა.

- რა გითხრა? – ვკითხე მაიკს.
- მითხრა, სასწრაფოდ დედა გააღვიძე და პარკში გაუშვი, თორემ ვიღაც ცუდი კაცი იმას მოკლავსო.

მაიკმა ეს გაფრთხილება მაშინ მიიღო, როცა მე ლეიინს ჯერ კიდევ ტელეფონით ველაპარაკებოდი. ალბათ ასე იყო. სხვა შემთხვევაში ენი პარკში მოსვლას ვერ მოასწრებდა. როგორც კი მოჩვენება წავიდა – მაიკმა თქვა, რომ წავიდა. არ გაუჩინარებულა, არც ფანჯრიდან გამქრალა და არც კარიდან, წავიდა – მაიკმა საწოლთან დადგმულ შიდა ქსელის აპარატს დააჭირა თითო. როცა ენიმ სიგნალს უპასუხა, მაიკმა კივილი მორთო.

- გეყოთ, საკმარისია. – ისეთი ხმით თქვა ენიმ, შეპასუ-ხებას აზრი არ ჰქონდა. ნიუარასთან დოინჯშემოყრილი იდგა.
- არა უშავს, დედა. – თქვა მაიკმა და ხველა აუტყდა.
- დედაშენი მართალია. გვეყოფა.

იმიტომ ხომ არ გამოეცხადა ედი მაიკს, რომ ეს ჯაჯღანა ბერიკაცი სიკვდილს მე გადავარჩინე? ალბათ ძნელია „ჩვენ-გან წასულების“ (როგორც როზი იტყოდა და ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა) ქცევის მოტივების განსაზღვრა, მაგრამ მე ასე მაინც არ მგონია. ედიმ ჩემი წყალობით მხოლოდ ერთი კვირით მეტი იცოცხლა და ის ერთი კვირა კარიბის კუნძულებზე, გა-რუჯული ლამაზმანების გარემოცვაში ნალდად არ გაუტარებია. მაგრამ...

მის სანახავად საავადმყოფოშიც ვიყავი მისული. ფრედ დინის გარდა მისი ერთადერთი მნახველი გახლდით. ყოფილი ცოლის სურათიც მივუტანე. მართალია, ცოლი გამოლანდა, მაგრამ მე ჩემი ვცადე. ამ ქვეყნიდან წასვლისას კი მან თავი-სი სცადა და ჩემდამი მადლიერება გამოხატა. შეიძლება, რამე სხვა მიზეზიც ჰქონდა.

აეროპორტის გზაზე მაიკი ჩემკენ გადმოიხარა და წამჩურ-ჩულა:

- დევ, გინდა გაცინო? იმას შენი სახელი არ უხსენებია. ლანირაკიო ასე თქვა.

ყიამყრალი ედი პარკსი.

აი, ასეთი ამბები მოხდა იმ უხსოვარ დროში, იმ ჯადოსნურ წელს, როცა ბარელი ნავთობი ჯერ კიდევ 11 დოლარი ლირდა. იმ წელს გამიტყდა ეს დაწყევლილი გულიც. იმ წელს დავკარ-
ვის

გე ჩემი უბინობაც. იმ წელს გადავარჩინე სიკვდილს პატარა, საყვარელი გოგონა და აუტანელი ბერიკაცი. იმ წელს ერთმა შეშლილმა „ეშმაკის ბორბალზე“ კინალამ სიცოცხლეს გამომა-სალმა. იმ წელს მოჩვენების ნახვა მინდოდა... მაგრამ მე ვერ ვნახე, თუმცა დარწმუნებული ვარ, ერთმა ნამდვილად მნახა. იმ წელს ახალ ენას დავეუფლე და ძალლის კოსტუმში გამოწ-ყობილმა Hokey Pokey-ის ცეკვაც ვისწავლე. იმ წელს მივხვდი, რომ ცხოვრებაში შეყვარებულის დაკარგვაზე უარესი რამეე-ბიც ხდება.

იმ წელს 21 წლის, გამოუცდელი ბიჭი ვიყავი.

უნდა ვაღიარო, საამური ცხოვრებით ვიცხოვრე, მაგრამ ზოგჯერ მაინც ყველაფერი მეზიზლებოდა. როცა ამ სტრი-ქონებს ვწერდი, დიკ ჩეინიმ ახალი გული მიიღო. ამაზე რას იტყვით? კვლავაც ცოცხალია. სხვები კი მოკვდნენ. მაგალი-თად, კლარენს კლემონსის მსგავსი ნიჭიერი ადამიანები. სტივ ჯობსის მსგავსი. ჩემი ძველი მეგობრის, ტომ კენედის მსგავსი ლირსეული ადამიანებიც გარდაიცვალნენ. მაგრამ კაცი ასეთ რამეებს ეჩვევა. სხვა რა გზა აქვს? როგორც ოდენი ამბობ-და, სიკვდილს მიყავს ისინი, ვისაც ბლომად ფული აქვს, ვინც სხვებზე უკეთ ხუმრობს და ვისაც სხვებზე გრძელი აბია. მაგ-რამ ოდენი მათ სიას ასე არ იწყებს. მისი ნუსხა უმანკო ბავ-შვებით იწყება.

ასე რომ, კვლავ მაიკა დავუბრუნდეთ.

კოლეჯში თავი აღვიდგინე და კამპუსის მიღმა ერთი მოუვ-ლელი ოთახი ვიქირავე. მარტის მიწურულს, ერთ ციც საღამოს, როცა ჩემთვის და ჩემი გოგოსთვის სამზარეულოში კერძს ვამ-

ზადებდი, ტელეფონმა დარეკა. ჩემი ჩვეული ხუმრობით ვუპასუხე:

– სასტუმრო „აბზინდა“, მფლობელი დევინ ჯონსი გისმენთ.

– დევ, შენ ხარ? ენი როსი ვარ.

– ენი?! მოიცა, რადიოს ჩავუწევ!

ჯენიფერმა – გოგომ, რომელიც იმხანად სიგიურდე მიყვარდა – ინტერესით შემომხედა. თვალი ჩავუკარი, გავუღიმე და ყურმილი ავილე.

– უთხარი, რომ გაზაფხულის არდადეგების დაწყებიდან ორ დღეში მანდ გავჩნდები. უთხარი, რომ ვპირდები. ბილეთს შემდეგ კვირასვე ვიყი...

– დევ, მოიცადე! მისმინე!

ენის ხმაში მწუხარება ვიგრძენი და მისი ხმის გაგონებით მოგვრილი სიხარული შიშმა შეცვალა. შუბლით კედელს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე. მაგრამ სინამდვილეში ყურების დახუჭვა მინდოდა.

– მაიკი წუხელ გარდაიცვალა, დევ. – ხმა აუკანკალდა, მაგრამ მალევე მოერია თავს. – ორი დღის წინ სიცხემ აუნია და ექიმმა საავადმყოფოში გადამაყვანინა. უბრალოდ თავი დავიზღვიოთო, გვითხრა. გუშინ უკეთ იყო. ნაკლებს ახველებდა. ლოგინში წამოჯდა და ტელევიზორსაც უყურა. კალათბურთის ტურნირის შესახებაც ლაპარაკობდა. მერე... – ენი გაჩუმდა. მძიმედ ამოისუნთქა და შეეცადა მშვიდად ყოფილიყო. მეც იგივეს ვცდილობდი, მაგრამ ცრემლები წამსკდა. ცრემლები თბილი იყო, ლამის ცხელიც კი. – ყველაფერი უცებ მოხდა. – თქვა და ჩუმად დაამატა: – გული მეგლიჯება.

მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. ჯენიფერი იყო. ნეტავ, იყო ვინმე იქ, ჩიკაგოში, რომ ენისთვისაც დაედო მხარზე ხელი?

- მამა მანდ არის? – ვკითხე.
 - არა. არიზონაშია, ხვალ ჩამოვა.
 - შენი ძმები?
 - ჯორჯი აქ არის. ფილი კი მაიამიდან რეისს ამ საღამოს უნდა ჩამოყვეს. მე და ჯორჯი ვართ... იმ ადგილზე. იმ ადგილზე... სადაც... ამის ყურება არ შემიძლია. თუმცა, თავად მას ასე სურდა. – ახლა უკვე გულამოსკვნილი ტიროდა. ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა.
 - ენი, რა შემიძლია შენთვის გავაკეთო? ნებისმიერი რამ. მითხრა.

მოდი, ამ ამბის თხრობას 1974 წლის აპრილის მზიანი დღით დავამთავრებ. ამ ამბავს ჩრდილოეთ კაროლინის სანაპიროს იმ პატარა მონაკვეთზე დავასრულებ, რომელიც ჰევენს-ბეისა და „ჯოილენდს“ შორის მდებარეობს. „ჯოილენდი“ იმ დღიდან ორი წლის შემდეგ დაიხურა. ფრედ დინისა და ბრენდა რაფერტის ძალისხმევამ ვერ უშველა. დიდმა გასართობმა პარკებმა შთანთქეს. ამ ამბავს გახუნებულ ჯინსში გამოწყობილი მშვენიერი ახალგაზრდა ქალითა და ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის მაისურიანი ახალგაზრდა კაცით დავასრულებ. ხით მოპირკეთებული ბილიკის ბოლოში ძალლი წევს, დრუნჩი ცალ თათზე უდევს. ძალლის უწინდელი სიმარდე და სიხალისე სადღაც გამქრალა. საპიკნიკე მაგიდაზე, რომელზეც ერთ დროს ქალი იოგურტის ჭიქებს აწყობდა, ახლა ურნა დგას. ზუსტად იქ არ ვასრულებ, საიდანაც ამ ამბის თხრობა დავიწყე, მაგრამ ახლოს ვარ.

ძალიან ახლოს.

– მამაჩემთან ისევ უთანხმოება მაქვს. – თქვა ენიმ. – ახლა უკვე აღარც მისი შვილიშვილი არის, რომ რამით დაგვაკავშიროს ერთმანეთთან. როცა შეიტყო, რომ მაიკს კრემაცია გავუკეთეთ, ბრაზისგან კინალამ შეიშალა. – ძლივსშესამჩნევად გაიღიმა. – მაშინ არიზონაში იმდენ ხანს რომ არ დარჩენილიყო, შეიძლებოდა ჩამოესწრო და გადაეთქმევინებინა. ალბათ შეძლებდა.

– მაგრამ მაიკს ხომ ასე სურდა?

– ბავშვისგან ასეთი რამის მოთხოვნა უცნაურია, არა? მაგრამ ასე სურდა და ორივემ ვიცით რატომაც.

მართალი იყო, ვიცოდი. ყველას ცხოვრებაშია ბედნიერების ხანა და როცა ხედავ, როგორ გიახლოვდება სიბნელე, ეჭიდები იმას, რაც ნათელი და სიკეთით აღსავსე იყო.

– შესთავაზე მაინც მამაშენს...

– ჩამოსვლა? კი, შევთავაზე. მაიკს უნდოდა, რომ ჩამოსულიყო. მან კი რაღაც „ნარმართულ“ ცერემონიალში მონაწილეობაზე უარი თქვა. ძალიანაც კარგი. მიხარია, რომ ასე მოიქცა. – თქვა და ჩემი ხელი ხელში მოიქცია. – ეს მხოლოდ ჩვენ გვესმის, დევ, რადგან ჩვენ ვიყავით აქ, როცა ის ბედნიერი იყო.

მისი ხელი ტუჩებთან მივიტანე და ვაკოცე.

– ხომ იცი, რომ მაიკის გადარჩენილიც ვარ. იმას რომ არ გაეღვიძებინე... სულ ოდნავ რომ შეყოყმანებულიყო...

– ვიცი.

– მაიკის გარეშე ედი ვერ მიშველიდა. მე ვერც მოჩვენებებს ვხედავ და არც მესმის მათი. მაიკი გამტარი იყო.

– ძალიან ძნელია. ძალიან მიჭირს... მისი აქედან გაშვება. იმ პატარა რაღაცის, რაც მისგან დამრჩა.

– ნამდვილად გინდა ამის გაკეთება?

— კი. სანამ კიდევ შემწევს საამისო ძალა.

მაგიდიდან ურნა აიღო. მაილომ თავი ასწია და ურნას შეხედა, მერე თავი ისევ თათბე დადო. არ ვიცი, გრძნობდა თუ არა, რომ იქ მაიკისგან დარჩენილი რაღაც იყო, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ მაიკი ამქვეყნად აღარ არსებობდა.

იესოსსახიანი ფრანი ავიღე და ენისკენ ზურგით დავდექი. მაიკის დანაბარების თანახმად ფრანს პატარა ჯიბე მივამაგრე. ჯიბე იმხელა იყო, რომ შიგ ნახევარი ჭიქა ფერფლი თავისუფლად ჩაეტეოდა. როცა ჯიბე გაივსო, ენიმ ურნა ფეხებს შორის, ქვიშაზე დადგა და ხელები წინ გამოიწოდა. კოჭი გავუწოდე და „ჯოილენდისკენ“ შევბრუნდი. ჰორიზონტზე „კაროლინის ბორბალი“ მოჩანდა.

მივფრინავ! — ასე თქვა მაიკმა იმ დღეს და მკლავები გაშალა. დარწმუნებული ვარ, რომ მაიკი თავის ქადაგ ბაბუაზე გაცილებით კეთილგონიერი და ჭკვიანი იყო. ალბათ, ყველა ჩვენგანზე ჭკვიანიც. არსებობს კი ხეიბარი ბავშვი, რომელსაც ფრენაზე არ უოცნებია? არ სდომებია, ერთხელ მაინც გაფრენილიყო?

ენის შევხედე. თავის დაქნევით მანიშნა, მზად ვარო. ფრანი ავწიე და ხელი გავუშვი. ოკეანიდან მონაბერმა გრილმა სიომ აიტაცა. ვუყურებდით, როგორ იწევდა ზევით.

— შენ, — მითხრა ენიმ, — ეს შენ უნდა გააკეთო, დევ. მაიკმა ასე დაიბარა.

თოკი გამოვართვი. ვიგრძენი როგორ მოქაჩა იგი ცოცხალ არსებად ქცეულმა ფრანმა, რომელიც სულ უფრო მაღლა მიინევდა და ცისფერ ცაზე წინ და უკან ირხეოდა, თითქოს ზეცას თავს უკრავდა და ესალმებოდა. ენიმ ურნა აიღო და ქვიშიან დაღმართზე ჩავიდა. დარჩენილი ფერფლი, ალბათ, ოკეანის ნაპირთან მიმოფანტა. მას არ ვუყურებდი. ფრანს ვაკვირდებოდი.

დავინახე, რომ ფრანს ნაცრისფერი ფერფლის წვრილი, გრძელი ზოლი გამოეყო. ქარმა ეს ზოლი ცაში გააბნია. თოკს ხელი გა-
ვუშვი. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიინევდა სულ უფრო
და უფრო მაღლა თავის ნებაზე გაშვებული ფრანი. მაიკს, ალ-
ბათ, დააინტერესებდა, რა სიმაღლეზე აიჭრებოდა და როდის
გაუჩინარდებოდა.

ამის ნახვა მეც მინდოდა.

24 აგვისტო, 2012

კარნის სიწმინდის დამცველები (დარწმუნებული ვარ, ასე-თებიც არსებობენ) ალბათ უკვე რისხვას აფრქვევენ და ემზა-დებიან მომწერონ, რომ ის, რასაც ჩემს რომანში „კარნის ენას“ ვუწოდებ საერთოდ არ არსებობს, რომ გასართობი პარკების სტუმრებს „ყურცქვიტებად“ არავინ მოიხსენიებს, არც ლამაზ გოგოებს ეძახიან „გათქვირულებს“. კარნის ასეთი ქომაგები მართლები იქნებიან, მაგრამ მინდა ვთხოვო, წერილებისა თუ მეილების თხზვაზე დროს ნუ დაკარგავენ. მეგობრებო, ჩემი წიგნი მხოლოდ გამონაგონია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ აქ გამოყენებულ ტერმინთა უმრავლესობა კარნავალის ენიდანაა აღებული. ეს ძალიან მდიდარი და იუმორით გაჯერებული უარგონია. დიდად ვარ დავალებული უეინ ნ. კეიზერის „The Dictionary of Carny, Circus, Sideshows & Vaudeville Lingvo“-სგან. ამ ლექსიკონის პოვ-ნა ინტერნეტშიც შესაძლებელია. შეგიძლიათ მოიძიოთ და ათა-სობით სხვა ტერმინსაც გაეცნოთ. შეგიძლიათ მისი წიგნიც გა-მოიწეროთ, სახელწოდებით „On the Midway“.

ამ რომანის რედაქტორი ჩარლზ არდეი გახლავთ. დიდი მადლობა, მეგობარო.

სტივენ კინგი